

1975/3

# ბუნებისმეტყველების მეთოდები



**2**

**1975**



# ენათობი

ქოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული  
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 50-ე № 2 თებერვალი, 1975 წ.

საქართველოს საზოგადოებრივი მწერალთა კავშირის ორგანო

## შინაარსი

13093

ოტია იოსელიანი — შავი და ცისფერი მდინაძი. რომანი. გაგრძელება . . . . .	3
აბაიძე გიორგი — ლექსები . . . . .	39
ოთარ მამუკაძე — ლექსები . . . . .	42
ვივი ალხაიციანი — ლექსები . . . . .	44
მირიან სარგაძე — ფილოსოფიის განხილვა . . . . .	47
როსტომ უსუბანიანი — მინიშნული. რომანი. გაგრძელება . . . . .	49
კოლალი ნადირაძე — ლექსი . . . . .	87
ვაკაშვილი დიმიტრი — სამოთხეო პირველი. რომანი. დასასრული . . . . .	89

### კრიტიკა და პუბლიცისტიკა

სოსო სიგუა — სამეცნიერო-ბუნებისმეტყველებითა და ქართული ლიტერატურა . . . . .	116
აბაბა გუგუშვილი — თბილისი — 1.000.000 . . . . .	129
დავით ლაშქარაძე — ეკონომიკური და ზრ. ორგანიზაციის შემოქმედება . . . . .	137
შანშია დარეჯანიანი — XIII საუკუნის დანაშაულის საქართველოს ძროხის-ლოგის საკითხისათვის . . . . .	151
ალ. ბინიაშვილი — „ვეფხისტყაოსნის“ ფილიკატი სტრუქტურის შესახებ . . . . .	159
ნათელა ჩხვირი — ტურგენევი ქართულ ინაზი . . . . .	166
დენილა ჯუჯაძე — დროისტრი და მანტაინური . . . . .	172
ივლიშვილი ვიქტორია — კრიტიკითა და მოსახლეობის . . . . .	178

### ფაქტები, მოგონებანი

ნინო ანანიასიანი — რა დაგვიწყობს . . . . .	183
--	-----

### თიბეების მიმოხილვა

გორის კანფერენცი — იხილეთ რუსთაველის პორტრეტის გამო . . . . .	187
საზღვარგარეთ . . . . .	190

საქართველოს კვ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

ქ. შარტავის საბ. საქ. სტ.



## მთავარი რედაქტორი გიორგი ნატროშვილი

საკადავციო კოლეგია:

ი. აბაშიძე, რ. ავახუშვილი (პ/მე მდიანი), ხ. ბერუაშვილი, თ. გივიშვილი, მ. ლეიბანიძე, ლ. პრილაპოვი, ვ. ძეგელი, ა. სულაკაძე, ა. ქუთათელი, ს. ზანდუაშვილი, დ. შანგიანი, ნ. ვაღიანიძე, ვ. ვაღიანიძე, თ. ვილახე, ვ. ხარაძე, რ. ჯაფარიძე, ვ. ჯინჯიფია.

ტიპოგრაფიული რედაქტორი რ. ჩაბუაძე

რედაქციის მისამართი:  
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 98-55-11.  
პ/მე, მდიანის — 98-55-18, გაზეთის რედაქციის — 98-55-16, 98-55-17, 98-55-20.

ვიდეოცეპიანი ფურცელი 27/X11-74 წ. ბელმონტი-  
ლი დისაბეგდალ 5/11-75 წ., ანაწილის ზომა  
 $7\frac{1}{4} \times 12$ , ქაღალდის ფორმატი  $70 \times 108\frac{1}{16}$ .  
ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 13, პირობითი  
ნაბეჭდი ფურცელი 16,8. სააღ-საგამომცემლო  
თაბაში 12.

უე 11225. ტირაჟი 14 050. შვკვ. № 4663.  
საქ. კმ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა  
თბილისი, ლენინის ქ. № 14.



## შავი და ცისფერი მდინარე

რომანი

### IX

ვათენდა.

გოგო და ბიჭი მინდერის ბოლოს, ლაშის პირზე იდგნენ. ვაქს მარცხენა ხელით ისევ ზურგზე მოგდებული ბადე ეჭირა, მარჯვენა ქალიშვილის მხარზე ედო. იდგნენ მომწვანო, ტალახისფერ, დაგუბებულ, უმოძრაო წუმპის ნაპირას, სადაც ლაქაშებში თვალებდაკუსული ბაყაყი, ან კუ თუ ამორგავდა თავს; ამ გუბურის პირას ასე გარინდებული და ამდენხანს შეჩერებული არასოდეს არავინ უნახავთ.

ლაშის ვალში, ჩაჩიქვული ტირიფების იქით, სიმინდის ლურჯი ყანა დაღანებდა.

თეკლასთვის სრულიად გაუგებარი იყო რისთვის იდგნენ ამ წუმპის პირას, იქ არაფერი იყო ისეთი, რაც თვალს გაახარებდა, მაგრამ იდგა, იდგა, რაკი ადამიანი, რომელსაც მარჯვენა ხელი ედო მის მხარზე, ფეხის მოცვლას არ აპირებდა. ადამიანები თავისი საქციელისათვის ზოგჯერ საკუთარ თავსაც

ვერ ამღევენ ახსნა-განმარტებას, თუმცა დარწმუნებული არიან, რომ სწორად იქცევიან. მას ახლა სჭეროდა, რომ ამ ადამიანის გვერდით უნდა მდგარიყო, თუმცა ვერ გეტყოდათ ამ დამყაყებულ გუბურის წინ რატომ უნდა გაჩერებულიყვნენ ამდენ ხანს, ისიც გაუნძრევლად, როცა მის ნაპირებზე ერთი ძირი ზეირიანი ტირიფის ხეც არ იდგა.

სამშობლო ქვეყნის, ქალაქის, სოფლის ან მიწის მონატრება, მარტო დედის, ვენახის, ხის ან ბალახის და ცისფერი მდინარის მონატრება არ ყოფილა; თურმე შეიძლება მოგენატროს ლავი და ტალახიც. წუმპეც და ლაქაშიც, ნემსიყლაპიაც და ბაყაყიც.

მამუკამ ეს ახლა, ამ დილით აღმოაჩინა, ისე, თითქოს მინდორზე ძროხის შემოსაბრუნებლად გაქცეულიყოს და უცაბედად ოქროს ზოდისთვის წამოეკრას ფეხი. ცვარმოფრქვეულ მინდორზე სირბილით მიმავალმა, უკან რომ ცოცხალ ნაკვალევს ტოვებდა, რაღაცას წამოჰკრა ფეხი — მიადგა ლაშეს და მისდა გასაოცრად ისე გაუხარდა, როგორც გუშინ დედის ნახვა, ან ახლა-

\* ვაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 1.

ხან ბებერ პანტა მსხალთან შეხვედრა.

ამ ლაქაშებზე არასოდეს უფიქრია... ახლა კი ისევე უნდოდა მოხვეოდა და ევოცნა მათთვის, როგორც გუშინ დედას და წედან დაკორძილ-დაღრუბულ ბებერი მსხლის ხეს გულში იკრავდა. არც ერთ ლექსში არ წაუციოთხავს ის, რასაც ახლა ამ დამყაყებულ ლაშეზე ფიქრობდა. არც ერთ სტუდენტს მთელი წლის მანძილზე არ წამოსცდენია, ჩემი სოფლის მყრალი ჭაობები და ბაყაყები მომენატრაო.

ამ აშშორებულ წყალს მწყურვალე საქონელიც კი არ სვამდა და გვალვების დროს ისე ამოშრებოდა, შედედებოდა და აქოთდებოდა, ბაყაყები და კუები ვერ ძლებდნენ მის სიახლოვეს; საცოდავი თავკომბალები, რაკი თავის შველა არ შეეძლოთ, უმწყოდ დაფავდნენ სულს. რამდენჯერ მოუტროვებია ისინი მამუკას და თავისი პერანგის კალთით ქვევით, უფრო ღრმა გუბებში გადაუყვანია, ან მთლად დეღემდე უთრევია.

ახლაც ამ წუმბეს ისევ ჰქონდა ის საძაგელი სუნეი და ფერი, ისევ ის არაფრისმთქმელი მოსაწყენი ნაპირები. მხოლოდ ჩაჩიქვულ ტირიფის ბუჩქებს თუ შეხედავდა კაცი, ისიც იმიტომ, რომ სხვა შესამჩნევი აქ არაფერი იყო.

და ეს ყველაფერი, რომ ეგონა ბავშვობისას არ შეუნიშნავს და არც მერე გახსენებია, თურმე ძალიან მახლობელი, მისი ცხოვრების ნაწილი ყოფილა. არავისზე ნაკლები და არაფერზე უარესი. ახლა მხოლოდ ის უკვირდა, რატომ აქამდე არ მახსოვდა, არ მენატრებოდა და მესიზმრებოდაო.

ლაშეს რომ მოუარეს და სიმიინდის ყანაში შეეიდნენ, მერეც უკან იხედებოდა, თითქოს ედემის ბაღიდან გამოეგდოთ და თვალი ზედ რჩებოა.

კაცის სიმაღლე სიმიინდის გადრეკილი ხანჯლებივით ფოთლებზე დავროვილი ცვარი, თხელი, მსხვილი წვიმასავით ეყრებოდათ მწყრივთა შორის ხელგადახვეულებს მიმავალთ და როცა ფართობიდან გააღწიეს, ორივე ვასაფუ-

რად მოქცეულიყო. თეკლას სველი, თეთრგვირილებიანი მწვენივცაბე ტანზე ისე შემოტმასნოდა, მკერდსაკრავი და მკერდსაკრავის საბეჭურები თვალნათლივ უჩანდა.

ჩაის პლანტაციებისკენ მიმავალ საურმე გზას რომ დაადგნენ, ქალიშვილი შეჩერდა და გაწეწილ, დანამულ თმას, პატარა, ბოლოებისაკენ წაწვრილებული თითებით დაუწყო ვარცხნა; გოგონამ ხელი რომ მალა წაიღო, მხარზე გადაჭერილი მკერდსაკრავის საბეჭური ჩაუღრმავდა და ვაჟმა ზედ სალოკი თითი დაუსვა, მერე თმის ვარცხნაში უშველა. ქალი რომ შუბლიდან კინიხამდე ივარცხნინდა, ვაგი ცდილობდა კინიხიდან ბეჭებამდე დაელაგებინა მისი თმა, ამ საქმისათვის მოუხერხებელი და უჩვევი თავისი თითებით.

გზა ამ ბოლო დღეებში მზიან ამინდებს იძენდად აეშრო, ადამიანს დაიმავრებდა, მაგრამ ღრმა ნაურმალში ისევ იდგა ყვითელი წყალი, თუ ფეხი ჩავივარდებოდა, ტალახი საქმბარო არ იყო.

თეკლას ამ ნაურმალ, საქონლისა და კაცის ნაფეხურებით დასახიჩრებულ გზაზე მალაქქუსლიანი ვალუმპული ფესსაცმელი ყოველ ნაბიჯზე უბრუნდებოდა და ვაჟს რომ მხარზე მაგრად არ ჰყოლოდა მიკრული, ალბათ ათასგზის მოიტებდა კისერს.

ერთი შეხედვით ხომ ასე გაწვალდა ამ მისთვის უჩვევ ოღროზოღროზე ხეტიალით; ბედაურ ცხენს ჩაექცეოდა ნაღველი. მაგრამ რამდენად პირობითია სიამოვნება თუ უსიამოვნება, უბედურება თუ ბედნიერება! ახლა, ამ გოგონათვის რომ გეკითხათ, ვერ გეტყვოდათ, ამაზე სისიამოვნო და, თუ გნებავთ, საბედნიერო გზაზე ოდესმე ევლა.

ანაზღად ზურგს უკან ისეთი ვაჩქარებულნი ფეხის ხმა მოესმათ, თეკლამ მაშინვე მოიხედა, რაკი ყურებს არ დაუჯერა ამ ოღრო-ზოღროზე ასე სწრაფად სიარული თუ შეეძლო ვინმეს მართლაც, ქალიშვილმა ხეირიანად დანახვა ვერ მოასწრო და ვაჟმა ცნობა,

რომ ჩია, ხანში შესული კაცი ჩექმების ბრახუნით მიუახლოვდათ და ის იყო აპირებდა გვერდის აელას და გზის გაშრუდებას, საღმის სათქმელად ცერად მოიხედა, მამუკა იცნო და მაშინვე გაზეთის ქალღღმინი გახვეული პაპიროსი გადაადგო. შარვალზე ხელები ისე გულდაგულ შეიწმინდა, თითქოს ნაკელით ჰქონოდა დასერილი. მამუკამ თეკლას მხრიდან მკლავის ჩამოღებაც ვერ მოასწრო.

— გამარჯობა ბიძია შენი, ფარნას ბიჭი არა ხარ, მამუკა? — ეს ისე თქვა, თორემ ეჭვი არ ეპარებოდა.

— გაგიმარჯოს ლადი ბიძია, მამუკა ვარ.

— კი, მამუკა ხარ ეს ვინაა? — ლადიმ ერთი ნაბიჯით უკან დაიხია, მერე ისევ წინ წაიწია და თეკლას ხელი ჩამოართვა, — აცოცხლა ღმერთმა ამის შემქმნელ-მშობელი, ვინცაა, ვარკი კია და... ჯარი სწერია ჩემი თვალისაგან.

— ჩემი... ჩემთან... ჩვენ ერთად... — სულ დაიბნა მამუკა, ტყუილი ვერ მოიფიქრა და მართლის თქმა ვერ შესძლო.

— თქვენი სტუმარია, ხომ?

— დიახ!

— ასეც ვიფიქრე. ფარნას თუ ესტუმრება ამისთანა ვინმე, თორემ ჩემსკენ; გზაზე რომ გამიაროს, ეზოში არ გადმოიხედავს.

— როგორ არ გადმოიხედავს, რას ბრძანებთ!

— ავდექი თუ არა, თვალის თამაში ამყვა. მითამაშებს და მითამაშებს თვალის ვფიქრობ, რა გამიხარდება, თუ მეწყინება. მეწყინება თუ გამიხარდება, ა, ახლაც მითამაშებს, შენ ავაშენა ღმერთმა თუ ამაზე ამხნა, ხომ კარგი, არა და ხარები მყავს დაკარგული, მერე და რავა გგონია, უღლაღ!.. საღმე ყანაში თუ შევიდნენ, უღელი ხარი ამელამ ორ ქცევა სიმიონს გააოხრებს. ჩემი საცხოვრებელი არ აუვა... უჰ, რას იტყვის ახლა ეს უცხო სტუმარი, ვინაა ეს გამოყრუებული ყანახი, თავის ხარებს მადარდებსო? აგრეა, ჩემო ბიძია. სახლში, მტერისას და ავისას, მიცვალებუ-

ლი რომ გვევენოს, სტუმარს მაინც გაცინებელი უნდა შეხვდეთ... რავე სჭირებს... ამ ოჯახ-ნაყურთს ამ ჩვენს გზებზე სიარული... რას იტყვის, არ მოგვეჭრა თავი მამუკა?..

— არა, რატომ...

— ჰო, თემცა სოფელი, თუ ვინდა, სოფელი ესაა, თუ ქალაქი ვინდა?.. — დაწინაურებული უცებ მოტრიალდა, — ყმაწვილო! ეს ერთი წელი რაღაც ნამეტანი მაკლიხარ თვალში.

— მე ხომ ესწავლობ, ბიძია... — თავი იმართლა მამუკამ.

— იმე, მერე მაგი არ ვიცი მე თუ!

— ჰო და...

— ესწავლობო და ამიტომ რომ გადაიკარგო, ჩემო ბიძია, მამაშენი და დედაშენი თუ არ გენატრება, ჩვენ რა დავამავეთ. აჰ, რას იტყვის ეს კაი გოგო... ის კი არა და, აწი აგერ ამანაც ხანდახან რომ არ მოგვინახულოს, არ ეპატიება და შენ, შე ოჯახამენებულო!..

— არა... კი, რა თქმა უნდა...

— მოკიდე მაგ გოგოს ხელი მაგრად, ნუ გერიდება, ხომ ხედავ... მაინც ეს მალალქუსლიანები... მარა აბა ჩვენსავით ჩექმებს ხომ არ ახრივინებს... არაფერი არ უჭირს. სამაგიეროდ, დამაბნსოვრდება. ხანდახან იმისთანა რაღაცამ იცის დამაბნსოვრება, საღამოს ბუხართან რომ ვზივარ და წინდებს ვიშრობ, ისეთი რამე გამაბნსენდება, სულელივით ვიციხნი ჩემი დედაბერი ლოყაზე შემოიკრავს ხოლმე ხელს, ჭკუა დაკარვა ამ ცოდვისშვილმაო. შენ გგონია საგანგებოდ მინდა გავიხსენო? აბა, შენც არ მომიკედე, მახსენდება და რა ვუყო. თავში ხელს ხომ ვერ შევიყოფ და ტვინზე არ მოვიჭირებ... აქეთ გადმოდი, ბიძიებო, აქეთ, ცოტა ვითომ უყვითესი გზაა... მაგრა მეტი არაა ჩემი მტერი...

— არა უშავს, ლადი ბიძია, არა უჭირს...

— ახლა მასე უნდა ვთქვათ, აბა სხვა რა დაგვრჩენია... მაგრამ დალოცა

ღმერთმა, ამ ქალიშვილს ლაპარაკი არ ყვარებია და თავს არსად მოგვეჭრის.

— როგორ გვედარებათ... — ამოილაპარაკა თეკლამაც, თვალებად გადაჭედილი რომ მიჩერებოდა ამ უცხო კაცს და რატომღაც ისე ახლობელივით მიაჩნდა, იფიქრა, მართლა ვინმე ჩემიანი ხომ არ არისო.

— ხმაც სირინოზის ჰქონია, მარა ამა რა იცნებოდა. კარგი ოსტატის ლამაზად გათლილი ჩონგური უკრავს ტყვილ ხმაზე, თორემ მეც ქე გავჩორკენ ერთხელ ნაჯახით ხმელი ბელოსის მორი და ყაჭის ძაფები გავუბი ლარებად. მაშინ ჩემი შვილები პატარები იყვნენ. დაკვრა რომ დაეიწყე, შემომესიენ და რომ დავამთავრე, ბავშვები კი არა, ძაღლიც აღარსად იყო.

ამაზე თეკლას ისეთი კისკისი აუტყდა, ამ ოღრო-ჩოღრო გზაზე ფეხი ვეღარ გადადგა და მთლად მამუკას ჩამოეცა მხარზე.

— თქვენ აგაშენათ ღმერთმა, დოქის ყელიდან წამოსული ალადასტურის ღვინოსავით არ იცინის? მგონი, სიხარულზე ამიხდა, თვალი რომ მიმთამაშებდა. ასე უნდა მამუკა, ბიძია, რომ ივარგებთ, ყოველნაირად ივარგებთ, კარგს მეგობარიც კარგი ჰყავს, მოკეთეც და სტუმარიც, მარა თუ უკაცრავად არ ვიქნები, მე უნდა ვამიშვათ... — დაფაცურდა ლადი.

— ბიძია, ჩვენ ვივლით ჩქარა... თუ გზა ერთ მხარეზე გვაქვს... — მამუკას მუდარით შეხედა თეკლამ, ისე დაენანა ამ ახლობელ კაცთან განშორება.

— აჰ, ვაწვალდებით, ჩემო ბიძია, და ამას გარდა, გადაჭკამთ თავს ამ გაუთავებელი ლაქლაქით. ენა ვარ ცარიელი. რა ხდება, შვილებო, იცით? ზოგჯერ კაცმა თეთონვე იცის თავისი უბედურება და თავიდან ვერ მოუცილებია. ე კაცო, ხომ იცი ეს არაა სწორი, ადგილი და ერთხელ და სამუდამოდ მოეშვი... იცი, გინდა და ვერ აკეთებ. რა ქვია ამას, ვერ გეტყვი, მარა ასე რომაა, ვიცი.

— კი ბატონო, ხშირად ხდება ასე...

— დაეთანხმა თეკლა უფრო იმიტომ, რომ ამ კაცს მართლა არ ეფიქრა, ხომ არ დავლაღე ეს ხალხი და სიტყვა არ დაეძვირებია.

— დაკვირვებულიც რომ ყოფილა?! — მამუკას მოწონებით მიუბრუნდა, — ახლა შეხედავს ვინმე და იტყვის ბავშვიაო. ვინცაა, ის თავიდანვეა, ვინც არაა და არაა, აი, ჩვენი ზოსიმე რომაა, კი იცი შენ, მამუკა, ზოსიმე სეფისკვერამე. ჩემი ბიჭობა ისე ახსოვს, როგორც მე შენ გიყურებ, მაგრამ საკუთარ სახლს ძლივს აგნებს. სათხზარში რომ ჩაიყენებ, სიმინდი თუ არ გაუჭერი, არ გაათხელე, რაც ამოვა, ყველას გაუშვებს. მარტო ის იცის, რომ ბალახი უნდა მოკრას... მაგი თქვენი ხნის რომ იყო, მაშინაც მასეთი იქნებოდა და ახლაც მასეთია. ღმერთმა კარგად ამყოფოს, რას ვერჩი, საძვიროდ კი არ მითქვამს, მაგრამ ასეთია და...

— ლადი ბიძია, თქვენი უფროსი ვაჟიშვილი... მე ხეირიანად არც კი მახსოვს...

— სულხანი?

— დიას.

— არ გემახსოვრება. საიდან, შენ რაც მახსოვრობა გაქვს, ის წელიწადში ერთხელ თუ ჩამოვიდოდა შვებულებით, თორემ სადნახავდი...

— კი, მთელი სოფლის ბავშვები დასდევდნენ...

— დასდევდნენ. ბავშვებს სამხედროები, გამოწყებილი და შეიარაღებული კაცის დანახვა უყვართ. ბავშვი ბავშვია... ბელორუსიაშია, პოლონეთის საზღვართან... თუ მთლად იქითა... რათ მინდოდა, კაცმა რომ თქვას. ჩემს საქმეს ოფიცერი არ სჭირდება, მარა ასე ინდომა და ახლა რომ დაეწეები — იმის დარდი მაქვს, აედგები — მასზე ფიქრი არ მასვენებს. იმიტომ გითხარი წელან გამარჯობაზე უწინ საყვედური, რომ წახვალთ და წახვალთ, უკანაც ხომ უნდა მოიხელოთ... რა ამბები ისმის, მინც ნამეტანი გადაირია ლემენცი...

— კი, მთელი ქვეყნები დიპყრო.

— მაინც რაა ძუძუნაწყვეტი ბატ-



ნებზეთ უვარდებიან ხელში... რა-  
ღაც ხეირიანი ბრძოლაც რომ ყოფი-  
ლიყო, არ გამოვიგნია. იქნებ ჩვენ არ  
ვწერთ და არ ვერევიტ სხვის საქმეში?

— რატომ, პოლონელები...

— რაღაც კანტი-კუტნად... მაგი  
რაღაც არც კია მოსაწონი. მგელი მე-  
ზობლის ხარს რომ შეჭამს... უუი, ეშ-  
მაკს, ენამ არ მიყვილოს, მაინც მითამა-  
შებს თვალი და ჩემს ხარებს ფარცავი  
არაფერი ჭირდეთ... ჰო, მეზობლის ხარს  
რომ შეჭამს, თოფი მაშინვე უნდა გა-  
ტენო, თორემ, თუ იმას უტადე, მეც  
შეიჭამსო...

— თქვენ გგონიათ, ჩვენთან ომს  
გაბედავს?

— ალბათ მასე ეგონათ ცალ-ცალ-  
კე მავ ქვეყნებსაც და ცალ-ცალკე ჩა-  
ბარდნენ ხელში.

— მერე, რატომ უნდა გვეომოს ბი-  
ძია, რას გვერჩის?..

— იმათ რას ერჩოდა!

— რა ვიცი... მე არ მესმის... რა  
საჭიროა ომები, როგორ, ამ ქვეყანაზე  
ვერ დავეტევიო?

— მაგი, მე რომ მკითხოთ, ბიძია,  
მეც მასე ვიტყვი... გუნება კი არ მინდა  
წაგებლნოთ, მაგრამ გლახა სიზმრები  
მაქვს... მინდოდა იმ ბიჭს აქეთ მაინც  
მოეხერხებია ვადმოსვლა. ხანდახან ჩა-  
ვაკითხავდი. მე რომ აქ ამულამ სიზმარს  
ვნახავ და მივწერ, მაცნობე, რავე ხარ-  
მეთქი, პასუხს ერთი თვის მერე ვღე-  
ბულობ... ნამეტანი გლახათ მითამაშებს  
ეს თვალი...

— თქვენ გგონიათ, ომი დაიწყება?!  
— თვალბში ჩააჩერდა თეკლა და მა-  
მუქას მიეკრა.

— არა, ბიძია, რა მოვახსენო, მე  
ომებისას მკითხავს ვინმე და მაგისი გა-  
მგება კი არა, ერთი უღელი ხარი ჩამა-  
ბარა კოლექტივმა და სადა მყავს არ  
ვიცი. კარგად ბრძანდებოდეთ, ჩემო  
შვილო, — ხელი გაუწოდა თეკლას და  
როცა ჩამოართვა, ქალიშვილს ეგონა,  
რაღაც ძალიან ხაოიანი ზმელი ბელტო-  
ვით გაუხვეს ხელის გულზე. მერე მა-  
მუქას გამოემშვიდობა და მხოლოდ ახ-

ლა შენიშნა მის მხარზე მოგდებული  
ბადე.

— ეს რაო, თევაზობას ვბრუნებთ, ამ  
ივანობის თვეში?.. თუმცა რა უჭირს,  
ალბათ სტუმარს უნდა, რომ იცოდეს  
თევეზი წყალშიც მარილიანია, თუ უმა-  
რილო...

— დიახ, მე მინდა! — ისეე დაე-  
თანხმა თეკლა, რაკი ეგონა საუბარი  
იქით შებრუნდა, რაც კიდევ უფრო ახ-  
ლოვებდა ამ თითქოს უკვე თავისიან  
ადამიანთან.

— აბა, უნდა იჩქაროთ, მაღალაშს  
რომ გაცდებით, ზევით, შავ და თეთრ  
მდინარის შესართავამდე აუყევით, იმ-  
დენს კი დაიჭერთ, თქვენ რომ გაიხა-  
ლისოთ და ნანადირევით აშენებული  
კაცი ისე არ მინახავს, როგორც ნადი-  
რით მამდარი ძაღლი... ფარნა მომიკით-  
ხე, ფარნა! — გატრიალდა და თითქოს  
დაბმული აუშვესო, თვალსა და ხელს  
შუა გაქრა.

X

— ესეც შენი მდინარე! — თქვა  
ვაემა, ბადე ბეჭობზე დაავლო, იქვე  
ჩაქდა და ნაპირის შვეულ კალაპოტში  
ფეხები ჩაყიდა.

— მამუკა, ეს როგორი მდინარეა?!  
მე მტკვარის მეტი მართლა არაფერი  
მინახავს, თუ...

— მტკვარი კი გინახავს? შენ იცო  
ის, რაც თბილისშია...

— ჰო მაგრამ, რაცაა, ხომ მაინც  
მდინარეა!

— რა თქმა უნდა, მაგრამ ასეთ  
დროს, დილით, მზის ამოსვლისას ისიც  
არ გინახავს.

— ალბათ... არა, არ მახსოვს...

ვაეს გაეღიმა და აღარაფერი უპა-  
სუხა. „თავისი“ მდინარის ქებას მოე-  
რიდა. არც უნდოდა წამოცდენოდა,  
რომ მან ამ ბუნების წიაღში პირველად  
შემოსული ქალიშვილი „თავის“ მდინა-  
რის იმ ნაპირებზე მოაყენა, რომელიც  
ყველაზე ლამაზად მიაჩნდა; წყალი აქ  
ჯერ კოლხეთის დაბლობში არ ჩაწო-

ლილა და არ დამდორებულა, ჯერ კიდევ ჩქერად მოედინება და თავთხელი დიდ სივანეზეა გადაკიმული; მოაყენა, როცა ზაფხულის მზის ბღღვიალა, ცხელი სხივები, ჩქერის მოლივლივ, უთვალავ ტალღებში იმტვრევა, ირეკლება, ციკუნა მწეხებითაა აესებული ნაპირიდან ნაპირამდე და გამდნარ ოქროსავით რუღუნებით მიედინება.

მაშუკამ წაიძრო უკვე შემშრალი ფეხსაცმელები, რომლებსაც ამ დილანდელ ცვარში, მერე ტალახში და ოღრო-ჩოღრობებზე თრევიტ ნირი მთლად შეცვლოდათ, ერთმანეთს თასმით გადაბა, ხალათი გაიძრო, ზედ დააგდო. შარვალი აიკოტავა, მუხლებს ააცილა და ათოკილი ბადის დაშლას შეუდგა.

— მართლა ითევზავებ? — ჰკითხა ქალიშვილმა, და თვალი წაუტედა ვაჟის მალაი, თხელი კანჭებისაკენ; ვაჟმა ბაღე ბეჭობის მწვანე ბალახზე გაშალა; ეს შემგვიდრებობით გადმოსული ჩვეულება იყო, ფარნა აკეთებდა ასე თევზაობის დაწყებისას — ბაღე ახალი, უხმარიც რომ იყოს, მგზადურმა თვალი მაინც უნდა გადაავლოს, გასინჯოს ყველაფერი რიგზე და წესზეა თუ არა, რამდენზე გაწვდება მისი ბაღე, რამდენზეა მოქსოვილი წვრილი თვალი, საშუალო, თხელი და ბოლოს სულ თხელი. თუ ბაღე თუნდაც ერთხელ მაინც ნახმარია, მით უმეტეს სჭირდება დახედვა. ბაღე შეიძლება ერთ სროლაზე წამოედოს ჩხერკს, ფესვს, ქვის მახვილ პირს და თვალი ჩავარდეს. უკვე მოძველებულს ხომ მუდამ სჭირდება ამოკეშვა, სალონების ამობმა და ტყვიების დამატება ან გადაადგილება.

— რა ვიცი, ვსინჯოთ!.. — მაშუკამ ბაწარი მარცხენა მახაზე ჩაიბა, ხელში წყობილად აკეცა, ბადის შუაგული ქოლგასავით აპყვა და მარჯვენა მუცში გაატარა მწესავით გამლილი კედის ძაფის ქსელი, ათოკა და, ფეხშიშველა სიარულს უკვე გადაჩვეულმა, ნაბიჯი ვაუბედავად გადაადგა.

— არაფერი არ გამოვა... — თავი ორქოფულად გადაიქნია ვაჟმა.

— რატომ?! — თვალეზში შეაჩერდა თეკლა; მე ხომ არაფერი უნდა გამოკეთებია და უნებურად საქმე ხომ არ ჩავშალო.

— არ გამოვა, თუ შენ ჩემი... — სიტყვას დაუწყო ძებნა.

— თქვი, თუ რაიმე უნდა გავაკეთო.

— საჭურველთმტვირთველობა უნდა იყოსო...

— სანჩო პანსა?..

— ჰო, ჯერჯერობით ეს ფეხსაცმელები და ხალათი უნდა ათრიო, მერე თუ ხელი მოგვემართა, ნანადირევი.

— სახედარი? — ისე გულუბრყვილოდ თქვა და მიიხედ-მოიხედა თეკლამ, თითქოს სახედარი იქვე ბალახზე ვაეშვით და ახლა უკვირდა, რომ აღარსად ჩანდა.

მაშუკას გაეცინა, როცა ჩოკინაზე ამხედრებული თეკლა წარმოიდგინა.

— უბედურებაც ისაა, რომ სახედარიც და როსინანტიც მგელმა შეგვიჭამა.

— ჯანი გავარდეს, ყაბულსა ვარ, შენისთანა რაინდს, ჩემისთანა საჭურველთმტვირთველი ფეხშიშველიც გაპყვება, — ისევე წაუტედა თვალი შავი ბუსუსებით დაფარულ ბიჭის კანჭებზე, დაფარულის და აკრძალულის ხილვისას რომ გვემართება ხოლმე, მერე ფეხსაცმელები თასმით უყებ აიტაცა, ხალათი მკლავზე გადაიდო და ბეჭობიდან მდინარემდე წინ სირბილით წავიდა.

მაშუკა წყლის პირს მოშორებით აუყვა. ბოლოს არაფერი ისეთი განსაკუთრებული ადგილი არ აურჩევია, შედგა. ბადის ერთი ანათოკი კალთა ჩამოუშვა, ტყვიებით დამძიმებული ფრთა ბეჭზე მოიგდო, ბეჭიდან ცალი მკლავის გამლა გამოტოვა და ნასკვი კბილით დაიჭირა, დანარჩენი თვალდათვალ სამად გაპყო. ერთი მესამედი მარჯვენა მკლავზე გადაიწყო, ორი მესამედი თითებში გაინაწილა. წყალში მუხლებამდე შევიდა და მოიქნია. ბაღე მოგრძოდ გაიშალა, სანამ წყალზე დაე-



ცემოდა, კიდევ უფრო დაეიწროვდა და მდინარეში ისე ჩაეშვა.

მებაღურმა თავი გადააქნია: ამისგან არაფერი გამოვაო. უკან-უკან, დინებო-საკენ დაიხია, თან ბაწარს ვითომ მარჯვედ ითოკავდა და ბაღე რომ წყლიდან ქოლგასავით ამოიზიდა, ძალუმად ვა-მოჰყრა, საღონებებში ნადავლი ჩარტყა, ამოსწია და ისევ გამოჰყრა; ბოლოს, წყალზე რომ ერთად შეხუჭუჭებულნი ტყვიები გამოჩნდა, მებაღურმა ბაღე ქვიშაზე დაავლო.

— არაფერი არაა? — მივარდა ქა-ლიშვილი და ვაჟის ფეხებთან ჩაცუცქ-და.

— არაფერი.

— რატომ?

— ცუდად გაიშალა...

— იქნებ აქ არც არაფერი იყო და-საჭერი?

— კიდევ რომ ყოფილიყო, ასეთი ნასროლით რას გავხდებოდიო...

— ძალიან კარგიც. თუ არაა—თქვა კმაყოფილებით გოგონამ და მდინარის წვერილი ლოკოკინას ნივარებს დაუწყო შეგროვება.

მეორედ უფრო უარესი დაემართა, ტყვიის ბურთულა ბაღეს თვალში გა-მოედო და წყალში რაღაც უშნოდ გა-ძეძილი ჩავარდა.

რამდენიც მაღლა აუყენენ, მებაღუ-რმაც უფრო გააჩვია ხელი, უკეთესად გაანაწილა ბაღის სიმძიმეები და ზოგ-ჯერ, არაუშავდა, ისე გაშალა, მაგრამ თეგზი არა და არა, წამლად არ ვაეკარა.

ქალიშვილმა მდინარის იქითა ნა-პირზე რაღაც ისეთი დაინახა, თვალებს არ დაუჭერა, „საჭურველი“ იქვე დაპ-ყარა, ბექობზე აირბინა და იქიდანაც რომ იგივე დაინახა, ვაჟს გადმოსძახა:

— მამუკა, მამუკა, მოდი აქ ერთი წუთით, მოდი, შენი ჭირიმე!

— ახლავე.

ვაჟმა ისე, რომ ათოკილ ბაღეს წყა-ლი წურწურით გასდიოდა, ქვიშა გადა-ირბინა და ბექობზე ავიდა. ქალიშვილის შერას თვალი მიაღწევს.

— იქითა ნახევარი მართლა შავი, თუ მე მერვენება!

— ჰოო, მე რაღაც მეგონა...

— მეტი რაღა უნდა გეგონოს, ნუ-თუ მართლა შავია.

— შავია.

— როგორ?!

— როგორ და როგორც ხედავ.

— ნახევარი თეთრი და ნახევარი...

— რატომ თეთრი? ცისფერი და შავი.

— კი, მაგრამ ეს შეიძლება?!

— რომ არ შეიძლებოდეს, არც იქ-ნება.

— მოიცა, მამუკა, მოიცა, მე მართ-ლა გვეითებები... ცისფერი და ვარდის-ფერი კი არა, ორი ფერის წყალი ერთ-სა და იმავე მდინარეში? არა, მე ვიცი ნაწვიმარზე იმღვრევა მდინარე, მაგრამ ის რაღაც ამღვრეულს არ ჰგავს.

— არა, ის ნახევარი ჩვეულებრივ შავი ფერისაა.

— და ეს ნახევარი თეთრი?!

— ასეა და...

მამუკას ისევ ის კმაყოფილება დაე-უფლა, რომელსაც „თავისი“ მდინარის უცნაურობა იწვევდა და ერთხანს ამი-სი ნამდვილი მიზეზის ასსნას თავი აარიდა.

— ჰო, ლადი ბიძიამ... — „ლადი ბი-ძიამ“ თავის გასაკვირადაც ისე თქვა, თითქოს თავისიანს იხსენებდა, — კი თქვა, შავი და თეთრი მდინარის შესარ-თავამდე აპყევითო, მაგრამ მე არც კი გკითხე, ვიფიქრე ეს ასე ეძახიან-მეთქი. ხომ არის შავი და თეთრი არაგვი, შავ-წყალა, წყალწითელა, მაგრამ განა მარ-თლა მუღამ შავი და წითელია? და ამას გარდა, ნახევარი შავი და ნახევარი ცისფერი...

— ეს კი ასეთია...

— წავიდეთ რა..

— მივდივართ და ესაა.

— არა, დაანებე თავი მაგ ბაღეს და ჩქარა მივიდეთ.

— აი, იქ ხედავ?

— ვხედავ.

— რას ხედავ!

— რა ვიცი, რას უნდა ვხედავდე—  
— რა და ტირიფის ბუჩქნარი რომ  
ჩანს შუა მდინარეში.

— კი, მერე?  
— მერე ექ პატარა კუნძულივითაა...  
— კი, კუნძულივითაა.  
— იმ კუნძულის იქითა მხარეს შავი  
მდინარე ჩაუდის, აქეთ ცისფერი.  
— და ყოველთვის ასეა?  
— ყოველთვის.  
— დარშიაც და ავდარშიაც?  
— დარშიაც და ავდარშიაც.

თეკლამ მაშინვე ნაპირთან მიიბრბინა, თასმით გადახმული ფეხსაცმელები მართლა საჭურველთმტვირთველივით მხარზე გადაადგო, ხალათი კისერზე მოიხვია და აღმა გაჩქარებით წავიდა.

კუნძულის გასწვრივ, წყალში, თავისი მაღალქუსლიანი ფეხსაცმელებით როცა შეაბიჯა, უცებ სახტად დარჩა: ესენი უნდა გამეხალდა, თუ არა, იქნებ კარგი ვქენი, სლიბინა ჭებებზე ფეხი აღარ დამიციდებაო?

მაძუკამ თავი გადააქნია: კარგი ჰქენი თუ არა, უკვე სულერთიაო.

სანამ წყალი მუხლამდე მიწვდებოდა, ქალიშვილი წინ მიდიოდა, მერე კი ვაჟს გაუსწორდა და დინების მიმართულებით დაუდგა; როცა მდინარე მუხლის თავებს ასცდა, კაბის წინა კალთა მუჭში აიკეცა და მეორე ხელით მამუკას მკლავს ჩააფრინდა.

კუნძული ვიწრო და გრძელი იყო, ორივე მხარეზე სილა-ხრეშოანი, ათითდა ნაბიჯის სიგანე ნაპირები ჰქონდა. შუაზე გრძელ, მწვანე ზოლად გასდევდა ტირიფის ბუჩქნარი, კაცს წელამდე რომ მოწვდებოდა.

— მართლა როგორი შავია, — თქვა გაოცებულმა ქალიშვილმა, როცა იქითა ნაპირზე გადავიდა, ვაჟს მის ხმაში შიშიც კი მოეჩვენა.

— კი, ძალიან შავია...  
— მე კუბრი კი არ ვიცი, როგორაა, მაგრამ თითქოს კუბრივითაა...  
— სახლში რომ მივალთ, გამახსენე, გუდას გაჩვენებ. გუდა შიგნიდან მოკუბრულია.

— მერე და კუბრიან ლენიას სვამენ?

— კუბრი არც ლენიას და არც წყალში არ იხსნება.

— მაშინ ეს მდინარე?!

— ეს შავ მადანს რეცხავს და ამიტომაც ასეთი.

— ახლა ამის მერე აქეთ ნახე, მართლა ცისფერი არაა?.. — ქალიშვილი მოვერცხლილ მწვანე ტირიფებში შევიდა და იქედან მდინარის მეორე მხარეს მიაჩერდა.

როცა მამუკაც გვერდით დაუდგა, ისეთი გრძობა დაეფულა, თითქოს მასაც პირველად ენახოს აქაურობა. ისე მძლავრად, ღონიერად და იღუმალი ღულუნით მიედინებოდა ამ პატარა, საცოდავი კუნძულის ორივე მხარეს შავი და ცისფერი მდინარე, თითქოს რომელიღაც აფრიკული ტომების ნავში მდგარიყვნენ ის და თეკლა, ერთმანეთზე შეჭახებული შავი და ცისფერი ზღვის შესაყართან, თავისიანებს, თავის ჭებებთან და მიწას მოწყვეტაღნი. ერთი რომ წამოებუტა ქარს, ნავს ნაფოტივით მოიტაცებდა, და მერე, ვერც ხელს გაუწოლებდნენ ვინმეს და ვერც ხმას მიაწვდებდნენ.

თითქოს ყოველ წუთს შეიძლებოდა შავი ზღვიდან შავი ზვიგენები ამოცვენილიყვნენ და ნავი ერთი ღარტყმით გაეფატრათ, დაემსხვრიათ, თეკლა სხვა მხარეს გადაესროლათ და თვითონ სხვა მხარეს. ეს კი არ იყო უბედურება, რომ იღუმებოდა, არამედ ის, რომ თეკლა აღარსად ჩანდა. გლეჯდნენ და წყნდნენ ზვიგენები და არ სტკიოდა, არ სტკიოდა; უფრო დიდი ტკივილი ის იყო, თეკლას რომ ვერ ხედავდა, ამიტომ ეს წყნა-გლეჯვა არად უჩნდა...

„რალაცები მეჩვენება... — ვიფიქრა, მაგრამ არ ვაკვირებია, — და მერე იმ წარმოდგენილისა უფრო მჯერა, ვინემ სინამდვილის“.

და კიდევ კარგი, რომ თეკლა ხელის გაწვდენაზე იყო; თორემ იქვე ტირიფების ბუჩქნარშიც რომ ჩვემუხლა და მაშინვე თვალი არ მოეკრა, ალბათ ჭე-

ყანას შეძრავდა ყვირილით. და ისე მოუხდა იგი უფრო ახლოს ჰყოლოდა, ეს ერთი ხელის გაწვდენა მანძილიც გრძელი მოეჩვენა და ორივე მკლავი ისე მოულოდნელად და ნატუბათეგად შემოხვია, თითქოს ეს-ეს არის დაფლეთილი ნავი ფეხქვეშ უნდა გამოეცალოსო; მთელი ძალით ჩაიკრა გულში ეს პატარა ვოგო, რომელსაც თავი სიყვარულისა და აღერისათვის გაჩენილად მიაჩნდა, კინალამ სული ამოხადა, იმდენი ჰკოცნა, ისე გულწრფელად, სიხარბით და სულწასულობით, თითქოს მართლა ოკეანეში უდიელოდ დაკარგული და გამოტირებული, რაღაც სასწაულებით, მოულოდნელად ზურმუხტების კუნძულზე ეპოვოს.

XI

ციხფერი მდინარის ნაპირზე ისევ უგერგილოდ გაშლილ ბადეს ორი ცალი თითის სიგრძე შავი ღორჯო მოჰყვა, მაგრამ ამ საცოდავმა ნანადირევმა ც (სხვა რომ ბადიდან არც გამოხსნიდა) ისეთივე სიხარული, სინანული და საზრუნავი გაუჩინა ორივეს, როგორც ალბათ ნამდვილ მეთევზეს, ნახევარ ფუთიანი კობრების, ან წყრთა-წყრთა კალმახების დაჭერისას.

აღმოჩნდა, რომ თან არავითარი ტურქელი არ ჰქონდათ, რაშიც თევზები ცოცხლად შეეძლოთ მოეთავსებინათ. ამან თვლა ისე დააღონა, გეგონებოდით ახლობელი ელუპება და ხსნა არსადიდან ჩანსო.

— რა ვქნათ, რა ვუყოთ?! — ვაჟს ახლოს მიუტანა ვარდისფერ ხელის-გულზე თავკომბალებივით დაწყობილი ცოცხალი ღორჯოები, ლაყუჩები რომ ებერებოდათ.

— რაღაცა უნდა წამოგველო, — თითი შებლზე იტაცა მამუკამ და იქვე, მდინარის პირას, წყლიდან ერთ ნაბიჯზე, სილაში, ხელებით ორმოს თხრას შეუდგა. როგორც კი მდინარის დონეს ჩასცილდა, ორმოში მღვრიე წყალმა შემოიკონა. ამონაყარი სილა და ხრეში

ნაპირებზე გაანაწილა, კარბა გაუკეთა და ოთხი თითის სიღრმე წყალში ჯერ კიდევ ცოცხალი თევზები ჩაღმვსა.

მებაღური დინებას დაუყვა. სანამ კუნძულის ბოლოსთან ჩავიდოდნენ, ბადე რამდენჯერმე გადაისროლა და სამი თავგასიებული ღორჯოს დაჭერა კიდევ მოახერხა, რომლებიც ქალიშვილმა ბადიდან გამოღებისთანავე სათითაოდ მიარბენინა გუბურასთან.

ორი წყლის შესაყართან, მამუკამ ბადე უკვე საგანგებო გულისყურით ათოკა და მდინარეშიც იმდენზე შევიდა, რამდენზეც სიღრმე მკლავის მოქნევის საშუალებას მისცემდა, ვითომ მოუხერხებლად მოიქნია, მაგრამ როგორც კი კედის ქსელი ხელიდან გაუშვა, ტყვიები ნასკვებში მაინც გაიხლართა და მხოლოდ ცალი ყურიღა გაიშალა. ფსკერზე დასვლა არ დააცალა, ამოღებას შეუდგა, იქნებ ხელახლა უფრო მარჯვედ გადაესროლა.

ის იყო ტყვიასხმული საღონები მალა ამოსწია, რომ ორმტკაელიანმა თეთრმა თევზმა გაიტყვალაშუნა, უთაგბოლოდ აბურდული ბადიდან გახსლტა და თვალისმომჩრელ მზის სხივებზე ერთი გაელეგება მოასწრო, თავს უშველა.

— მამუკა! — შესძახა მდინარეში კოჭებამდე ჩამოსულმა ფეხშიშველა თევკამ და ახლოს მიიბრინა, კამის ქობა სულ დაისველა.

— აქ ყოველთვის იცის თევზი!  
— მერე რატომ ნაპირზე არ გამოიტანე...

— არ გაიშალა და არ მეგონა...  
— ახლა როგორადაც არ უნდა გაიშალოს, მაინც აქეთ წამოიღე! — ქალიშვილმა უკან დაიწია, რომ გზა მიეცა, სლიპინა ფსკერზე ფეხი დაუსხლტა და წაიბორჩიკა.

ხელახლა გაშლილი ბადე დინებამ ქვევით წაიღო. მებაღური ფეხბაფებ ჩაჰყვა, სანამ მთლიანად ფსკერზე დოვიდოდა. მერე თავისკენ მოსწია და გომოკრა, რომ თუ შიგ ამჯერად მაინც რაიმე მოჰყვა, საღონებში ჩაერყა, და ფრთხილად, ნაპირისკენ თრევით შეუ-

დგა მოთოყვას. თხელ წყალში ზადის ამოღებამდეც ასხმარტალდნენ მოლურჯო ფერის თევზები, მაგრამ სილაზე რომ გამოათრიეს, არც იმდენი აღმოჩნდა, წყალში რომ მოეჩვენათ: სამი ცალი მტკაველიანი წვერა დაქირათ.

თეკლამ ბადიდან გამოღებისთანავე თევზები სათითაოდ გაარბენინა გუბურასაცენ, მაგრამ მესამე მანძე გულადმა ამობრუნდა და მდინარიდან პეშვით გადმოტანილმა სუფთა წყალშიც ვერ უშველა. ერთი ეს იყო, პირველად ჩაშვებული, სხვებზე უფრო მოზრდილი წვერა, ყოველ პეშე წყალზე სხმარტალდება და კუდის გაქნევისთანავე ნაპირებს აწყდებოდა.

— მამუკა, რა ვუყოთ?! — იკითხა უმწეოდ ქალიშვილმა.

მამუკას არ ახსოვდა ოდესმე ასე ეთევზაოთ და ასე ებრუნოთ ნანადირევზე. ამგვარი ორმო, მას სულ პატარაობისას, დამშრალი ლაშის თხელ წუმბეში თავკომბალები რომ თავს ველარ იფარავდნენ, მათთვის ამოუთხრია. თევზებს კი, თუ თან მხარილივც გადასაკიდებელი ჩანთა არა ჰქონდათ, ლაყუჩებით ტირიფის ტოტზე ააცემდნენ და ყველა, დიდთან-პატარიანად იმაზე ზრუნავდა, როგორმე მეტი დაქირაოთ, და ბოლომდე აეცსოთ ჩანთა ან აცმულაზე დაემარებინათ.

ვაჟი დაიხარა და ორმოს ამოღრმავებას შეუდგა.

იქ, სადაც ეს ორი, სხვადასხვა ფერის მდინარე ერთმანეთს ეჯახებოდა და იმღვრეოდა, თავგზააბნეული თევზები საფრთხეს ველარ ამჩნევდნენ და თუ ბადე ხეირიანად გაიშლებოდა, შიგ ბრმად იხლართებოდნენ.

მზე შუბის ტარზე რომ ამოვიდა, ორმოს ისევ დასჭირდა გაგანიერება და გღრმავება, მაგრამ მანძე ბევრი წვერა გადაბრუნდა გულადმა; ვერცხლისფერმა, სარკესავით გვერდებკრიალა ველავმა ერთი გაფხარკალებაც ვერ მოასწრო. ხუთიოდე ქაშაყი და ბოლოწითელი, კარგახანს ასკდებოდნენ გუბურის კედ-

ლებს და ზოგჯერ სილაზეც კი ამოცივდებოდნენ ხოლმე.

რამდენი ღრმად ჩაუყვანდნენ თევზებს ბადის მოქნევა ვაჭირდა, თორემ თევზი გახშირდა და წონაშიც მოიმატა. მებადური ნაპირზე აღარ ბრუნდებოდა, თხელ წყალში ნადავლს საღონედან უკვე მოხერხებულად აწვდიდა თეკლას და ისიც თავის სველ კალთაში ყრიდა. ფართხალებდნენ ხელში აკეცოლ, ქობამოქმუტუნულ კალთაში ცოცხალი თევზები, ესლებოდნენ სავეს ბარძაყებზე, ფათქუნობდნენ, სხმარტალებდნენ და ქალიშვილს რაღაც ჯერ განუცდელ ხალისსა ჰგვრიდნენ. სიცილის გუნებაზე ღვებოდა, სახეზე წამით შემცბარი ღიმილი უჩნდებოდა, მაგრამ არა, ეს არ იყო ამ დილანდელი აღტყინება, მას რაღაც უჩვეულო დამატა, რასაც კისკისი და ტყვარცალი ვერ ამოთქვამდა.

სანამ წყლიდან სლიპინა რიყეზე ამოაღწევდა და მერე ორმომდე მუხლებმომიშვლებული გასმარტალდა, ცდილობდა, მუცელთან მოსხმარტალე თევზები სწრაფად მოეცილებინა. ჩაყრიდა გუბურაში, დასცქეროდა, როგორ დგაფუნდებოდნენ, თან კაბაზე დარჩენილ ვერცხლის სლიპინა ქერცლს იფერთხავდა, მაგრამ მაშინვე უჩნდებოდა და უოკებელი წადილი, ეს თევზები ერთი მოსმით ისევ კალთაში მოექცია. ამ ნდომით შებოქილი და დამორცხვებული, უკან დაბორკილივით გარბოდა და მდინარეში ისე ღრმად შედიოდა, სანამ წყალი იქამდე არ მიწვდებოდა, სადაც წელან თევზები ესლებოდნენ. უნდოდა დილის გრილ დინებას, ეს რაღაც უჩვეულო, აუხსნელი თან წაეღო და ამით მისი უცნაური გაოგნება და მოცრცხობა გაეფანტა.

იქ, სადაც შავი მდინარე ცისფერისკენ იწევდა, ღრმავდებოდა და ოდნავ მღორდებოდა, რომ ქვევით, მარცხნივ გაეხვია და ისევ გაქანებულიყო, მამუკა წელამდე შევიდა წყალში და უკვე გვარიანად გაშლილ კუდის ქსელში საიდანაც შემოხეტებული გოჭივით კობრი გაახვია. ტყვიებმა ღრმა წყალში

ფსევტზე დასვლა ვერ მოასწრო, თევზმა იუცხოვა ტირიფის გაძენილი ფესვებივით, რომ თავზე რაღაც ვაგებლარა, კული მაგრად შემოპკრა და მალა ამოვიარდა. ქვევით რომ დამვებულიყო, ფსევტზე დაუსვლელი ბადის ხელისდადება საღონეში, რა თქმა უნდა, ვერ მოთავსდებოდა, არც წმინდად ნაქსოვში გაიბურდებოდა და თავს იოლად დააღწევდა, მაგრამ რაკი ზევით ამოვიდა, თხელ თვლებშიაც ვერ გაეტია, ფარფლებით კი გაება.

— არიქა, თეკლა! — წამოცდა მამუკას და როგორღაც მოისახრა, თუ მისდაუნებურად მოუვიდა, იმის მაგიერ, რომ როგორც სასროლი ბადის წესია, აეთოკა, მან ბადეს ხელი უშვა და თევზს ეცა, რა თქმა უნდა, გაუსხლტა, მაგრამ ბადე სულ აიწეწა. ბოლოს დაბნეულმა ბიჭმა წყალში ჩაყვინთა, ქვევით ტყვიების აცმულას მიწვდა, სწრაფად თავი მოუყარა.

თეკლა დამახილზე მაშინვე მისკენ გაეშურა და როცა მამუკა თვალთავან გაქრა, სულ არ მოგონებია, რომ მდინარე მისთვის უჩვევი იყო, არც სლიბინა მსხვილი რიყის ქვეები ვახსენებია, ისე გაქანდა. გაქანდა, გულადმა გაიშოტა და აფათქუნებულო, წყალმა ამოყვინთულ ვაყს შეახეთქა, მერე იქვე ბადეს მიანარცხა. მამუკა მაშინვე ქალიშვილს ეცა და ხელში აიტაცა, ფილტვებში წყალგადაცდენილი თეკლა ხველებ-ხველებით რომ კუნძულისკენ წაიყვანა, მაჯაზე ჩაბმული ბადეც თან მოთრედათ და შიგ ვახვეულმა კობრმა ნაპირთან, თხელ წყალში, თავი რიყეს დაუშინა.

ამას არც ერთი არ ელოდა, რომ ეს მეოცნებე ბიჭი თუნდაც წელამდე წყალში ჩავარდნილ ვოგოსაც „გადაარჩენდა“ და ამოდენა თევზსაც დაიჭერდა. საბტად დარჩენილებს ისევ ბედნიერების თავდაფიწყებული სიცილი აუტყდათ. ორივემ ბადე ნაპირზე ძლივს ამოათრიეს და მერეც ერთმანეთს ისე აწყდებოდნენ, ვერაფრით ნანადირევი ვერ გამოხსნეს. ბოლოს და ბოლოს,

ამაზე იცინეს, თუ რაღაც სხვა საბაბი გაუჩნდათ, თუ საერთოდ დაწვეწყდით რისთვის, სულ უმიზეზოდ, თუ ძალიან დიდი და უამრავი მიზეზით, უკვე ცხელ სილაზე რომ დაეციოდნენ დალილები და ცას მიშტერებულები, სულს შოიბრუნებდნენ თუ არა, ისევ ერთმანეთს აწყდებოდნენ.

მზეს ნაკვერჩხლები დასცივიდა, თეკლას გულიდან ამოხეთქილი სიცილ-კისკისი ჯერ გაიბზარა, მერე კი ისე მოულოდნელად შეწყდა, მაშინვე შეაშფოთა ვაყი და მისკენ მიაბრუნა. წამოიწია, იდაყვებზე დაეყრდნო და სახეში ზევიდან ჩააჩერდა.

ტანზე სველ კაბაშემოტმანსილ, გულადმა გაშხვართულ ქალიშვილს ცახე მიშტერებული თვალები გაშეშებოდა, ტუჩები მჭადა სოკოსავით ამობურცოდა, გადაყრილი მკლავები ლურჯ, ცხელ სილაში ღრმად, ფესვებივით ჩაეყარა და მკერდი ამალეებულო, სამოსში დაუტევიარი ვახდომოდა.

ბადეში ვახლართული კობრი ვაფართხალდა და თეკლამ ხელი სილიდან ამოგლიჯა, კაბის კალთისაკენ უნებურად წაიღო, მუხლებსკენ წაისწორა, სახეზე ისევ ქალწულებრივი მორცხვობის ვარდისფერმა გადაუარა და ცხელ, ლურჯ სილასა და ლურჯ ცას შუა გარჩენილმა, იქვე მის სახეზე დახრილ მამუკას კი არა, ვაყის თავს ზემოთ გავარვარებულ მზეს მიშტერებული თვალები რომ ცრემლებით აევსო და ზეცა იმღვრა, თავისი წილი მკაცრად მოითხოვა:

— მაკოცე!

ვაყი ისე ვაოცდა, თითქოს მათ თავზე ვიღაც წამოდგომოდა ქალიშვილს იმისთვის მოეთხოვოს, მაკოცეო.

— მაკოცე, რას უცდი!

იგი დაიხარა და რაც უთხრეს, გააკეთა.

— მაკოცე! — გაიმეორა თეკლამ და მზისავან დაბრმავებულმა ისე დიოწყო ვაყის თავს იქით მხირალი თვლების ტრიალი, შემფოთებულ ბიჭს წამოცდა:



— მე? —

— მაკაცე, რას უცილი!

ვაი შეშინებული ჩაანერდა და დაინახა ქალიშვილის ცრემლდატბორილ გუბებში ორი იმოდენა მზე ირეკლებოდა, ჩვეულებრივ თვალებში არაფრით რომ არ შეიძლებოდა ჩატყულო; ამ უჩვეულო მზეებს ჩამტვრეებულმა ტუჩები თვითონაც წინ წასწია და ხელახლა დაიხარა, მაგრამ ამჯერად ისეთ ცხელ და მათრობელა ამონასუნთქში გაეხვია, თითქოს სააჩყე ქებას დაძობოდეს; ისეე თავის აღება მოინდომა, მაგრამ კისერზე სველი სახელოების ქვეშ გათარანებული მკლავები შემოეჭლო და უნებურად, მაინც მალა აწეულს, ზედ გადანასკვეული, ერთ სხეულად ქცევის ასე მოწადინე აკყვა: აკანკალებული ხელები ეტყობა, თვითონაც ისე მაგრად მოხვია, როცა კვლავ ცხელ სილაზე დაუშვა, კაბისა და მკერდსაკრავის ქვეშ მოქცეული ქალიშვილის ძეძუები ისე მტკივნეულად იგრძნო, ვითომ მათ შორის ორი, გახურებული რიყის თეთრი ქვა მოქცეულიყოს.

და აღუღდა მდინარე, აიშღერა, გადმოვიდა ნაპირებს, ჩაიხვია მზე, სილა და ტირიფი, ვაჰირდა სუნთქვა ამ ბობოქარ მოჩვევში, რომელსაც უკვე აღარც ნაპირი გააჩნდა, არც ფსკერი, არც დასაწყისი და არც დასასრული.

ბადეში გახლართული სულშეხუთული თევზი კი ფართხალებდა და თავის დაღწევას ღამობდა.

## XII

თითქოს ერთბაშად შეიცვალა ყველაფერი. ლურჯი სილა, რასაც ასე კარგად აჩნდა ქალის ტანი, როცა ის ადგა და ტირიფის ბურჭებში მიიშალა, დაჩინა არა სილად და მიწად, რომლის ვადავლა ან წაშლა შეიძლებოდა, ან წყალი მოდიდლებოდა და წალეკავდა, არამედ ეს იყო ადგილი, საიდანაც უნდა გამოგეთვალა მანძილი სახლამდე, მდინარეს აქამდე რა გზა უნდა გამოეცლო და ამას იქით რამდენს გაივლიდა, ზღვა

აქედან რამდენი ხნის სავალზე იქნებოდა, მზე რა დროს დახვდავდა აქაურობას და მთვარე ამ წერტილს რომ გაუწვრილებოდა, საშუალებოზე იქნებოდა ასული.

პერანგის ამარა ქალი, მკლავზე გადადებული კაბით ტირიფებიდან გამოკვალა, ქვიშაზე მიიმე, დაღლილი, გაბეკებული ფეხებით გაიარა, ცისფერ მდინარეს მიუახლოვდა, ვითომ აქ მის მეტი არავინ ყოფილიყოს და კაბას ისე გაავლო წყალი, თითქოს ჩუარს რეცხავდა.

ცხელ სილაში იდაყვებზე დაყრდნობილი მამუკა, თვალდაუხამხამებლად რომ მიშტერებოდა, ამ ადამიანში უკვე სხვა სიახლოვეს ხედავდა, იმდენად განუყოფელს, თავისი ორივე ხელი თეთრ მაგიდაზე რომ დაეწყო და ვერ გაეგო რომელია მარჯვენა და რომელი მარცხენა.

ქალი უკან ისევ ხის ფეხებით წამოვიდა. კაბა გზა და გზა ხელში უნდოლად გაწურა, ბურჭზე ასევე მოუხერხებლად გადაფინა და კვლავ ტირიფებში ჩაიშალა.

არც იქითობას და არც აქეთობას ვაეის მხარეზე არ ვაუხედავს, მაგრამ ასე ახლო და ნათლად არასოდეს დაუჩინაბავს, თუმცა ისინი ერთი წელია თითქმის ყოველდღე ერთმანეთს შეციცინებდნენ, არ დაუჩინაბავს, ახლა ვისაც ხედავდა თვალშია და თვალდახუჭული; ამდენხანს მისი სიახლოვე უნდოდა, ენატრებოდა, სხვასთან ყოფნას მასთან ერჩია, ეშინოდა მისი დაკარგვის, თუ ბედნიერი იყო, რომ ცხოვრების გზაზე შეხვდა. უკვე აღარც ერთი იყო და აღარც მეორე. ახლა გაჩნდა რაღაც უარესი თუ უკეთესი, მაგრამ არა ის, რაც აქამდე ხდებოდა. ამდენხანს ის იყო მამუკა; მეოცნებე, მოსიყვარულე, დაბნეული თუ საზრიანი, სხვაზე უარესი თუ უკეთესი; ახლა კი იყო ის და სხვა არავინ, ის იყო ყველაფერი და სხვა არაფერი.

ეს სიყვარული და ტყვილი, სინანული თუ სიმშვიდე აღარ მკავდა იმას,

რაც ამ წუთამდე უგრძენია და განუცდია.

დღემდე იგი სადღაც იყო დაბადებული და გაზრდილი, ჰყავდა მახლობლები და მათთან ცხოვრობდა. მზრუნველობდნენ და თავს ერჩიათ, თვლისჩინივით უფრთხილდებოდნენ და ზედ დაჰკანკალებდნენ; ახლა ეს ყველაფერი გაიკრიცა და მოგონებად იქცა, როგორც მის გაჩენამდე მომხდარი ამბავი. დღეს იგი — ქალი, აქ დიიბადა, აქ გაიზარდა და აქვე იყო მათი სახლი და ჰქვეყანა. ამის შემდეგ სულ ამ ორი მდინარის შუა კუნძულზე უნდა ეცხოვრა სამარადეთამოდ, არსებობის დასასრულამდე. რაც იცოცხლა, შეიცვალა, ხოლო რასაც ამიერიდან იცხოვრებდა, ყველაფერი ისე დარჩებოდა, როგორც ამ წუთას იყო.

აქამდე მას სხვანაირი გატაცებით უყვარდა, სხვანაირად ეკრძალებოდა და კოცნიდა, სხვანაირად ვრიდებოდა, ეთამამებოდა და რცხვენოდა, ახლა სულ სხვაგვარად გრძნობდა მას, ხვალ სხვაგვარად მოეფერება და აკოცებს, მოერიდება და დაირცხვენს. სხვანაირად, რაკი ეს ნაკვალევი იქვე, ცხელ, ლურჯ სილაში დარჩა.

— თეკლა!

მოასმა ამ დროს მისკენ მომავალი ვაჟის ძაბილი, უფრო ბოხ, დინჯ, თუ სულ სხვა ზმაზე, მაგრამ მას ის ეინი და აღტკინება აღარ ახლდა, როგორც ყოველთვის, მისი გაცნობის დღიდან დღემდე, ქალიშვილი მაშინვე რომ წამოფრინდებოდა და შუა გზაზე შეეგებებოდა ხოლმე... ამ წამს მას ეძახდნენ როგორც თავისას და თვითონაც გაუნძრევლად იჯდა, ისე, როგორც ელიან წილბვედრს და იციან, რომ იგი სხვაგან არსად წავა.

დღემდე ერთს რა გზაც უნდა გამოეცლო, ნახევარი მეორეს უნდა დაეფარა, რომ ერთმანეთთან მისულიყვნენ; ახლა რა გზასაც ის, ან ეს გაივლის, ორივეს გახვალელს გაივლის; ამიტომ ის მიდის თუ ეს წავა, ორივე მოდის ან ორივე მიდის.

აქამდე თეკლას თუ ეძახდნენ, თეკლა მაშუკას ეძახდა, ახლა თეკლაში თავისთავად მაშუკაც ისმის და მაშუკაში თეკლა.

— თე! — თქვა ისევ მოსულმა და ქალის გვერდით, ტირიფის ძირებში ბალახებზე ჩამოკდა, მაგრამ ამით არაფერი არ შეეცვლილა, თითქოს ის აქამდეც აქ იჯდა, როგორც კი ქალი წამოვიდა, თან წამოჰყვა და აქვე მოეფარა ტირიფებს. წყალზეც ახლდა და კაბასაც ერთად გაავლეს წყალი, ერთად გაწურეს და გადაფინეს, როგორც პირიქით, ქალი როცა წამოვიდა, იქვე დარჩა, ვაჟის გვერდით, იმ ცხელ, ლურჯ სილაში, სადაც ასე კარგად აჩნდა მისი ტანი.

ვაჟმა შანი და ცისფერი მდინარის ორივე ნაპირებზე მოატარა მზერა და შემფოთებულმა თუ კმაყოფილმა, მაგრამ უჩვეულოდ თავდაჯერებულმა იკითხა:

— თე, რაღა ვქნათ ახლა?!

ეს კი სულ სხვა, ახალი ცხოვრების დასაწყისი იყო.

### XIII

ქალ-ვაჟი საღამოს სოფელ მადლარაშს მიუახლოვდნენ. ერთმანეთის მხარდამხარ მოდიოდნენ, დაღლილი, მოთენთილი, მაგრამ დაჯერებული ნაბიჯით, თითქოს აქამდე თითის წვერებზე ევლით და მიუღ ტერფს დედამიწაზე დღეს პირველად აღგამდნენ.

— წყურვილით ვიღრჩებები! — აღმოხდა ქალს, როგორც კი პირველივე მოსახლეს გაუსწორდნენ, ეზოში ცად აწვდილი ჭის ოწინარიც არ დაუნახავს.

— როგორ იღრჩებები... ასე ძალიან გწყურია?

— ძალიან.

— მერე?! აქამდე სად იყავი, რატომ არაფერი თქვი?

— რატომ მეთქვა...

— გეთქვა, წყალი რაა... წყალს ვერ ვიშოვიდით?! მდინარეზე ხომ დალიე.

— კი, მაგრამ თბილი იყო და როგორც კი გამოვეცდი, მაშინვე ისევ



მომწყურდა, უკან ხომ არ მივბრუნდებოდი?

— არ მივბრუნდებოდი — წყაროს ვიპოვიდი, გზაში არის სადღაც წყარო...

— მე რა ვიცოდი.

— უნდა გეტქვა და მოვძებნიდი, როცა მეცოდინებოდა... რაღაცას გავახერხებდი.

— შენ არ გინდა წყალი?

— მე?... კი, კი, სულ გამშრალი მაქვს პირი...

— მე რე, აქამდე რომ არაფერი ვიტყვამს?..

— არ ვიცი, ამაზე არც მიფიქრია.

„ჩემზე ფიქრობდა, სულ ჩვენზე ფიქრობდა, — თეკლა თვალბრუნებით შეაჩერდა, — რომ შეგქვა მართლა რაიმეს გაახერხებდა?“ — ვერაფერს, — თვითონვე დასკვნა და შეეცოდა, — ამ ბიჭისათვის ძალიან მძიმე ტვირთი ვიქნები... ალბათ მამამისს ვერ გაუმხელს. დედამისს რომ უთხრას... მაინც აბა რა შეუძლია... მწყურია-მეთქი ვუთხარი, აგერ აქვეა ქა და ახლა იმაზე წუხს, აქამდე ერთი საათი რატომ ვიყავი მწყურვალე, მაგრამ ეს ყველაფერს ჯობია, დარწმუნდებიან და დაპურდებიან...“

— ნურაფერზე ნუ იღარდებ, მამუკა, მე ბედნიერი ვარ!

— მართლა?! — შევბოთ და მამიცი ბაღივით კმაყოფილი სახეში ჩააჩერდა, მის ნათქვამში ეპვი სულ არ შეპარვია, მაგრამ მაინც არაფრით არ ელოდა იმას, რაც დაინახა. ქალის დილილი, კუთხეებში ჩაწითლებულ, მაგრამ ფართოდ გახეილ თვალებში დაისის შეწამული ცეცხლი ირეკლებოდა, რაც მისი ნათქვამის უტყუარ დასტურად მოეჩვენა.

— მაინძელო!

დაძახილზე მასპინძელი არ გამოპასუხებია, მაგრამ არც მამუკას დაუწყია ლოდინი. ცალი ქიშკარი თამამად შეაღო და ქასთან გაჩნდა, თევზებიანი ბადე იქვე მოღზე დააგდო და სათლი ოწინარზე ჩამოკიდებულ ბაწრით ქვევით ჩაუშვა.

ნიგვზის ძირში მისობილ ბოძსა და ხის ტოტების გასაყართან დაქვევებულ რკინის პალოზე ოწინარზე ჩამოკიდებულ ალდა, საიდანაც უჭიმო, ჩალისფერი ძალი გამოძვრა და უგერგილო, წვიტინა ხმით აჭაჭყანდა. ვითომ ერთი გამოქცევაც გამოიქცა, შუა კონდარში გაჩერდა, უკან მიიხედა. ოდის მოხურულიდან ვილაცამ მოქამული სახე გამოაჩინა. მამუკამ შესცივნა, მაგრამ მისი ბოლიშინი სიცილი მასპინძელს ისე არაფრად ჩაუგდია, იფიქრებდით ამ დაუბატიებელ სტუმარს სახლისთვის ქვა რომ დაეშინა, იმასაც არად ჩაავდებდაო. ამის შემდეგ არც ძალს გამოუღვია თავი, ერთი ორჯერ დაიწვავწავა და კუდი ამოიძეო.

მამუკამ საცხე სათლს ხელი წამოავლო და ქიშკრისაკენ გააქანა, მაგრამ ოწინარმა არ დაანება, ისევ უკან, გვიმთან მიიტანა და ზედ ჩამოადგა. „ჩემი დაბნეული მამუკა! — გაუხარდა თეკლას, — ისე ჩქარა უნდა წყალი მომიტანოს, დააეწყდა, რომ სათლი დაბმულია... მართლა რა ბედნიერი ვარ.“

მამუკამ ქიშკარი ფართოდ მოაღო და ქალი ეზოში ჩაიყვანა.

ოწინარი ირხეოდა და პირთან მიტანილ სათლიდან წყალი მწყურვალს გულსპირზე ეღვრებოდა. მოქანავე ბაწარი ხელით რომ უნდა დაეჭირა, მამუკა ამას მაშინ მიხვდა, როცა თეკლამ სათლი უკან მიაწოდა.

„ისევ ისეთია, როგორც იყო“ — გაეცინა, მაგრამ გაეცინა თავშეკავებულად და მორცხვად, თითქოს მასპინძლები მალულად უყურებდნენ და მათი მოერიდა.

— ნათესავებია?

— არა, ვილაც უტყვიპარომ გამოჰყო თავი წელან კარებში, ისიც არ ვიცი, ქალი იყო თუ კაცი, რაღაც... რაღაცნაირი ხალხია... თუ... ისეთი არ არიან...

— ამ დილით იქნებ სწყენოდა, ან ამ გოგოსთან შერცხვენოდა, რომ, მიპატრუებას ვინ დაეძებდა, ზრდილობისთვისაც არავინ გამოიხედა. ახლა არ

ერდებოდა, მაგრამ აქაურების უკმაყოფილო იყო.

თევზებიანი ბაღე ზურგზე მოიგდო. თევზას ისევ მხარდაშპარ გაჰყვა და სანამ გზას დაადგებოდნენ, ისევ გამოჩნდა ღია კარებში უქმური სახე. ვაჟს მოეჩვენა, რომ მან მხოლოდ იმისათვის გამოიხედა, ჰიშკარი ღიად ხომ არ დაუტოვებიათო და კვლავ მაშინვე გაუჩინარდა.

ორღობეში ფერდებჩალეწილმა დაუღღლულმა ღორმა გამოირბინა და მეორე მოსახლის რიკულებიან ჰიშკარს ისე მიაწყდა, მამუკამ უკან მიიხედა, ეგონა ღორს ვიღაც კეტით მოსდევსო; არავინ დაუნახავს. ღორი კი ჰიშკარის ღია ადგილებში ყველგან, სადაც დინგი შეეტეოდა თუ არ შეეტეოდა, ცხვირს ყოფდა, წრიალებდა და გულსაკლავად ჰყვიტინებდა.

— რა დამართა? — იკითხა თექლამ. მართალია, ის ღორს პირველად არ ხედავდა, მაგრამ არც ის იცოდა, ჩვეულებრივ ეს ცხოველები როგორ იქცევიან და მაინც მოეჩვენა, რომ პარტუყვს რაღაცა უჭირდა.

— რა ვიცი, ალბათ ვიღაცამ გალახა.

— რას ერჩოდა?

— რას ერჩოდა... ალბათ ყანა დააქცია ან ბოსტანში და ბაღში შეძრა.

— მერე საქონელმა რა იცის, რომ გალახო, გაიგებს?

— რას გაიგებს...

— მაშ, რატომ? ცოდვა არაა?

— იქნებ არც გაულახავთ... — მამუკასაც შეებრალა უგუნური პირტუყვი, — ალბათ შია, ან რაღაც... და პატრონი შინ არაა.

გზაზე საძოვრებიდან დაბრუნებულნი საქონელი ირეოდა, ზრუტუნებდა, ზმუოდა და რატომღაც მწყემსი გოგობიჭვები, ან ჰიშკარისაკენ წამოსული პატრონები არ ჩანდნენ.

ღობე-ყორე ისევ გალახულებივით დაშლივინებდნენ ფერდებჩაკვენილი ღორები და ეზოებს შიგნიდან დაოსე-  
2. „მნათობი“, № 2.

ბული ძაღლები უნდილად, წაყმუფუნებასავით ღავდავებდნენ.

— ვითომ ასე ძალიან განსხვავდებოდნენ სოფელი სოფლიდან, თუ მე მეჩვენება?

— იკითხა გაოცებულმა თექლამ, თითქოს დღეს ამისათვის სულ არ ეცალა, სხვაზე, უფრო დიდზე, — თავის თავზე თუ თავის მამუკაზე უნდა ეფიქრა, მეტი არაფერი არ უნდა დაენახა და ეს კი თქვა.

— არ ვიცი... სხვა დროს... არ მახსოვს...

— აი, გუშინ შენ სოფელში რომ ჩამოვედიო...

— ჰო, იქ თითქოს ყველაფერი ისე იყო, როგორც იყო... როგორც უნდა ყოფილიყო.

— აქ რატომაა? მე სულ არ ვიცი, მაგრამ აქ რაღაც სხვაა...

— ჰო, რაღაც სულ სხვაა... რაიმე დამართა ამ ხალხს თუ...

— ვინმე ხომ არ გარდაიცვალა?... — გაუბეღავად, შინით იკითხა თექლამ; ახლა მისთვის თუნდაც იმის გაფიქრება, სადაც შორს, ან საერთოდ აღამიანი რომ მოკვდავია, თავზარდამცემი იქნებოდა.

— აჰ, არა თექლა, რას ამბობ!..

— აბა?!

— ათასი რამ შეიძლება...

— ჰო, მამუკა. ჰო, ათასი და ათი ათასი... მე ხომ კარგად არ ვიცი... სულ არ ვიცი სოფელი და აქაური ამბები...

— არა, მაგრამ ნამდვილად ვიღაც...

— რა?!

— დაიღალე?

— დავიღალე?!

— ჰო, თუ ძალიან არ დაღლილხარ, ჩქარა ვიაროთ.

— ვიაროთ...

უკვე ფაცბა-ფუცხით მისდევდნენ გზას და ყოველი მოსახლისაკენ დამფრთხალნი იკვირებოდნენ.

დღეს, როცა ყველაზე მეტად მიუახლოვდნენ ერთმანეთს, ამ სოფელ-ქვეყანას, და დღეიდან ყველაზე მეტად სჭირდებოდათ აღამიანების ყურადღება და სიყვარული, თითქოს განგებ

ვ. მარქსის სახ. საქ. სოც. საბ. კომუნისტ. რ. სკანდინავიის

13093

მტრულად და გულცივად დაუხედნენ, თითქოს პირი შეკრეს და არავინ, გაღიმებას კი არა, უბრალოდ თვალის გასწორებასაც არ აპირებდა. ვანა მარტო უფროსები და ქვეუღამყდარი ხალხი? პატარებიც, რომლებიც საერთოდ არ ჩანდნენ. თუ მაინც რომელიმე გამოილანდებოდა, აბლაღლებული საჭონელის ეზოში ჩასაშვებად, ან ორლობეს ვადაირბენდა, ისიც თავჩაქინდრული და უყურადღებო. თვით პირუტყვიც, ხე და ქვაც უსულგულოდ, უტყვად ხედებოდა ამ ორ, ერთმანეთზე და ამ ქვეყანაზე ასე გულალალად მიხედობილთ.

## XIV

სოფლიდან ისე დაფეთებულა, ქურდული ნაბიჯით გავიდნენ, თითქოს შემოსვლისას აქაურობის ვაღაწვა ჰქონოდათ გუნებაში, დამხვედურთ მაშინვე შეეტყვოთ და ახლა როგორმე უხიფათოდ თავის დაღწევას-ლა ლაშობენო.

მტრულად შემოგებებულ მოსახლეობას რომ თავი დააღწიეს, ნაბიჯი მერეც არ შეუხელებიათ, მაგრამ მაინც ვერ განთავისუფლდნენ იმ შეშფოთებისაგან, რასაც ახლა განიცდიდნენ და ვერც ერთმანეთს უხბრეს ვერაფერი, დღეიდან ვაუმხეველის დაფარვისაც რომ არ აპირებდნენ.

მალარაშსა და გულზოდს ერთ დროს უღრანი ტყეები რომ ყოფდა, ახლა ჩაის პლანტაციების თვალუწვდენელი ფართობები ამორებდა ერთმანეთს, რომელსაც შუაზე ჰქრია რაიონისკენ მიმავალი რკინიგზა და ერთგან ამ რკინიგზის ხიდქვეშ გამდინარე ღელე — დაღუღა.

რაიონისკენ შარაც მიდიოდა, მაგრამ იგი პირდაპირ, მალა მიიკლანებოდა, მატარებელი კი მთას უფლიდა და ვზა, გულზოდთან უფრო ახლო, მდინარის გამოღმა ჰქონდა.

ქალ-ვაჟმა ლიანდაგებზე გადაუხევეს. ამ დილით აქეთ არ წამოსულან. ეს რკინიგზა ღელესთან, ხელმარცხნივ მოიტრევეს და ყანა-ყანა, მიხლო-მი-

დორ თეთრსა და შავ მდინარესთან გავიდნენ.

შალეებს ჩაჩერებულნი მამუქნი პირველად ჩააფიქრა დღევანდელმა დღემ. არასდროს რომ უკან გულისყურით არ მოუხედავს და განვლილი და განცდილი არ აუწონ-დაუწონია, ამ წუთის ერთი რამ მაინც უნდოდა ამოეცნო: იქითობისას ამ მეზობელ სოფელზე რომ გაველოთ, მაშინაც ასე უცხვირპიროდ და უსულგულოდ დახედებოდნენ? თუ საერთოდ ეს ასე ხდებოდა და უნიათო, მეოცნებე ბიჭმა ახლა დაინახა? დღეს მართლა იმოდენა რაიმე მოხდა? რაც აქამდე იყო — გადაკეთდა, თუ რაღაცა რაღაცას დაემთხვა და მაინცადა მაინც დილას აქეთ გადაბრუნდა ქვეყანა?..

ღელე დაღუღულას რომ გაცდნენ, საიდანაც გულზოდის კოლმეურნეობის მიწები იწყებოდა, ბიჭს გულს მოეშვა, თითქოს ამდენხანს „სხვის“, „მტრის“ მიწაზე ყოფილიყოს, და თველას ხელი უშვა, ბაღე მხრიდან მხარზე გადაიტანა.

— თველა!

— აა...

— ხომ აღარ გეშინია?

— შეშინოდა? ვერ გეტყვი...

— რისი... — გაემა ხელი მხარზე მოხვია, — გოგო, ისეთი რა მოხდა?

— არ ეიცო არაფერი...

— ძალიან დაიღალე?

— ალბათ, ამის ბრალია...

— არაფერია, აი, სულ ცოტაც, მალე რკინიგზიდან გადავუხვევთ, ჩავიბრუნებთ დაღმართს და ნაწისქვილართან ბოგირზე გადავალთ, იქ, ლადის რომ დავშორდით...

— რა კარგი კაცი იყო, არა?..

— იყო და არის. იქნებ ის დაკარგული ხარები აქამდე ვერ იპოვა და ახლა უკან ბრუნდება.

თველამ აღარაფერი უპასუხა. არ ჯეროდა, რომ ის კაცი ამ საღამოსაც ისეთი იქნებოდა, ან სამუდამოდ ამ ხოფელში რომ დაედოთ ბინა, იმ კაცს



ოდესმე ისეთს შეხედებოდა, როგორიც დილით იხილა.

ლიანდაგიდან გადაუხვიეს და ხრეშის შემადღებზე რომ ჩამორბოდნენ, ქალს ფეხი გადაუბრუნდა და წყალ-ტალახში ნათრევი, დასრულებული ფეხსაცმელი წაძვრა.

— გეტყვია? — ჩაიჩოქა მამუკამ და კოჭი მოუსინჯა, თითქოს გარედან ხელის ერთი მოსმით შეეძლო რაიმე გაეგო.

— მგონი ხო...

— ნუ გეშინია, ახლავ გაგივლის! — თითებით წვივზე მიუალერსა, დაიხარა და მუხლის თავზე აკოცა.

— რა დროს ესაა, დაღამდა!

— კი... კი! — თითქოს დანაშაული ჩადინოს, ბინდში ხელების ფათურით ფეხსაცმელი აპოვა, ჩააცვა და წამოდგა, მხარში ხელი შეაშველა, — თეკლა, შენ რაღაც ისეთი გგონია... თუმცა იქ კი, მაგრამ ახლა აგერ... სულ მალე სახლში ვიქნებით.

— მერე?! — ქალმა ორიოდ ნაბიჯი გაუბედავად გადადგა.

— მერე ყველაფერი კარგად იქნება... ყველაფერი კარგად...

— კარგად? — ქალმა თითქოს ტკივილი სულ დაივიწყა. კი არ გაუარა, მაგრამ დაივიწყა, რომ ტკიოდა.

— ჰო, რა მოხდებოდა ისეთი?..

— იქ რაღაც მოხდა.

— რაა?

— მე რა ვიცი...

— არც მე, თეკლა, არც მე...

— მით უარესი, — ქალი შეჩერდა, — მით უარესი!..

— რატომ უარესი... გიჭირს სიარული? რატომ გაჩერდი?

— ჰო, — ისევ ზხას გაუყვენენ, — ალბათ მიჭირს.

დაღმართს რომ გადაადგნენ, სოფელი გამოჩნდა, თუ უკვე უნდა გამოჩენილიყო და მამუკამ დაინახა, მაგრამ დაინახა? ჩანდა და არც ჩანდა, რაღაც ისეთს ვერაფერს. ხედავდა, როგორსაც ელოდა.

— თქვენთან ელექტრო შუქი ხომაა?

— თეკლა?!

— ჰო, მახსოვს, მახსოვს წუხელი ნათურას ფარვანები რომ ესეოდნენ და მერე სუფრაზე ცვივოდნენ.

— ჰო, გოგო, ჰო...

— ალბათ ჯერ ადრეა.

— არც ისე... ალაგ-ალაგ უნთიათ, მწვანეში არ ჩანს... ათასი საქმეა მისახელი. ქალაქი ხომ არ გგონია, ბინდისთანავე გააჩირადლნონ და ხელში წივნი და გაზეთი დაიჭირონ.

— მაშა რომ სამსახურიდან შინ არ დაბრუნდა, იმ საღამოს არც ჩვენ აგვინთია სინათლე.

— თეკლა... რამდენჯერ შეგებეწე, ნუ გაიხსენებ...

— არაფერს არ ვიტყვი...

— მამაშენი მალე დაბრუნდება, დღე-ღამეც კარგად იქნება...

— კარგი, კარგი, მაგრამ, მამუკა, შენ ეს გზა კარგად გახსოვს? არ შეგშლია?

— რა შეშლია, შენ არ გახსოვს?

— მე სულ დავიბენი.

— ბოგირი ვერ იცანი?

— ხიდი, ვითომ... მაგრამ... არა, არა, აქეთ სად მივდივართ?

— ჩვენ ამ დილით უანა-უანა ვიარეთ. ახლა საურმეზე მივდივართ. მართლა, ფეხი აღარ გტყვია?

— არ ვიცი. ამ დილით თითქოს უფრო მიჭირდა სიარული.

— ჰო, ვაგიარა...

— არა, არ ვფიქრობ ამზე.

— არაფერზე ცუდზე არ უნდა იფიქრო და ყველაფერი კარგად იქნება. თეკლა, მინდორს ვუახლოვდებით! აქ, ხელმარცხნივ ლაშეა, რა დღეშია ბაყაყები, ხომ გესმის?

— ახლა ვაგიგონე.

— ჩვენ მსხალთან არ დავისვენოთ? — არა, რა დროს დასვენებაა.

— კარგი, სახლში მივიდეთ და... თეკლა!

— რა გაყვირებს?!

— შენ იცი, დღეს...

— რა, რა!

— არაფერი არ გვიჭამია...

— უჰ, რამ გაგახსენა?!

— არ გვია?

— არა.

— როგორ არ გვია, ლუკმა პირში არ ჩაგიდევს, რა სულელები ვართ, სახლიდან რატომ არაფერი არ წამოვიღეთ.

— კარგი ვქენით, რომ არ წამოვიღეთ... სახლში რომ მივალთ, რას იტყვი?

— რას ვიტყვი?!

— ჰო...

— ვიტყვი, რომ...

— მამაშენს?..

— დედას ვეტყვი...

— ამაღამ მე ისევ თიკოსთან დავრჩები?

— ახლა თიკოსთან რაღა გინდა?..

— ახლა არა?

— რა ვიცი, იქნებ... ვნახოთ, არა, არა, ჯერ სახლში მივიდეთ...

ეზოსთან ბაწარათრეულმა ძროხამ შემოაბღავლათ და ღობის შიგნიდან მომდგარ ხბოს ზრუტუნით მიუბრუნდა, საღაციოდან ბახულაც გამოლასლასდა, მაგრამ არ დაუყვიფია.

— სადაა ეს ხალხი?! — თითქოს ძროხას, ხბოს და ძალს ჰკითხა მამულკამ და ჰქიშკარი შეაღო. მაშინვე თავი ჰკრა პირუტყვმა და ეზოში შევარდა, თეკლას გვერდი გაჰკრა, ბროწეულების ღობეს მიანარცხა.

— ვაიძე! — აღმოხდა უეცრად ქალს, როცა ზურგში ეკლები ეჩხვლიტა, მაგრამ ენას მაშინვე კბილი დააჭირა.

— რამ ვადარია! — ბაწარს დაწვდა მამულკა, მაგრამ ვერ დაამაგრა, ძროხამ კინაღამ ეზოში შეიყოლია, მაშინვე ხელი უშვა და თეკლას მკლავი მოხვია, — ფეხი ხომ არ დაგადგა!

— არა... არაფერი...

— წამოდი, ჩქარა წამოდი, ხბო მოეცილოთ, გამოწივს... ოჰ, დედაჩემო... სად არიან, ასე რატომ ბნელა...

სახლის უკან, ლაფაროში აპირებდნენ გავლას, რომ უეცრად ჯორკოებზე

უხმოდ ჩამოქდარ დედ-მამასა და ძმებს შორის აღმოჩნდნენ.

შეშინებულმა თეკლამ უკან დაიხია, ჯერ მამულკას ამოეფარა, მერე იქედანაც უკუსვლით წავიდა, სვეტს მოეხვია, ზედ შუბლი მიაბჯინა და გულაძგერებული დაელოდა რა მოხდებოდა: ნუთუ ყველაფერი გაიგეს, ნუთუ მთელმა ქვეყანამ გაიგო, ნუთუ ყველა სამტროდ გადაეკიდა?! იმისათვის, რომ ასე უყვარს? იმისათვის, რომ უერთმანეთოდ სიცოცხლე არ შეუძლიათ? რა მოხდა ბოლოსდაბოლოს, რა დაშავდა ისეთი? ქვეყანა დაიქცა? რა იყო ქალსა და ვაჟს ერთმანეთი არ ჰყვარებიათ? რაა ეს, რა სოფელია ასეთი, თუ მამაჩემი რომ... რა მამაჩემი, რა დააშავა მამაჩემმა?.. დედა თუ დარღზე დაჭლეჭდა, ეს საძრახისია, თუ სამაგალითო, აბა არაფრად არ უნდა ჩაეგდო საყვარელი აღამიანის დაკარგვა?

— რა ამბავია?! — იკითხა ხმის კანკალით მამულკამ, ბადე ზურგს უკან გადაუფარდა და აქეთ-იქით თვალების ცეცებით მანაც დაიხია, თევზებზე ფეხი დაუტედა, სვეტს ზურგით მიაწვია, თეკლა სულ დაფარა.

— ეტყობა ეს მთელი დღეა, ჭურში იჯდა! — გადააფუტხა ვატუტმა.

— შეილო, შეილო მამულკა! — წამოეარდა რუსუდანი და ატირებულმა მიაშურა.

— რა იყო, დედა!

— ნუ გადარეე ბავშვს... — ჩაილაპარაკა ფარნამ.

— ჩვენ დავაშავეთ რაიძე?.. — ხელები ზურგს უკან წაილო და სვეტზე მომხობილ თეკლას წელზე შემოხვია.

— შენ რა დააშავე შეილო? — რუსუდანმა თვალები ამოიწმინდა.

— მართლა სად იყო, არაფერი არ იცის! — წამოდგა ბაკური და ძმისკენ წამოსვლა დააპირა, მაგრამ ნაბიჯი ვერ გადმოდგა, უფრო არ დაეაფრთხო.

— არ ვამბობდი? სად წყვარაშში და ჭურღმულში გადაცვივდნენ-მეთქი. ამათ გამოჩენას საშველი რომ არ დაადგა!



— რა იყო, დედოქო! — ატირდა მამუკაც და ზურგს უკან თეკლას ზელები მაგრად მოუჭირა, ვითომ მამა, ძმები და დედაც კი, ამ საყვარელი არსების წართმევას და სამუდამოდ განშორებას უპირებდნენ.

— რა იყო... მეტი რა უნდა იყოს, ქვეყანა ქე იქცევა და უარესი რაღა იქნება!.. — აზლუქუნდა რუსულდანი, ვითომ თავის შეკაევებას რომ აპირებდა.

— უ-უთხარიტ, ცოდვაა ბი-იჭი... — ამოიბლუქუნა ლეონმა, ვითომ მისთვის

ვინმეს აეკრძალოს: შენ ასეთ რაიმეზე სიტყვა არ დაგცდესო.

— მოიცა, ეტყვიანი — დაღვერცხა... — კრა ნორამ იმ იმედით, რომ ამ სიბნელეში ვერავენი დაინახავდა.

— ბიჭო, საღ გძინავს შენ, ომი დაიწყო! — ამოახველა ვატუტიმ და ისევ გააფურთხა.

— ომი?!

— რა ეჩქარება, რამდენი გვიან გაიგებს, უკეთესია!.. — წამოდგა ფარნა, ძროხის დასაბმელად გასწია, რომელიც ალბათ ხბოს უკვე გამოეწოვა.

## თავი მეორე

### I

— არ გინდა ეს... — ფარნამ ხელის ზურგით ვაჩიჩა ღვინის სასმისები, — ჩაის ჭიქები მოიტანე! — და რომ ეგონა წარბშეკრული შემომქეამათება: რა ვიცო, ყოველთვის ამით სვამ, ახლა რა მოგეგუნება, შენასა ვერაფერს გაიგებს კაციო, რუსულდანს ენა არ დაუძრავს, ნათქვამი უსიტყვოდ აღასრულა.

სუფრა საღილის ნარჩენებით გაეწყოთ, მხოლოდ ახალი მწვანილი შეემატებინათ. მაგიდის ირგვლივ ნაჩვევი პირუტყვივით, ყველას წუხანდელი ადგილი ეჭირა, სუფრის თავში კი გუშინდელ თამადასა და ვატუტის შუა, ახლა ძმაზე მეტად დაღვრემილი და სახედალარული კაცი იჯდა, ვინემ ამ სამგლოვიარო ვახშამს და მის ასაკს შეეფერებოდა.

— ლუკა, თქვი რაღაცა... — ჩაილაპარაკა ფარნამ, როცა ბაკურიმ დოქით სუფრას შემოუარა და ჭიქები ღვინით გაავსო.

— კაი ერთი, თუ კაცი ხარ! — ხლიჩინა, დაკოდილი ხმით ჩაილაპარაკა ლუკამ და ჭიქა მოშორებით გადადგა.

— რამდენიც გინდა, იმდენი დალოე!

— იტყვი რაღაცას...

— აბა ვიჯდეთ ასე გულხელდაკრული!

— ისე ვთქვათ, თუ რაიმე გვეთქმის...

— შენ, შენ მამა! — ვატუტიმ ცივი მკადის ნატეხი გადაიღო და დედას გახედა, — გაგეფიცებოდა მაინც... ამას ღვინოც თუ არ დააყოლე, დაგაბრზობს.

— ჭამე ბიძია, სანამაა, თორემ შეიძლება მალე მაგიც მოგენატროს, — ამოიქლოშინა დაღვრილი ხმით ლუკამ.

— რაა ბიძაჩემო ეს ომი იმისთანა, სიმინდის ტაროს და პურის თავთავსაც ებრძვის?

— ყველაფერს, ბიძია, ყველაფერს... ჩემი ღლეები ისედაც დათელილია და კიდევ ეს მიწლოდა?!

— ლუკა ბიძია!.. — წამოიძახა მამუკამ და მაგიდის ქვევით ზელი თეკლას ზელს მოუჭირა: ამ ადამიანს რა ემართება, ვერაფერი გამოვიგო.

— ჰო, ბიძია, არაფერი, არაფერი... ალბათ ცოცხალ კაცს უსაშველო არ დაემართება... — გონს მოეგო ლუკა და გაპარტახებული სულის საღაროში იმედი მოქექა. მერე ძმას გაუწყრა, —

დალიე მაგ ჰქვამდა ღვინო, ნუ გადაგვაყოლე, — ვითომ მართლა იყო სმის გუნებაზე და ფარნა ვერ აფეოლებინოს, — ას კაცთან ჭორწილებს თამაღობ, დღეს რა ღმერთი გიწყრება. რა დაგემართა შე კაი დედ-მამის შვილო, იქნება იმ გერმანიას მართლა რაღაცა შეეშალა, წუხელ ბნელში დაურღვევია საზღვარი და რა იცი, დღეს შეიძლება ბოდიში მოახადოს.

— პო, ამ დილით სულ თავში ურტყია ხელი იმ წყეულს, ეს რა დამემართაო... — უღიმილოდ იხუმრა ფარნამ. სასმისი აიღო, ერთხანს მღუმარედ ეჭირა და ბოლოს ერთი სიტყვა ძლივს ამოთქვა, — გაუმარჯოს!.. — და პირთან მიიტანა, რომ ლუკამ ჰქვამდა ხელი დაუფარა.

— თქვი კაცო რამე!

— ასე უსიტყვოდ სმა?! — ბიძას ღიმილით მოხედა ვატუტიმ.

— კარგი მაცალე ლუკა! — ფარნამ ისევ დალევდა მოინდომა, — რის სადღეგრძელოს ესვამთ ჩვენ, პირველად სასმისს რომ ვიღებთ, ამას ყოველთვის თქმა უნდა? ოჯახს გაუმარჯოს.

— ამ ოჯახს გაუმარჯოს. გავვიმარჯოს... ისედაც სული კბილით მიჭირავს!..

— ბიძია, რა-ატომ ამბობს, მაგას?... — გაუკვირდა ლეონს და ცოლს მიხედა: ამისგან გასაკვირი კი არაა, მაგრამ ბიძაჩემი წუწუნა და ბუზღუნა როდის იყო.

— ნუ გეშინია, ერთმანეთს კი გაუგებენ... — თავის გაქნევით დაამშვიდა ნორამ ქმარი: ნეტავ შენ ასე გულუბრყვილოდ რას ერევიო.

— შე მა-აგი კი არ მი-ითქვამს, რომ ვერ გა-აუგებენ...

ნორამ მხრები აიჩეჩა.

— მაშინ შე მაინც ვიტყვი... — ჰქვამდა ხელი წამოუსვია ლუკამ და ჰაერით ღრმად, ხმაურით ჩაისუნთქა. ლეონს ნატყენი ღიმილით თავი დაუქნია, — მართალი ხარ, ჩემო ძმისშვილო!..

— შენ, ლუკა ბიძია, შენ! — გაიხარა მამუკამ და თელას გადახედა: თუ

ბიძაჩემმა თამაღობა იკისრა, ნახავ საქმე როგორ შეტრიადლებათ.

— ბრძანეთ! — დაეთანხმა ლუკანიც, რომ აივანზე ჯოხის კაკუნი გაისმა და ყველამ კარებისაკენ მიიხედა.

— რაა ეს დედაჩემი!.. — რაღაცნაირი იმედი გაჩნდა ლუკას დაკოდილ ხმაში, — მაგის ნახევარი ძალა და ნებისყოფა რომ მომცა, ციხე კი არა, კატორღა ვერაფერს დამაკლებდა.

თეკლამ მამუკას ყურთან ტუჩი მიუტანა, მამუკა დაეთანხმა:

— კი, ბებიაა...

— გააღეთ ეს კარები, ამ გავანია ზაფხულში რომ ჩავისკვამიათ! — ჯოხი ძალუმაღ მოხვდა შემოსასვლელს და ორივე კარი ყურამდე მოფელა.

— მობრძანდით! — ჩილაპარაკა დისასხლისმა და უხალისოდ წამოდგა.

— გამიშვი გოგო, შენი ხელი! — მოხუცმა მკლავი გამოგლიჯა გვერდით ატუხულ ჩითისკაბიან, ტუჩზე უამურ ღიმურჩენილ ქალიშვილს, — ვინმეს ბებერი და დაჩაჩანაკებული ვეგონები. პა, ეს ჯოხიც მომაცილე!

„დედაჩემისთანა ადამიანები მართლა არ ბერდებიან“, — გაიფიქრა ფარნამ და რატომღაც თავი უხერხულად იგრძნო.

— ჩემო ბებია... — წამოვარდა მამუკა და მოეხვია.

— ახლოს არ-მოშვეკარო, შე მამაძაღლო, შენ! სადა ხარ მთელი ცისმარე დღე?

— ბებია, ბებია... — ეფერებოდა, კოცნიდა, პატივებს თხოვდა.

— ახლა გავახსენდი, შე ნამუხსზე ხელაღებულო, ხომ?! არ დაგინახოს ჩემმა თვალებმა!

— სულ მახსოვხარ, შენ თავს რა დამავიწყებს... წუხელ საღამოს ხომ ეყავი ბებია, შენთან...

— ყოფნა იყო ის? რაღაც მომეჩვენე და გაქრო, მასე მე რამდენი მომენატრებთ, იმდენი მომელანდებით, მარა ნახვა ჰქვია მაგას?! —

სხვა შვილიშვილებიც ფეხზე წამოცივიდნენ. ნორამ სკამი უკან გააჩოჩა



და დაწმუნებული, რომ მოხუცს ადგოდა უიშინოდ და მოუტეზნიდნენ, ქლომასა და ღვთის შორის დაიბნა.

— თიკო, ჩემთან, ჩემთან მოდი! — უჩურჩულა თეკლამ და თვითონ მამუქას სკამისკენ მიიჩოჩა, ნახევარი ადგილი გაუნთავისუფლა.

— დედა, აგერ დაბრძანდი! — რუსუდანი მაგიდას გაეცალა და ოთახის უკანა კარისაკენ წავიდა.

— ფაჩუაშვილის ქალი, შენ რომ ადგილი არ წავართვა, ჩემს შვილსა და შვილიშვილს მართლა მოეძულდი?

რუსუდანი ისე გავიდა, არც უკან მოუხედავს და არც არაფერი უთქვამს.

— ბებია, ჩემთან; ბებია! — ორივე ხელებში ეცა ბაკური ბებიას და თავისკენ წაყვანა დაუბირა.

— ჩუ, ბიჭო შენ! რძალ-დედამთილის ამბავი არ იცი? რომ ღმერთი გამიწერეს და მის მიჩენილ ადგილზე არ დაეჭდე, მაშინვე იმას იტყვი, ჩემს თავს მისი შვილი და შვილიშვილი ურჩევნიათ. რძალს თუ სულ წიფელი კვრები არ უგორე, დედამთილის სიარული ბრავი-ბრუვად ესმის და ჭამა ხლამი-ხლუმაღ.

მამუქამ ჩვეულებრივ თეკლას მხარზე ხელი დაადო, მაგრამ დაჯდომა მერეც ვერ მოახერხა, როცა გარდი-გარდში სახე დაკმუქნილი მოხუცი სკამზე მარჯვდ ჩამოჯდა და უჯბილო პირისკმაცუნით და გამოგონილი სიმხნევით იჭაურობას, ფოსოებში ჩაქარგული, ცოცხალი თვლები მოავლო.

— ესაა ჩვენი სტუმარი? — რატომღაც თავის დაქნევით იკითხა.

ნაკვერჩხალივით წამოწითლებული თეკლა ფეხზე წამოდგა.

— ესაა ბებია, ეს... — თავი დააკანტურა ვატუტიმაც: ამით ყველაფერი ჩემი უკვირთ, თუ არა მამუქამ სახლს რომ ცეცხლი წაუქიდოს, ნათს დაუსხამენო.

— ამ ბიჭს ჩვენ თავს რომ ამულებს... უყურე შენ, ვინ ყოფილა! — მოხუცმა ნათქვამს ღიმილი მიაშველა, ვინმე ამ უცხო გოგომ ყველაფერი

ისე ვერ გაიგოს, როგორც ეს ჩემს ნათქვამს ესმისო.

— მაინც გვიჩივდა სადღეგრძელოს თქმა და დედანი იცოცხლა გამჩენმა, სულზე არ მოგვისწრო? — წამოიწყო ლექამ, რომ მამუქამ ჭიქას წამოუსვა ხელი და გადააბა:

— ჩემს საყვარელ ბებიას გაუმარჯოს! ჩემო ბებია, შენ იცოცხლე დიდხანს!.. სულ იცოცხლე!..

— აცალე ბიჭო, თამადას ლაპარაკი! — შეაჩერა ბაკური.

— მართლა და მართლა ეს რა ამბავშია! — წარბშეკვრით გამოხედა ვატუტიმ, — აქ მის მეტი არის ვინმე თუ არა, აღარაფერი ახსოვს.

— რაგა, ჩემი სადღეგრძელო აქამდე არ დაგიღვეიათ?! — იწყინა მოხუცმა, მუჭი ლურჯი თავსაფრის ყურით, უჯბილო პირში ჩაცვენილი ტუჩის კუთხეები მოიწმინდა და ჭიქა ისე ახლოს მიიწია, ბეჭებში მოხრილმა, ცხვირი კინაღამ შიგ ჩაჰყო.

როცა სასმისი სამადლობელისათვის აიღო, ისედაც გაფაციცებული თეკლა მთლად სმენად იქცა; ღმერთო, როგორ ჰგავდა ეს მოხუცი მის თვალთაგან მოუცლოებელ ბებიას და რამდენად ეს ორი დღეა არ გახსენებია, ახლა იმდენად მონატრებოდა.

— პირდაპირ საქმე გავუტირეთ მამაზეციერს, ჯერ ვევედრებთ და გვაბერეო, და გვაბერებს და ამისთვისაც ესაყვედურობთ...

— ბებია, რა დროს შენი სიბერეა! — უჯბილოდ იხუმრა ვატუტიმ, — ვითომ წელან მხოლოდ მაგ უმცროსი შვილიშვილი რომ ამოიჩემე, ჩვენ რატომ დაგავიწყდითო.

— გა-აჩუმდი, ბიჭო შე-ენ! — არც ლეონს მოეწონა, რომ ბებიას სიტყვა გააწყვეტინეს და ისიც, რისთვის.

— ეჰ, რაღა დროს ჩემი დღენმელობა... — მოხუცს ვერცხლის წყალივით ხელსა და ხელს შუა გაუჭრა ის მოგონილი მხნეობა, — კაცმა ჭირი მალა, მალაო და ჭირმა თავი არ დამალაო.

რუსულანმა კარი ხმაურით შემოალო, ტაბურეტი შემოიტანა და რძალსა და დედამთილს შუა მოშორებით ჩამოკლა. ნორას მხარზე ხელი დაადო: არ ადგე, არ შევიწროვდე, სუფრასთან ახლოს ჯდომას არც ვაპირებო.

— მობრძანდა ფაჩუაშვილის ქალი? კარებზე იყო მოდარაჯებული. სანამ სამადლობელი არ დაეწიე, არ გამოჩნდა... — გადახედა დედამთილმა, — ყველაფერი კი არ უნდა გაუწბილო რძალს, რაკი რძალია. რძალს კი არა, მეც მომძულდა თავი.

— კაი თუ ქალი ხარ... — თავი გააქნია რუსულანმა.

— ა! — ბაკურის შესცინა, — აქ მის მოჩენილ ადგილზე რომ არ ვიქდე, შენ მაშინ უნდა გენახა... — ეტყობოდა მოავგონდა რატომ მოადგა თავის ნაშვირს ამ ძნელბედობის დროს და ის პირვანდელი მხნეობა თვალსა და ხელს შუა დაიბრუნა, — რალაც ისე მახსოვს, წედან სიბერეს ეუჩიოდი და რომელიღაცამ არ დამიჯერა...

— მე, ბებია! — გაიკრიჭა ვატუტი.

— მერე და ვინმემ თქვა, რომ მართალი არა ხარ: მართალი ხარ, ბებია, და ასეც რომ არ იყოს, ბებერი ხარის რქაც ხნავსო, ნათელ დამდგარი ჩემი დედამთილისაგან გამიგონია... მადლობელი ვარ, შეილებო... — ისევ დაკარგა ის, რისთვისაც აქაურობას მიაშურა, — თქვენ იყავით კარგად და მე აწი თქვენი ჭირი წამილია. მამათქვენის სული გაგვინათლოს უფალმა... — ღვინოში პურის ნატეხი ჩააწო და ჭიქა ქვედა ყბის ცახცახით დაცალა.

— ღმერთი გწამს, ბებია? — წამოცდა ვატუტის და თავი მაშინვე ჩაღუნა, ახლა ამის დრო მართლაც არ იყო.

— ღმერთი, ბებია, თუ ვინმეს უნდა წამდეს, მე უნდა მწამდეს. ის დალოცული გაქირვებულის და უძლურის იმედოთაა გაჩენილი. რა ვიცი, შეილებო, რაც მე უბედურება მიწახავს, რას მერჩოდა, მაგრამ რომ დავწევები და ავდგები, მაინც მისი მავედრებელი

ვარ. აბა ვის შეეჩივლო ჩემი ვარაში და ვის შევავედრო თქვენი თავი? დღეს, რაც ეს ბედუქულობათობა გავიგე, ეს უნდოდა ჩემს გაჯახირებულ სიბერეს? ხატის წინა ვარ დამხობილი, მართლა არ აურიოს ჰუა ქვეყანას და კაცის კვლა არ წამოიწყონ.

— ეპ, წამოიწყეს და ესაა, — თავი მძიმედ დააქნია ფარნამ და ლუკას ანიშნა: კიდევ თქვი რაიმეო.

— რავე, აღარაფერი იმედი აღარაა? — ერთობ ყველას გადაავლო თვლი მოხუცმა და მზერა ჯერ მამუკაზე, თუკლაზე, თუკლას გვერდით მიტმასნილ თიკოზე შეაჩერა, მერე ბაკურზე და ვატუტიზე, — ამგენს ტყვიას კი არა, მწიფე ქლიავს არ ვსვრის: კაცისშვილი, ხეთის მოძულეც რომ იყოს...

— მაინძელო! — გაისმა ჭიშკართან და უკანა აივანში ძაღლი აყეფდა.

— ეინაა? — იკითხა რუსულანმა და ფარნას მოხედა.

ფარნამ თავი შეატრიალა, ყური წინა კარებისაკენ მიაბრუნა.

— ფარნა... მამუკა! — გაასწორა ბოლოს სტუმარმა და ძაღლიც ჭიშკარს გააგებული ყეფით მიაწყდა.

ფარნა აივანზე გავიდა.

— ეი! — გასძახა ბნელს.

— ამ ძაღლს დაუძახე, მაქეთ მოვდივარ, აქეთ ნუ შეწუხდები!

— ბახულა! — დატუქსა მასპინძელმა ნავაზი და კიბის საფეხურებს ჩაუყვია.

ძაღლი წკაფწკავით პატრონისაკენ გამობრუნდა.

— ნუ მოდიხარ, ფარნა, გინდა არ გინდა, შენი სტუმრები ვართ.

ფარნას ხმა ეცნაურა.

— ლადი ხარ?

— ლადი ვარ, ლადი და აგერ კიდევ იასონია...

— მობრძანდით!

ლადიმ ლაფაროში თვალეზავლებულ ნავაზს მოშორებით გატარა და ქვის საფეხურებს, თითქოს ფეხდაუკარებლად ამოუყვია. იასონას ძაღლი არც

დაუნახავს, კიბეს ისე მოადგა და საფეხურებზე ფეხი ვერც თითო-თითოზე ამოაბიჯა და ვერც მეორე-მეორეს მიუწვდინა, სანამ აივნამდე აღწია, კინაღამ კისერი მოიტეხა.

— საღამო მშვიდობისა, ფარნა! — ხელი ჩამოართვა ლადიმ შემოგებებულ მასპინძელს, — ლემენცივით მუხანათურად დავეციოთ თავზე ამ შუალამისას.

— რა ღროს შუალამეა შე კაცო და შუალამეც რომ იყოს...

— ფარნა, რა ამბავია ჩვენს თავს? — ამოიღმუვლა იასონმა, როგორც იყო, რომ ამოფოფხდა.

— მობრძანდი იასონ, მობრძანდით! — მასპინძელი სტუმრებს ოთახში შეუძღვა.

— აა, ქალბატონი მართლაც ექ ყოფილა, ლუკაც... აბა, ახლა... თუ ვინმე შენიანი ვაგაჩნია... თქვენიათ კი არა, ჩვენც... სახლში რომ ვერ დავეტიეთ... სანამ ორად გავსკდებოდე, ვილაცას ხომ გინდა შეჩვილო, რაღაცა რომ ესმის, ისეთს... — შარვლის სათავეზე ორივე ხელი გაისვა და მართას ჩამოართვა, რუსუდანს თავი დაუკრა და დანარჩენებს გადახედა, — აღარ შეგაწყუხებთ ახლა, ბრძანდებოდეთ, ისედაც აგაწრიალეთ...

— საღამო მშვიდობისა! — ენის ბორძივით ამოიხიზინა ზორზოხა იასონმა და წინ ფეხი არ წამოადგა, კარებთან აიტეხა, ახალთახალი შავი სატინის ხალათის მაჯების შებნევა დაიწყო.

რუსუდანმა ტაბურეტი გადმოადგა. ბაკურმა თავისი სელის სკამი მამუქას ზურგს უკან გამოათარა.

— ნუ შეწყუხებო, ნუ შეწყუხებობით! — ხელები გაასავსავა ლადიმ, გაიქცა, კედელთან მიდგმულ ტახტზე ჩამოჯდა, — შენც ავერ მოდი იასონ, ნუ აეაწრიალვებთ ამ პატროსან ოჯახს.

იასონმა ფეხი აღარ მოიცივალა. ცალი ბეჭით იქვე, მიხურულ კარს მიაწვა.

— დაბრძანდით, დაბრძანდით! — ახლა მამუქა მოეგო გონს, წამოხტა, თავისი სკამი აიტაცა და ლადის მიუბრუნდინა.

— იქვე ბიძია, იქვე! — აუ, რავე ავიცელით ეს ხალხი, იასონ!

იასონს არაფერი გაუგონია, ფარნას და ლუქას თვალელებში იყო შიმტვრეპული.

თეკლა თიკოს რაღაცას უჩურჩულებდა და მერე ლადის გამოხედავდა საოცრად შეცბუნებული: ამ კაცმა დილიდან საღამომდე როგორ დაივიწყა ასეთი კარგი ნაცნობობა და „ახლობლობობა“.

— მოდი იასონ, დაჯექ! — მამუქას სკამი ჩამოართვა ლადიმ და თვლით თეკლა მოძებნა, ნაძალადევედ გაუღიმა და ისევ იასონს მიუბრუნდა, — კიდევ უფრო ვაწუხებთ ამ ოჯახ-აშენებულებს.

— რას გვაწუხებ, სტუმარი შეწყუხება? — ამოღერდა რუსუდანმა.

იასონმა იქვე, სადაც იდგა, ტაბურეტი ფეხით მიითრია და ზედ ხუნეშით დაეშვა.

ბაკურმა მამუქა სახელოში დაჭაჩა და თავის სკამზე მოისვა გვერდით, რომ მთელი საღამო თეკლას თავზე დამდგარი არ დარჩენილიყო.

— რავე ბრძანდები, მართა ბიცოლა! — ადგილიდან წამოიწია ლადი, — გვიან გიკითხე... ისედაც რა ჰქუის პატრონი ვიყავი და სულ დამებნა...

— რაღა ღროს ჩემი მოკითხვა და კარგად ყოფნა... ნეტა ჰქვეყნად მშვიდობა ყოფილიყო და შვილი და შვილიშვილი მყოლოდა კარგად, თორემ შე და ჩემისთანები მიდღემჩი ხომ არ ვიქნებოთ...

— ეჰ, მშვიდობა ყოფილიყო, თორემ... — სიმწრით ამოვიგმინა იასონმა და ისევ შავი სატინის ხალათის მაჯების შებნევა სცადა.

— მოიცა იასონ! — მიუბრუნდა ლადი, — ახლა ამ ხალხს ყველაფერს ნუ კი ჩავამწარებთ...

დაიასახლისმა ორი ცარიელი ჰქვა ჩამოადგა, — ამჯერად მამუქამ დაასწრო ძმას, დოქის სახელურს ეცა, თეკლას გვერდით დადგა და ლადის ჰქვაში იმდენი ჩაუსხა, სანამ თავს არ გადაადინა.

— გამოართვი ის დოქი, თუ არა რაღაცას მოწვევს და დაგვტოვებს ხახამშრალს, — ვადაუღაპარაჲ ვატუტემ ბაკურს.

— თითო სასმისი მიირთვით! — თავის დაქნევით ანიშნა ლუკამ სტუმრებს.

— გავიმარჯოთ და ღმერთმა ასე საესეთ გამოყოფოთ! — ჭერს ახედა ლადიმ, შერე ლუკას თვალი გაუსწორა, — ჯანი და ღონე არ მოგაკლოთ! — ბიჭებს მოთვლო მზერა და ფარნა დალოცა, — ღმერთმა ლხინი და ქორწილი მოგცეთო!..

— მოთად არ დაქვევლიყოს ქვეყანა! — ამოიგმინა იასონმაც, დალია და ცარიელი ჭიქა მავილის კუთხეში ჩაიოღვა.

— ახლა ამ ხალხს, ეს ჩვენი ვაჭირგება... — ჯერ სტუმარს მიუბრუნდა ლადი, შერე ისევ მასპინძელს.

— ვაი ჩემს თავს... — ამოსკდა საკირის კვამლივით იასონს.

— მოიცა ახლა შენ... დავიჯეროთ ასე უპატრონოდ დაემხოზა წუთისოფელი?

— ჩემი სოფელ-ქვეყანა კი დაემხო და...

— ნუ სცოდავ, შე ოჯახაშენებულო, კიდევ ორი ბიჭის მამა ხარ...

— შვილის სიმწარე ვინც არ იცის...

— ვინ არ იცის?! — შეივივრვა ლადიმ, — აგერ ქალბატონი მართა მაინც არ იჯდეს, რას ამბობ, კაცო შენ!..

— ვაი თქვენს დედას, შეიღებო... — ამოიმოთქმა მოხუცმა.

— მაცალე იასონა, მე შენ!

— ნაცალი არა ხარ? აბა, ლავრენტის რომ ვერავენ გამოცოცხლებს, მაგი არ ვიცი?

— აგერ, წიგნში და ქვეყანაში გადახედული ხალხია... — ფარნას და ლუკას შეავლო თვალი, — ამ ბიჭებს რომ უუპურებთ, უმადლესები და უნივერსიტეტები... ახლა ის დრო კი აღარაა... ამხელობაზე მე და შენ რომ ანბანის ინჩი-ბინჩი არ გავგეგებოდა. სხვა დროა, ჩემო ძმაო, კეთილო, განათლდა ქვეყანა.

— მე დამაქცია და დამაბნელა და...

— ჩუ, კიი ახლა! ფარნა, ხომ იცი კაცის ამბავი... ჩვენ, მე და დასონი და სხვებიც, შენი მეზობლები... გლეხები ვართ და არ გვინდა დავინახოთ, თუ არ ვიცით და იმის ბრალია, ვინც ჩვენსავით არ ზელს ტალახს და ჩვენს გვერდით მიწას არ ჩიჩქნის... გვეგონია, ჩვენ ვაკეთებთ ყველაზე სასარგებლო საქმეს. თქვენ კი ამოიდებთ წიგნს ილიაში და ჭამთ ჩვენს მოწვეულ პურსა და მჭადს...

ფარნამ წარბები მოწკურა.

— არა, მართლა შენზე კი არ ვამბობ... — ლადიმ თვალი გაუსწორა: ეს საჩოთითო საუბარი რომ წამოვიწყე, ვიცოდი, თქვენთან შეიძლება ასეთი გულახდილი მუსაიფო, — შენ ჩვენზე ნაკლებად არც ის თობი და ბარე იცი. მე, საერთოდ, აგერ, სხვა მასწავლებლები. დირექტორები, თავმჯდომარეები, იქ კიდევ ქალაქში და... ალბათ გვშურს თქვენი, თუ რაჲაა, შენ რას იტყვი, იასონ?..

— რა ვიცი... თუ ღმერთი გწამს, ჩვენს უბედურებაზე ილაპარაკე, თავმჯდომარეები ქირსაც წაუღია...

— მე იმას ვამბობ, თუ მართლა ასე არაა, რატომ გვინდა, რომ ჩვენმა შეილებმა ისწავლონ და ჩვენს ვზას არ დაადგენ, ამ მიწაში არ ჩააქციონ სისხლი.

— რომ იცოდეთ, იმ ნასწავლს კიდევ თქვენ ჯობხართ... — ამოიხიხინა ლუკამ.

— ჰო, დავიდარაბა ნაკლებია, მაგ წიგნებში ათასნაირადაა დაწერილი, თავს და ბოლოს ვერ გაუგებ. ჩვენი საქმე სხვაა, მიწაში კარგ თესლს ჩააგდებ — კარგი ამოვა, კარგი ჯიშის ვენახს დარგავ — მიწონი ღვინო დავიდგება... ფარნა, ეს შენი ღვინო მარტო ცოლიკურის ყურძნის არ უნდა იყოს, ეტუობა ჩქეფად კია გაღებულო, მაგარამ...

— მე ხომ კრახუნა და ციციკე მოვაშენე...

— იმ წუთში ეტუობა.

— აწი, რა, შენ არ ეხმარებოდი დარგვაზე? — გაიკვირვა იასონმა.

— მე რომ ვეხმარებოდი, მაშინ ცოლიკაური დარგო ამ კაცმა.

„ამ გამწარებულ კაცს ისიც კი ახსოვს, შეიდი წლის წინ მისი მეზობელი ეის ეხმარებოდა ვენახის გაშენებაზე. საოცარია გლეხის ფსიქოლოგია“ — გვერდით მჯდომს მოხვდა ფარნამ.

— მე კი ისიც არ მახსოვს, შენ როდის ჩაყარე ვენახი, — თითქოს მძას ფიქრს მიუხვდაო, მაშინვე ჩაიხლიჩინა ლუკამ.

— თითო ჭიქა კიდევ ხომ არ დაგველია? — იკითხა ვატუტიმ და ბაკურის თვალები გადაუტრიალა, — გამოაჩთვი მამუკას ის დოჭი, ორივე ხელით რომ ჩაფრენია და დაასხი.

— თუ არავენ სვამს, რა დაეასხა?

— დაასხი შენ და იდგეს. დაძმარდება?!

რუსუდანი სუფრის თავისკენ წამოვიდა, ლეონის ზურგს უკან გაჩერდა და ფარნას გადაულაპარაკა:

— ორ ცხელ მჭადს დავაცხობ.

— არ გინდა.

— აბა არ ვიცო...

— მაგენი ახლა ჭამა-სმის გუნებაზე არ არიან.

— ქალბატონო რუსუდან, რაღაცას მივედ-მოვედეთ, არა?

— არა, ლადი, მე სხვა რაღაც...

— ასეა, ჩვენ რომ არ გვესმის, ამიტომ გადმოვცვივდით და ამ შუალამეზე, შეილებთან ორი სიტყვის დალაპარაკება არ გაცალუთ. მართა, შენთანაც დიდი ბოდიში...

— ე, შე ოჯახქორო, რაცაა სათქმელი, ის თქვი... — იასონმა გულის ჯიბიდან გაზეთის ქალაღი ამოიღო და მოახიბა, — მოეწეც, აბა რა ჯანდაბა ვუყო...

— თქვი შეილო ლადი, რა საბოდიშოა... — თავის კანტურით მიუბრუნდა მართა სტუმრებს.

— რაგა მოგაძულეთ თავი... ის გვინდოდა გვეკითხა... ამდენი კი ვიცით,

წიგნიერი კაცის თვალი შორს წაედება...

— და ამ დასაქცევი ქვეყნიერების რამე ასეაღ-დასაეალი ვაგეგებათ... — მოტრიალდა ზორზოხა, მოუხეშავი იასონი და ტაბურეტს ლაწა-ლუწი აუტეხა.

— რა ვიცით... — ისევ იმ დამსხვრეული ხმით დაიწყო ლუკამ, რომელიც თავიდან ახლდა, — რამდენი მეტის ცოდნა მოეინდომეთ, იმდენი ნაელები გავიგეთ. ჩვენზე მეტი, იქნება თქვენ გესმით...

— ჩვენ რომ გვესმის, კი გვეყოფა... — მუთაქასავით გახვეული პაპიროსი პირში ჩაიჩურთა იასონმა და ასანთს გაქრა.

— ჩვენ ისავიცით, რაც, საუბედუროდ, ყველამ იცის, რაც რადიომ გადამოსცა და რაც დღეს დილით კანტორაში მიტინგზე ილაპარაკეს.

— მე მთელი დღეა, — მამუკას გადახედა ლადიმ, — იმ მგლის არჩევ ჩარებს ვეძებდი, მაგრამ რადიო, ქვეყანაც რომ იქცეოდეს, ახლა იმას ხომ არ გეტყვის, იქცევაო. ამდენხანაც დაარბია იმ ოჯახამოწყვეტილმა მეზობლები და ერთხელაც არ გამიგონია ჩვენსკენ თუ ავი თვლით იხედებოდა.

— ეს, ჩემო ლადი, პოლიტიკის საქმეა.

— პოლიტიკა რომაა და... იმ კაცსაც, დღეს რაიონიდან რომ ჩამოსულა, უთქვამს: ჩვენ რა ვაგვიპირდებოთ... რაო, რა თქვა, იასონ?

— ნამეტანი ღონიერი ვართო.

— ჰო, ჩვენ ვინ რას დაგვაკლებსო. მაგ გერმანიას ორ-სამ თვეში მოვუგრებთ კისერსო, დავიჭვრო, მართლა ასეა საქმე?

— კი. დაჯდნენ მაგ კლუბში და უკრან ტაში! — ხველება აუტყდა ლუკას.

— იქნებ მართლა მასე არაა, მაგრამ, არც ის იქნება მართალი, ვიძახოთ, რაკი თავს დაგვესხა, გამარჯვებაც მისიაო.

— ამას არ ვამბობ ჩემო ლუკა და



ფარნა! მაგრამ ფინეთი უფრო მორჩი-  
ლა ქვეყანაა, ხომ?

— კი.

იასონმა შუბლში დაირტყა გაშლი-  
ლი ხელი.

— მოიცა ახლა შენ! — მაშინვე ეცა  
ლადი, — ვიცი, იცის ამ ხალხმა. და  
მარტო შენ არ დაგიკარგავს... შენი  
უფროსი ვაჟი, თუ მართალი გინდა, ჩე-  
მი სულხანის კბილაა და სანახევროდ  
ჩემი გაზრდილიც იყო, ჩვენი სოფლის  
შვილია, ფარნას მოწაფე. ავტო ლეო-  
ნის, ამას ჯვარი სწერია, ტოლი და ამ-  
ხანავი.

— კი, კი, ლა-ავრენტი... — ამოთქვა  
გულსტიკივლით ლეონმა და ჭიქას ხე-  
ლი წამოავლო, ბაჟურს გადაუწვდინა, —  
და-ასხი!

— ჩვენი სოფლის შვილს, ჩვენს  
შვილს... — დაიწყო ლუკამ და სასმი-  
სი აიღო.

— გაიგონე, რას ამბობს ეს ხალ-  
ხი? — მიუტრიალდა ლადი იასონს, —  
შენ რომ გვინია, მარტო შენი ქვეყანა  
დაიქცა?..

— დაიქცა ჩემი ოჯახის დამკვეცი!

— კაი, გეყოფა აცალე ხალხს ლა-  
ბრაკი! — არ დაანება ბოღმის ამონ-  
თხევა ლადიმ და თვითონაც ჭიქას მი-  
სწვდა.

— ახლა ვითომ ასეა, ვინმე მოკლავ-  
და? — გულუბრყვილოდ იკითხა მამუ-  
კამ, ჯერ ყველას გადახედა, მერე მასზე  
თვალბმოცეცებულ თეკლას.

— მოკლეს და ისაა. აბა, რატომაა  
ამოდენა კაცი დარდისაგან გულგასიე-  
ბული? — აუხსნა ვატუტიმ, — შენ ვე-  
ლარაფერი ვერ უნდა გაიგო?

— ესროლეს თოფი და მოკლეს?

— მოკლეს ბიძია, მოკლეს. და გე-  
ლუბეს და ამოგვადგეს, — იტყვიოცა  
და იტყვიოცა შუბლში ხელი იასონმა.

ეს შავი ლოდით მძიმე სადღე-  
გრძელო რომ ჩამოთავდა, ლადი ისევ  
თავის სათქმელს დაუბრუნდა.

— და ამ ფინელებთან რომ ასე გა-  
გვიჭირდა და გავგიქიანურდა ჩხუბი,  
თუ ასე ძლიერნი ვიყავით, ეს როგორ?..

— ფინეთთან არ იყო, ლადი, ისეთი  
ხასიათის ომი, სახელმწიფოს მთელი  
თავისი ძლიერების გამოჩენა დასჭირ-  
ვებოდა. ეს ახალი ომი უთუოდ მასიურ  
ხასიათს მიიღებს, აქ სისხლის უკანასკ-  
ნელ წვეთამდე იქნება ხოცვა-ჟლეტა, —  
შვილებს თვალი აარიდა ფარნამ.

— ასე რავე, ჩემი ერთი იქნა, საზ-  
ღვართან, თუ საზღვარს იქით, პოლშა-  
ში. იასონის მეორე ბიჭი — საჩინო, სა-  
ვალდებულოშია და ახლა აქ რომ გყავს  
უმცროსები, ამათაც იქ წაიყვანენ?

„საცოდავები, რისი ვაგება ნდომე-  
ბით...“ — გული მოეწურა ფარნას და  
შეეცადა უფრო საეჭვოდ ეთქვა, ვინემ  
თვითონ მიაჩნდა.

— ჯერჯერობით კაცმა არ იცის, რა  
ამებში დატრიალდება. დიდი ქვეყანაა,  
იქნებ ასე, დედაბუდიანად აყრა არ და-  
გვიჭირდეს...

— დედაბუდიანად! — აყვირდა ია-  
სონი, — მე დანარჩენებიც დამელუბე-  
ბა!

— იასონ, რა ვითხარი მე შენ, რომ  
მოვდიოდით?!

— არ ვიცი რა მითხარი და რას და-  
ვიბრდი. მე კი სიზმარი ვნახე, ჯერ მა-  
შინ, ლაერენტიამ რომ დამიფსო თვა-  
ლები და ახლაც, წუხელი ორ დანარ-  
ჩენსაც წითელი ავუროს სახლებს ვუშე-  
ნებდი.

— ჩუ, აყევი ახლა სიზმრებს და  
მოჩვენებებს... — ლადიმ თვლით მა-  
მუკა და თეკლა მოძებნა, — დაწყევლა  
ღმერთმა, მეც გლახად ამიხდა ამიღიან-  
დელი თვალის თამაში... — მაგრამ გა-  
მწარებული მამა მაინც ანუგეშა, — სი-  
ზმარი ხან ასე ხდება, ხან ისე.

— მე ერთხელ უკვე ამიხდა.

— სიზმარი ამინდზეცაა, დღეზეც  
და მთვარეზეც. — იმედინად ვაღმო-  
ხედა მართამაც იასონს.

— ა, გაცოცხლა ღმერთმა, ბიცო-  
ლა! — დალოცა ლადიმ. მაგრამ ის  
ეჭვე, რამაც აქ მოიყვანა, მაინც ვერ  
მოიცილა, — ფარნა, მე რომ იასონს  
მიუვარდებოდა და დაქვევა მოვუნდომო...

ჰო, მეზობელია ჩემი, იასონი, ხომ უნდა მეგროდეს, რომ მოვერევი.

— მაინცდამაინც მოერევი?

— აბა, რატომ ვიზამ მაშინ ამას?

ფარნას გაელიმა ჰევიანი გლეხის ანგარიშთანობაზე, რაც წელან ვერ ვაითვალისწინა და გულუბრყვილოდ დაამიდა.

— ეგ შეიძლება შენ გეგონოს.

— როგორ თუ მეგონოს?! ასე ერთ ღამეს სიზმარს ხომ ვერ ენახავ, ავდგები და ჩაუღვარდები ეზოში, მანამდე არ უნდა ვივარაუდო, რომ დიდი ჰევიანაა? როგორი ძალ-ღონის პატრონია, თოფი აქვს, ნაჭახი თუ ცულო. მერე თქვენ? აგერ, მეზობლები რომ ხართ, ვის მხარეს დაიჭერთ, არ უნდა ვიცოდე? იქნებ, რაკი მე ამ კაცს არ ვაყენებ, იფიქროთ, ის ოხერ-ტიალი ამას რომ დააქევეს, მერე ჩვენც არ მოგვდგვსო, ადგეთ და დამიშინოთ ჰევა და ლოდი.

— რას ერჩი ახლა ამ კაცს? — იკითხა ლუკამ.

— ამას იანგარიშებდა ის კაცი, აბა ასე რაე დაიკავებდა ხელში ზარბაზნს და გადაქელავდა მეზობლის ეზო-ვარემოს.

— რა თქმა უნდა, — დაეთანხმა ფარნას.

— მე რომ დამაქევეს, კი ვიცი და... — იასონმა ნამწევი იატაკზე დაავდო და ყურთან წულის ქუსლით მოსრისა.

— მოიცა იასონ, ჩვენ ამ ხალხთან იმიტომ მოვედით, რომ ვერაფერს თავი ვერ მოუწყარეთ.

— მასე კარგად ჩვენი პოლიტიკოსებიც ვერ უყრიან თავს... — არ დაეთანხმა ლუკა.

— შენც გაჩუმიდი... — გადაულაპარაკა ფარნამ ძმას.

— შეტს რადას მიზამენ... მე ჩემი უკვე დამმართეს...

— ახლა ამაზე ლაპარაკის დროა?

— იმ კაცმა, მე რომ ვხედავ, — სხაპა-სხუპით განავრძო ლადიმ, ეტყობოდა, ამ თავსატეხზე დღეს ბევრი ეფიქრათ, — როცა გადახედა ჩვენს

ძალა-ღონეს, შეატყო, მარტო ვერაფერს გააწყობდა, ადგა და მეზობლებს ეძგერა, ვისაც იოლაუ დაამორჩინებდა და, მაშინ ჩვენ ხმა არ ვავიღებთ...

— რა არ ვავიღებთ, აბა, მოვუწონეთ?

— მოიცა, ჩემო ბატონო. მე ავდგე, იასონას სახლს და კარს ცეცხლი წავუკიდო, შენ დაჯდე გაწყობილ სუფრაზე და ცოლშვილში იპუტუნო, ლადი ლიპარტიანი არ აყვებებს კარგ საქმესო, ის უშველოს ამ გაჭირებულს? თუ მე ხელებს არ შემიკრავ, ცეცხლმოკიდებულ სახლს მაინც მიასხი წყალი, თვალის სეირს რომ უყურებ. რატომ გგონია, რაკი ჰევა დავკარგე და ამ კაცს ვაქევე, მერე შენს ეზოში არ ვადმოვარდები!

— რას ერჩი... — მხრები აიწურა ლუკამ და ძმისშვილებს გადახედა.

— მართალია... — დაეთანხმა ბიძას ბაკური.

— მასე პრიმიტიული რომ იყოს სახელმწიფოს დიპლომატია... — თავი გადააქნია ვატუტომ.

— რა გინდა შეილო ლადი, რატომ არ აყენებ ამ იასონს?! — იკითხა მართამ.

— ჰო, ბებია, რა უნდა, რას ერჩის? — გაოცდა მამუკა.

— დედა, ეს უკვე სხვა საქმეა... — ხელი დაუქნია ლუკამ მოხუცს, აცალღე.

— რას ვერჩი, მართა ბიცოლა და ვავხელდი, გადავირიე. ხომ ვიცი, ფარნა ამადლობელო, რომ ოთხი ვეიშვილი გყავს. აგერ კიდევ ძმა და ძმისშვილები. ვერ მოვერევი ჩემი სამი ბიჭით და იასონი დავაშინე, წამოვრევე თავისი მონაგარით. მერე კაპიტო შეანგირამე და ილიკო ბაქრამე. იმდენ კაცს ვუყრი თავს, რამდენიც ვიცი შენი ოჯახის და საქევედ დამჭირდება. შენ ამ დროს დგახარ და იძახი, მაინც ღონიერი ვარო?

— ჰე, მიდი ახლა, უპასუხე! — ნატყენი ღიმილი გაუჩნდა ლუკას.

— მე ვცდილობ მეგობრობა დავამყარო შენთან, — დაიწყო ფარნამ.



— მგელთან, კაცო?!

— მგელთან, მგელთან! — ხარხარი და ხეღლება ერთად აუტყდა ლუკას.

— მგელთან, რომ დრო მოვიგო.

— რა დღეებდნიერს უცდი?

— ძალია შინდა მოვიყრიბო.

— ა, მოვედი ახლა და რა ჰქენი, მოიკრიბე?

— ალბათ, — თავი გადააქნია ფარნამ, — ამაზე, რასაც ჩვენ მივხედით, იქ, საქმეში უფრო ღრმად ჩახედული ხალხიც ხომ იფიქრებდა?

— კაია, თუ მასეა, მარა მე ხანდახან, ალბათ ჩემი უტოლდინარობით მემართება, დღეს მთელი დღეა ხარებს ვეძებდი, ვეძებდი და სულ იმას ვფიქრობდი, ხმამალა კი არ მოთქვამს, — ისევ მამუკას და თეკლას გადახედა, — თუ მაინცადამაინც მგელი ჩამოვარდა მთიდან, რაღა მაინცადამაინც ჩემს ხარებს ეცემოდა-მეთქი. ასე არ ჭირდეთ იმ ჩვენს საქმეში ჩახედულ ხალხსაც. რაკი შევნიერი კაციც კაცია და ბოლოს დანა ჩვენ კუღზე არ გადატყდეს...

— დაღუპულა საქმე! — წამოდგა იასონი, ჯიბიდან ისევ ვაკეცილი ვაზეთი ამოიღო.

— მოიცა კაცო შენ, ასეც არ იქნება!

— დაბრძანდით, დაბრძანდით! — სტუმრის დამშვიდება სცადა ისევ ფარნამ, — ასეც არ იქნება, წელს, მავალითად, ინსტიტუტებიდან, პირველკურსელები არა და, მეორე-მესამედან გაიწვიეს ახალგაზრდები.

— კი, მამა, კი! — დაეთანხმა ვატუტი, დღეს უკვე სიტყვაძვირი რომ იყო, რაკი იცოდა, მისი ცოდვებისათვის აღარავის ეცალა.

— ახლა კიდევ სამხედრო ქარხნებში და ფაბრიკებში რა ხდება, ამას ჩვენ არავინ გვეტყვის... — თავი დააქნია ფარნამ და ლაღი მაშინვე გუმანით მიხვდა, ამის მეტს აქ ვერაფერს შეიტყობდა.

— რომ არ მეტყვის, ვიცი და ამიტომ იყო ამ შუღლამეზე ლემენცივით დაგვიით და შენს თჯახში ორი სიტყვა

არ დაგალაპარაკეთ, — ჭიქის წამოღუსვა ხელი, ბაკურის გაუწოდდა და დაიასხი ბიძია, ისე შენს ქორწილს მარსწრებს შენ პატრონს ღმერთი და ნუ გენალელება, ჩვენც არ გვეწყინოს. ასე საესეთ შენახეთ! — გალიცილიცებული ჭიქა მალლა ასწია, — გამარჯვება და ბედნიერება დაგვიტოვებია... — ერთი მოსმით დაცალა, თვითსა და ხელს შუა აივანზე გაჩნდა და ძაღლის შიში რომ არ ჰქონოდა, ალბათ ეზოდანაც გაილალებოდა.

როცა ფარნამ სტუმრები გააცილა და უკან მობრუნდა, ლუკამ ისევ დანჯღრეული ხმით, მაგრამ დინჯად ეს ჩაილაპარაკა:

— არ ვიცი, ჩვენ გავანათლებლადი, თუ მან აგვიხილა თვალები.

## II

როცა ქალები გაიკრიფნენ და მამუკაც თვალთავან გაქრა, მარჯვენა იდაყვით მაგიდაზე დაყრდნობილი ფარნა გაშლილ ხელს ლოყით დაენდო და ძმას სახეში შეაჩერდა.

— თითქოს ყველაფერი დაუჭერებელია, თუ ძნელად დასაჭერებელია.

— რაც მე ოთხი წლის წინ დამემართა და დღესაც ვერაფერი გამოგია...

— ხმაურით ამოიხტუნა ლუკამ, ორიოდე ჭიქა ლეინით ყვრიშალებშეფაკლელო, გატეტცილი სახე და ჩალამებული თვალები მოისრისა.

— დაილაღე? შენი ამდენხანს უძილობა არ ივარგებს.

— ნეტავ ვინ ფიქრობს, ვისთვის რა ივარგებს და რა არა!

— ვითომ არავინ? — ფარნამ შიხედ-მოიხედა. ხელში თეფშზე დაბრილი ვატუტი და საგონებელში წასული ბაკური შერჩა, რომელიც თავის წინ, მაგიდაზე ჩამოდგმულ დოქის ყელს ორივე ხელით მოხვეოდა, შუბლით კი სახელურის დაბჯენოდა.

— ადამიანი მუდამ თავის თავზე ფიქრობდა, — ხელები ცხვირსახოცზე შეიწმინდა ვატუტემ, რაკი დედაშის,

დღეს მით უმეტეს, ხელსაბოკების მოტანა დაეწეებოდა.

— ასე გამოდის, — თავი შეუმჩნევლად დაქნია ბიძამ და ფანჯრის ქვედა მინებზე ნაოჭყარილი მიტკლის ფარდებს ზევით ბნელს მიაშტერდა.

— ამოდენა ისტორიის გაკვეთილები და გენიოსების ათასწლიანი აზროვნება მამ წყალში ჩაიყარა? — ვერ დაეთანხმა შვილსა და ძმას ოჯახის უფროსი.

დოქის საბელურზე შებღდაყრდნობილმა ბაკურმა თავი აიღო, მამას მოაჩერდა.

— ყოველნაირი აზროვნება, ბოლოსდაბოლოს, ეს იყო, რომ ადამიანი დაეცვა მისი ყველაზე უსაშინელესი მტრისაგან — ადამიანისაგან!

— აადამიანი — აადამიანისაგან?! — ხმადაბლა ჰკითხა თითქოს თავისთვის ლეონმა, ისე რომ არც არავისთვის შეუხებლავს და ბიძისთვის არც პასუხი მოუთხოვია.

— აბელი და კენი, კენი და აბელი? — ისევ უფროს ძმას შეეპასუხა ფარნა.

— არც მეტი და არც ნაკლები.

— მაგრამ მაინც ძმები, — კვერი დაუქრა ბიძას ვატუტიმ.

— ძმები არა... მამა! — თითქოს საშველად მოუხმოთ, ისე უმწეოდ მოაშტერდა სუფრის თავს ბაკური.

— ვილაც ცოფიანი ვი-ვიინდარა... — ახსნა თავის მხრივ ლეონმა.

— იმაზე, ალბათ, კიდევ უარესს იტყვის ისტორია. — მამამ შვილებს მეტი ვერაფერი სასუგემო ვერ უთხრა. — მაშინ რა გამოდის, რომ ადამიანი ისტორიის, რალაციის თუ ვილაციის მანქანაა და ძმები არაფერ ბრალში არ არიან, პა, ბიძია?

— რა ვიცი. ეგ თქვენი ისტორია ვივინდარებზე ყველაზე მეტს ლაპარაკობს... — ლუკამ ფარნას უპასუხა და ერთგვარად ბაკურსაც დაეთანხმა, — ამოდენა ტომებს რომ გადავფურცლავ, იქ არც ლუკა ამადლობელია ნახსენები და არც მისი ძმა. ეტყობა ამ ვივინდარებმა ჩვენზე უკეთესად იციან, რათა დაამახსოვრონ თავი შთამომავლობას. ყველა ქვეყანა იმ მეფით მეტს ამაცობს, ვინც მეზობლების მეტი სისხლი დალია, ვინც თავისი ქვეყნის საზღვრები შორს გასწია. ეს ვივინდარად ადგა ახლა და რაკი ჰგონია, ამისათვის დაუდგამენ ძეგლს, ელეტს თავისასაც და სხვისასაც.

— მიმიფურთხებია ასეთი ძეგლისათვის! — არც კი შეხედა ბაკურს და ბიძას ჰკითხა: — მაშინ, მე ვინ ვყოფილვარ?

— მიამფურთხებ? — საწერწყვე ჯირკვალს ამოგვეთავს და ამას თვითონ კი არ გააკეთებს, მე მიბრძანებს — შენს ექიმ ძმას.

— და შენ, თუ თოჯინა ხარ, ამომპირი...

— მე არ ამოგპირი, მაგრამ ამისათვის ლეონს მოუხმობს, რომ მარჯვენა წამაცალოს, არც ლეონი იზამს ამას და მამუკას დაავალებს ლეონის თავი სინზე დადებულ მოართვას.

— მოიცა, მოიცა! — შეაჩერა ფარნამ, რაკი ვატუტიმ ორივე ხელი გაშალა და ახლა უფრო ვრცელი და ამაზრზენი არგუმენტების ვადმოსალაგებლად მოემზადა.

— საუბედუროდ ასე ხდებოდა ეს ძველ ომებში... — ლუკამ ძმას გადახედდა.

— არა მასე! — თავი ჯიუტად გააქნია ფარნამ. ძმა თუ ამ ისტორიულ ანბედიობას გულისტკივილით ეთანხმებოდა, შვილი თითქოს შერიგებოდა. — არა ასე! სისხლისმღვრელი არც მაშინ გაუხდია ხალხს ყერბად.

— ჩვენი მტრები თავდამსხმელი ჩვენთვის იყო, თორემ მისი ქვეყნისათვის ის უბრალოდ საზღვრებს აფართოებდა, — ჯერ ხიხინმა და მერე ხველამ მოუხწრო ლუკას.

— მე ისტორიკოსი არა ვარ... — მხრები აიჩეჩა და თავიც კი მოისაწყვლა ვატუტიმ, — მაგრამ მონღოლები, რომაელები, არაბები... ალექსანდრე მა-

კედონელი და აგერ, ამასწინედ ურან-გები... ნაპოლეონი...

— მაკედონელის გვერდით არავის დავიწყებია არისტოტელე და დიოგენი. ბერძნებიც... ბერძნულმა ფილოსოფიამ, მეცნიერებამ და ხელოვნებამ...

— მოიცა ფარნა! — ლუკამ სული მოთქვა და ძმა შეაჩერა, — მერე რომ გულზე არ ვაღამვარდეს, ისედაც არეული მაქვს გონება. შენ თვითონ თქვი, მაკედონელის გვერდით არისტოტელე გვერდით — მაკედონელის შემდეგ და არა უწინ. მე შენ უარესს ვეტყვი. არისტოტელეს რომ არ აღეზარდა ალექსანდრე, ის ასე შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი და სტრატეგი ვერ იქნებოდა. ისე შეუცდომლად ვერ შეაფასებდა იმდროინდელ მსოფლიო ვითარებას და მე რომ მკითხობ, უფრო ნაკლებს დაიპყრობდა, ნაკლებ სისხლს დაღვრიდა.

— არისტოტელემ აბა კაცის კვლა ასწავლა?! — დოქი გასწია ბაკურმა და წამოადგა, — თუ მაინც არ იცოდა, რას აკეთებდა?

— გამოდის, რომ ძალიან კარვად ასწავლა! — ძმას ახედა ვატუტიმ.

— არა, — იუარა ლუკამ, — არ ასწავლა, ეს მან თავისთავად კაენიდან იცოდა, რასთანაც არისტოტელე ვერაფერს გახდა. სხვა მხრივ კი ჩინებულად გაანათლა, რაც მას იმ უზარმაზარ ქლიტვაში გამოადგა. უნიჭო და უთაურმა მეფეებმა, ამის სტრატეგიისა რომ არაფერი გაეგებოდათ და პოლიტიკაში ბეცები იყვნენ, სინამდვილეში ყველაზე ნაკლები დედები აატირეს, მაგრამ რას ამბობს მათზე ისტორია? — ისევ ძმას მოხედა.

— სიცილით კვდება... — გაიცინა ვატუტიმ.

— არა, — იუარა ფარნამ, — იმ უთაურმა და მოუქნელმა მეფეებმა თავის ქვეყნის უფრო მეტ დედას ჩააცვეს შავები.

— ეგ სულერთია, ქართველი ქალი ჩაიცვამს შავს თუ თათრის ქალი. აქ ლაპარაკია რაოდენობაზე და რაც დრო

გადის, რაც წინ მიდის ადამიანის აზროვნება, მით უფრო იზრდება შაოსანთა და თვალატირებულთა რიცხვი. მაკედონია და მთელი მაშინდელი საბერძნეთი სულ არ იყო იმოდენა, რაც ნაპოლეონმა ხალხი გაწყვიტა. ამ ომში ალბათ პროპორციულად გაიზრდება დახოცილთა რიცხვი, რაკი ცხენისა და სპილოს ომი ახლა ტანკებითა და თვითმფრინავებით ომს ვერ გაუტოლდება.

— და უფრო დიდ ძეგლსაც ის დაიდგამს, ვინც მიტს...

— მოიცა შენი! — გაწყრა ფარნა, — ძეგლი, ძეგლი... ვისი ძეგლებიც დადგა ისტორიამ, ისინი ხალხების დარბევისათვის არ დადგმულა. მათ ყაცობრიობას, მართალია, უწინარეს ყოვლისა, თავის ქვეყანას, მაგრამ მაინც პროგრესი და კულტურა მოუტანეს, არც ასეა, მეფე რომ ვუძახობ... ყველა მეფე ხომ ტირანად არ უნდა გავიგოთ. არაბები, ბერძნები, რომაელები... მარტო კაცის კვლად უნდა გვესმოდეს?

— ვითომ თავის ქვეყნის სახდერებს არ გაცილებიან! — ჩაიჭიჩქილა ვატუტიმ და ბაკურს მოხედა, თითქოს ეს მამას კი არა, ძმას ეთქვას.

— მონღოლები? — იკითხა ლუკამ, გაცრეცილ სახეზე რომ ავადმყოფურ ვარდისფერს აქვრელებინა. — რა მოუტანა ყაცობრიობის მონღოლების შემოსევამ. ჩვენ ამ დროს „ვეფხისტყაოსანს“ ვწერდით და აკადემიებში ლექციებს ვისმენდით. იმ ბარბაროსულმა ტალღამ ისე წავგლეჯა, საუყუნების მანძილზე უკვე დაწერილის წაკითხვას ვეღარ ვაბამდით თავს, ახლის შექმნაზე რომ არაფერი ვთქვით და რომ რუსეთს არ შეეჩერებინა ეს წარღვნა, ვინ იცის რა დაგვემართებოდა...

— და ჩინგის-ხანი და ბათო-ხანი რომელიმე მშვიდობისმოყვარე დემოკრატ მეფეებზე საეალალოდ არ გამოიყურებიან ისტორიაში, — ისევ ძმას გადაუდგლო ვატუტიმ.

— ვინ ამბობს რომ ომებს პროგრესი მოჰქონდა, ან თუ მოჰქონდა, ის იმის ანაზღაურებაც არ იყო, რაც ინგ-

რეოდა და ნადგურდებოდა, — ჩათვლემილ ლეონს მხარზე ხელი დაკრა ფარნამ და ანიშნა: წადი, დაწეო, — ქვეყნის დასაბამადან დღემდე კაცის ცხოვრება ამოუხსნელი ძნელბედობითაა აღსავსე...

— ასეა, ჩემო ბიძია, ასე! — თავის კანტურით წამოიძარტა ლუკა, ბაკურს მხრებაწურული ჩააჩერდა და ჩათეთქვილი ტუჩები მოისრისა.

— ალბათ, ხვალ ქედზე კაცს გაიწვევენ, — ფარნას ამ ნათქვამს თითქოს გულ-ღვიძლიდან ნადველი ამოჰყოლოდეს, პირი მძლავრ სიმწარით გავესო და აივანზე გავიდა ვადასაფურთხებლად.

— რატომ ხვალ, დღესვე. კიდევ რაღას უნდა ელოდონ. არ ეყოთ, რაც ელოდნენ და იტყუეს თავი?

— კი, კი, ასე იქნება ბიძაჩემო. — უკანა კარებთან მოხედა ვატუტიმ, — შენ ჰქვიანი კაცი ხარ, არაფერი შეგეშლება.

— აბა, ბიძია, იდეა, მიზანი, მომავალი... ეს როგორ, ყველაფერი მოგონილია? — ლუკას გვერდით დაუდგა ბაკური და მისი ხელი მხარზე გადაიდო, — ასე შეიძლება ვილაცის ხელმძღვრზე დანიგრეს?

— არა, შეალო. მოგონილიაო, ვინ თქვა. ყველა აღამიანს აქვს თავისი... როგორ ვითხრა... — ამოახველა ლუკამ და ხმა, იმის მაგიერ, რომ ჩაწმენდოდა, უფრო ხლიჩინა გაუხდა, — ჰო, თავისი რწმენა გააჩნია და ვინ, რა ვივინდარაც არ უნდა შემოგედავოს, რა ქვა და ლოდიც არ უნდა დაგიშინოს, ის შინც თან გახლავს. როცა გედავებიან, ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ შენ უარი თქვა. პირიქით — უნდა იცავდე იმას, რისთვისაც საშველს არ გაძლევენ.

— ლუკა, ხომ არ გადაიდალე?... — მიადევნა კიბეებზე ჩამავალ მძას და შეიღს ფარნამ, — ეჰ, შენი ამდენხანს უძილობა და ნერვების გლეჯვა შეიძლებოდა?... —

— ომი მართო ჯარისკაცს კი არ ებრძვის.

— თუ კაცი ხარ, იმ აივანზე რომ

წევები, თბილად მიინც დაიხურე... ხაზანი არ ვადაგძერეს...

— აბა, მე სახლში დავიწითლებოდა... შენ არ გაიგონო, ბიჭო! — ბაკურს ხელი მხარზე დაუთათუნა, — ისეთი მართლა კი არაფერი მჭირს, მაგრამ ხომ იცი, თავს ვიფერებ, რომ უფრო თბილად და სიყვარულით მომეკეთ. რა ვქნა, ახლა ვამიდის და ვტირივარ...

ბაკურს გული მოეწურა.

— ვიცი, არაფერია... მაგრამ აბასთუმანში არ უნდა წასულიყავი? აბასთუმანში დადის თეკლას დედა აგერ რამდენი ხანია და ამბობენ, უკეთაო.

— აბასთუმანი და აგარაკები კი არა, ჩემო შევილო, იქცევა ქვეყანა!

— ლუკა ბიძია, ვითომ მამუკასაც გაიწვევენ?

— რა ვიცი, არაა იმ ხნის, თუ?

— თვრამეტისაა, მეცხრამეტეშია.

— მგონი, ჯერ არა. ინსტიტუტი?

— უნივერსიტეტი უშველის რამეს?

— პირველი კურსი ხომ დაამთავრა, აუ ვადაყვა ხელს?..

— კი, კი, ბიძია, როგორ არა... პირიქით, უკეთესად, კარგად...

— ჰოდა, იქნებ, ჯერ არ გაიწვიონ, და ამასობაში დამთავრდეს კიდევ.

— ვინ იცის...

— შენ, ვატუტის და ლეონს... თუმცა ვატუტის არა.

— ვატუტი არც სავალდებულოში წაუყვანიათ. მე კი ვიყავი დაძახებული, მაგრამ კურსის დახურვა მაცალეს, იგივე კომისარს უნდა ვუმადლო... თუმცა კარგადაც არ ვიყავი.

— რავე, ავადმყოფობ, ბიჭო?

— არა, ის რაღაც რომ...

— რავე, მართლა იჩხუბე, თუ?!

— მე?!

— იმიტომ გკითხე... მასე ვერ გააღებ... ქიშკარს, რგოლი აქვს ჩამოცმული...

— ვიცი...

— უკან რომ დაბრუნდები, ისევ ჩამოაგე, არ დაგაიწყადეს. თუმცა... რომ დარჩე?

— არა, ახლავე უნდა დაებრუნდე.

— ჩვენთან ჭკრ არ ვაგითევია დამე, თუ?

— კი, მაგრამ, თქვენთან ხომ ის ვოგოა...

— ჰო, ის ვოგოა...

— მაშუკა რომ წაიყვანონ, ის ვოგო მეცოდება. იცი, როგორ უყვარს? ისედაც დაჩაგრულია, საწყალი...

— რა დროს მავის ცოლია, თორემ... შენ ის, ვატუტიზე მითხარი, მართალია? რაო, იმ ოფიცერმა...

— მე რა ვიცოდი და ვადავირიე, ჩემს ძმაზე რას ჩმახავს-მეთქი.

— არ გინახავს ის ქალი და მართლა არ იცოდა?

— მინახავს, მაგრამ ვისი ცოლი იყო და რა იყო, ვატუტი მე მეტყობა?

— შეარცხენია ღმერთმა!..

— თურმე ის კაცი მართალი ყოფილა და არ მცოდნია. საუბედუროდ, ამ სამ წელიწადში ბევრი რამ ვისწავლე, თურმე ძმა რომ ძმაა, არც მისი ცნობა ყოფილა იოლი...

— მერე, ვატუტიმ, რაო?

— ვუთხარი, რათ გინდა, შენზე უფროსია, თანაც რალაც-რალაცები არ მომეწონა... უტიფარი მომეჩვენა. ამას შენ გუბუნები, ბიძია, თანაც ნაქმარე-ვიაო, ასე ვიცოდი. თურმე... მერე იმ კაცმა... მამაჩემთან არ წამოგვდეს ბიძია, ნეკნი მქონდა ვატეხილი... მამინ ჭარიდანაც ამიტომ... დამტოვეს... მამა რომ ეუბნებოდა ლადის, მართალია, ინსტიტუტებიდან გაიწვიეს სტუდენტობა პირველკურსელების და დამამთავრებულების ვარდა.

— ალბათ ბიძია, აბა, მართლა ჭურში ხომ არ ისხდნენ, რომ არ დაენახათ, რა უბედურება ტრიალებდა... ვერ გააღდე, ხომ? მაცალე, ბიძია, მაგ ჭიშკარს შენ კი არა, მეც ვეღარაფერს ვუხერხებ. ვაოხრდა და ვავერანდა ეზო-გარემო. ვოგოების პატრონი ნახევრად უშვილიძირია. ამიტომ უხაროდათ ვაყის ვაჩენა...

— ახლა ვაყი და ქალი ერთია, ბიძაჩემო...

— ახლა ჰო... თქვენც სადღაც ხართ

ვადაცენილი და კიდევ ვინ იცის, საით ვიკრავენ თავს... არ იღებ, მაგ დასაწყვავი? ქვევით გამოუყარავს... მიგნიდან მავთული ბიკოლაშენს. საწყალი, ის რალაცას ცოდვილობს, თორემ მე რომ რაიმე შემიძლია, მეტი არ შეიძლება, ვინც მე უდანაშაულოდ...

ბაკური ვახევედა.

— რა დაგემართა ბიჭო, ავერ ალაგებ ვადადი და მერე ხელი მომავეველე...

ბაკური მალალ ალაგედან ეზოში ვადავიდა და ლუკას უსიცოცხლო ხელები შეაშველა:

— რა მოგივიდა?

— არაფერო... რა ვიცი...

— ისე არ დაგლახაკდე, მტრობა გულში არ ჩაიდო, ვაუტანელი კაცი მტრობის კი არა, ზიზღის ღირსიც არაა.

მეზობლიდან ხმაური და ხმამალალი ლაპარაკი მოისმა.

— არქიფოა? — ამოისუნთქა ბაკურმა და თავისი თავის შერცხვა, მეზობლის უსიამოვნებამ რომ უწამლა.

— არქიფოა, ბიძია. დალია ალბათ ამ ჭავრიან გულზე, ქაქანებს... ისედაც ყველა ოჯახში დულს კვაწია, ახლა კიდევ ნავით და ვაგანია დაუსხეს და რა ვასაკვირია.

— რატომ, სახლში შინაურებს რას ერჩის. ცოლ-შვილმა რა დააშავა, — ისე იყითხა, თითქოს მრუდის და მართლის ვარჩევის თავი ჰქონოდა.

— ეპ, ჩემო ძმისშვილო, კაცს რომ უჭირს, ახლა აქედან ვერმანიას ვერ მისწვდება და გამწარებული ვინც ხელში მოჰყვება, იმას ეცემა. იმიტომ კი არა, რომ მაინცდამაინც იმის ბრალია. ქვეყნად რამდენი უდანაშაულო ისჯება, რომ იცოდენ... ვაგჩერდეთ ავერ ეზოში, ცოტა ჰერს ჩავისუნთქე... ახლა კიდევ უარესი ამბავი დატრიალდება. ვახსოვდეს, რაც არ უნდა ვასაჭირო ჩავარდე და რაც არ უნდა უსამართლოდ მოგვექცენ...

— უსამართლოდ მომექცენ?...

— მოიცა, მომისმინე!.. ომში ეძებ



შენ სამართალს კი არა, ისე ჭირს მაგი, შე დალოცვილო... ომი თავისთავად უსამართლობა და მისგან რა წესსა და რიგს მოითხოვ.

— მაგრამ ჩვენი ომი ხომ სამართლიანია.

— კი, თუ თავში ვირტყამენ, ბოლოსდაბოლოს, გაანძრევ შენც ხელს, ამა რა მოგივა, მაგრამ ერთი რამ ყოველთვის დიხსომე: კარგს არაფერს ელოდო და ეტუდი არ გაგიკვირდეს, ყველაზე საშინელი და საძაგელი რაცაა, ის წარმოიდგინე: თუ გაგიმართლა და გვარიანს ეწიე, ბედნიერებად ჩათვლი, აგერ, შე რომ მიყურებ და გებრალეები... გაჩუმდი, მაცალე ლაპარაკი. ჩემზე ბედნიერი კაცი არ შეგულება, ჩემს ეზოში, კონინდარში რომ ვდგავარ და შენს მხარზე ხელი მაქვს გადახვეული...

— ომი რომ დამთავრდება...

— დამთავრებამდე ბარე ორი ტუჩა იკოვლებს.

— მაგრამ მიდღემში ხომ არ იქნება!

— იმდენს მაინც გაგრძელდება, მე რომ ვერ მოვესწრო...

— ბიძია!

— ალბათ შე ვცდები... კარგია ახლა, მეყოფა მე... — სუნთქვა შეუფერხდა, — წადი, წაადი!

ბაკურმა ფეხი არ მოიცივალა.

— კარგა ხანია, ჩვენ სალაპარაკოდ არ მოგვიცლია... შენ ფიქრს ჩაიკიდებულის ბიჭი ხარ, ეს უმალღესებიც ხშირად ვერ იძლევიან იმას, რასაც მოვიტხოვთ და ეტყობა, ბევრი თავსატეხი დაგიგროვდა.

\* — ჰო, მეშინია არ ვცდებოდე. შენი და მამაჩემის აზრიც მინდა ვიცოდე.

— იმის თაობაზე, სიმართლე რატომ მოითხოვს დაუსრულებლად მსხვერპლს?

— არა, მხოლოდ ეს რომ იყოს, მაინც გასაგები იქნება.

— და ბოლოსდაბოლოს ბოროტებას თუ მოედება ბოლო?

— ესეც შესისს.

— რაც კაცმა უნდა იცოდეს, გეოდნია...

— არა, მინდა გამაგებინო; ეს კარგა ხნის ამბავია, მაგრამ ასეთი რამ ახლაც ხდება. ჩემი ტოლი იყო დომენტი კირთაძის ბიჭი და წყალში დაიდრჩო. ეს ერთი ათი წლის წინ მოხდა. რას შეეწირა ამოდენა მსხვერპლი, რომელ სიმართლეს და რა ბოროტება დათრგუნა იმ უცოდველმა?..

— აჰ?..

— ჰო, რატომ?

— ამაზე ერთ დროს იძლეოდა ღმერთი რალაც საზარელ პასუხს, თითქოს მშობლის ცოდვების გამო. შენ თვითონ რას ფიქრობ?

— შე მას აქეთ, მგონია, გაგიკვირდება, მაგრამ მაშინაც ასე მეგონა: განებივრებულ, ჭირვეულ ბავშვს რომ უამრავი თოჯინა აქვს, ერთი ხელიდან გაუვარდა და წყალმა წაილო...

— ბავშვს?..

— ჰო, ჭირვეულ ბავშვს რომ უამრავი თოჯინა აქვს...

— ერთი გაუვარდა?

— გაუვარდა და წყალმა წაილო...

ლუკას სულისშემბუთველი ხველა აუტყდა.

— სიცივემ დამკრა...

ბაკური გულდამძიმებული უსიტყვოდ გაშორდა ბიძას და ჭიშკრისაკენ წავიდა.

ფარნა ამალღობელი ფეტივიით დაიბნა, მის ისედაც თავბოლო გაუფრებელ ცხოვრებას ომი ბოშბივით დაეცა, კაცი ოთხივე მხარეს გაფანტა.

იგი ყოველთვის ხედავდა წინ რაღაცას, რისთვისაც ადამიანის არსებობა ღირდა; იმის გარდა, რომ დათესავ თხილს — ამოვა თხილი, დარგავ ვაზს — დაისხამს ყურძენს, ასწავლი ბავშვს ანბანს და წაიკითხავს წიგნს, ამ ყოველდღიურობის გარდა, მის ჰქონდა შორის გასახელი; იქნებ ის ყოველთვის თვალნათლივ დასანახავი არ იყო, მაგ-

რამ იყო ასე თუ ისე, მის არსებობას ყოველთვის ამართლებდა რაღაცა; ვენახს რომ ძირში უბარაედა, ეს ამ ძირდალოცვილს სჭირდებოდა ნაყოფის მოსაცემად; რაც აღამიანმა ბარს ხელი მოჰკიდა, ეს ყველამ იცოდა იმ დღიდან, მაგრამ კაცი ფიქრობდა იმაზეც, რა იღო ამ მიწაში უფრო ღრმად, რასაც ვერც გლეხის დაკრული ბარის პირი წვდებოდა და ვერც ვენახის ფესვი. ყველა მცენარე იწოვს მიწიდან წვეწვლად იძლევა მოსავალს. ამით ქვეყნები ერთმანეთს ჰკვანან. მაგრამ სხვადასხვა ქვეყნის მიწა სხვადასხვა საუნჯეს ინახავს, რითაც ისინი ერთმანეთისაგან ძალიან განსხვავდებიან.

მიწას წიგნივით უნდა წაკითხვა.

ყველამ, ვინც უხსოვარ ღროიდან დღემდე ამ მიწაზე იცხოვრა, თავისი ღრმა კვალი გაავლო — თავისი წიგნი დასწერა და დატოვა. ამ მატრიანის წაუკითხავად შთამომავლობა იგივეა, რაც ტრაქტორი, ან რაიმე მანქანა, რომელიც კაცზე უკეთესად და ღრმად მოხნავს, დათესავს და მოიმეცის, დაფქვავს და გამოაცხობს.

აი, ახლაც წამოიწყეს ომი. ამ ომშიც, ისე როგორც პირველ სისხლისღვრაში, რაც დედამიწაზე მოხდა, დაიწყება მკვლელობა. დაიწყება კი არა, უკვე დაიწყო. ჩვენ ვიქნებით სამართლიანი, რაკი თავს ვიცავთ, მაგრამ თავის მხრივ, ალბათ, ისიც რაღაც საბაბს ჩაეჭიდება. ჩვენ ჩვენსას ვიტყვი, ის თავისას იძახებს. ჩვენ ჩვენი სიმართლისათვის გავწყდებით და ის კიდევ თავისი „მიზნისათვის“ გასწირავს სიცოცხლეს. მაგრამ ჩვენი სიმართლე ეცოდინება სხვა დროის კაცსაც, რომელიც ამას ყველაფერს გულმშვიდად ვადაფურცლავს და ფარნასავით გამწარებული არ იქნება, რადგან მისი შვილები ამ ელექტვაში სისხლს არ დაღვრიან.

ფარნას ახლა გულმშვიდად შეუძლია ვადაშალოს კოლხთა მეფის — აეტის ცხოვრების მატრიანე და გული კი არ დაეთუთქოს, რომ ასე ავაზაკურად, მუხანათურად შემოიპარნენ ბერძნები,

არამედ ამის იქით დაინახოს კოლხების ძლიერება. ამან შეიძლება სიამაყეც კი აგრძნობინოს, რადგან მაშინდელ მშენებარე ბერძნებს ძალი არ შესწევდათ პირისპირ, თანასწორი ბრძოლა გაემართათ კოლხებთან. ფარნა, ოთხი ვაჟიშვილის მამა, დღესაც კი, როცა ახალი ომი კარხეა მომდგარი, ვერ დაინახავს აეტის მწუხარებას უგულადესი აფსირიტის ვერაგულად დაღუპვის გამო, როცა მისი მშვენიერი სხეული, მტერსაც რომ დაენანა, ნაჭერ-ნაჭერ დაჩეხეს და ღალატის კუნძულზე სხვადასხვა ადგილას გადამალეს, რაკი იცოდნენ, კოლხები სანამ მკვდარს არ დაიტრებდნენ და მიწას არ მოიბარებდნენ, მტრისთვის ვერ მოიცილდნენ. დღევანდელ მკითხველს აქ ის თუ დაინტერესებს, რაოდენ ძლიერი და სწრაფმავალი უნდა ყოფილიყო აეტის ფლოტი, რომ სახელგანთქმულ არგოს, რომელსაც მოტაცებული მზეთუნახავი — მედეაც გემზე ჰყავდა და ოქროს საწმისიც ხელთ ეხურა, სამარცხვინო გაქცევიდაც კი არ შეეძლო თავისთვის ეშველა. საკმარისი არც ის ყოფილა, აფსირიტის გვამი რომ ხელუხლებლად დაეგდოთ. როცა ჭირისუფალნი კუნძულზე მოვიდოდნენ, გადაასვენებდნენ სასახლეში და დაიტრებდნენ ქვეყნისა და მეფის წულს, მერე კოლხური მოთქმა და ზარი, ახლაც რომ მთელ კვირაზე მეტს გრძელდება... ანგარიშიანი მტრის ვარაუდით, არც ეს ყოფილა საკმარისი, რომ აეტისაგან თავი დაეღწიათ. ვინ იცის რამდენხანს უნდა ეძებნათ საგანგებოდ ვადაშალული, ისედაც უღვთოდ მოკლული ვაჟაკის დაფლეთილი სხეული გაუვლად უღრანებში.

ამის შემდეგაც ვერ გაასწრო საგანგებოდ აგებულმა და გვირგვით დატვირთულმა არგომ. ისევე მუხანათობა და ვერაგობა დასჭირდათ ბერძნებს და იმ ქვეყანასაც, ვინც მათ მფარველობდა, რომ კოლხთა რისხვა აეცილებინათ.

ვინმე იტყვის, ეს ლეგენდააო. არის ლეგენდები, რომელთაც ცოტა აქვთ სა-

ერთი ისტორიულ სინამდვილესთან და ეს ამბავიც რომ ქართველებს შეე-  
თხნათ, ბევრი რამ არ იქნებოდა სარ-  
წმუნო.

— მამა! — კარებში თავი შემოეყო  
ბაკურს ისე ფრთხილად, ფარნას არა-  
ფერი გაუგია.

— რა იყო?

— გეძინა?

— იცი შენ, რომ არ მეძინა...

— ჰო, მამა...

— თქვი, კიდევ რაიმე ახალი უბე-  
ღურებაა?

— არა, აი, მამუკა...

— რა დემართა მაგ ბიჭს?!

— ისეთი... არაფერი...

— თქვენ მარტო ის იცით... ფარ-  
ნამ ლოგინიდან ფეხები ჩამოუშვა და  
წელზე საბანძოხვეულმა შარვალში  
წაპყო.

— უნდა წავიდეს

— სად?

— მამა...

— ჰო, თბილისში?...

— ზომ უნდა წაიყვანოს...

— უნდა წაიყვანოს?..

ბაკურის გაუკვირდა: ნუთუ მამას  
აქამდე არ უფიქრია ამაზე, ეს უცხო  
გოგო ამ არეულ-დარეულ დროს რომ  
აქ შემოიჩინა.

— აბა, რა ჰქნას?..

— ჰო, ალბათ...

ისევ გაუკვირდა მამისაგან ბაკურის  
ეს „ალბათ“, რაც მისგან საყოყმანოზე-  
დაც ძალიან ძვირად სმენია. ახლა რა  
იყო აქ საალბათო, აბა აქ დატოვებას  
აპირებდა თუ?

— მატარებელზე მე გავაცილებ...  
— კარგი, კარგი... — შარვლის სა-  
თავე საბნის ქვეშ შეაძვრინა და წა-  
მოღვა, — წადი, რალაცა საუბრემ მოა-  
ხერხებინე დედაშენს... თუ არ იცით,  
რა თავმოუბმელიც გყავთ. სანამ მაგი,  
მით უმეტეს ახლა, რაიმეს მოაცოდვი-  
ლებს, მატარებელი კი არა...

ბაკური კარები გაიხურა.

ფარნა თვითონაც გააკვირვა ამ ორ-  
ჭოფობამ, რაც შვილის და „რძლის“

წასვლით თუ წაუსვლელობით დამე-  
თა („რძალს“ ფიქრშიაც ბრწყალები  
დაუსვა), ნაწყენს გუნებაში გაეღრმე-  
ახლა ამის დრო იყო? ეს რა ახალი  
თავსატეხი გაუჩინა ამ ღლაპმა?..

არა, ეს ბიჭი თავიდანვე რალაცნაი-  
რი დაიბადა და გაიზარდა.

„რალაცნაირი“... — მამამ უკეთე-  
სად იცოდა ამ სიტყვის მნიშვნელობა.

„რალაცნაირი“ — ახლანდელი პრაქ-  
ტიკული ცხოვრებისათვის შეუფერებე-  
ლი. დღეს რომანტიკამ და ცაზე ვარსკ-  
ვლავების კრეფამ ყოველგვარი საფუძ-  
ველი დაკარგა.

„მამუკა ბიძამისს ჰგავს, თუ ბაბუ-  
ჩემს, ხალხს ღრმა კეზიდან რომ არ ეკა-  
ჩა, სოფლისთვის თიბის მილებით წყა-  
ლის გამოყვანაზე მეოცნებე ბაბუას.  
მთელი საოცრება ის იყო, ახლომახლო  
სადმე მაღლობზე მთის ცივი ნაკადული  
რომ ყოფილიყო, რომელიც თავისი დი-  
ნებით წამოვიდოდა, იქნებ ეს იმ დრო-  
შიც არავის გაჰკვირვებოდა — ძველად  
ციხეებში და დარბაზებში შეჰყავდათ  
წყალი, მაგრამ ბაბუა მთის იქიდან, კო-  
დეს წყაროს გადმოყვანაზე ოცნებობ-  
და. არავინ იცის, რა ტუმბოებითა და  
ძრავებით უნდა გადმოეჭაჩა, მაგრამ  
ამისათვის მილების გამოსაწევი ქუ-  
დაც კი აევო ეზოს გადაღმა. იქვე, ახ-  
ლომახლო, ახლაც უამრავი ნამტვრევე-  
ბი ყრია, და პირველ მსოფლიო ომში  
რომ სადღაც არ წაეგო ის ფანტაზიე-  
ბით გამოტენილი თავი, ვინ იცის მისი  
კეუით, რა სასწაულის მოხდენას აპი-  
რებდა...“

ფარნა სამზადში შევიდა. ბაკური  
გობზე დახრილ დედამისს თავზე ადგა,  
ცალ ხელში მომინანქრებული ხელიანი  
ტოლჩა ეჭირა, მეორეში გარედან გამ-  
კვირტლული თუჯის ჩაიდანა, თბილ  
წყალს ტოლჩაში ჩაყრილ ნატეხ მა-  
რილს ასხამდა, ურევდა და მერე პურის  
ფქვილიან გობზე აწურავდა.

ფარნამ წყლიანი დოჭი გამოიტანა  
და ლაფაროში ხელ-პირის ბანას შეუღ-  
და.

„არა, ეს ბიჭი ბაბუაჩემივით წყლის გამოყვანას ან ქარის წისქვილების აშენებას არ აპირებს, მაგრამ რაღაც რომ სისხლში მისეული აქვს, არ უნდა ლაპარაკი. ისიც ასე დაბნეულ-თავდაჭერებული ყოფილა, თუ რაღაც ამგვარი...“

ბებიანები ბაზარში ენახა. ვიღაც გაჭირვებული ობოლი გოგო მეზობლებს წამოჰყოლოდა; თუ კაცმა არ იცის, ვის ან როგორ... უჯიშო, ქეციანი თხა ჰყოლოდა გასასყიდლად. მაშინ თხის არვე შემოჰყავდათ მეგრელებს აქაურ ბაზარში. ვინ შეხედდათ ვიღაც გაჭირვებულ ობოლს და მის უჩილაგო წვერცანცარას, თუმცა გოგოს დიხაც შეეხედებოდა; წითელი დარაიის კაბა ცმია, თავისივე მოქსოვილი და შეკერილი, მაგრამ ფეხზე — ქალამნები. ბაბუსა მაშინვე თვალი დაუკრავს, როგორც კი ეს წითელკაბიანი ქალიშვილი და რქიანი ეშმაკი არუზრუზებულ ბაზარში შემოსულან, მაგრამ რაღაც კაპიკ-კაპიკ ნაგროვები გროშები ჰქონებია, იქნებ ერთი ჯაგლაგი ვიყიდოო. თხა და ცხვარი რაში ეპრიანებოდა.

მივა, დახედავს, გადმოხედავს ცხენებს. ვინც მყიდველია და ჯიბეც არა აქვს ქესატად, უწინ იმის ჯერია. რასაც თვალი დაედგმება, შენ ვინ მოგაყარებს. გამობრუნდება, მიიარს, მოიარს. იქნებ ვაიცილოს ის, რაც მას არ ვრგება და მერე გამოჩნდეს რაიმე, რასაც მისი ჯიბე შესწვდება. მკედლების უბანში გასწევს. იქ ერთი ნაცნობი ეგულეობა. იმ დღეს, ჯიბრზე ის კაციც არ ჩანს. მის ქურას და გრდემლს, ლაზარეს უცხვირპირთ შეგირდი დაჰპატრონებია. „სადაა ლაზარე?“, „არაა ლაზარე...“, „რა დაემართა იმ კაცს?“, „აგერ თონი, ეგერ ნაჯახი და ნამგალი. რად გინდა ლაზარე?“, „კაცო, მინდა. ვიცნობ— მიცნობს...“, „ჰოო, იქნება...“, „კარგად იყოს და არ დავეძებ, თუ არ იქნება...“ აბა, აქეთ ერთ მეწვრილმანე ებრაელს მიადგება, იქნებ მახათი გამოართვას.

სადგისს იოლად გააქეთებს კაცი, მახათის უღწის გაქეთება ჭირს... კი არის მახათი, მაგრამ ჯერ არ იყო მზარი და შიგ ჩაუშვეს წყალიო. აბა, მახათის ტუტელი რაა, მაგრამ დააკლდება... ცხენი თუ გეყოლება, მახათი რად გინდა, ფეხსაცმელს რა გავიცვეტს... ახლა საით წაივლეს?.. მექოთნეებთან ხომ არა, არა, საყიდელზე კი არა, ისე ესაუბროს, უფრო მაგრად როგორ გამოიწვას თხისს ჰურჭელი, ან მილი რომ ქეასავით, რკინასავით იქცეს... და ხედავს, ის წითელკაბიანი გოგო დგას, თხისთვის რქაში რომ წითელი კაპიკის ღელურჭი ჩაუბამს და არც მას ეკითხება ვინმე, ყიდის ამ ეშმაკის ფეხს, თუ იყიდა. ბაბუსა უნდა მივიდეს და ისე, უასილად მაინც შეეგვაროს, რომ ვინმემ დაინახოს და იფიქროს, ამ ქაჯთან წილნაყარსაც ჰყავს მუშტარიო. მაგრამ მაშინ ან ამდენი სითამამე სად იყო და ან ამდენი ეშმაკობა. რაკი მართლა გუნებაში არ ედო, ვერც მისი მოჩვენებით გაქეთება მოახერხა. მექოთნეებს მიადგება, მექოთნეებს მუშტარი ჰგონიათ, დაცხებენ ჰურჭელს ქვა და რიყეს. დოქები, კოყები, ჰურები ახმაურდებიან. ბაბუსა შერცხვება, რომ ტყუილობრალოდ ამდენი აურზაური ატეხა და ისევ ცხენებს მიაციოთხავს. ცხენის ყიდვა იმას არ ნიშნავს, რომ ფული გაქვს, ივაკრებ, პორიდებით, აიღებ და გადაიხდი. ცხენს ყოველი ღერი ბალანი უნდა გაუსინჯო, კბილი და მუხლი, მკერდი და გავა, სისხლი და ჯიში, გვარი, სახელი და ქილაგი... ნაბიჯი და ჰკუა... თან ისეთი ფასი ესმის, დამლულრულივით უკან გამორბის, გამოარბის, გამორბის — აგერ ამ გოგოს ხედავს...“

ფარნამ დოქი სამზადის წინკარში მიდგა და ისევ ოდის უკანა კიბის საფეხურებს აჰყვა. პირსახოცი დაეწყნოდა.



### პირველი ნაწილი

მორს დამარჩა პირველი ნაწილი მთვარე,  
 პირველი ნაწილი ცა და დილის მზე.  
 მოგონებები რეკავენ ზარებს  
 და მამრუნებენ განვლილ ბილიკზე.  
 ბაბუას გვერდით ბუხართან ვთბები  
 და ჯირკს გიზგიზით სული ელევა.  
 გზაზე მომდევნე ბავშვობის წლები  
 ტკიბლ გალობად და ლამაზ ცრემლებად.  
 უღრუბლო მქონდა ბავშვობის წლები,  
 მეგონა, არვინ მყავდა ბადალი  
 და ჩემი ჯოხის უბელო ცხენით  
 ვიყავი დიდი ლაშქრის სარდალი.  
 დევების ქვაბებს ვარბევდი მუდამ  
 და ვაცოცხლებდი ქვის ქალაქს სტვირით.  
 მსარზე მგვიდა ზღაპრების გუდა,  
 თვითონაც ზღაპრის ვიყავი გმირი.  
 ხან ვედებოდი ღობეს და ყორღა,  
 ხანაც ლოდებით ვავსებდი გუბებს.

ვმწყემსავდი ხარებს,  
 ვმწყემსავდი ხბორებს  
 და უფრო ხშირად  
 ვმწყემსავდი ღრუბელს.  
 ფიქრის აფრებით,  
 ფიქრგამამაფრებით,  
 იმედებით და უიმედობით,  
 ჩვენ ბავშვობისას გვიყვარს ზღაპრები,  
 ვიზრდებით,  
 ზღაპრებს აღარ ვენდობით.  
 ბავშვობის წლებით მე ახლაც ვთბები,  
 იმ დღეებს სულში ჩამიჭრობს ვერვინ.  
 გარბოდნენ ჩემი ბავშვობის წლები  
 ასკინკილათი და ჯოხის ცხენით.  
 — იმ წლებმა ღურჯი ბინული მასვა,  
 წყარო — ათასი ოცნებით სასვე.  
 ჩვენი ბავშვობა არ მიდის არსად,  
 ეს ჩვენ მივდივართ სიბერის გზაზე.

### მ ბ ი

უღეთო ხანძარი გუგუნებს ირგვლივ,  
 იწვის ტანკი და იწვის აკვანი,  
 ინგრევა სახლი, ინგრევა ხიდი  
 და ირგვლივ დაჰქირს სული სატანის.  
 ქაოსს მოუცავს ომის გზა-კვლი  
 და წინ გახედვას ბურუსი გიშლის...

დღესაც წყველიან იმ ომს დედები,  
 ჩემს გულზედაც რომ გადაიარა,

სიკვდილს ვებრძოდით თავგამეტებით  
 და ვიშუშებდით მიწით იარაღს-  
 ომში ტყვიებს და ლუკმებს ვითვლიდით,  
 ბარათს ნაცრისფერ ქაღალდზე ვწერდით,  
 ეჰ, რამდენი ვნახე სიკვდილი,  
 მე ჩამიარა სიკვდილმა გვერდით.  
 ხან მზე მიბღვერდა, ხან ვარსკვლავითი,  
 ბრძოლებში მაინც იღბალი მდევდა,  
 იქ ბეწვის ხიდზეც ბევრჯერ გავედი



და გადავეური ტყვიების დელგმას.  
 ომმა უღმერთოდ მტანჯა-მასწავლა,  
 მაგრამ სული ვერ ამივსო ნაცრით,  
 ომმა სიმღერაც მკაცრი მასწავლა,  
 ომმა სიცოცხლე მასწავლა მკაცრი.  
 ომის გრიგალმა ბევრი ტრამალი  
 გადამატარა და ავი ჯიბრით  
 დაკარგა ჩემი ლექსი მრავალი,  
 ნატვრა, ოცნება, მზიანი ფიქრი.  
 იქ ტყვიას ისევე ტყვია იცავდა,  
 ჭარბობდა ფერი ნაცრის და ფითრის,  
 ვინ დაითვლიდა, ვინ აღრიცხავდა  
 ომში დაიწვა რამდენი ფიქრი;  
 მოკვდა რამდენი უთქმელი ლექსი  
 და სიყვარული — უკვალოდ გაქრა,  
 მათი გოდება მე ახლაც მესმის,  
 ვარამის აფრა ირბევა შმაფრად.  
 დარდის მომგვრელი, გულის საკლავი,  
 და სამწუხარო უფრო ის არი:  
 არ არის არსად მათი საფლავი,  
 არც ძეგლი და არც რამე ნიშანი.

ჩაქრა რამდენის სიცოცხლე მნათი,  
 ძაძა ჩაეცვა რამდენის ცოლ-შვილს.  
 ჩვენ გვაბარია სიცოცხლე მათი  
 ვინც ჩვენს მაგივრად დაეცა ომში.

ჰა, გავიხარეთ ომის დამარხვით,  
 კვლავ იგრძნო მიწამ ჩვენი შვილობა,  
 ჰა, ნასანგრალზე გაჩნდა ბალახი  
 და შეუხვია მიწას ჭრილობა.  
 ომში სიკვდილთან მქონდა ტყველი,  
 მაყრიდა ბომბებს, მიშენდა ღველი,  
 მე ცეცხლში დაეწვი ომის ღრუბელი  
 და დღეს ნაბრძოლი პოეტი მქვია.  
 იქ ბევრი მოკვდა, ბევრიც გადარჩა.  
 ომს, როგორც იქნა, მოუღო ბილო.  
 მე გავიხადე ძველი ფარავა,  
 ომი ლექსებში შემომხრჩა მხოლოდ.  
 გვაწრთობდა ომის ცეცხლი თუ თომი,  
 თოფივით ჩვენი ფიქრებიც ვფერეთ.  
 ჩვენ ყმაწვილები წავედით ომში,  
 შინ ვაჟკაცები დავბრუნდით მერე.

## მინა ქართული

რამდენი განძი აქვს შენახული,  
 რამდენ ძალ-ღონეს იღუმლად მალავს,  
 უძლეველია მიწა ქართული,  
 გაუძლო რამდენ რბევას და ვარამს.  
 მე ვისმენ მიწის გარდასულ კენესას  
 და იგი სულში მიღვიძებს ჩრდილებს:  
 ეს — საქართველო მისტირის დღესაც  
 უცხო ქვეყნებში დაკარგულ შვილებს.  
 თითქოს მეც მკლავდა ოსმალი უნდო  
 და კვლავ შემჩნევა ძველი იარა,  
 ასე მგონია, მონოლოთა ურდომ  
 ჩემს გულ-მკერდზედაც გადაიარა.  
 ცხოვრების მღვრიე მდინარეს გაჰყვა  
 დღენი — შეგურული დრო-ჟამის ტივად-  
 თუმცა ვაჯობე უამრავ ლახვარს,  
 მე ახლაც ბევრი ჭრილობა მტკივა,  
 ის ჭრილობები აქამდე მტკივა...

ბევრჯერ ნაკურთხი მარჯვენა მომჭრეს,  
 დამიწვეს ზვარი, სახლი, მერდინი...  
 იყო რამდენი თემური-კოჭლი,

შაბ-აბაზი და ჯალალ-ედინი.  
 მოსთქვამდა ველი გადარუჯული,  
 ბუხარს და კერას აქრობდა ცრემლი.  
 ვენახს მიწევადა ყველა ურჯული,  
 სულში მიყრია ვაზების ფერფლი.  
 ხმლით თავის მოჭრა ერჩივნა ქართველს,  
 ვიდრე მტრების წინ მოხრა ქედისა.  
 შუბებით მწესეს, ხანჯლებით მფატრეს,  
 უსისხლო რთველი მე არ მეღირსა.  
 მწეწევადა ქარი, მსუდრავდა ბოლი,  
 მედგა სისხლის და ცრემლის ჭაობი.  
 მტერი მჯობნიდა სიმრავლით მხოლოდ,  
 მტერს მე ვჯობნიდი გამბედაობით.  
 ზოგჯერ გუთანი მეპყრა მახვილად,  
 მქონდა ვალებით სავეს თვალეში,  
 ვიყავ დეკემბრის მზისებრ დაღლილი,  
 ქრისტე — ჯვარცმული და ნაწვალეში.  
 ზამთარ და ზაფხულ ვიდავე ვამთან,  
 გაგანამდვილე ბევრი ზღაპარი,  
 მე გულის ცეცხლით ვაჯობე ზამთარს,  
 გულით გავატეე ჩემი მთა-ბარი.

რაც მტერს ჩემს მკერდზე ცეცხლი ნთებია,  
 გაუანიავე ფურფლად და ნაცრად,  
 ეს მთები ჩემი სულის მთებია,  
 ერთი დგას ნაზად, მეორე — მკაცრად.  
 კვლავ ცოცხლობს ჩემი თმოგვი, ვარძია,  
 ჩემი თბილისი, გორი და მცხეთა,  
 ღრუბლები ძაძად აღარ მაცვია  
 და ჩემი მთები მღერიან ერთად.  
 სვეტიცხოველი ბრწყინავს შვიდფურად,  
 დგას ნიკორწმინდა, გელათი, ჭვარი,  
 ვუსმენ უძველეს ქართულ სიმღერას,  
 კვლავ რომ გალობენ რიონი, მტკვარი...  
 დღეს მაქვს მთა-ბარი ისე ლამაზი,

ჩემს ცაზე მზეც კი დიდხანს ჩერდება  
 და მარადიულ იმედს მთავაზობს  
 აგიყვავებო უქცნობ ედემად.  
 ციდან მელვრება შუქი იმგვარი,  
 რომ მარად მწამდეს მე უკვდავება,  
 მწვანე სიცოცხლით მე ვარ მდიდარი,  
 მაღლი მიწისა მიდგას ხეავებად...

სადაც დაირწა ჩემი აკვანი,  
 იქ ყოფნას უფრო ხშირ-ხშირად ვცდილობ,  
 მიწადქვეული მამაბაბანი  
 შემომძახიან:

— იმხნევე, შვილო!

## ჩემი სიძლიერა

ჩემი ვენახი სართვლოდ მეძახის,  
 სართვლოდ მზად არის ჩემი მარანიც,  
 ყველა მტვეანი ჩემი ვენახის  
 საესება მზით და ზეცის მანანით.  
 საესება მიწის წვენით და მაღლით,  
 საესება წვიმის წყნარი გალობით,  
 საესება ჯაფით, კეთილი დაღლით,  
 გარდასულით და გარდუვალობით.  
 სიჭაბუკეა დღენი ვარდობის,  
 ყველა დღე ლამაზ ოცნებად ელავს,  
 დაებრდებით და ახალგაზრდობის  
 მოკონებებით ვსულდგმულობთ ყველა.  
 მხოლოდ სიკვდილი აყუჩებს ტკივილს,  
 მოდის თაობა, მიდის თაობა  
 და სასაფლაო დუმილით კივის  
 კაცთა სიცოცხლის არარაობას.  
 რაც უნდა ბევრი აგორო ლოდი

და მისცე შენი სიცოცხლე ლექსებს,  
 კაცი ამ ქვეყნად სულ ერთხელ მოდის,  
 სულ ერთხელ მოდის,  
 გახსოვდეს ესე!  
 მთებს ეღვიძებათ ყველაზე ადრე  
 და ეძინებათ ყველაზე გვიან,  
 მთების სიხარულს, სიზმრებს თუ დარდებს  
 მარადიული სიცოცხლე ქქვია.  
 მთა არ იღლებს დრო-ჟამთან ბრძოლით,  
 ირგვლივ ყველაფერს არიგებს უხვად,  
 მთა არის ფიქრი ზეცისკენ ლტოლვის,  
 მტე მთისებრ ეხარობ, მთასავით ვწუხვარ.  
 ჯილდოდ წყალობას არ ველი ციდან,  
 დრო-ჟამი მოდის, დრო-ჟამი მიდის...  
 სულ ერთი ლექსი დავწერო მინდა,  
 ლექსი, რომელიც აკობებს სიკვდილს...  
 ლექსი, რომელიც დარჩება ლოცვად!

### მუნარა

ლექსი ვიყავ და ლექსს ვწერდი,  
 ცეცხლს ვუნთებდი ჩირალდანს,  
 სიჭაბუკეს ვაბრწყინებდი,  
 თუმცა ისეც ბრწყინავდა.  
 გრუსა თმაში შედგა ღამე  
 და თვალეში მზის ნაში,  
 ხელთ მეჭირა მთვარის ჯამი,  
 შუქს მიხეხამდა ცისკარი.  
 მაშინ ლექსი რად მინდოდა,  
 ლექსი ვიყავ ისედაც,

სიყვარული ისეც მქონდა,  
 ზეცა ისეც მისმენდა.  
 ახლა როცა ლექსი მინდა,  
 რაიც მაშინ დავხარჯე,  
 დაჭრილივით მოვიკითხავ  
 სტრიქონების ყაუარუნებს.  
 ახლა როცა მარტო შევრჩი,  
 წუთისთფლის შემინდეს,  
 ღმერთო, მომე ძალა ლექსის,  
 ის წლები კი შემინდე.

### ყვავილი

ღხინში ეშხით თუ ბრდღელიალებ,  
 ჭირში ცრემლი დაგდის.  
 ხარ ბედნიერთ სიდიადე,  
 უბედურთა დარდი.  
 ცოცხალს გულს თუ გაუზარებ,  
 თავს დასტირი მკვდარსაც,

შენ კი მაინც ვერ ახანებ  
 წუთისთფლის წამსა.  
 დაუკნები და თბლად რჩები,  
 შენთან არევი მოვა,  
 თუმცა ყვავილს უფრო შენის,  
 ყვავილების გლოვა.

### ღათვეხი ბალიაში

ატოტდებთან დათვები წყვილად,  
 მოაწყდებთან რკინის გალიას,  
 აქ გაზაფხული იმათი წილი  
 ბავშვებს მოაქვთ და ეს უხარიათ.

მოაქვთ ფოთლების შრიალა ჰანგი,  
 ველის ყვავილთა ნეტარი ფეთქვა  
 და გალიაში ნასროლი განძი  
 გახსენებაა შორეულ ტყუთა.

და უხარიათ ნაღვლიან დათვებს,  
თუმცა სიცხისგან უმრებათ პირი,  
ერთი მშვიდდება გალოკილ თათით,  
მეორე თავის ვეება ჩრდილით.

და როცა ღამით სხივი სხივს ეძებს,  
მბეუტავ ნათურას აპყრობენ თვალებს,

სინათლე იგი ჰგონიათ მზეცებს  
ჩამოვარდნილი ოცნების მთვარე  
და მიწვებიან იმ შუქზე წყვილად,  
არ აწყდებიან რკინის გალიას,  
გაზაფხული კი იმათი წილი —  
სძინავეთ და თავქვემ დაუმალაით...

## ქინისუზალი

თინათინ ლეონიძეს

თუთრ ლეჩაქზე დარდი შავად წვეთავს,  
შავ თმაზე კი ჩამოთოვა თეთრად,  
ვეფხვს დაეძებ საქართველოს გზებზე,  
მის ნატერფალს დღე და ღამე ეძებ.  
ეძებ ნისლით გადაბურულ გზაკვალს  
და თბილისში ნაღვლიანი დახვალ.  
ეძებ ქარში მიმოზნეულ ბგერებს,  
ეძებ ლექსებს გაფანტულებს მზეში,  
ეძებ მამას, განსვენების მერე,  
მის სახეებას რაიც ჩარჩა ჩვენში.  
ეკითხები საგურამოს ლაფვარდს,  
ვევდრები მტკვრის ტალღების ბორცვას,  
და აგროებ, უკვდავების ფასად,  
იმ სიყვარულს, რაც დატოვა გოგლამ.

და მოსცვივა მობუსუნე ხმები,  
ალიონზე მიტოვებულ სუფრას,  
პატარძელს მოაქვს სიყრმიხ სუნთქვა.  
ქაშუეთის ჩუქურთმებიც ეღერენ,  
ჩარჩენილა შიგ სტრიქონის ელვა  
და აგროვებ ცისარტყელას ფერებს,  
საფლავზე რომ მიიტანო ცრემლად.  
ქტუხს „გიორგი ლეონიძე“ მაშინ,  
ტალღებს აპობს აზავთებულ ზღვაში,  
შენ კი მაინც ეძებ ვეფხვის გზაკვალს  
და თბილისში ნაღვლიანი დახვალ,  
თუთრ ლეჩაქზე დარდი შავად წვეთავს,  
შავ თმაზე კი ჩამოთოვა თეთრად.

მეხვი კლასიკიზმილი

## მეგობრის ხსოვნას

მიგაბიკუბდით გაუკმებულ სასაფლაოზე  
და გაცვეთილი საფლავის ქვები,  
როგორც მდუმარე კლავიშები —  
ჩამქრალი ხმები

აღარ ისმოდა,

ამაქვეყნის თვლემდა ქაოსი.

მყუდროებაში ირწყვოდა დამტკნარი ტოტი,  
ვით გახსენება,

რომ დრო აქაც მალულად მიდის,

მყუდროებაში მზის ამოსვლას მღეროდა ჩიტი  
და ზვიარებში წარსულივით მოჩანდა ლოდი.

აქ, ამ მიწაში

ასწლოვანი ცაცხვის ფესვები,

გრილი მკლავებით უხვევიან,

სწყურიათ ვიდრე

მოგონებათა ქალაქის მევიდრებს,

მე კი მათ ფოთლებს ვვალერსები.

არავინაა აქ გამგები შენეულ ამბის,

თუმცა ვინ უწყის მიწიერო

იქნებ გელოდნენ,

მამ ვინ გააბა ქვესკნელიდან ხის კენწერომდე

ჭიანჭველების მცოცავი ძაფი?

ასწლოვან ხეზე,

ცაცხვის ხეზე ყვავი ფრიალებს,

მოჩანს საყდარი ხავსიანი და შერუკული

და ისე ისმის ჩვენი ჩურჩული,

მდუმარებაში როგორც წყვილი ექვნის წყრიალი.





შუალამისას ბავშვების სუნთქვა  
ათრთოლებს ჰაერს.

წერს კალმისტარი:

საბავშვო ბაღში, თიხის ქოთნებში  
ისევ თესავენ ერთ მუჭა ხორბალს,  
რომ გაზაფხულის უჩვეულო დღეს,  
ქალაქულ ბავშვებს დაინახონ —  
აი, ბავშვებო, პურის ყანა,  
გადაიხატეთ.

შეხედავს ბაღლი,  
შეანათებს ცასავით თვალებს  
და პაპამისის თუ პაპის-პაპის  
სისხლის კარნახით,

მწვანე ყანაში

ყაყაჩოები მთელანდება.

წერს კალმისტარი —

წინაპრის შუბის შთამომავალი,  
თან მოწყენილი მისჩერებია,  
როგორ იშლება კვამლის ბოლქვები  
აწოწილ მილზე.

შუალამეა,

ბავშვების სუნთქვა ათრთოლებს ჰაერს,  
ფანჯრიდან მოჩანს —

ქარხნის მაღალი საკვამურიდან  
ამომავალი მზრჩოლავი კვამლი  
ღამეს უმატებს

ქალაქის ღამეს.

აყვავებული ცაცხვის სურნელი  
ისევ მახსენებს

ბავშვობის დღეებს,  
როცა თელავის სასაფლაოზე  
დამალობანას თამაშობისას  
სულ პირველად გავიფიქრე —  
— მეც შეიძლება მოკვდე!

იქვე, საფლავზე

დედაბერი გამხმარ მიწას აფხვიერებდა,  
დედაბრის ხელი

მიწისფერი იყო იმდენად,  
რომ მოძრაობა განასხვავებდა ხელს  
მიწისაგან.

აყვავებული ცაცხვის სურნელით  
გაქვდნითილია დღეს ჩემი ქუჩა.



• • •

ჩანს ციხე-კოშკი,  
ლაგვარდების თეთრი კუნძული —  
თვალის გუგამში  
როგორც ცრემლი ამობურცული.  
აღარცა ლეკი, არცა სპარსელი...  
არ ჰქუხს „ჰკა მაგას“,  
ოდესღაც ჯარი  
ირაკლიმ აქ დააბანაკა.  
ხიმშიდე სუფევს,  
ეს ხიმშიდე კახთა ხვედრია,  
იხმის სროლის ხმა,  
— ალბათ სეტყვის ღრუბლებს ესვრიან.

• • •

ბროლის ლარნაკში  
სათბურის ვარდი —  
გაცვეთილია რითმა და დარდი.  
ყალბია მზერა,  
ყალბია ნოტი,  
ხელოვნურია ნაძვისხის ტოტი  
და ყოველივე  
რაც ასე მბოჭავს —  
ბავშვის თვალებში  
ზღაპრულად მოჩანს.



მირონ სურგულაძე

## შიკოსბანის გახსენება

### I

მთვრალი კაცივით მთვარემ ჯამში  
ჩაქვიდა თავი,  
და საფერავში ოქროს ნალი შემოირკალა,  
გადაილანდა წყლის სარკეზე  
მუხრანის ხიდი,  
ამ უბნის ქუჩებს ისევ ახსოვთ,  
ახსოვთ ნიკალა,  
მტკვარი მეტეხთან ისევ ისე  
ხარივით ბლავის,  
ქუჩებში თითქოს ისევ დადის  
მღებავი მშვიდი.

დააბიჯებდა ვიწრო ქუჩებში  
თავის ფუნჯებით,  
გამზდარ იერით,  
ის დადიოდა ხშირად ამ ქუჩით,  
ხეს ნაცნობივით ხელს შეახებდა,  
მუდამ იწოდა, იფერფლებოდა  
ქალის და ფერთა სიმშვენიერით,  
დალევდა არაყს, ხატავდა სურათს,  
ფერებს ეძებდა და ცახცახებდა.

### II

განწირული ხარ ბედით ნიკალავ,  
ისევ ქუჩები,  
რიყის ქუჩები,  
მუდამ შეპხარი სამშობლოს ცისფერს,  
მარტო ცისფერი კაცს რას უშველის,



მიჰყვები ქუჩებს ნარიყალასკენ,  
როგორც სხვა დღიურ ლუკმის მუშები  
და ამრავლებენ  
შენ წახრილ ბეჭებს  
ქობაზების და დუქნის მუშები.

ახე წანწალში დატანჯე სული,  
დატანჯე სისხლი,  
დატანჯე ხორცი  
და ისევ გესმის ქამუეოიდან  
გალობის ზმა და ქვითინი ლოცვის;  
მაგრამ არ უსმენ ლოცვებს ნიკალავ,  
იცი არ არის ზეცაში ღმერთი,  
დადიხარ, გვივა, მშრალად ახველებ  
არყის სმისაგან დამწვარი მკერდით.

## III

მოგონებათა აღიმართნენ  
თურთი სვეტები,  
ვიწრო ქუჩებში ფიროსმანი  
კვლავ შობიძეებს,  
პეი, ნიკალავ,  
ქურისათვის ვის ემეტები,  
ტიქა არყისთვის სამიკიტნოს  
ხატავ აფიშებს;  
ახლა მსოფლიოს აოცებენ ეს პორტრეტები;  
ვიწრო ქუჩიდან  
ვრცელ პროსპექტზე შემოაბიჯე,  
ნეტავ ენახათ დღევანდელი  
შენი დიდება:  
თბილისელ ამქრებს,  
მეარღნეებს,  
იმ ძველ ძმაბიჭებს,  
განა რიყეზე?  
დღეს მსოფლიო ვზებზე აბიჯებ.

სამიკიტნოდან  
ამოხვედი ნამძინარევი  
და შენს გარშემო  
სხვა ფიქრები შემოირკალა,  
ვინ დაგაძალა ეგ არაყი ტვინის ამრევი,  
გიცნობს ევროპა,  
დღეს მსოფლიო გიცნობს, ნიკალა!

# მამე ჯვარი

რომანი

განკითხვის დღე

## თავი პირველი

კახნიაურის ბოლოზე, იქ, სადაც საღ კლდეებს შუა მომწყვდეული ნაომარი რიონი ტრიალ მინდვრებში გამოდის და აჯამეთის უსიერ ტყეში შესვლაძღე სამ თუ ოთხ თავთხელ ტოტად იყოფა, ლევან აბაშიძის გოდოგნელმა, სიმონეთელმა და კვახჭირელმა შხირებმა შორიდანვე მოჰკრეს თვალი აქეთ ტაატით მომავალ მხედართა და ქვეითთა კარგა მოზრდილ გუნდს და, სიფრთხილეს თავი არ სტკივო, თოფებს ფალია გამოუცვალეს.

აგერ მეხუთე კვირა იწურებოდა, რაც მხირები აქ იდგნენ და ერთის მხრივ რიონის ქალაზე ექირათ თვალი, ხოლო მეორეს მხრივ სატახტო ქალაქ ქუთაისიდან აჯამეთის ტყისაკენ მიმავალ გზას აკვირდებოდნენ. მთელმა ამ დრომ ისე განვლო, არც გზაზე და არც მდინარეზე ექვის აღმძღვრელი არაფერი შეუმჩნევეიათ. ქვეყანა მომხვდური და შინაური მტრის ხელთ იყო. დაუბრკოლებლივ და უშიშრად აქაურ გზებ-

სა და ბილიკებზე მხოლოდ ურჯულო აგარიანები და გადამთიელი ვაჭრები დაიარებოდნენ. დღე ისე არ გამოხდებოდა, სოფელ-სოფელ რომ აზიანებულ, ერთი-მეორეზე გადაბმული ტყვეები, ნახირი და ჯორებზე, ცხენებზე ან აქლემებზე აკიდებული ქონება და სარჩო-საბადებელი არ გაეტარებინათ. მხირები ხმაგაკმენდილი ისხდნენ თავიანთ საფარში და გულისმომწყვდეულ სანახაობას თვალს უხმოდ აღევნებდნენ. ერთიმეორეზე ბაწრით, ჯაქვით ან ღვეღრჭით გადაბმულ, სისხლით მოთხვრილ ან უწყალო ცემისაგან დალილავებულ, ჩამოკონკილ ტყვე ვოგობიჭებში, ვინ იცის, იქნებ შენი მახლობელი, ნათელ-მირონი ან მოყვარეც ვრია. ბიჭი იყავი, გაგებდა და ვისმე გამოსარჩლებოდი! ლევან აბაშიძემ სახლთუხუცეს ესტატე ფალავანდიშვილის პირით შემოთვალა: გზის მოდარაჯე მხირებმა დაკისრებულ საქმეს მოუარონ, სხვის საქმეში ცხვირს ნუ ჩაყოფენ, თუ თავი უყვართ და თვალე-ბი დასათხრელად არ ემეტებათ, მარტო

\* წიგნი მეორე.



ის გააქეთონ, რაც ნაბრძანები აქვთ.

ნაბრძანები კი მხოლოდ ერთ რამ ჰქონდათ: თუ ვინცობაა, რიონს ვაღმა აღმართულ ქვეთიარის კოშკზე, რომელიც მოწმენდილ ამინდში აქედან გარკვევით ჩანდა, ალი ავიარებოდა, მათაც განგაში უნდა აეტეხათ, თავიანთ კოშკზეც წინასწარ მომარაგებული თივის ბუღული აებრიალებინათ და ამით ქვეყნისათვის ცხენისწყლის მხრიდან მტრის პირველი რაზმების გამოჩენა ემცნოთ.

მზირების მოვალეობის შესრულება მარტო ამით არ ამოიწურებოდა. თავიანთ საფარში მათ მანამდე უნდა მოეცადათ, სანამ მტერი რიონს არ მოადგებოდა და ფონში გამოსვლას არ დაიწყებდა. ამ წუთამდე ყველა მისი მოქმედებისათვის თვალყური უნდა ედევნებინათ, ხოლო მას შემდეგ, რაც მომხდური რიონში ფეხს შემოსდგამდა, სასწრაფოდ უკან უნდა დაეხიათ და მომდევნო ბორცვზე აღმართული სადარაჯო კოშკის რაზმს შეერთებოდნენ.

წითელი მტრის ბუღში გახვეულ მხედრებსა და ქვეითებს შორის, ამ გაგანია სიცხეში გზას რომ დასდგომოდნენ, აბაშიძის მზირებმა როსტომ რაჭის ერისთავის სამი ვაჟი: ნაბერალი მეთოდე, გიორგი სარდალი და ყაბარდოს ბატონის სიმე ნავარა იცნეს. ძმებს მსუბუქად შეიარაღებული მხედართა რაზმი ახლდა და დასაყიდად გამომეტებული ყმაგლეხები, სხვადასხვა ასაკის კაცები, ქალები და ბავშვები მოჰყავდათ. წითელი ძონძით თავშეკრული მწყემსები უკან ურა ცხენების რემას და იალაღებზე დასუქებული საკლავი ხარ-ძროხის ჯოგს მოერეკებოდნენ.

ვინ იყვნენ ეს ტყვეები? ან პირუტყვი ვისთვის წაერთმიათ? ნუთუ ისევ წერეთელს დაეცნენ და ჭრუჭულის ხეობა ხელახლა ააოხრეს? მზირები თვალეზად და ყურებად იქცნენ. უნდოდით და კიდევაც არ უნდოდით, სიცხით, თავს დამტყდარი უბედურებითა და შორი გზით გასავათებულ ბრბოში

ვისიმე ნაცნობი სახე მოელანდათ და ამის მიხედვით დაედგინათ ტყვეების ვინაობა და სადაურობა.

ეს, რასაც ახლა მზირები ხელადნენ, ამ ცოდვის გზაზე ჩვეულებრივი ამბავი იყო და არც არავის უკვირდა. იქნებ ამკერადაც არ გამოეჩინათ ზღმეტი ცნობისმოყვარეობა და ხმაგაქმნელი მსხდარიყვნენ საფარში, როგორც სხვა დროს იქცეოდნენ ხოლმე, ერისთავის ვაჟები რომ არ ეცნოთ და თავისდაუნებურად ტყვეთა ვინაობის შეტყობის სურვილი არ აღძვროდათ.

თითქოსდა გზისპირას ჩასაფრებულ მზირებს გულისპასუხს მიუხვდა და მათი ცნობისწადილის დაქაყოფილება მოუწადინებიაო, ძმათაგან ერთი, ნაბერალი მეთოდე, ახოვანი, ეღალ ჩოხაში გამოკრული მწითური ვეჯაკი, რომელიც შავ ყაბარდოულ ულაყზე მსუბუქად იჯდა, მხედრებს ჩამორჩა და გაბარდნილი პანტა მსხლის ძირას, სწორედ სადარაჯო კოშკის უკან, ცხენი შეაჩერა. არ გაუვლია წუთსაც, კოშკის ქონგურიდან მზირების ათისთავმა ასკია აბესაძემ გადმოიხვდა. ზემოთ, კოშკზე, მზირები რიგრიგობით დგებოდნენ. სანამ ერთი იქ იდგა და თვალეზდაჭყეტილი ჭალას გადაყურებდა, დანარჩენები პანტა მსხლის ძირას, მოფარებულში ისხდნენ და უთავბოლო მასლაათში, ხან მთას რომ გადასწვდებოდა და ხან ბარს, დროს ჰკლავდნენ. ტანთხელი, შავუღვაშა და მკვირცხლი გამოხედვის ყმაწვილი კაცი, ათისთავი ასკია აბესაძე, ორი-სამი წლის წინათ ქეშიკად დაჰყვებოდა თავის დიდ ბატონსა და მწყალობელს ლევან აბაშიძეს. ყმის დაეინებული თხოვნით, სახარბიელო გამოსასყიდის მირთმევით თუ ბატონის სურვილით შემდეგ ის კაცის სასახლეს მოაშორეს და ორი ქვევა საყანე მიწა უბოძეს გოდოგანში. ნაწყალობევე ადგილში ასკიამ ქოხი ჩაღდა, მიწა გადააბრუნა, შიგ ვენახი ჩაყარა და ოჯახსაც მოეკიდა. მართალია, აქედან ურები მოსულად თვლიდნენ, მაგრამ სოფელმა მალე შეიყვარა ეს გაბედუ-

ლი, პირიანი, დაუზარელი და ალალ-მართალი კაცი. ასკიას აქ ყოფნა და ათისთაობაც სოფლის ნდობისა და ბატონის წყალობის გამოხატულება იყო. ნეტავი კი ერთიც დახსნოდა და მეორეც! შინ მეძუძური ცოლი უცდიდა, ახალი გამართული ოჯახიც მიხედვასა და პატრონობას საჭიროებდა.

ერისთვიშვილები და მათი მსლებლები ასკიამ, რასაკვირველია, ყველაზე ადრე დაინახა, მაგრამ, როგორც ნაბრძანები იყო, არც სხვა მშორებისათვის მოუხშია და არც განგაში აუტეხია. ლევანსა და როსტომს შორის დადებული სამეზობლო პირობის თანახმად ერისთავსა და მის კაცებს აქეთ გზა ჰქონდათ, მარგველთაგან, ერი იქნებოდა თუ ბერი, მათ ვერაფერ შეაჩერებდა და ვერც რისამე გამოკითხვას შეჰბედავდა.

— ვისი ხარ, კაცი? — ასძახა ათისთავს მეთოდემ, როდესაც კოშკის ქონგურზე ჯერ თოფის ტუჩი გამოჩნდა და შემდეგ ასკიას ბუჩქად დამდგარი შავი ქოჩორი და მზისაგან შეტრუსული სახეც დაინახა.

— ვისი ვიქნები, ბატონო, აქაურობა ჯერ ლევან აბაშიძის გახლავს და მგონია ვერც ვერაფერ წაართვას.

მეთოდემ ხელი მოიჩრდილა, ვინაა, ამდენს რომ ბედავსო, გაღივება სცადა, ისე კი ბოლმა მოაწვა ყელში ამ ვიღაც გაუთლელი გლეხუქას თავხედურ და გამოშწვევ ბასუხზე.

— შენ ბირს შექარი, — მიუფო ხმა-მალა. — ძალიან არ დაშწყვიტე გული? ლევანის არის და ღმერთმაც მოახმაროს, ღმერთის ნაბოძებს კაცი ვერ წაართმევს. შენ ეს მითხარი, აქ რას უდგახარ, მეველედ ხომ არ დაგაყენეს, ბიჭო?

— მეველეც ვარ და... ბატონის ბრძანება გახლავს. რაქაში კი არ გიყენიოთ მშორები? ამ არეულ დროში თოფიანი კაცის ნახვა რა გასაკვირია!

— მე მიციანი თუ?

— რატომაც ვერ გიცანი, ერისთვიშვილი ბრძანდები, მეთოდე, — პასუხის ამ ადგილას ათისთავმა ენას კბილი

დააჭირა, კინაღამ დასძინა — ნაბერალიო. მას შერე, რაც როსტომ რაჭის ერისთავის ბიძამ, შოშიტას ძმამ გერმანემ, გენათელმა მიტროპოლიტმა, მღვდელმთავრობა დააგდო, ანაფორა გაიხადა, თავის ღვიძლ ძმისწულს ახალ-მოყვანილი ცოლი წაჰგვარა და გაპარსული მეფე ალექსანდრეს მიუვიდა, ერისთავების ოჯახში ნაბერალობა სალანძღავ სიტყვად გადაიქცა, არადა მეთოდე მართლა ნაბერალი იყო.

— ახალი რა ისმის აქეთ, მშვიდობა ხომ არის?

— ჯერ, ქე ხედავ, ბატონო, არავინ მოგვხტომია და აწი გამჩენმა ღმერთმა იცის, რავა იქნება ჩვენი საქმე, — ათისთავი მიხვდა, ეს ქერა აფთარი, დაუნდობლობითა და სისასტიკით მთელს ამერ-იმერში განთქმული ნაბერალი მეთოდე, რომელ მშვიდობასაც გულისხმობდა და სწორედ ისე, თოფიან კაცს რომ შეეფერებოდა, აგდებულად უბასუხა. ფარული წყენა, რომელიც გულში სამკედრო-სასიცოცხლო ბოლის ჩასადებად კმაროდა, მეთოდემ ეს მეორედ გადაყლაპა, ისევ დაშქრულად გაიღიმა, ქურდულად მიიხედ-მოიხედა და ასკიას ხმაძალაღი ჩურჩულაოთ ასძახა:

— ოღიშიდან რა ისმის, ბიჭო, მართალია, ნეტა, რასაც ამბობენ?

— რას ამბობენ? — გულუბრყვილოდ გაიღიმა ასკია აბესაძემ. — მე არაფერი გამიგია...

— თავს ნუ იგდებ, შენი ტოლი ხომ არ გგონივარ, მთელმა ოკრიბამ იცის, ხმამ რაქაშიაც ამოაწია და შენ არ გაგიგია მაინცდამაინც? დიდი მამაძალი ვინმე იქნები! რა გვარი ხარ?

— აბესაძე!

— დადემშქელიანი ყოფილხარ, მამა გიცხონდა!

— მამაჩემს რას ერჩი, ბატონო, იმან რა შეგცოდა!

— გრძელი ენა მოუცია და ის კი არ უსწავლებია, სად რა უნდა თქვა. მერე? სოლომონმა რომ გორდში დღიანის ქალზე იქორწილა და დღეს-

ხვალ კარზე მოვადგება ოდიშის ჯარით, ეს არ ვაგიგია შენ?

— თუ გინდა, ვამიგია, რა ვქნა მერე, მოვადგება და ჩვენც აქ დავხვდებით.

— ყოჩაღ, შე ყურუმსალო! სიტყვებასუხი კი გვიარება, მაგრამ მაგ შენმა მწკლარტე ენამ ვაითუ თავი წავაგებინოს!

— რა ვუყოთ მერე, — მთლად საწყლად უპასუხა ასკიამ. — წაგება ვის უხარია, მარა, ჯვარი აქაურობას, ბედმა თუ გიმტყუნა, მე კი არა, ხანდახან შენისთანა დიდი ბატონებიც ქე აგებენ ხოლმე თავს.

— გაგობა ენა, რას დამჩხავი!

— არა, ბატონო, ისე, სიტყვაზე იტყმის.

— ბატონები ვარციხეში ბრძანდებიან?

— რომელი, ბატონო? — ხმის კილოზე შეეტყო, ათისთავი სწორი პასუხის გაცემას არ აპირებდა, მაგრამ მინც ჩაეძია.

— დედოფალი, ბატონიშვილები, ლევანი...

— რა მოგახსენო, ბატონო, აქეთ თქვენს მეტს არაეის გამოუვლია. გუშინ ყირიმელმა ვაჭრებმა ამფიარეს, ყულევიდან მოვდივართო, გუშინწინ — ლეკებმა, ორჯელ... ტყვეები და საკლავი მიყავდათ, რავარც თქვენ...

გლეხი ეშმაკობდა, უბეში ნაგულეებ ქვას დროდადრო გამოაჩენდა, პირდაპირ პასუხს ვაუბროდა და გაწობილებულ მეთოდეს სიტყვას ბანზე უფდებდა. ამიტომ, იქნებ რაიმე ყურადსაღები წამოვაცდინოთ, ერისთავიშვილმა კიდევ ჰკითხა:

— სასახლე მართლა დაცარიელებულია? ბატონი ლევანი ჰალატყის კოსყებს ამავგრებს და სულ მალე მეფის მთელი ოჯახი იქ მოიყრის თავსაო...

ასკია აბესაძე ნაბერალს ეშმაკობას მიუხვდა და მარჯვედ ნასროლ ანკესს არც ახლა წამოეგო:

— ჩუ, ბატონო, მე და შენ ღმერთ-

მა დაგვიცვას და, მტრის და ავისას, მაგისთანა რამეს რომ ყური მოკრას, უიუი-უი, ენას ამოგვადრობს, მან თვალებს დაგვთხრის ჩვენი ბატონი ლევანი!

ეს რომ გაიგონა, მეთოდეს მოთმინება დაეკარგა, კინაღამ მურღლად შეიგინა. ლაწვეები წამოენთო, სისხლი სახეზე მოაწვა. აბაშიძისაგან ვათამამებულმა ტლუ გლეხმა დღეს ეს შესამედ თუ მეოთხედ გაბედა მისი შეურაცხყოფა — ძღვევამოსილი რაჰის ერისთავის შეილი, თვით გვირგვინოსან მეფესაც რომ თავს არ უკრავდა, აბაშიძის უბადრუკ ყმებს შეადარა. მაგრამ ახლა განრისხების და სამაგიეროს მიგების დრო არ იყო. მეთოდე ათისთავს კვლავ დაუტკბა და თითქმის მეგობრულად ჰკითხა, თან კისერმოღრევილ ცხენს თავს ძლივს უჯაგებდა:

— მაშ, დადიანს დიდძალი ჯარი მოუგროვებია, თავისი გვირგვინოსანი სიძე-ბატონის შესაწევნად მთელი აფხაზეთი და ჯიქეთი მოჰყავსო?

— ამბობენ, კი, მარა... — ასკიამ მხრები აიწურა, თავი ვადააქნია და გაჩუმდა.

— რა მარა? — მეთოდემ ვერცხლით მოჭედული სადავე მოზიდა, ცხენს მათრახი უტხუნა.

— იმას ეშინოდეს, ბატონო, ვისაც...

— ვისაც პირი აქვს დამწვარი, არა? — შეაშველა მეთოდემ. — შენ რა გითხარია, აბესაძე, დიდი წამხდარი კაცი ხარ! ეგ იმ შენს პატიოსან ლევანს ვერ მოახსენე?

— მე ვინ რას მეკითხება, ბატონო, მამხსენებელიც თქვენ ბრძანდებით და განმგებელიც!..

მეთოდემ სიამოვნებით ჩაიცინა.

— შენ მაგას ისე ორჭოფულად ამბობ, თითქოს კიდევაც გეეჭვება: იქნება სხვა განმგებელიც იცი ვინმე?

ასკიამ უმალ მიახალა:

— ვიცი, აბა არა?

— ვინ?

— ყოვლის მხილველი და ყოვლის გამრიგე ღმერთი, იმისი შიღლი შეგვე-

წიოს! — ეს რომ თქვა, ასკიამ თოფი მარჯვენიდან მარცხენა ხელში გადაიტანა და პირჯვარი გადაიწერა.

ნაბერალს ენა მუცელში ჩაუფარდა. ესლა აკლდა! მწარედ ნანობდა, რომ შეჩერდა და ეს ვილაც ენაგატლქელი ბოჯანო სასაუბროდ გამოიწვია. უნდა წამოაქციო და ცხრა პირი ტყავი გადაადრო მათრახით ზურგზე, მერე ისწავლის ჰქუას!

ამ აკიატებული სურვილის შესრულება მეთოდეს ახლა არ შეეძლო და გულს სწორედ ეს უსივებდა. თავისი ყმის გალახვას ან სხვაგვარ შეურაცხყოფას, მეთოდეს კიდევაც რომ მოეხერხებინა, მუდამ შარის მაძებარი ლევან აბაშიძე საკუთარ შეურაცხყოფად მიიღებდა და, ადრე იქნებოდა თუ გვიან, ერისთავსა და მის შვილებს ათწილ აზღვევინებდა.

სანამ ასკია აბესაძე და ერისთვი-შვილი მეთოდე ასე ცალკუბად მასლა-ათობდნენ და ერთმანეთს სიტყვიერად ეძიძგილავებოდნენ, გრძლად გაწელილი ქარავანი კარგა დიდი მანძილით გასცდა სადარაჯო კოშკს და გზაზე ნაგვალაღვი მიწიდან ადენილი წითელი პტერია დასტოვა. მეთოდემ ერთხანს კიდევ უტრიალა მზირების ათისთავს, იხტიბარი რომ არ გაეტეხა, ხან ესა ჰკითხა, ხან ის. გლეხი კერკეტი კაკალივით მიუკარებელი გამოდგა. ეტყობოდა, ლევანის ერთგული კაცი იყო, ლევანისავე გამოწვრთნილ-გამოჯეკილი და, ბებერი ტურაც არ შემცდარა, როცა ის აქ დააყენა და ეგზომ პასუხსაგები საქმე მიანდო.

ნორწამხლარმა მეთოდემ მალალ შებლზე წურწურით ჩამომავალი ოფლის ღვარი ყურთმაჯით მოიწმინდა და ცივი წყალი მოითხოვა.

— ბიჭო, მახარობელა! — დაიყვირა კოშკზე აბესაძემ.

მოართვეს თუ არა, მეთოდემ ნაღვინევი დოქი ტურზე მოიყუდა, ნახევრამდე დაიყვანა, შემდეგ წელზე ტყავის მათარა შეიხსნა, გამობარი და გემოდაკარგული წყალი გულდაგულ

გამოწურა და მათარა წყაროს ახლი წყლით შეავსო. ვიდრე ამ საქმეში იყო მარჯველი მზირების საფარს ვითომდა სხვათაშორის ათვლიერებდა. მზირები დაითვალა, შეიტყო, ყველა ჭეელი და კარგად შეიარაღებული ყოფილაო. კოშკზე მგონი ზამბულაკიც ჰქონდათ, რაც მოლაშქრეთა ამ ბატარა გუნდის და საერთოდ ლევან აბაშიძის მთელი ლაშქრის საომარ მზადყოფნას მოასწავებდა. თავშენახულმა და ათას უცხო და შინაურ საქმეში გახლართულმა არგვეთის ბატონმა, ვინ იცის, ზარბაზნებიც ჩამოასხმევინა და უამისოდაც მიუვალი ციხეები კიდევ უფრო მტკიცე და მიუვალი გახადა: კოშკთან მოდარაჯე მზირებს იარაღი ახალი და გამართული უჩანდათ. ლევანს იარაღის ოსტატები არ ჰყავდა. შესაძლოა, ძალა რომ დაადგა, თოფებიცა და ზამბულაკებიც კიკიან-ფაშასაგან ან ბაღდადში, თხმელისციხეში შეიძინა და თითქმის ყველა გლეხი და აზნაური, ვისაც კი ხმლისა და თოფის მოხმარება შეეძლო, შეაიარაღა. თუ მართლა ასე იყო, სოლომონის მომხმარე ოტია დადიანს გაუუჭირდებოდა აბაშიძესთან გამკლავება, მით უფრო, თუ ბატონი მამაც, როსტომ ერისთავი, გადაწყვეტდა და მომავალ ომში მარჯველების მხარეზე გამოვიდოდა. ლევანი თავის სამფლობელოში იყო, ზარბაზნებით გამაგრებულ მიუვალ ციხეებში იჯდა და მოალყე ჯარს, თუნდ ნახევარი ქვეყნიერებაც მისეოდა, ცოტა ზიანს ჯი არ მიაყენებდა.

მეთოდემ დოქი ხელებში შემოჩერებულ გლეხს დაუბრუნა, გადაჯვარედინებული ფალასკები და ზურგზე მოგდებული თოფი შეისწორა, სადავე მოზიდა, გაოფლილი ცხენი ყალყზე შეაყენა და დაძვრის წინ ასკიას ასძახა:

— აბა, შენ იცი, მეველე, ვენახში ჭურდი არ შემოუშვა!

— ვეცდებით, ბატონო, — დაადევნა ათისთავმა. — თუ ამასობაში შინაურმა ძაღლმა არ გაგვაჩანაგა.

მეთოდემ გაიგონა, ცხენი უკანა ფეხებზე შეაყენა, ადგილზევე მოატრია-

ლა, მოკეცილი მათრახი პაერში შეათამაშა და დაიზმუველა:

— უუ, შენია..

ზომაზე მეტი ძილისაგან გაბურბუსალებულმა ახალგაზრდა შავწვერა გლებმა, რომელსაც, ის იყო, ტყვის-მსყიდველმა ერისთვიშვილმა დაცლილი ნადვინევი დოქი დაუბრუნა, ერთხანს უყურა დოქს, უყურა ისე, თით-

ქოს ხელში რაღაც ბინძური, ზიზლის აღმძვრელი საგანი უჭირავსო, შემდეგ მოიქნია და მთელი ძალით მიწას დაანარცხა. დოქი რამდენიმე პატარა ნატეხად გაიბო და აქეთ-იქით გაიბნა შინდორში. ნაბერალი მეთოდე უკვე შორს იყო. სიცხისაგან გაგვარვარებულ წითელ მტვერში ის ცხენს თავისიანიბისაკენ მიაქენებდა.

### თავი მეორე

აფხაზ-ოდიშართა გავრთიანებული ლაშქრის შემოჭრას შუაგულ იმერეთში, რასაც დიდი და პატარა ყოველ ცისმარე დღე მოელოდა, დაუფასებელი სამსახური ვარციხიდან ოდიშს საიდუმლოდ მოსულმა სამეფო დარბაზის წევრმა აზნაურმა თამაზა მესხმა გაუწია. ვიდრე ფოცხვერივით ფრთხილი ლევან აბაშიძის მიერ ყოველ ნაბიჯზე დაყენებულ მზირებს თავს დააღწევდა და სამშვიდობოს გამოვიდოდა, თამაზა მესხმა მცირე განსაცდელი როდი გამოიარა, ერთხელ და ორჯერ როდი ჩაავდო საკუთარი სიცოცხლე საფრთხეში, მაგრამ მშობელი ქვეყნის კანონიერი მეფის საკეთილდღეოდ და სადღეგრძელოდ, როგორც ის ოტია დადიანის მანდატურების ვასაგონად გულმტერგაღედ ამბობდა, მესხი ამაზე მეტ განსაცდელსა და საშიშროებასაც გაუძლებდა.

მეფის ბანაკში, რომელიც ჭერ ისევ გორდს იდგა, თამაზა მესხს გულგრილად, თითქმის მტრულად შეხედნენ. დადიანის კაცებს ის შემოგზავნილი მსტოვარნიც კი ეგონათ. მაშინვე, როგორც კი ცხენისწყლის ვადმოღმა დაიგულეს, მესხს უბოდიშოდ ხელი სტაცეს და დადიანისა და მეფისათვის არც კი შეუტყობინებიათ, პირდაპირ ბნელ დილეგში უყრეს თავი.

თამაზასადმი დიდი ნდობა და მისი აქ მოსვლით გამოწვეული სიხარული,

თუმცა კრახანების ბუდიდან მარტოდ-მარტო გამოღწევა და აქამდე თავის უფენებლად მოტანა მართლა საქოქმანო საქმე იყო და გაბედულებას მოითხოვდა, არც თვით სოლომონს გამოუჩენია. მეფეს ძალიან კარგად ახსოვდა ზედა დიშში ვატარებული უკანასკნელი დამე და ისიც, რომ მისი ნამდვილი ადგილსამყოფელი დიდმა დედოფალმა თამარმა და, თამართან ერთად, ალბათ, სხეებმაც; ვისაც ეს თავისი ზრახვების შესასრულებლად სჭირდებოდა, სწორედ თამაზა მესხის მეოხებით შეიტყეს. თამაზასათვის ბრალის დასადებად ორიოდ სხვა ვარემოვნამაც წამოჰყო თავი, მაგრამ, მიუხედავად ყოველივე ამისა, სოლომონს მაინც არ გააჩნდა უტყუარი საბუთი, რის საფუძველზედაც შეიძლება მესხი ტახტის მოლაღატედ გამოეცხადებინა.

მესხი ოტიას კაცებმა დაჰკითხეს და დაკითხვის შედეგად მოპოებული ყველა ცნობა სიძე-სიმაპრს აუწყეს.

ოდიშარების უნდობლობასა და დეკეებას, თქვენ წარმოიდგინეთ, თამაზა მესხი ოდნავადაც არ გაუტყვირებია. არც ის დაუქინია, მაინცდამაინც მეფეს მიპკვარეთ ჩემი თავი და სწორ ჩვენებას მხოლოდ იქ მოგვემო. მესხი თავადაც კარისკაცი იყო და ესმოდა, რომ მეგრელი აზნაურები თავიანთ მოვალეობას ასრულებდნენ. ამგვარი გონივრული მოქცევით მან ამ უკანას-



კნელთა გული სწრაფად მოივო და, ასე გაისიჩქოთ, თანავრძნობა და ნდობაც კი დიშმსახურა.

თამაზა მესხის მიერ გადმოცემული საიდუმლო ცნობები, რომლებიც უბირატესად მტრის ჯარების განლაგებას და მისი სარდლობის ვარაუდებს შეეხებოდა, მეფის ბანაკში სხვა წყაროებიდან მიღებულ ცნობებს შეადარეს, ყოველის მხრივ ჩაუყირკიმალდნენ, შეამოწმეს და ომის აღრე დასახულ გეგმაში მეტად მნიშვნელოვანი შესწორებები შეიტანეს.

თამაზა მესხი თავგამოდებული ამტკიცებდა და მის ნათქვამს სხვა ცნობებიც უბამდნენ მხარს, რომ ტახტის მიმტაცებელ შეთქმულთა მთელი მხედრობა, როგორც ქვეითი, ასევე ცხენოსანი, თავს ცხენისწყლისა და რიონის გასწვრივ, ხეამლის მთიდან ვიდრე სანავარდოს ქალებამდე იყრიდა. ჯარი, მართალია, ზოგან მეტი იდგა და ზოგან ნაკლები, მაგრამ როგორც კი საჭიროება მოითხოვდა, სწრაფად გადაადგილებდნენ და ნებისმიერ ადგილს, მთა იჭნებოდა თუ ბარი, მტრისათვის სავსებით გაუვალს ვახდიდნენ.

შეთქმულთა ლაშქარი, დაქირავებული ყაბარდოელებითა და ლეკებით, თუ რაქის ერისთავის ხუთი ათას მეთომარს ანგარიშიში არ ჩაავებდნენ, თექვსმეტი ათასს აღემატებოდა. დიდოელ ლეკებს ხანისწყლის ხეობაში ნაშოგნი საველე ზარბაზნები ჰქონდათ, ტყვია-წამალიც ბლომად მოემარაგებინათ და, ამგვარად, მრისხანე ძალად ქიეთლიყვნენ.

გაწერთნილობით და სწრაფი გადაადგილების უნარით ლეკებს არც ყაბარდოელთა და ლეკან აბაშიძის მარგვერთა რვა ათასი მხედრისაგან შემდგომი ცხენოსანი ჯარი ჩამოუყვარდებოდა. ეს ჯარი დღეს გეგუთში იდგა ბანაკად და არგვეთის ბატონ ლევან აბაშიძის პირად განმგებლობას ემორჩილებოდა.

ელოდნენ ამბია გურიელსა და მის უმცროს ძმას, გურიელისშვილ გიორ-

გის, სამი ათასი მხედრითა და ამდენივე ქვეითით, რაქის ერისთავს კომოციქულს მოციქულზე უგზავნადნენ. როსტომი დუმდა. საფიქრებელი იყო, რომ თუ გარემოება არ აიძულებდა, ის დადიანის ხატრს მოიღებდა და თავს აარიდებდა ამ სისხლისმღვრელ ომში გარეგას. ეს ასეც რომ მომხდარიყო, ტახტის მიმტაცებელთა ლაშქარი, სულ მალე, თუ მოგროვებდას და ერთ მუშტად შეკვრას დააცილიდი, ოცი ათასი კაცს მაინც გადაამეტებდა.

ოტიამ ნაცად ხერხს მიმართა: შეუეს თანხმობა გამოსთხოვა და თავის სისხლით ნათესავ როსტომ ერისთავს მდიდრული მოსაკითხი აახლა, წიგნიც მისწერა, მეგობრულად უსაყვედურა, უმცროსი კაცი ბრძანდები, როგორ გეკადრება, აგრე მიგიწყებდეთ, მერე რა ვუყოთ, თუ დავბერდი, ყველა დავბერდებით, ვანა ყველა სიკვდილის შეიღები არა ვართო? წიგნი ერთობ აზრიანი და გულის ამაზუყებელი გამოვიდა. ოტიამ დადიანმა შიგ მთელი თავისი მშვეკრმეტყველება ჩააქსოვა. თქმა არ უნდა, ის დიდ შთაბეჭდილებას მოახდენდა ერისთავის კარზე. რამდენჯერმე წაიკითხავდნენ და ყოველ სიტყვას, ყოველ სიტყვაში ნაგულისხმებ აზრს საგულდაგულოდ განითავდნენ.

წიგნი იმითაც დიდმნიშვნელოვანი იყო, რომ შიგ სადღაც მეფე იგულისხმებოდა. ვანა როსტომ რაქის ერისთავი ისე გულუბრყვილო ვინმე ბრძანდებოდა, ვერ მიხედებოდა, რომ მეფის თანხმობის გარეშე დადიანს ამ წიგნის გამოგზავნა არ შეეძლო?

რაქის ბატონის თავაზიანი, არაფრის მთქმელი პასუხი და საპასუხო ძღვენი მეხუთე დღეს მოვიდა. ეს პასუხი არავის არაფერს ავალდებულებდა. საღვთისმეტყველო და საერო წიგნებში ღრმად განსწავლული როსტომ ერისთავი მშვეკრმეტყველების შეუღარებელი ოსტატი იყო. როცა დასჭირდებოდა, მასაც, დადიანის მსგავსად, შეეძლო სიტყვები

გროვად დაეხვედებინა, ხოლო თქმით კი არაფერი ეთქვა.

ოდიშის ბატონის სასახლეში მიიჩნეეს, რომ ოტიას ნაბიჯი, ერისთავისათვის ნათესაობისა და ძველი თანადგომობის შეხსენება მიიჩნეოდა სასარგებლო იყო. ამას მართლაც არ შეეძლო, როსტომი არ შეეფიქრებინა და იმ დროს, როდესაც მეფის ორგულთა გვერდში დადგომას დაპირებდა, ხელი არ აკანკალებოდა. მხოლოდ კაცია ბუზღუნებდა. დადიანის ძეს არ მოსწონდა მამისაგან თავის დამდაბლებმა. რისთვის უნდა ეფიქრა შეძლებითა და მითვისებული ძალაუფლებით გაზულუქებულ როსტომ რაჭის ერისთავს, რომ ვასაყეთებელი საქმე მის ჩიურველად არ გაკეთდებოდა?

თამაზა მესხმა თავის ნათქვამს სხვა რამეც დაურთო. მიუხედავად ჯარის სიმრავლისა, შეთქმულნი დიდი საფრთხის წინაშე იდგნენ. ლეკები და ყაზარდოელები ვასამრჩელოს წინასწარ ითხოვდნენ, მეფის ხაზინა კი დიდი ხანია ცარიელი იყო და არც გიორგი ბატონიშვილსა, რომელიც თავის თავს მეფეს უწოდებდა, და არც დედოფალ თამარს მათი მოთხოვნის შესრულება არ შეეძლოთ. საზღვარსა და მეურნეობას თევობით მოწყვეტილი ამდენი ხალხის გამოკვება ჰქონდა. სამეფოს სხვადასხვა კუთხეში უმოქმედოდ მდგარი მხედრობა უამრავ პურს, ფეტვს, ღვინოსა და საკლავს ნთქავდა, რასაც გზორები და იასაულები მეფის სახელით მოსახლეობას ალაგობრივ ართმევდნენ და უამისოდაც მშვირსა და ვალატაებულ ქვეყანას კიდევ უფრო ამშვედნენ და ალატაებდნენ.

მოსახლეობის დარბევისა და ნადავლის შოვნის ეინით შეპყრობილ ლეკებსა და ყაზარდოელებს გული ერთ ადგილზე არ უძლებდათ. რაკი მტერი ფეხს ითრევდა და აქეთ არ მოდიოდა, თვით მოითხოვდნენ, ცხენისწყალზე გადავალთ და ოდიშში ცეცხლითა და მახვილით შევიკრებითო. შეთქმულთა თავაკაცები დაქირავებული ლაშქრის ამ

მოთხოვნას სხვადასხვა მაცოტუნებელ დაპირებას უპირისპირებდნენ და ჯარის ხვალისა და ზეგის იმედით იყოლოცებდნენ.

ლევანსა და სამეფოს ყველა სხვა ახლანდელ მესვეურს კარგად ესმოდა: დაქირავებული ლეკებისა და ყაზარდოელების მგლური მადის დაკმაყოფილება ძალების უთავებოლო დაბანდებას გამოიწვევდა, ლაშქარი ძარცვა-ტყვევნაში გაერთობოდა და უკეთუ ძლიერ მტერს შეხედებოდა, ნაძარცვით დამძიმებული უმალ ზურგს უჩვენებდა და, როგორც სხვა დროსაც არა ერთჯერ მომხდარა, უწესრიგოდ გაიფანტებოდა.

ყველა ამის მოსმენისა და გონების სასწორზე აწონ-დაწონის შემდეგ მეფე, დადიანი და დადიანის ძე კაცია სამ დღეს ბჭობდნენ. სათათბიროდ აფხაზეთის მთავრის შვილი, კაცია ცოლისძმა, გორდს მამუელი ჯარით მოსული ხუტუნია შერვაშიძეც მოიწვიეს.

ოტია დადიანი, ბევრ დიდსა და მცირე ლაშქრობაში ნამყოფი გამოცდილი სარდალი, მრავალჯერ მტრის მძლეველი, მაგრამ თავადაც არა ერთჯერ სიმწარენანახი, თანამებრძოლების წინაშე გონებამახვილურ მოსაზრებებს აყენებდა: თუ ახალგაზრდა მხედართმთავრები ამ მოსაზრებებს სარწმუნოდ ჩათვლიდნენ და მიიღებდნენ, აფხაზ-ოდიშართა ლაშქარს იმერელ შეთქმულებთან ომში ყველაზე ნაკლები ხარჯისა და მსხვერპლის ვალემა მოუხდებოდა.

რაკი მტერი ხელმოკლედ იყო და თავის ჭრელ ლაშქარში ერთიანი მებრძოლი სულის შენარჩუნება უჭირდა, ცხენისწყლის გამოღმა მხარეს მოთმინება და ლოდინი მართებდა. კიდევ ერთი-ორი კვირა და შეთქმულთა ჯარში უსიკვდილოდ შინაური აურზაური ატყვებოდა. დაქირავებული ლეკობა და ყაზარდოელები, შეპირებულ ვასამრჩელოს რომ ვერ მიიღებდნენ, ქვეყანას კალიასავით მოედებოდნენ. დანარჩენი ჯარი, თუ ერთსულოვნებას კვლავ შეინარჩუნებდა, ამათ წინააღმ-

დღე დაიძვროდა ან საკუთარ სახლკარს მიაშურებდა, რომელიც ყველაფერს ერჩივნა, ხოლო სოლომონს ისღა დარჩებოდა, შესაფერი ზარ-ზეიმით ვაღმა გადასულიყო და კუთვნილ ტახტს დაპატრონებოდა.

ბრძენი სიმამრის თათბირი სოლომონმა შორს დაიჭირა. დადიანისაგან განსხვავებით, მეფეს ერთსა და იმავე დროს ორი კურდღლის დაჭერა სწავდა: ტახტის მიმტაცებლებთან იძულებით ომში აფხაზ-ოდიშართა ლაშქარი, რაც შეიძლება, ნაკლებ უნდა დაზარალებულიყო და, რაც არა ნაკლებ მთავარია, მის სამეფოსაც ნაკლები ზარალი უნდა მოსვლოდა.

შეტქმულთა ლაშქარში შინაური განხეთქილების ლოდინი, ჯერ ერთი, საკმაო დროს მოითხოვდა, მეორეს მხრივ კი იგი ქვეყანას ძირფესვიანად მოთხრიდა და ქვეს ქვაზე აღარ დასტოვებდა. სოლომონს ამიტომ გადაუდებელ საქმედ მიაჩნდა დაუყოვნებელი მოქმედების დაწყება, მაგრამ ისე კი, რომ მტრის ყველა სუსტი ადგილი გათვალისწინებული და სათანადოდ გამოყენებული ყოფილიყო.

დადიანის ძემ, კაციამ და აფხაზეთის მთავრის შვილმა, ხუტუნია შერვაშიძემ, ეს რომ მოისმინეს, სოლომონს მხარი უყოყმანოდ დაუჭირეს. ერთიცა და მეორეც სოლომონისებრ ახალგაზრდა კაცი იყო, ორივეს გული ერჩოდა და როდი მალავდა, რომ ამდენ ხანს გორდში უქმად დგომამ, უკაცრავად პასუხია, მუხლებში წყალი ჩაუყენა.

დადიანი არ შემერთალა. ყმაწვილკაცების ჯანყს, როგორც მის ღირსებას და სიღარბაისლეს შეეფერებოდა, დინჯად და მოთმინებით შეეგება. მაგრამ გონიერული სურვილის გამოთქმა ერთია, ამ სურვილს შესრულება და ფრთების შესხმა ხომ უნდა! საიდან და როგორ შეეღწიათ იმერეთში? საიდან და როგორ შემოევლოთ? განა დღეს პირველად მიდიოდნენ სალაშქროდ, განა დღეს პირველად იწყებოდა ეს ძმამამლეტი ომი, რომელშიაც გამარჯ-

ვებული ყოველთვის მესამე მხარე — მომხდელი აგარიანი რჩებოდა, იმერლებმაც და ოდიშარებმაც შეჭირად იცოდნენ მონადირის ყველა ბილიკი, რითაც ქვეყნის ერთი კუთხიდან მეორეში შეუმჩნევლად შესვლა შეიძლებოდა. ამ ბილიკებზე ასჯერ და ათასჯერ გაველოთ მათაც და მათ მამაპაპასაც. იცოდნენ ყველა ფონი მდინარეში, ყველა წყარო, ყველა კლდე და გამოქვაბული. ადამიანები მიდიოდნენ, თაობა თაობას ცვლიდა, ყველა ეს კი რჩებოდა, რჩებოდა უცვლელად, ისევე, როგორც ათასი წლის წინათ იყო და ვინ იცის, კიდევ რამდენ ათას წელიწადს იქნებოდა!

სოლომონმა იგრძნო, ახლა კი ჩემი ჯერი დადგაო და თავისი მოკავშირეების წინაშე, რომლებიც გულში საკუთარ ქვეშევრდომებად მიაჩნდა, მრავალი უძილო ღამის განმავლობაში დაწყობილი გვეგები ვადმოალაგა.

მეფის გეგმის თანახმად, თოთხმეტი ათასი ცხენოსნისა და შეიდი ათასი ქვეითი მეომრისაგან შედგენილი აფხაზ-ოდიშართა გაერთიანებული ლაშქარი ორ არათანაბარ ნაწილად გაიყოფოდა. ოთხი-ხუთი ათასი კაციისაგან შემდგარი რაზმი, ლაშქრის ერთი ნაწილი, რომლისთვისაც დადიანის ძეს, კაციას, უნდა ეწინააღმდეგრა, მათხოჯთან ცხენისწყალს გადავიდოდა და ფიცხელ ომს გამართავდა. ნაშუადღევს, ვითომდა მტრისაგან შეჭირვებულ რაზმს უკან უნდა დაეხია და თან იმდაგვარი ხმები დაეყარა, თითქოს აქ აფხაზ-ოდიშართა მთავარი ძალა იბრძოდა და თვით მეფე სოლომონიც ლაშქარში იყო. რიცხვობრივი სიჭარბით გულმოცემული მტერი უკანდახეულთ, რა თქმა უნდა, კვალდაკვალ დაედევნებოდა, მაგრამ ზეობის სიციწროვის გამო ვერსად გაიშლებოდა და თავის აშკარა უპირატესობას ვერ გამოიყენებდა. ომი მეორე-მესამე დღესაც ასევე უნდა გაგრძელებულიყო და შეტქმულთა მთელი მხედრობა აქეთ მოეზიდა. ამასობაში მეფის მთავარი ძალა, თხუთმეტი-თექვსმეტი ათასი კო-

ცი, ცხენოსანი და ქვეითი, ცხენისწყალს აღმა აპყვებოდა, აივლიდა ლეჩხუმს, დეხეირის ციხესთან შეგაფუდებოდა და აქედან მალულად შევიდოდა ოკრიბაში, სადაც მას ქაიხოსრო აგიაშვილი და ბერი წულუკიძე შემოუერთდებოდნენ. მოწინააღმდეგის მარჯვენა ფრთაზე მოულოდნელი დაცემით და ყვირილას პირზე ვადამწყვეტი ომის გამართვით მეფეს საშუალება მიეცემოდა მტრის ძალები შუაზე გაეხლიჩა, არგვეთის გამაგრებული ციხეები, რომლებიც ბაბუა ლევანის მეციხოვნე ჯარს ეკავა, პირველსავე დამეს ალყაში მოექცია, ზოგი მათგანი კიდევაც შეელეწა, ხოლო შუადღისას ყვირილა ვადაელახა და მომაკვდინებელი მახვილი ვარციხისაკენ მიემართა.

ოტია დადიანი, მისი ძე კაცია და აფხაზეთის მთავრის შვილი ხუტუნია შერვაშიძე სულგანაბული უსმენდნენ მეფეს. სოლომონი შთაგონებული იყო, სახე წამოგზნებოდა, თვალებიდან ნაპერწყმებს ჰყრიდა. თავისი მკაცრად ჩამოყალიბებული, მკაფიო, ლოგიკურად შეკრული და გარეგნული ზიზილ-ნაპილებს მოკლებული სიტყვა რომ დაიპრუღა, მეფე წამოდგა, გულხელი დაიჭრო და სამეფო მოკავშირეს, რომელთაც ხალიჩაზე აღმოსავლური წესით მოერთნათ და მუხლებს ნიდაყვებით დაჰყრდნობოდნენ, ზემოდან დაჰხედა.

ხმა არავის ამოუღია, მეფის თათბირის მოსმენით გამოწვეული შთაბეჭდილება ისე დიდი იყო, ახლა, ამის შემდეგ, პირველი სიტყვის თქმა ისევე საძნელო გახდა, როგორც ბჭობის დაწყებისას.

ქარებისაგან დაუძლეურებული მოხუცებული მთავრის გულში ორი ურთიერთსაწინააღმდეგო გრძნობა ებრძოდა ერთმანეთს. უპირველესი გრძნობა სიხარული და სიამაყე იყო. ამ სიხარულსა და სიამაყეს გვირგვინოსანი სიძის, სათაყვანებელ ასულ მარიამის ღვთივ კანონიერი თანამეცხედრის გონების სიცხადე, გამჭრიახობა და გაბე-

დულება ჰბადებდა. მეორე გრძნობა ფართული, სადაც სულის სიღრმეში ჩასახლებული შიში გახლდათ, რომელსაც ოდიშის ზვიად მფლობელს იმერეთის ახალგაზრდა მეფის შემართება, შეუპოვრობა და გამარჯვების დაუცხრომელი წყურვილი უნერგავდა. ვინ იცის, სად და როგორ იჩენდა თავს მეფის ნიჭიერება, ვინ ვიზე წინ აღმოჩნდებოდა და ვინ ვიზე უკანი..

ოტიას დაკვირვებით, სოლომონი ნაკლებ ჰგავდა ხასიათით დუნე, გულჩათხრობილ და მარადეამ ეჭვებით შეპყრობილ მამას, მეფე ალექსანდრეს. ჰაბუკის სისხლში, ეტყობოდა, დედის, აბაშიძის ასულ თამარის, წილიც ბევრი იყო, რაც სოლომონს გონების სიკისკასეს, მიზნის გამოკვეთილობას და მეფეთავრებისათვის ეგზომ საჭირო სხვათა დაქვემდებარებისაკენ გამუდმებულ ლტოლვას ჰმატებდა.

მსგავს და კიდევ უფრო მეტ ორჭოფობასა და ყოყმანს შეეპყრო სალიპარტიანოს ახლანდელი ბატონი და ოდიშის მომავალი მთავარი კაცია. შეხვედრის პირველსავე დღეს ათვალწუნებული იმერთა მეფე მის წინაშე მთაზე აგორებული ზვავივით იზრდებოდა და თავის გზაზე ყველასა და ყველაფერს წალეკვას უქადა. ვაი იმ უბედურს, ვისაც ძალაუფლების უმაღლეს საფეხურზე ასული სოლომონის მეფური რისხვა დაატყდებოდა, ვაი იმის შველესა და მოსწრებას, ვინც ურჩობას გაუბედავდა და ვისაც ორგულობას შეამჩნევდა!

სამ წარჩინებულ პირთაგან ერთადერთ ხუტუნია შერვაშიძეს ახარებდა და ნამდვილ გულწრფელ აღტაცებას ჰგვირდა იმერთა ჰაბუკი მეფის გამჭრიახობა და მხედრული შემართება. მთავრის შვილი ვერ ისვენებდა, დაბადებითვე სისხლსა და ხორცში გამჭდარი თავაზიანობა და უფროსისადმი მოწიწება ნებას არ აძლევდა, მამის ტოლ ბატონ ოტიასათვის დაესწრო და სოლომონის გეგმის გარეშემო თავისი ალაღმართალი, პირუთენელი აზრი გა-

მოეთქვა, მაგრამ მისი ბავშვური სახის მიაშიტური გამომეტყველება და ბოჩოლასებრი დიდრონი, გაბრწყინებული თვალები ამას უსიტყვოდაც მშვენიერად ამბობდნენ.

სოლომონის გეგმის სისწორეს ის გარემოებაც ცხადსა და უტყველს ხდიდა, რომ დღეს არა ხვალ, ახალციხეში თავზე ხელს მოისვამდნენ, იმერეთს ახალ მარბიელ ლაშქარს შემოუსევდნენ და თუ სამეფოს ახლანდელი მესვეურნი ქვეყნის ამ ახალ ჭირს ტახტდაკარგული მეფის წინააღმდეგ მიმართავდნენ, რაც სოლომონის ბანაკში მოულოდნელი და მოუხერხებელი სულაც არ უნდა ჰგონებოდნათ, საქმე მეტისმეტად გართულდებოდა და ბოლოს, შეესაძლოა, მოკავშირეებისათვის არასახარბიელო სახეც მიეღო. უმოქმედოდ დგომა და ლოდინი, იქნებ იმერთა ლაშქარში არეულობა მოხდესო, როგორც ოტია დადიანი ფიქრობდა, ამგვარად, გამოუსადეგარი იყო და წყალს მხოლოდ მტრის წისქვილს დაასხამდა. მეფის თათბირი რომ მოისმინა, იგი თვით ოტიავე უარჰყო. სოლომონის გეგმა უფრო სრულყოფილად სცნო, მხოლოდ ამ გეგმაში მცირეოდენი ცვლილებების მოხდენა ითხოვა.

ოდისის ბატონის აზრით, ბატონი-შვილ კაციას რაზმი, მან „ბატონი-შვილი“ განზრახ გარკვევითა და ხაზგასმით წარმოთქვა, რათა ახალგაზრდა მეფისათვის ერთხელ კიდევ ჩაეგონებინა, საქმე შენს ქვეშევრდომთან კი არა, შენს ტოლთან და სწორთან გაქვსო, ორი ან სამი ათასი მეომრით უნდა გაზრდილიყო. დადიანი შიშობდა, ვაითუ მცირე ჯარით ძლიერი მტრის მოწილას ვერ გაეუძლოთ და ჩვენსავე დაგებულ ხაფანგში ვავებათო. მთავარი დამრტყმელი ძალის ხარჯზე კაციას რაზმის გაზრდის საშუალებას თუნდ ის იძლეოდა, რომ ლეჩხუმიდან რიონზე გადასულ მეფეს ოკრიბაში აგიაშვილი და წულუკიძე უერთდებოდნენ თავ-თავიანთი ლაშქრით, რომელთაგან თითოეულს

ორ-სამ ათას კაცზე ნაკლები არ ეყოლებოდა.

მეფემ კაციას და ხუტუნიაშვილებს შეიძეს მიაპყრო მხერა, რას იტყვიანო. ორი ან სამი ათასი კაცის დაკლება მთავარ ძალას, რომელსაც ომის მთელი სიმძიმე უნდა ეტვირთა და საბოლოო გამარჯვებაც მოეტანა, რასაკვირველია, საგრძნობლად დაასუსტებდა, კაციას კი მნიშვნელოვან სარგებლობას ვერ მოუტანდა თუნდაც იმტომ, რომ ცხენისწყლის ხეობის სივიწროვე ხალხმრავალი რაზმის მიმოსვლასა და საჭიროებისამებრ გადასროლ-გადმოსროლას უთუოდ დააბრკოლებდა.

კაცია და ხუტუნია დუმდნენ და ოტიას ამ ბოლო მოსაზრებას, როგორც ეტყობოდა, უსიტყვოდ იზიარებდნენ. აღარც მეფე გაიჭებულა. ისე კი, სიძარითლე რომ ითქვას, ჯარის ამგვარ გადაადგილებას აშკარად საზიანოდ თვლიდა. მაგრამ შეუთანხმებლობას ვაითუ უსიამოვნების ჩამოგდება მოჰყოლოდა და ამდენი მსხვერპლის გაღების ფასად შეკოწიწებულ საქმეს გამოუსწორებელი ზიანი მოსვლოდა.

ჯარი ჯერ კიდევ თავს იყრიდა. სამი-ოთხი დღე მაინც, თუ მეტი არა, აქედან კვლავ ვერ დაიქვროდნენ. ოტიას ვარაუდით, მარიაძობას შინ გაათენებდნენ, ხოლო ცხრა ან ათ სექტემბერს, მომდევნო კვირაში, დემეტრის ახსენებდნენ და დასახული გეგმის სისრულეში მოყვანას შეუდგებოდნენ.

თვით ოტია თავს უქეიფოდ გრძნობდა. საღამოობით სიცხე უწევდა და ოფლი ღვარად ასკდებოდა. აქიმები თავზე გხვიდნენ. ზოგი რა მიზეზს ასახელებდა და ზოგი რას. გადააქოთეს ძველისძველი სააქიმო წიგნები, შინაურნი და უცხოთა ენათაგან თარგმნილნი, კარაბადინები, იმერეთიდან სწავლული თეათინელი მამებიც მოიწვიეს და რჩევა ჰკითხეს. მოხუცებულს წამლებით ჭყიპავდნენ, ათასნაირი ბალახეულის ნახარშს ასმევდნენ. ოტია ხან მოიხედავდა, ხან ისევ უარესად გახდებოდა ხოლმე. სახლელს მთელი და



მეები არ ეძინა. სასახლეში ფეხისწვერებზე დადიოდნენ. ცდილობდნენ, საწყენი არაფერი გაეგებინებინათ, მაგრამ ოტიას ასი ყური და ასი თვალი ჰქონდა გამობმული, რას გამოაპარებდი, მისი გონება კვლავინდებური სიცხადით მუშაობდა, არც მენსიერება აკლდა, არც თვალის ჩინი, ასე ვასინჯეთ, მუხლიც კი ერჩოდა, მაგრამ ტანში უემური უჯდა და ხელ-ფეხს ის უბორკავდა. გამუდმებულმა ოფლის დენამ და სიცხემ სახსრები მოუღუნა და ღონე სულ წაართვა. დედაწული შიშმა და ძრწოლამ მრიაცა. სიძაბუნისდა მიუხედავად, ოტია შეძლებისამებრ თავს იკავებდა და შინაურებს აქეთ უცაცხანებდა, ამოშმინებდა, რამ გადაგრიათ და გადაგშალათ, თოლივე, მართლა აგრე

გლახად კი არა ვარ, აქიმები რომ ამბობენ და თქვენ რომ გგონიათო. მაგრამ თავად ხომ მაინც იცოდა, როგორ იყო. აწი ცხენზე შეჯდომა აღარ ეწერა, ომში მიმავალ ჯარს ძველებურად წინ ველარ გაუძღვებოდა. მამის მაგიერ ამჯერად ოდიშის მრავალრიცხოვან ლაშქრისათვის სალიბარტიანოს ბატონს, მამის იმედსა და ამომავალ ვარსკვლავს, კაცის უნდა ეწინააღმდეგა. ოტია აქ, გორდში მოუცდიდა ლაშქრად წასულთ, იმერეთის დედოფალთ-დედოფალი მარიამიც აქ, საყოლში დარჩებოდა და გულმხურვალე ლოცვა-ვედრებით მალალ მღმერთს ქრისტეს მოსახელე მეფის ლაშქრის გამარჯვებასა და ვერაფი მტრის ძლევას შესთხოვდა.

## თავი მესამე

დადიანის კაცების მიერ შეპყრობილი თავაზა მესხი, როგორც იქნა, დილეგიდან გამოუშვეს და მაშინვე მეფეს მიჰგვარეს. მეფემ თვით ისურვა მესხის ნახვა. იმის გარდა, რაც უკვე თქვა და აღიარა, თავაზას ბევრი სხვა რამეც უნდა სცოდნოდა, რასაც, თუ ჰქონდა, ბოლომდე საიდუმლოდ შეინახავდა და მთავრის კაცებთან არ გაამხელდა. ამას რომ ფიქრობდა, მეფე არ შემეცდარა. ყველაზე დიდი საიდუმლო — გენათელ მიტროპოლიტ იოსების მოკითხვის წიგნი, რომელიც მეფის ძმას ხინოწმინდიდან მობრუნებისთანავე დაეწერა და დანიშნულებისამებრ აქამდე ვერ მოეწვდინა, თავაზა მესხს მთავრის კაცებისათვის როგორღაც დაეშალა და სწორედ ამ წუთამდე შემოენახა.

სოლომონი დადიანების საზაფხულო სასახლის იმავე პალატაში ცხოვრობდა, რომელშიაც გორდს მობრძანების პირველსავე დღეს მოათავსეს. ასწლოვანი კედრებით დაჩრდილული

ფართო აივანიდან კაცი პირდაპირ მის სამყოფელში მოხვდებოდა. ცალფა გვერდითი კარი, აივანზე გამომავალ კარზე ცოტა უფრო-უფრო და დაბალი, ურთხელის სახოვან კედელს ძლივს რომ აჩნდა, სარკმლებით ჩრდილოეთისაკენ მიქცეულ ოთახში ვადიოდა. ეს კარი დადიანის ერთგულმა შინამოსამსახურეებმა, ბატონის ბრძანებისამებრ, ჯერისწერის დამეს გახსნეს და ბატონიშვილ მარიამის, აწ უკვე ლიხთიმერეთის დედოფალთ-დედოფლის, საძინებელი ოთახი მეფის სადგომს უშუალოდ შემოუერთეს.

ნაჩქარევად წვერმოპარსულ და ნათხოვარ ჩოხა-ახალუხსა და წულამესტებში გამოწყობილ თავაზა მესხს, რომელიც რიკულეზიანი აივნის კიბემდე ოტიას მანდატურებმა მოაცილეს, თვით კი კიბის ძირას, ეზოში დარჩნენ, თავპირგაბანჯგულული ძმები, ნიკოლოზა და დათუნა ნაფიჩვაძეები, მოგვებნენ, შინაურულად მოკითხეს და, ვიდრე თავაზას მოსვლას მის უდიდებულესო-

ბას აუწყებდნენ, მესხი ერთხანს კიბის-  
თავში ალოდინეს.

თამაზა ნოთომინებით აღიჭურვა.  
სხვის ფეხზე შეყვრილი ახალ-ახალი  
წულა, დიღვეშივე რომ მიაჩჩეს და  
შიგ კლინკი ძლივს წაჰყო, უჭერდა, ჩო-  
ხაც უხერხულად ადგა ტანზე. სოლო-  
მონის წინაშე რომ წარსდგა, ორივე ეს  
უსიამოვნო გრძნობა ერთბაშად გადა-  
ვარდა გულიდან და მთელი ყურადღე-  
ბა ვარემოზე გადაიტანა.

მეფე ხალიჩაგადაფარებულ რბილ  
ტახტზე იჯდა კარის მოპირდაპირე კე-  
დელთან, ბატის ფრთა მოემარჯვებინა  
და ძოწისფერი ახალუხის დილეილოებს  
თავისი ხელით ისკვნიდა. ლერწმისფე-  
ხებიან დაბალ, მრგვალ მაგიდაზე და  
ხალიჩაგადაფარებულ ვანიერ ტახტზე  
ეახუშტი ბატონიშვილისეული რუკე-  
ბი გაეშალა. ეს რუკები თამაზას ადრე  
ჰქონდა ნანახი და უმაღლე იცნო. მეფე  
აღუქსანდრემ გადმოაღებინა ერთ ტვი-  
ლისელ ვაჭარს და ლაშქრობებში მუ-  
დამ თან დაჰქონდა.

ქვეყნის უხენაეს მყრობელს თამა-  
ზა მესხმა შესაფერი თავიანი სცა, ცალ  
მუხლზე დაიჩოქა, ძოწისფერი ახალუ-  
ხის კალთას კრძალვით შეახო ტუჩები,  
შემდეგ წამოიწია, გულზე ხელი მოწი-  
წებით მიიღო და თავდახრილი უკან-  
უკან წავიდა. აღარ გახსენებია, ჩოხა  
რომ ბეჭებში ჭაჩაედა და წულაც ულ-  
მერთოდ უხრუჟავდა ერთიმეორეზე მი-  
ტყუებულ თითებს.

თამაზას ეგონა, თავისი უკუღმართ  
ყისმათს ძალაუნებურად შეგუებული  
ბატონი დაღვრემილი დამხვდება და,  
როგორც ახლობელ კაცს, ადრეული  
სიყმაწვილიდანვე ჰქირისა და ლხინის  
მოზიარეს, დარღსა და ვარამს ვერ დამი-  
მაღავსო.

სოლომონი, პირიქით, თავისი ბედით  
უადრესად კმაყოფილი, ზვიადი და გა-  
ლადებული ეჩვენა. სადარბაზოდ მო-  
სულ ქვეშევრდომს ოღნავ მედიდურად,  
თითქმის დამცინავად ზომავდა თავი-  
დან ფეხებამდე. მესხს ის დავაყვაცე-  
ბული და ცოტათი გაუხეშებულიც ეჩ-

ვენა. სოლომონის შინაგანი ლმობიერე-  
ბა, ყმაწვილური კრძალვა და მდამბო  
ხალხის წიაღში აღზრდილ მიღებულ  
შესისხლბორცებული უბრალოება სად-  
ღაც გამჭრალიყო და ამისი ადგილი სა-  
კუთარ ძალასა და უფლებამოსილება-  
ში ღრმად დარწმუნებული მყრობელის  
თვითკმაყოფილებას დაეკავებინა.

საკმაოდ შემცბარი თამაზა, არსად  
და არასოდეს რომ არ იზნეოდა და  
თუნდ ზის კენწეროდან გადმოგვეგდოთ,  
კატასავით მსწრაფლ ფეხზე დადგებო-  
და, ბუტბუტს მოჰყვა, რამდენიმე მია-  
მებელ სიტყვას თავი ძლივს მოუყარა,  
მეფეს დადიანის ასულზე ჯვარის დაწე-  
რა მიულოცა და თავის თანამეცბედ-  
რესთან, დედოფალთ-დედოფალ მა-  
რიაშთან ერთად გრძელი დღე, სულ მა-  
ლე ტახტის მომავალი მემკვიდრის შე-  
ძენა და ღვთის შეწვევით ურჯულო  
მტრის დამარცხება უსურვა.

მემკვიდრის ხსენებამ, რომელიც  
ჯერ კიდევ არ დაბადებულიყო და სად-  
ღაც, დედის წიაღში თვლემდა, სოლო-  
მონს გუნება აუღმღრია. ნუთუ მართლა  
ასე მოკლეა წუთისოფელი? ჯერ თავა-  
დაც არ მოუმაგრებია მუხლი, ფეხზე არ  
დამდგარა და განგება-უკვე შემცვლელს  
უგზავნის? დაილოცა, ღმერთო, შენი  
სამართალი! იქნებ არცა ღირდეს თავის  
გამოდება? მემკვიდრე კვალდაკვალ  
მოგდევს და აწმყო და მომავალი, რო-  
მელთაგან მეორე შენ არ გეკუთვნის,  
ისე გადასკვნიან ერთმანეთს, ვერც კი  
გაიგებ, სად მთავრდება ერთე და სად  
იწყება მეორე!

წამით სოლომონის თვალში ყოვე-  
ლივე ამოებად იქცა, ფასი და მნიშე-  
ნელობა დაჰკარგა. რისთვის ვიბრძვი?  
თავს რისთვის ვაკლავთ ერთიმეორეს,  
რისთვის ვფუხსფუხსებთ, როცა ყოველი-  
ვე ამო და წარმავალია?

„გრისხოს გელათის ღვთისმშობელ-  
მა!.. — უცებ საიდანღაც ჩაეწევათ გუ-  
ლში და მწარე ტკივილისაგან შეიმშუშ-  
ნა. — არ მიხვედი სახლში ცოცხალი!..  
არ გეიხარო ჩვენი ცოდვით!.. არ გე-  
ღირსოს მოსვენება!..“

არა, ეს ამოება არ იყო! აქ თითქოს მარადისობა ჰყოფდა და თვით მომავლედანაც კი სულის მშვიდად ამოსვლისა და თვალის საუფუნოდ დახუჭვის უფლებას არ აძლევდა. სოლომონი ყოველთვის გაუბრბოდა და ემალებოდა თავის სიცოცხლეში ყველაზე უფრო საზარელი წუთის გახსენებას, რომელიც ოცხის ციხესთან გადახდა. უბედური დედის წყევლა დღემდე კვალდაკვალ მოსდევდა და ძარღვებში სისხლს უყინავდა. სად იყო ახლა ის საცოდავი ქალი, ქორივით რომ გადაჰყოფრებოდა თავის ახალდაბადებულ ბახალას და მასავით უძლურ ქვეყნის ბატონს, ყოვლისშემძლე რომ ეგონა, შველას ემუდარებოდა?

„რამდენ ხანს უნდა ვიცოცხლო, ეს რომ დამავიწყდეს? — ფიქრობდა სოლომონი. — ეს ხომ ჩემი სინდისის ლაქაა. ვინ მომრეცხს, თუ საკუთარი სისხლით არ მოვირეცხე?“

სისხლით... სწორედ სისხლით უნდა მოირეცხოს ყველა ლაქა, ყველამ, ვინც არ უნდა იყოს, სისხლით უნდა ზღოს თავისი დანაშაული, ეს ქვეყანა ისე არ გასწორდება, კეთილი ისე ვერ სძლევს ბოროტს, ქვეყნად სათნოება და კაცთმოყვარეობა ისე ვერ იბოვინებს!..

თამაზა მეფეს თვალს არ აშორებდა, აბა, რას მიბრძანებსო, როგორ შევიძლო გამოეცნო, რა ცეცხლი ბორჯავდა ამ ღროს მის გულში, რა უკიდურეს ფიქრამდე მიიყვანა ტახტის მომავალი მემკვიდრის უნებლიე ხსენებამ, იმ მემკვიდრისა, ჯერ რომ არ დაბადებულიყო და არც არავინ იცოდა, როდის დაიბადებოდა.

— რამდენადაც ვიცი, — ყოველგვარი შესავლის გარეშე დაიწყო სოლომონმა და იატაკზე ამოჩემებულ წერტილს დააკერდა, რათა თამაზასათვის თვალეში არ ეცქირა, — ბატონ ბიძაჩემებს, გიორგის და მამუკას, დიდ დედოფალ თამარს და ბატონ ლევანს, ბაბუაჩემს, დიდებულად შეეწყვე. თვალშია რომ ჩაუვარდე, ხელს არ მოიხვამენ. უმცროს-უფროსობაც ამისთა-

ნა უნდა! ახლა რას მივაწერო შენი აქ მოსვლა? რა მოხდა, თავი ნუ მოგიკვდებია, უთანხმოება მოგივიდათ? რამ უნდა გაიყავით?

— თუ მაგას მართლა გულით შეუბნები, ბატონო მეფე, — მესხი წელში კრძალვით გაიმართა, ხელი ისევ გულზე მიიღო და ხმაში გაბედულება და შინაგანი რწმენა მოემატა, — ბარემ უბრძანე, შესაფერისად დამსაჯონ!

— მაგის დროც მოვა, — ფიქრთანად თქვა მეფემ, წამოდგა და ფართოდ გახელილი, ხანგრძლივი უძილობისაგან შეშუპებული თვალები ზიზღითა და მძულვარებით აეცსო. — ნურავინ იფიქრებს, მაღალი ღმერთის ყოვლისმხილველ თვალს დაემალოს, ავკაცობა შერჩეს და ამ კურთხეულ მიწაზე, — სოლომონმა ქუსლი იატაკს დაჰკრა. — დაუსჯელად იპარაშოს! თავისი წილი, დღეს თუ ხვალ, ყველას ერგება. მე გადმომიკეს, იმერეთიდან ჩვენთვის ფრიალ საჭირო ცნობები მოგიტანია. ამაზე მადლობა, მადლობელი ვარ! რისთვის დაგიმალოთ, ჩვენ არ გენდეთ, ყველა ცნობა შევამოწმეთ და ვცანით, რომ ამჟერად არა ტყუი, წრფელად გადაგიწყვეტია, ეშმაკს ზურგი შეაქციო და ქვეყნის კანონიერ მეფეს უერთგულო...

თამაზა აღელდა, გალიაში მომწყვდეულ წრუწუნა თავგვივით აწრიალდა, ცხელ გულზე პასუხის გაცემა მოინდომა, რამდენჯერმე შეეცადა, წამი ეხელთა და მეფისათვის სიტყვა ჩაერთო, მაგრამ სოლომონმა არ აცალა. მას თავი ისე ექირა, თითქოს არც კი იცოდა, რომ იმერეთიდან აქ რის ვაივაგლახით მოსული მესხი დადიანის კაცებს სამ თუ ოთხ დღეს დაკავებული ჰყავდათ და დილეგიდან ეს იყო გამოუშვეს, რათა მეფის ბრძანებისამებრ სასახლეში მოეყვანათ, კვლავ განაგრძო:

— თავის მართლებას ნუ მოჰყვები, ჩემო თამაზ, ხომ იცი, საკუთარი ხუთი თითივით გიცნობ. თუ აწი მინც გონიერებას გამოიჩენ და გულმართლად შემსახურები, იცოდე, წყალობით ავა-

ესე, არა და, ღვთის მადლმა, ჩემი რისხვა არ აგცდებდა. მერე ყველაფერი საკუთარ სულმოკლეობას დააბრალე. ახლა შეგიძლია და უფლებაცა გაქვს, მკითხო: რას მემართლები, შე დალოცვილო, შენთვის და შენი ახლობლები-სათვის განა ცოტა სიკეთე მიქნიაო? მართალია, გიქნია სიკეთე, ვიცი და ამას არც უარეყოფ. ღმერთია მოწამე, უმადური კაცი არა ვარ და სიკეთის დამახსოვრება მემარჯვება. მაგრამ ისიც ვიცი, თამაზ, რომ ყველა ეგ სიკეთე, ახლა რომ ენაზე გადვას და გინდა დამაყვედრო, საკუთარი ტყავის მოსაფრთხილებლად ჩაიდინე. აბა სად შენ და სად უანგარო თავის დადება! ხომ ხედავ, გულახდილად გელაპარაკები და სათქმელს აღარაფერს ვიტოვებ. მე მეფე ვარ, თამაზ, გონება მიჭრის და ყოველთვის ძალმიძს, შენისთანა მედროვე კაცი ჩემს სასარგებლოდ, გამოვიყენო, მომავალში, ალბათ, ასეც იქნება, მაგრამ იცოდვე: მაგნაირ ხელეჩოს, შენ რომ ხარ, პატივს არა ვცემ. როგორც არ უნდა გამომადღე და მიერთგულო, მაინც გულს მაქლია. თავად რომც არ მითხრა, ამ სისხლის წვიმასი აქ მოსვლა რამ გადაგაწყვეტინა, მე თვით გეტყვი: ხედავ, ძალა ჩემს მხარეზეა, ქვეყნის ორგულის დღე დათვლილია, შურისგების წუთმა დაჰკრა და შენც უმალ ის მოქებნე, ვისი ფრთის ქვეშაც თავს უფრო უშიშრად იგროვებ და მაშიჩემის ნაბოძებ დარბაზის წევრობას შეინარჩუნებ. მერე იქნებ გადავადებასა და სარფიანი სახელოს მიღებაზეც იფიქროს კაცმა! აქამდე მთლად დარწმუნებული არ ბრძანდებოდი, სად რა და როგორ იქნებოდა, ჩემი ერთგული კაცების დასანახად ხანდახან ჩემს საქმესაც აკეთებდი, მაგრამ არც ჩემს მოსისხლე მტრებს მოსცილებიხარ იმის შიშით და რიდით, ვაითუ გამარჯვების სასწორმა იქით გადასძლიოს და მეფე ხახამშრალი დარჩესო. შენი მოსვლა კარგი ნიშანია. ესეც მარწმუნებს, რომ მტრებს უნდა ვძლიო და გავიმარჯვო. ეს რომ ასე არ ყოფილი-

ყო, შენ ვარციხეს არ მიატოვებდი და აქ არ მოხვიდოდი. ახლა ხომ უკან დასახვევი ვზა აღარა გაქვს. ღვთის წინაშე ცოდვის ვერ ეიხამ და ცილს ვერ დაგწამებ: აქ წამოსვლა რომ გადაწყვიტე, უკან დახვევა არც გიფიქრია. ბაბუაჩემმა ლევან აბაშიძემ შენი თავი, ალბათ, ოცდახუთ ქენს თეთრად შეაფასა და ყველა ხეზე გასანთლული თოკი დაკიდა შენს ჩამოსახრჩობად. გულზე ხელი დაიდე და, — მეფემ გაიღიმა, თეთრი კბილების ვიწრო ზოლი გამოაჩინა, თვალეშში კი კვლავ შეკავებული რისხვა და ზიზღი უდგა. — გამოტყდი: ხომ ასეა?

სოლომონის თავზარდამცემი გულახდილობით შეძრწუნებულმა მესხმა ორივე მუხლი მოიყარა და მუშტის ტოლად დაპატარავდა:

— ნუ შემოიხსხვ, დიღო მეფეო და ხატზე შემოგფიცავ, შეილითა და მონაგრით სამარის კარამდე შენი ერთგული ვიქნები, მრისხოს წმინდა გიორგიმ, მომეცეს შიშვილი იუდასი, კეთრი გეზისი, ძრწოლა კენისი, ვიყო კრულ, წყეულ და შეჩვენებულ ყველა წმინდანისაგან, რანიცა სვინაქსარშიდ წერიან, დამატყდეს ოთხი პატრიარქის და მათი სამწყსოს წყევლა!..

— ბარემ უბრძანე, შესაფერისად დამსაჯონო, შენ არ ამბობდი?

— შემინდგე უგუნურება, მეფე, ნუ ჩადგები ჩემი წვრილშვილის ცოდვაში!

— ადგე, მოდი ახლოს!

თამაზა წამოდგა და წინ, ოთახის შუაგულისაკენ, სადაც მეფე იდგა, ორად ორი გაუბედავი ნაბიჯი გადასდგა.

— რა ამბავია სასახლეში?

შეკითხვა მოულოდნელი იყო. თამაზას რატომღაც ეგონა, ახლა სულ სხვა რამეს შემეკითხებოდა და მეფეს აბნეულად მიუგო:

— ყოველდღე მიგელიან, თქვენო სიმაღლე... დიდად დამფრთხალი ვახლავს ყველა. ამბობენ, ვითომ შენ გებრძანებინოს, ერთსაც არავის შევარჩენ სულს, ვინაც კი დალატში ურევიაო.

დიდმა დედოფალმა, ბატონმა დედა-  
თქვენმა, სიზმარი ნახა. ვითომ შენ... —  
თამაზას ენა დაება, შეგორძიკდა, გულ-  
ში თავბედი დაიწყევლა, ეს რა წამომ-  
ცდაო.

— ჰო, — გაამხნევა მეფემ.

ძარღვებდაბერილ ყვრიმალებზე თა-  
მაზას ოფლის მსხვილ-მსხვილმა წვე-  
თებმა გამოყონა.

— ვითომ შენ, მეფევ, — მოჩვენე-  
ბითი ვაბედულებით ვანაგრძო მან, თუ-  
მცა შიშისაგან სული ფეხის წვერებში  
მისდიოდა. — ბარი გეკავა ხელში და  
სასახლის მარანში ვითომ ორმოს თხრი-  
დი...

— მერე?

— დიდი დედოფალი შეგეკითხა ვი-  
დომ... — ნათქვამის შესარბილებლად,  
რომ ეს ამბავი ნამდვილად არ მომხდა-  
რა და მხოლოდ სიზმარში ნახა დედო-  
ფალმა თამარმა, თამაზამ ერთი „ვი-  
თომ“ კიდევ იხმარა. — შეილო, სოლო-  
მონ, მანდ რას თხროო. შენ ვითომ თა-  
ვი ასწიე, შეხედე, რომ პასუხი ვაგეცა  
და რას ხედავს: სადღა არის მეფე, ჩონ-  
ჩხია, მარტო ძვლები, თვალების მა-  
გიერ შავი ორმოები მოუჩანს...

სოლომონს მწარედ გაედიმა, თავი  
გადაქნია.

— აქ გამოვლვიდა? ვერ უნდა იყოს  
კარგი სიზმარი. თუმცა მე სიზმრების  
არაფერი მჯერა. მერე რანაირად ახსნეს  
ეგ?

— ხეაშაქმა ახსნა, დედათქვენის პი-  
რისფორუმმა. საქმე უმსხვერპლოდ არ  
გათავდებოა.

— გამოცანა ერგება!

— ვაღმიდანაც გამოიყვანეს სიზმ-  
რის ამხსნელი დედაბერიო...

— იმან რაღა თქვა?

— დოჟცადი სიზმარიოო. რომ არ  
ახდეს, არ შეიძლებაო. ახლავე გაიკრი-  
ფეთ ამ დალოცვილი სასახლიდან, შიგ  
რაღაცა დიდი ცოდვა ტრიალებს და  
თუ არ გაასწართ, მტრისას და ავისას,  
უბედურება დატრიალდებაო.

— მერე? დაუჯერეს?

— კარის ეკლესიაში სანთლები დაა-

ნთეს, წირვა გადაიხადეს, დედათქვენი  
და ბიოლოთქვენები გათენებამდე ლო-  
ცულობდნენ.

— ეტყობა, სასახლეს ნებით ვერ  
დათმობენ, სულს ურჩევენიათ.

— ხალხს იარაღი დაურთვეს, ბატო-  
ნო, ციხეებს ამაგრებენ.

— ხალხთან მე რა ხელი მაქვს, მე  
ტახტის ორგულებს და ქვეყნის გამ-  
ყიდველებს ვებრძვი, ვისაც შენ ელა-  
ქუცებოდი, და თუ მეფე მქვია, დალა-  
ტის საფასურს იმათი კისრიდან ამოვი-  
ღებ!

— ჰეშმარიტად ამოიღებ, თქვენო  
სიმაღლევ, — დამოწმა თამაზა.

— ახალციხიდან რა ისმის? ჰაჯი-ამ-  
მადის ამბავი მართალია?

— არ არის, მეფევ, მართალი, —  
რაკი ბატონმა კეთილი ინება და საუბა-  
რი სხვა საგანზე გადაიტანა, თამაზა  
მესხს, წუთის წინ რომ თავი დაღუპუ-  
ლი ეგონა და გულში დემართს ევედრე-  
ბოდა, მიხსენიო, გუნება ერთბაშად გა-  
მოეცვალა. — სელიმის მომხრეებმა  
მოუგონეს. თითო კვაწია ყველგან  
დულს, ბატონო. ოლთისის სანჯაყ-ბეგი  
რუსტამი ზის დიღუგში...

მეფე სმენად გადაიქცა. თავისი მო-  
სისხლე მტრის, სანჯაყ-ბეგ რუსტამის,  
აგრერიგად დამაბლებების ამბავი ახლა  
პირველად ესმოდა და წყენაზე უფრო  
მეტად სინანულმა შეიპყრო — ვაითუ  
გარემოება ისე წარმიმართოს, რუსტამს  
ომში ველარსად შევხვდე და გულის-  
ჩავრი ველარ ამოვიყაროო.

თამაზამ თითქოს ბატონის ფიქრებს  
უპასუხა:

— ზოგი ამბობს, სიკვდილის განაჩენს  
გამოუტანენო, მარა ღვთის წინაშე ჯერ  
არაფერი ისმის. იმასაც ამბობენ, შეი-  
ძლება ეს კაცსახიდის ამბავი აპატიონ  
და ისევე იმერეთში გამოაგზავნონ სა-  
ლაშქროდო. მტრისას! — თამაზამ თვა-  
ლები ზედაპყრო და პირჩვარი გადაი-  
წერა. — ამოგვაგდებს! — მან უცებ  
ხმა შეიცვალა და მეფეს ცოტა კიდევ  
მიუახლოვდა. — იმან რომ საქმე ქნა,



ბატონო, იმან რომ საქმე ქნა, ენა ვერ აწერს...

— რა საქმე, სად, როდის?

— შენ რომ ის მარცხი შეგამთხვიეს-ყე, კაკასხილთან...

— ჰო, თქვი, რა ენა გებმის!

— აქამდე არაფერი შეგიტყვია, თქვენო სიმალღევ? სოფლები ხომ აიკლო, ეკლესიები დაწვა, კაციშვილი აღარ დაუტოვებია, ყველა აყარა და ახალციხეში გადარეკა. შენ დაგეჭმებდა, გაჩნდა მთქმელი, ღაღოს მთებში იმალებოდა. შემოატყუა იქაურობა. რომ ეღარაფერი ვაახერხა და ვერსად მოვაგნო, უღანაშაულო ხალხზე იყარა ჯავრი...

— კორიშამდე მივიდა, თუ იცი?

— უფრო მეტზეც. ტყეში თქვენს ნადგომ ადგილს წაწყდომოდა.

სოლომონს კორიშელი მღვდელი დაუდგა თვალწინ. ამ ხნის განმავლობაში, რაც განგების ძალამ მტრისაგან დაიფარა, სულ ფიქრობდა, ტახტს რომ დაეებრუნებ და ქვეყანას დაეაწყინარებ, მოეაყვანინებ, მადლობას ეეტყვი, საკადრისად დაეასაჩუქრებ და მხარსაც ვაჩვენებო. ახლაც ამ ფიქრმა გაუელვა და მოშუშებულ მხარში, ხანდახან თავს რომ მაინც შეახსენებდა ხოლმე, მწვავე ტყვილმა გაჭკრა.

— მღვდელი იყო იქ ერთი, მოხუცებული, მგონი საბა, დასტაქარი, ბეჭი შემისვია...

თამაზამ თვალეები ისევ ზე აღაპყრო და სამჯერ ზედიზედ გადაიწერა პირჯვარი, თან რაღაც ლოცვას ჩურჩულებდა.

— აღარ არის თუ? — ჰკითხა მეფემ.

— ჯერ აწამა და მერე საკუთარი ხელით გააპო შესასავით. რომ დაღამდა, ნაჟუწ-ნაჟუწ მოეგროვებინათ იქაურ ვლებებს, ვინც ტყეში დამალვით გადაირჩინა თავი, და ასე წესის აუგებლად დაემარხათ...

— წამების ადგილას ეკლესია უნდა აეავოთ წმიდა საბას სახელობაზე. ერმა უნდა იცოდეს... საბა ქართული ეკლე-

სიის ახალი წმიდანია, გვეფარავდეს მისი სახელი!

— ამინ, მეფეო!..

— ბალავრის კურთხევას მე თავად დავესწრები, პირველ ბარისპირ მიწასაც მე ვადმოვაბრუნებ.

— ღმერთმა შეგაძლებინოს, მეფეო, კერი დაგიმადლის!

— კიდევ რა იცი ახალი?

— თუ სანჯაყ-ბეგ რუსტამს ან რომელიმე სხვა სერასკირს იმერეთში მოსვლა შეაგვიანდა, დედათქვენი, ბატონი თამარი, თვით აპირებს, მეფეც, ახალციხეში წაბრძანებას და ფაშასთან პირისპირ მოლაპარაკებას.

— დედაჩემი? ფაშას იწვევს ჩემთან საომრად?

— თქვეს, ბატონო, გასარისხებლად კი არ მომიხსენებია.

— ბაბუაჩემი ლევანი რა ჰქუაზეა მერე, ან ბატონიშვილები და კათალიკოსი ბესარიონი თუ უწონებენ დედაჩემს არჩევანს?

— ბატონი ლევანი და ბიძათქვენი ღიდ დედოფალს თამარს, რასაკვირველია, კვერს უკრავენ, მეფეც, შეიძლება, კიდევაც ეახლონ, ანდა საფაშოს საზღვრამდე მიაცილონ. რაც შეეხება კათალიკოსს და მის ძმას, რაჭის ერისთავ როსტომს, ერთიცა და მეორეც, მე მგონია, ხელის დაბანას აპირებენ...

— ეგ როგორ გავიგო?

— ერისთავები ოდიშის ბატონს ენათესავენბან, მეფეც. რაღაი დადიანი შენ დაგიმოყვრდა და ყოველი ღონით, რაც კაცის ხელშია, გეხმარება, ისინი, ამას და დიდი ღარი და ხაზი უნდა, განზე დგომას არჩევენ, სხვისი გულის მოსაგებად ჩვენს კეთილისმყოფელი ოტია დადიანი რისთვის მოვიმდღუროთო. ისე კი, ბატონო მეფეც, — თამაზა მესხმა ქურდულად მიიხედ-მოიხედა და ხმას რატომღაც დაუწია. — როსტომ ერისთავი და ბიძათქვენი მამუკა დამძახლდნენ გასულ პარასკევს. დიდბა და პატარას ეს ამბავი აყრია პირზე იმერეთში. ხალხი ვადარეულია.

— როგორ თუ დამძახლდნენ?

— როსტომმა თავისი ასული თამათა თეიმურაზ ბატონიშვილს მისცა ცოლად.

— თეიმურაზი ვარციხეშმა? მე ის ჰაჯი-აჰმადის კარზე დაეტოვებ?

— არა, მეფეო, კავასხიდზე აახლეს ქალი. მოსვლას ვერ ბედავს. ბატონიშვილი მამუკა და ბიცოლათქვენი დარეჯანიც კავასხიდზე ბრძანდებოდნენ. სამ დღეს დარჩნენ. მერე ესენი აქეთ წამოვიდნენ, ის კი იქით, საფაშოში გაბრუნდა.

სოლომონი დაფიქრდა, გული უნებურმა სიბრაულმა შეუტოკა, მაგრამ თავს მალე სძლია, სწრაფად გაიანგარიშა, შორსმჭვრეტელი ერისთავისა და ტახტის მოცილე ბატონიშვილის ეს ახალი ნაბიჯი საითაც უმიზნებდა და კვლავ იკითხა:

— რომელი ქალი მიათხოვა როსტომმა ჩემს ბიძაშვილს, მე ისე მახსოვს, თითქოს გასათხოვარი ქალი აღარ უნდა ჰყოლოდა?

— თამათა, მეფეო, სულ უმცროსი, ბუჭუტა იაშვილის ცოლი, სადმელში...

— მერე ბუჭუტა?

— ვინღა ჰკითხა, ყაბარდოელების ორი ასული მიუსია, სადმელი და კლდისუბანი აიკლო, ვინც მოეწონა, ყველა ტყვედ გამოირეკა. თავად ბუჭუტა რაღაცა ეშმაკად სანადიროდ ყოფილიყო ლიხეთის მთაში. სიმაჰრისა და ცოლისძმების მოხტომის ამბავი გვიან შეეტყობინებინათ. მოვარდა თურმე საწყალი, მიდგა, მოდგა, მაგრამ ერისთავის ჯართან თავისი ოციოდე კაციო რას გახდებოდა მთელი ქვეყნის თვალწინ წაართვეს ცოლი. თავი მაინც არ დაუბოვია. ბოლოს შემოეცალა მომხმარე ხალხი. ყველა ატყობდა, ძალა ერისთავის მხარეზე იყო. თამათა ქვეყანას იკლებდა კივილით, ვინ მოუსმინა! უბრალო ტყვე-ქალივით შეუტარეს ხელფეხი და ცხენზე შესვეს...

ბატის ფრთა, რომლითაც თამაზა მესხის შემოსვლისას ახალუხის დილკილოებს იბნევდა, სოლომონმა გვერდზე მიაგდო და ტახტზე გადაშლილ ვა-

ხუშტისეულ რუკას უაზროდ ჩაუკრიკიტდა. რუკის ამ ფურცელზე გამოჩატული იყო ნაქერალას ქედის სამხრეთი კალთა და ტყირბულის ღრმა ტაფობი ქედის ძირას. მარცხნივ, ქედს იქით, მშვილდით მორკალული, ცისფერი საღებავით დაფერადებული რიონი მიედინებოდა. სოლომონმა თვალი მოსწყვიტა რუკას, დოინჯი შემოიღვა და ოთახში გაიარ-გამოიარა. რით არა ჰგავდა მისი დღევანდელი ყოფა რაჭის ერისთავის ასულ თამათას ბედს? მასაც, თვით მირონცხებულ მეფესაც, ხომ ასევე მოექცნენ, ყველა ადამიანური ვრძნობა უდიერად გაუთელეს, მაშ, რაღა გასაკვირია, თუ ერისთავმა მამამ თავისი ღვიძლი ქალიშვილი, სუქლიერი ქმრისა და შვილების პატრონი, სტლის წასაწყმედად ცხრა მთას იქით გადაჰკარგა, ოღონდ კი თავისი მტრებისათვის ჰქვამი ეჯობნა და პირში ჩალა გამოეყოლო!

— ჩემი ძმების, იესეს და არჩილისას, რატომ არაფერს მეუბნები, მიცდი, როდის შეგეკითხები? — მეფე ოთახის შორეულ კუთხეში შეჩერდა და მესხს მოუტრიალდა.

— მისმა მეუფებამ წიგნი მოგართვა, ბატონო...

— მერე აქამდე მალოდინებ? — სოლომონს უნებლიედ თვალი იმ კარი-საკენ გაექცა, დადიანის შინამოსამსახურეებმა ჯვარისწერის ღამეს რომ გახსნეს და ხმამალალი ჩურჩულით დაუმატა: — მოიტა ჩქარა!

თამაზამ უბეზე იტაცა ხელი, იქ პერანგის ღილი გაიხსნა, ღამში გაარღვია და ათად გაეცილ. თხელ ქალღღებ დაწერილი წიგნი მეფეს გადასცა.

ხელი მართლაც მიტროპოლიტ იოსებისა იყო, წიგნი ჩვეულებრივი ვრძელი შესავლით იწყებოდა. მისი დაწერი მალალ ღმერთსა და საქრისტიანოს მოწყალე მფარველ ღვთისმშობელ მარიამს იმერთა ღვთივ ნაყურთხი ბატონის დღეგრძელობას, პირშავი მტრების დაქმობას და აღრე და მალე კუთხილ

ტახტზე ძლევამოსილ დაბრუნებას ევე-  
დრებოდა.

ამის შემდეგ მიტროპოლიტი მეფეს  
ჩხერის ციხეში რუსეთის საქმეთა  
რწმუნებულის, გვარდიის კაპიტან ლეო-  
ვის მშვიდობით მობრძანებას ატყობი-  
ნებდა.

რუსი დიპლომატი ტფილისიდან მო-  
დიოდა, სადაც ქართლ-კახეთის მე-  
ფეებს, თეიმურაზსა და ერეკლეს, უკ-  
ვე შეხვედროდა და ახლა, ოღონდ საი-  
ღუმლოდ, ვინაიდან ოსმალთა მსტოვ-  
რები ძალზე ფხიზლობდნენ, იმერთა  
მეფის მონახულებას და მისთვის რუს-  
ხელმწიფის დანაბარების გადაცემას  
აპირებდა.

ვარციხეში ორჭოფობდნენ, ვაითუ  
გაიმგერა სიმაგრის ჩავონებით რუსის  
ელჩი თვით სოლომონმა მოგვიგზავნა  
და ფაშასთან ჩვენს წაყიდებას აპირებ-  
სო.

იოსები გვირგვინოსან მას თხოვდა,  
ამავე თამაზა მესხის ან რომელიმე სხვა  
სანდო კაცის პირით ეცნობებინა თავი-  
სი მოსაზრება, ნება დაერთო, ლეოვს  
მეფის სახელით მოლაპარაკებოდა, თუ

არა და თვით ეფრინა მალე მსრბოლი  
ჩხერის ციხეში და რუსხელმწიფის საქ-  
მეთა რწმუნებულისათვის უმადლესი  
გადაწყვეტილება ემცნო.

არშიაზე სულ რამდენიმე სიტყვით  
იყო მიწერილი, თუ რა სიძნელებით  
შეხვდათ გზაში ბინოწმინდისკენ მი-  
მავლებს, მადლობა წმიდა სამებას,  
ქრისტეს მხვეალმა თინათიმ ვასაჭირი  
წარმოუდგენელი მხნეობით გადაიტანა  
და თვით მონასტრის კარიბჭემდე, სა-  
დაც შორი გზიდან მოსულთ ბინოწმინ-  
დელი ეპისკოპოსი იოანე მოეგებათ,  
ერთი კენესა და ჩივილიც არ წამოს-  
ცდენია.

სოლომონმა იგრძნო, თვალთ უბნე-  
ლდებოდა. იოსების შეგირდულ ნაწერს  
თანდათან ბინდი გადაეკრა, ვახის კლე-  
რტოებივით ერთიმეორეზე გადაწული  
ასოები აცახცახუნენ და აირივნენ.  
ფურცელს რაღაც მძიმე დაეცა. სოლო-  
მონი გამოერკვა. წიგნის არშიაზე  
ცრემლის მსხვილი წვეთი ბრწყინავდა,  
ქალღმრთის ალტობდა და ჩაგვირისტე-  
ბულ ნაწერს ღრმად უჯდებოდა.

### თავი მეოთხე

მარიამობის დღესასწაულმა, რო-  
მელსაც დადიანების ოჯახი ყოველთვის  
დიდი ამბით და განსაკუთრებული ზეი-  
მით აღნიშნავდა, უფერულად ჩაიარა.  
სასახლეში და წირვაზე მხოლოდ შინა-  
ურები შეიკრიბნენ, თუ, რასაკვირვე-  
ლია, მეფესაც და რამდენიმე მის თან-  
მხლებ იმერელ დიდებულსაც შინაურე-  
ბად ჩავთვლით. ბატონიშვილ, აწ უკვე  
დედოფალთ-დედოფალ მარიამს სა-  
ხელწოდების დღე მიულოცეს, სამახ-  
სოვრო საჩუქრები მიართვეს და მეჯ-  
ლისების დარბაზში სადღესასწაულო  
სუფრას შემოუსხდნენ.

სტუმარიცა და მასპინძელიც ეკ-  
ლებზე იჯდა. ახლა გრძელი ლხინისა და

ღროსტარებისათვის კაციშვილს არ  
ეცალა.

მეორე დღეს, სამშაბათს, ინათლა  
თუ არა, როგორც თავიდანვე დათქმუ-  
ლი იყო, აფხაზ-ოდიშართა გაერთიანე-  
ბული ლაშქრის პირველი რაზმები ცხე-  
ნისწყალს აპყენენ, გაღმა ნაპირზე ამა-  
ყად გადმომდგარ გვიშტიბის ციხეს,  
რომელიც ქვემო მხრის სარდალ ბერი  
ლორთქიფანიძის ერთ მუჟა მეციხოვ-  
ნეებს კვლავაც მტკიცედ ეკავათ, გვერ-  
დი აუარეს და გეზი დეხვირის ციხისა-  
კენ აიღეს, სადაც მეფის მთავარი ძალა  
თავს იყრიდა და იმერეთის გულში შე-  
სატრეულად ემზადებოდა.

მეწინავე რაზმს აფხაზეთის მთავრის

შვილი ხეტუნია შერვაშიძე და მისი რჩეული ცხენოსანი ჯარი მიუძღვოდა. მასვე გაჰყვნენ ოკრიბის ბატონი ქაინოსრო აგიაშვილი, სახლთუხუცესი ლომკაც ჯაფარიძე და გიორგი წულუკიძე, რომელთაც ლაშქრობის დაწყებამდე ყველა წინასწარი სამზადისი უნდა გაეწიათ, თავიანთი საბატონოებიდან ქუდზე კაცი გამოეყვანათ და ხალხი ქვეყნის კანონიერი მეფის დროშის ქვეშ დაერაზმათ.

თვით მეფე ცოტა მოგვიანებით აპირებდა გორიდან გასვლას, თუმცა მოთმინება არა ჰყოფნიდა და დღეებს თითებზე ითვლიდა. მას ჯერ ერთი, უნდოდა თვალყური ედევნებინა კაცია დადიანის ძისა და იმერთა დაქირავებული ლაშქრის პირველი შეტაკებისათვის ცხენისწყლის პირზე, სურდა დარწმუნებულიყო, რომ ზურგი საიმედო ჰქონდა და თავისი გეგმის გადაამწყვეტი ნაწილის შესრულებას გულდამწყვილებული შესდგომოდა.

ამას გარდა, რაიმე უნდა ეღონა და ჩხერის ციხეში შეჩერებული რუსთა ელჩისათვის თავისი კაცი მიეგზავნა, რათა ელჩს იქ მანამ დაეცადა, ვიდრე სოლომონისაგან ახალ შეტყობინებას არ მიიღებდა. მესამე დღეს რუსხელმწიფის საქმეთა რწმუნებულის ჩხერის ციხეში მოსვლის ამბავი უცხოელმა ვაჭრებმაც მოიტანეს. ეს საქმე, როგორც ჩანდა, არასდიდებით გაუხმაურებელი არ დარჩებოდა და სიფრთხილე, რომელსაც რუსეთი იჩენდა ვითომდა ოსმალთა მსტოვრების გასაცურებლად, მხოლოდ თავის მოტყუება იყო.

რუსეთმა, ეტყობა, ბოლოს მაინც გადაწყვიტა, მომავალ ომში ოსმალეთის წინააღმდეგ ჩამპულიყო და ქართველ მეფე-მთავრებთან დაახლოების გზით მისი ყველა სუსტი და ძლიერი მხარე მოესინჯა. ბოსფორზე გასვლა, კონსტანტინოპოლის დაპატრონება, აქ ზარბაზნებით შეიარაღებული უძლეველი ფლოტის ჩაყენება და მცირე აზიის სავაჭრო გზების ხელში ჩაგდება რუსეთის სანუკვარი ოცნება იყო. მისდა სა-

მწუხაროდ, არც ერთ ცდას, ეს ოცნება როგორმე განხორციელებოდა, უძლეველი დროიდან ვიდრე დღემდე, სასურველი შედეგი არ მოჰყოლია და, ალბათ, არც მოჰყვებოდა, სანამ რუსეთი ძლიერ და საიმედო თანამდგომებს არ იპოვნიდა დასავლეთში და საქულველი ოსმალეთის იმპერიას ზღვიდან და სმელეთიდან ერთსა და იმავე დროს არ დაესხმოდა. ურიგო როდი იქნებოდა, თუ ოსმალეთის უშუალო მეზობლები, ქართველი მეფეები, პირველი გაბედავდნენ თავიანთი სულთამბუთავის წინააღმდეგ გამოსვლას. რუსეთი მათ შემწყობას აღუთქვამდა და, თუ ჯარით არა, ფულითა და იარაღით მაინც დაეხმარებოდა. ბოლოს იქნებ თავადაც ჩარეულიყო ომში და დასავლეთის ძლიერი სახელმწიფოებიც აეყოლიებინა, რუსთა მხედრობის საომარი მოქმედება, თუ ეს მართლა გადაწყვეტილი ჰქონდათ, ამ გზით საგრძნობლად გაადვილებოდა და ომიც კეთილშობილურ იერს მიიღებდა: ურჯულო მტრისაგან შევიწროებული და დაბრიალებული ერთმორწმუნე ქვეყნის უანგარო დაცვა რუსეთს მთელი დედამიწის, ზურგზე სამართლიანობისა და სიყეთის დამკვიდრებისათვის მებრძოლი, ყველა ვაჭირვებულისათვის მისწინდო ქვეყნის სახელს დაუგდებდა და დიდების შარავანდელით შემოსავდა.

მაგრამ ეს უფრო ოცნებას ჰგავდა, ვიდრე სინამდვილეს. ყველა ქვეყანა საქმეში მუდამ თავის გამოსარჩენს ეძებდა და გამოჩაყლისი რაღა დიდი რუსეთი იქნებოდა. რუსხელმწიფის ელჩის აქ მოსვლა ხუმრობა საქმე მაინც არ იყო. ამას მთელ მახლობელ აღმოსავლეთში გაიგებდნენ და საწინააღმდეგო ქსელების გაბმასაც დაუყოვნებლივ შეუდგებოდნენ.

თეიმურაზ მეფის მიერ გამოტანებული მცველი რაზმი, რომელიც მან ელჩს აახლა, უცხოელი ვაჭრების სიტყვით, ახლაც ჩხერის ციხეში იდგა, ვინაიდან იმერთაგან რუსეთის საქმეთა რწმუნებულს მხოლოდ ციხის პატრონი

ხარაგაუღელი აბაშიძეები მიგებებოდნენ, სხვა მხრივ კი ჯერ ბაიბური არ ისმოდა. ვარციხეში კაცს კაცზე აგზავნიდნენ. ელჩი მიღებას ითხოვდა. ვარციხე პირში წყალს ივლებდა და სიცოცხლის ნიშანწყალს არ ამტკიცებდა. ვერავის გაეგო, გზაშივე იჭერდა ვინმე მოციქულებს და იქვე ხოცავდა, თუ თვით მათ, რუსხელმწიფის ელჩის წარგზავნილთ, ვისიმე ბოროტი ჩავიხივებით დანაბარები დანიშნულებისამებრ არ მიჰქონდათ.

რა გზას დასდგომოდა სოლომონი? ჩხერის ციხეში რუსეთის სრულუფლებიანი დიპლომატის მოსვლა და დაბინავება-ლიხთიმერეთის შეფეების, უპირველეს ყოვლისა, ნეტარსხენებული მამამისის, შეფე ალექსანდრეს დიდი ხნის ნატერა და საზრუნავი იყო, მაგრამ დღეს, როდესაც ტახტის შიშვალბელთა ხელში ჩავარდნილი ვაპარტახებულნი ჭეჭყანა ყოველი მხრიდან მტრის თავდასხმას ელოდა, გონივრული იქნებოდა რუსხელმწიფის ელჩის მიღება და მასთან სამეგობრო მოლაპარაკების გაბმა? ამით ზომ ერთი მხრივ ოსმალები, ხოლო მეორე მხრივ ტახტის მოცილენი ისარგებლებდნენ და დანასისხლად გადაკიდებულ მტრებს ერთობლივი მოქმედების საბაზი მიეცემოდათ. რუსეთი შორს იყო. დღესა და ხვალ ის დამხმარე ხელს ვერ გამოვიწვდიდა...

საომარ ბანაკში გამგზავრება სოლომონმა ორი დღით კიდევ გადასდო და, დედოფალ მარიამთან ერთად, სათათბიროდ სიმამრი — ოდიშის ბატონი ოტრა, ცოლისძმა კაცია დადიანის ძე, სამეფო დარბაზის წევრი ახნაური თამაზა მესხი და საგარეო საქმეების ვარიგებაში ფრიად გამოცდილი ეპისკოპოსი მაქსიმე აბაშიძე მოიწვია. აქვე ბრძანდებოდნენ მღვდელმთავრები: ნიკორწმინდელი ვერმანე და ზონის მთავარეპისკოპოსი იოსები, რომელიც ვორდს სამარიობოდ ამოვიდა და, მიუხედავად შიშვანობისა, დღესვე უკან გაბრუნებას აპირებდა.

მეფის ბრძანებისამებრ უცხოელ

ვაჭრებს მოუხმეს და მათი ნაუპარი თარჯიმნის პირით, ვინ იცის, მერამდენად მოისმინეს. სოლომონმა ბჭობის მონაწილეებს გადახედა და მარიამის დიდრონ, ფიქრჩამდგარ, ატხსნელი საყვედურით აღესილ თვალებს წააწყდა. მეფეს ღაწვებზე სიწითლე შეეპარა. ნუთუ დედოფალმა რაიმე იცოდა მახლის, გენათელ მიტროპოლიტ იოსების ხელით შედგენილი წიგნისა, რომელიც სოლომონს უბის ჯიბეში ედო და როგორც ნაღვერდალი, გულდვიდს უწევდა? არა, ეს შეუძლებელი იყო, თუკი დადიანის სასახლეში სინდისზე ხელი არ აიღეს და სტუმრად მყოფ მეფეს, სიძე-ბატონს, მსტორები არ მიუჩინეს. სოლომონი მთელი სულითა და გულით მიენდო სიმამრს, მიენდო ისე, როგორც მშობელ მამას მიენდობოდა და ამ უკანასკნელის მხრივ რაიმე უნდობლობის, თუნდ მცირე დაქვევების გამომყვადებაც ყმაწვილ კაცს გამოუპროთელებელ ჭრილობას მიაყენებდა.

სიმამრის და ცოლისძმის, მით უფრო თანამეცხედრისა და მღვდელმთავრების წინაშე, სოლომონს დასაძალი არაფერი ჰქონდა. მას შეეძლო, ძმის მიერ თამაზა მესხის ხელით გამოგზავნილი წიგნი ყველას თანდასწრებით წაეკითხა, ელიარებინა, რომ რუსხელმწიფის საქმეთა რწმუნებულის ჩხერის ციხეში მოსვლის ამბავი ამითაც დასტურდებოდა, შემდეგ იესეს წინადადების გამოც ეთქვა ორიოდ სიტყვა, მაგრამ არშიაზე მინაწერი აძულებდა ენაზე ბოქლომი დაედო და წიგნი არასოდეს არავისთვის ეჩვენებინა.

მარიამის უსიტყვო საყვედურით სავსე მზერა, რომელიც სოლომონს გულის სიღრმემდე სწვდებოდა, მას ყველგან თან ახლდა; სადაც არ უნდა ყოფილიყო და რაც არ უნდა ეკეთებინა. არამცთუ ცხადივ, ამ ეჭვიან, უსაზღვრო ერთგულებითა და ნამდვილი ჭაღური სინაზით განმსკვალულ მზერას სოლომონი ძილშიაც კი გრძნობდა და დაფეთებულს უღვიძებოდა ხოლმე. ათასწილ კრახივანა, სარეცლის მოზარე



დადიანის ასული რაიმე ძნელად გამო-  
სასწორებელი მანკიერებით უკმაყოფი-  
ლო და ბედის მომდურავი ჰყოლოდა,  
ოღონდ ეს საიდუმლო ცოლსა და ქმარს  
შორის დარჩენილიყო და თავისი ასუ-  
ლის მამოძრებელი ოდიშის ბატონის  
ყურამდე არ მიედგია. მარიამი თვალბ-  
ვახელი იწვა, თავი მეფის სასთუ-  
მალზე ედო და თითქოს მის უშფოთ-  
ველ ძილს სდარაჯობდა. რამდენ ხანს  
უნდა ყოფილიყო ასე? ნუთუ ღამეს  
თეთრად ათენებდა? სოლომონი გრძნო-  
ბდა თავისი დანაშაულის წილს თანა-  
მეცხედრის წინაშე, თუმცა ამ დანაშა-  
ულისათვის შესატყვისის სახელი ვერ  
დაერქმია, გრძნობდა იმასაც, რომ მ-  
არიამის გულის სარკმლიდან თავდავი-  
წყებით შეყვარებული ქალი უთვალ-  
თვალდება და, რაც უფრო მწვავე იყო  
ეს გრძნობა, ის მით უფრო ღრმად იმა-  
ლებოდა საკუთარ ქერქში, ტანზე ეკ-  
ლებს ისხამდა და, თანამეცხედრის  
სურვილის საპირისპიროდ, ცივი და  
მიუჯარებელი ხდებოდა.

მარიამის ბრძოლა უხილავ მტერთან  
წაგებული იყო. სათაყვანებელი მე-  
უღლის გული, რომელსაც ფხიზელი  
გონების კარნახით, მაგრამ მაინც წრფე-  
ლად და სიმართლით მიენდო, კვლავ  
სხვა ქალს ეპყრა და მისი კემშარტი  
ბედნიერების წუთი მანამ არ დარეკდა,  
სანამ ის ქალი, სოლომონის პირველი  
სიყვარული, იქნებ პირველი და უკ-  
ნასკნელიც, ამ გულიდან სამუდამოდ  
არ აღმოიფხვრებოდა. მაგრამ მოხდე-  
ბოდა კი ეს ოდესმე? მარიამი მტკიცე  
ნებისყოფით აღჭურვილი, ნებიერად  
აღზრდილი, პატივსა და უყოყმანო მო-  
რჩილებას ჩვეული ქალი იყო, რომლის  
სურვილსაც მამის ოჯახში წინ ვერაფე-  
რი აღუდგებოდა. მარიამს პატარაობი-  
დანვე ბატონად ზრდიდნენ, აგონებდ-  
ნენ, შენი სურვილის შესრულება სა-  
სახლეში და მთელს სამთავროში ყვე-  
ლასათვის სავალდებულო არისო. ამი-  
ტომაც ფარ-ხმალს აგრე ადვილად ვერ  
დაჰყრიდა. სოლომონს უნდა დაევიწყე-  
ბინა ის ქალი, უნდა, უნდა, უნდა დაე-

ვიწყებინა, ვინაიდან დედოფალ მ-  
არიამს, დიდი ოტია დადევნეს ასულს,  
თვით უყვარდა ეს სიტყვაძვირი, თ-  
ვისებურად გულგორიონი, ბაღდათ-  
დანვე ცხოვრებისაგან გაწაშებული ყმა-  
წვილი კაცი, იმერთა მეფე, და ყოველ  
წამს მზად იყო, მისი კეთილდღეობის  
გულისათვის სიცოცხლე გაეწირა. მაგ-  
რამ სოლომონს არ სურდა ამ მსხვერპ-  
ლის მიღება. ის კვლავინდებურად თ-  
ვისი ეკლებით გარსშემორტყმული,  
ცივი და მიუჯარებელი იყო, თუმცა ყუ-  
რადლებით, უშუალობით და ნამდვილი  
რაინდული თავაზიანობით არამცთუ  
მარტო მარიამს, მაღალი საზოგადოე-  
ბის ბრწყინვალეობას შეჩვეულ ყველა  
სეფე-ქალს ხიბლავდა და გამოუტნობი  
ნეტარების ბურუსში ხვევდა.

„მე ვასაკილავს არაფერს ჩავდი-  
ვარ, — ამბობდნენ სოლომონის თვა-  
ლები, როცა ის ცოლის ნაღვლიან, სა-  
ყვედურითა და ფარული ეჭვით აღ-  
სავსე მზერას წააწყდებოდა. — ჩემს  
გულში ფოთილის ნებას კი არავის არ  
მივცემ. ჯობს, ყველამ საკუთარ გულ-  
ში ჩაიხედოს!“

სოლომონის მხრით, ეს უკვე გა-  
წიწმანება, სამაგიეროს გადახდა და  
შურისძიება იყო. სოლომონმა კარგად  
იცოდა, რომ „საკუთარ გულში“ მარი-  
ამი თანამეცხედრისადმი უსაზღვრო სი-  
ყვარულისა და წრესგადასული თავაზ-  
ნისცემის მეტს ვერაფერს იპოვინდა.  
ცოლის გამუდმებულ თვალთვალს და  
ცდას, როგორმე ეს თვალთვალი სხე-  
ბისათვის, მათ შორის თვით სოლომო-  
ნისთვისაც, შეუმჩნეველი დარჩენილი-  
ყო, მაინც ვერ შეეჩვია და მარიამთან  
ყოველი ახალი შეხვედრის დროს, სუ-  
რდა თუ არა, დღის განმავლობაში რამ-  
დენჯერმე რომ ხდებოდა, მოუსვენრო-  
ბა და საკუთარი დანაშაულის მტანჯვე-  
ლი შეგრძნება თავიდან ეუფლებოდა.

ბჭობა ვაფიცხდა. მარიამი მდუმ-  
არედ უსმენდა დარბაისელ მამაკაცებს.  
სახელმწიფო დარბაზის თათბირებზე,  
როგორც დედოფალი, ის საესებით  
ახალბედა იყო და თავისი მდგომარეო-

ბის შეგუება უჭირდა, თუმცა ჰკვიან და წინდახედულ დადიანს არც მარია-მის აღზრდის და მომავალი ძნელი მოღვაწეობისათვის მომზადების ეს მხარე გამოჰპარვია. პატარა ასულს ოტია სასახლეში გამართული ყველა საქმიანი სჯა-ბაასის, უცხო სახელმწიფოთა ელჩების მიღების თუ საეპრო გარიგებების დროს ყოველთვის ისწრებდა, მიუხედავად მცირეწლოვანობისა, ასე გასინჯეთ, ხანდახან რჩევასაც კი ეკითხებოდა, ცხენზე ამხედრებული სამთავროს სხვადასხვა კუთხეში მუდამ თან დაჰყავდა და გვერდიდან ერთი წუთითაც არ იშორებდა.

მეფესთან თათბირად შეყრილთაგან მეორე აზრი არავის დაჰბადებია: რუსეთის ელჩი, კარს მომდგარი ბედნიერება, ხელიდან არამც და არამც არ უნდა გაეშვათ და, რაც არ უნდა დაჰჯდარიყო, მის სალაბარაკოდ პირისპირ შეჰყაროდნენ. ეს ამბავი შეეძლო თვით ოტია დადიანს ეთავა და ლეოვი გორდს ან ზუგდიდს მოეწვია, ამით სოლომონს მოჰქმედების დრო და თავისუფლება მიეცემოდა, მაგრამ, თქვა თუ არა ეს დადიანმა, ვიდრე საწინააღმდეგო მოსაზრებას წამოაყენებდნენ, თავადვე მიხვდა, ჩემს სურვილს შესრულება არ უწყრიათ. ლევან აბაშიძე უთუოდ რაიმეს მოიმიზეზებდა და თავის პირად მტერ ოტია დადიანთან რუსეთის ელჩს არ გამოატარებდა, სხვა გზა კი, თუნდაც გრძელი და მიხვეულ-მოხვეული, რუსხელმწიფის წარმოგზავნილთან შესახვედრად, არ იყო.

სოლომონი სავონებელს მიეცა. მშვენივრად ესმოდა, რომ გვარდიის კაპიტან ლეოვს, ვისაც მისთვის დიდ ჩრდილოელ მეზობელთან მშობა და სამეგობრო კავშირი მოჰქონდა, ჩხერის ციხეში დაუსრულებლივ ჯდომა და ლოდინი არ შეეძლო. დღეს იქნებოდა თუ ხვალ, ელჩი ხელს ჩაიქნევდა, ეს რა გაუგებელ და უმადურ ხალხში გამოუღვაწიეზარ ჩემს ხელმწიფესო, გუდანაბადს აიკრავდა და იმავე მცველი რაზმის თანხლებით, რომელმაც საზღე-

რამდე მოაცილა, უკან, ტფილისში გაბრუნდებოდა. დრო არ ითმენდა. ახლავე, დაუყოვნებლივ უნდა გაეგზავნათ მოციქულები და ხელმწიფის ელჩისათვის სოლომონის გამოუვალი მდგომარეობა ეუწყებინათ. ელჩი, თუკი საქმის ვითარება წინასწარ ეცოდინებოდა, აღარ აჩქარდებოდა, ჩხერის ციხეშივე მოიკლავდა და იქ მეფის მოპატიუებას დაელოდებოდა.

მაგრამ ვინ გაეგზავნათ მოციქულად? ვისთვის მიენდოთ ეგზომ პასუხსაგები და სახიფათო საქმე? ყველა გზა და ბილიკი მტრის მიერ დაკავებულ მიწაწყალზე იდო. ლევან აბაშიძის ფიზიკურ მზირებს, გზაჯვარედინებს, ხიდებსა და ფონებს რომ დარაჯობდნენ, ძნელად თუ ვინმე გაუძვრებოდა და სამშვიდობოს გააღწევდა.

ყველამ ეპისკოპოს მაქსიმე აბაშიძეს შეხვდა. მაქსიმეს წასვლა იმითაც იქნებოდა სახარბიელო, რომ თარჯიმანი არ დასჭირდებოდა და რუსხელმწიფის ელჩს იმერეთის მეფის გაჭირვებას თუ დალხინებას მისსავე ენაზე გადასცემდა.

ამ აზრს მეფე დუმილით შეხვდა. უცხო ხელმწიფის ელჩთან შესახვედრად მაქსიმე აბაშიძეზე უკეთესსა და შესაფერისს ვის ამოირჩევდა, მაგრამ ვითუ ეს ამბავი ძმას, იესეს, საწყენად დარჩენოდა, ჩემს თავს მაქსიმე რად არჩია, გვერდი რად ამიარათ. მეფე ორწყალშუა მოექცა. მაქსიმე უკვე დასახელებული იყო და იმავე მიზეზით არც მისი უგულვებელყოფა შეიძლებოდა. ხსნა ახლა მხოლოდ ერთ რამეს შეეძლო. ისევ მაქსიმე აბაშიძის ავადმყოფობას უნდა ჩასტიდებოდა. გაუძლებდა კი სნეულებსაგან ქანცამოლუული მაქსიმე გრძელ გზას და ყველა გათვალისწინებულ და გაუთვალისწინებულ სიძნელეს, რომლებიც გზაზე შეხვედებოდა?

დადიანი მიხვდა: სოლომონს ეპისკოპოს მაქსიმე აბაშიძის ელჩთან გაგზავნა არ უნდოდა და მის ავადმყოფობას მხოლოდ უარის თქმის შეფარულ

საბაბად იყენებდა. მაქსიმე გორდში, მთის მაღალ და სუფთა ჰაერზე, საკმაოდ მოკეთდა, თავს ჯანმრთელად გრძნობდა და, მიუხედავად სასახლის აჭიმების დაეინებულნი რჩევისა, ორ-სამ დღეს კიდევ ლოგინში წოლილიყო, გადაწყვიტა კიდევაც, ჯვრითა და ხმლით მეფეს ომში ხლებოდა. მთავრის ვარაუდი მაშინ დადასტურდა, როდესაც მეფემ თავისი შუათანა ძმა, გენათელი მიტროპოლიტი იოსები, ახსენა და, როგორც ოტიას მოეჩვენა, ყასიდად იკითხა, უმჯობესი ხომ არ იქნებოდა, ჩხერის ციხეში, რუსსელშვიტის ელჩთან მოსალაპარაკებლად ის გაგვეგზავნა, ხოლო მისი მეუფობისათვის ჩვენი გადაწყვეტილება თამაზა მესხის პირით გვემცნო.

— მე მზად ვახლავარ, თქვენო სიმაღლევ, — თითქოს იმის შიშით, სოლომონმა არ გადაიფიქროს და ესოდენ დიდი ნდობა, მე უღირსს რომ გამომიცხადა, სხვას არ უბოძოსო, ნაჩქარევად თქვა თამაზა მესხმა, ზეზე წამოიჭრა და ნიშნად მორჩილებისა თავი დახარა. — თუ მიბრძანებთ, ცხენს ახლავე შევაჯახებინებ!

უძილობისაგან ფერწასულმა დედოფალმა მარიამმა, რომელიც მეფეს გვერდით უჯდა, ოტია დადიანმა და დადიანის ძემ, კაცობა, ერთმანეთს შეხედეს. სამივეს ერთი აკვირებული აზრი აწვალებდა: თამაზა ნამდვილად ლევან აბაშიძის მსტოვარი იყო, ახლა მარჯვე შემთხვევა უვარდებოდა ხელში, სოლომონის გულუბრყვილობით მარჯვედ სარგებლობდა და მტრის ბანაკიდან თავის უვნებლად გაღწევას აპირებდა. რად არ სურდა მეფეს ამის დაჯერება? ხმამაღლა არავის არაფერი უთქვამს. ოტიაცა და მისი ქალ-ვაჟიც მიხედნენ: სოლომონის გადაწყვეტილება — თამაზა მესხი ძმასთან გელათს გაგზავნა, საიდანაც ორივე ჩხერის ციხის სახიფათო გზას გაუდგებოდნენ, ურყევი და წინა საღამოსავე მოფიქრებული საქმე იყო.

იმავე ეჭვმა, თამაზა მართლაც არ ცუდლუტობდეს და თვალეში ნაცარს არ მყარდესო, კლანჭი წამით ჩოლოთ მონსაც გაჰყრა, მით უფრო იმის გამო, მესხმა რომ ყოველგვარი ყოყმანისა და წინასწარი პირობის ჩამორთმევის გარეშე განაცხადა წასვლის თანხმობა. ამ ეჭვს მეფე მალე მოერიდა და თავიც დატუქსა: რა ვასაკერიია, თუ ეს გაიძვერა აზნაური, რომელიც მე მისივე სინდისის წინაშე ვამხილე, ყველა ძველი ცოდვის მონანიებას და ჩემს თვალში ქვეყნისათვის თავდადებული მამულიშვილის სახელის დამკვიდრებას ცდილობსო.

— მერე არ გეშინია, კაცო? — უბრალოდ ჰკითხა მესხს მეფემ. — კუდის რიკამდე ვაგაძრობს ტყავს ბაბუაჩემი, არც ბიძაჩემები და რაჭის ერისთავი დაგაყრიან ხეირს, თუ ღმერთმა ხელი მოუშარათ და სადმე მოგახელეს.

— ყველა სიკვდილის შეილება ვართ, მეფეო.

— ვის ითხოვ დამხმარედ, მარტო წახვალ თუ ვინმეს გაიყოლებ?

— თუ მისი მეუფება მაქსიმე ნებას დამრთავს, ნატრია საქურისს წაიყვანდი, ბატონო მეფევ: ცოცხალი და მოხერხებული ყმაწვილი ჩანს, საქმეში გამოამადგება. თურქულს ორივე გვარიანად ვლაპარაკობთ, თავს ენდროს შემსყიდველებად გავასალებთ. მე ვითამ ბატონი ვარ, ეგ ბიჭად მეყოლება.

— გზაში რომ ვინმე დაგეცეს და გაგძარცვოს?

— რა მაქვს, რას წაილებს, მეფეო.

— ტყვედ წაგიყვანს, განა არ გარყილები.

— ღმერთმა შეარგოს ჩემი თავი, თუ აგრე ხბოსავით ჩავუვარდი.

რამათში, რუსუდანისეულ სასახლეში, რამდენიმე დაუფიწყარი დღის ვატარებინს შემდეგ, სოლომონს ახლა პირველად მოაგონდა თავისი ძველი ნაცნობი უბედური ბიჭი, ნატრია საქურისი, რომლისაგან ბევრი კეთილი სამსახური და ერთგულება ახსოვდა და უმალ მოიკითხა. ოტია დადიანმა ტაში

შემოკრა. ნატრია საჭურისი სამზადში იპოვნეს. იქ მზარეულ გოგოებს ჩაეგდოთ ხელში, ქათმებს აუტყენებდნენ და სამზადის ორთქლის სიმხურვალით უცნაურად ადგნებულნი და აქისკისებულნი ჰარამხანის ამბებს აყოლებდნენ. გოგოებს სირცხვილი, სულ დაეკარგათ, თუმცა გულის სიღრმეში არცა სჯეროდათ, თუ ნატრია მართლა სამუდამოდ დაუძღურებულნი იყო და მათ, როგორც ქალებს, მამაკაცის თვალთ ვერასოდეს ვეღარ შეხედავდა.

მეფე ნატრიას აღერსით შეხვდა, რაბჭით მოიგონა, რამაც დედოფალ მარამს უნებლიე ცრემლი მოგვეყრა, შემდეგ რაღაც მივიწყებული გაახსენდა და ნატრიას ჯერ კვირებჩამოზრდილ ყვრიმალეებსა და წვრილ კისერზე მოუფათურა ხელი, მერე გულზე.

— ჯვარი რა უყავი, ბიჭო?

— აგერ არა მიქვს, ბატონო? — თვით მეფესთან... და დიდებულებთან მოხვედრით შეტებულელმა ნატრია უბეში ხელი ჩაიყო და იქიდან თითქოსდა ხმარებაში დაღეული პაწაწინა ჯვარი ამოაძვრინა. — ამის მაღლი შეგაწიოთ!..

— შინაურების რა გაიგე?

— ჯერ ვერაფერი, ბატონო მეფე, წასვლა მინდა, მარა მე უბედურება ან ვიცი...

დედოფალმა მარამმა ბიჭს თვალი აარიდა, თოვლივით თეთრი მანდილის ქვეშ პირჯვარი გადაიწერა და დაწვზე ჩამოგორებული კურცხალი ყველასაგან ნამალეველ მოიწმინდა.

— ჯერ არ ვირჩევ წასვლას, ნატრია, — თქვა მეფემ. — იქ შეიძლება ხელახლა დაგიჭირონ და თათარში გაგყიდონ. გინდა ახალციხეში მიბრუნება?

— უიშე, ბატონო, ღმერთმა დამიფაროს!..

— ცოტა დამაცადე და მე ვიცოდდე და შენმა პატივისცემამ. ბებიაშენს უსიკვდილოდ გამოვნიებ, თუ ცოცხალია. აგერ პატიოსანი ხალხი იყოს მოწმე.

— ცოცხალია, ბატონო, ვიცი!

— ღმერთმა გისმინოს. ახლა წადი, ნატრია, — აღერსიანად, თითქოს ბოდიშს უხდისო, უთხრა უთვისტომო ბიჭს სოლომონმა და ნიდაყვექვე ვერცხლის ფულით საესე მოქარგული ქისა ამოუღო. — მალე ისევე დაგიძაბებთ და, თუ კაცი ხარ, აგერ ახლო იტრიალდე, შორს არსად წახვიდე.

## თავი მესამე

ღებვის ციხეში მეფეს სასიხარულო ამბები დაუხვდა. წინასწარ საგანგებოდ გაგზავნილ კაცებს ღვირიშის ღელიდან ვიდრე ნამოხვანამდე ნაგები, ტივები და ბორნები მოემზადებინათ და ეს ყველაფერი გზასქვეშ, რიონის ნაპირზე დაემალათ თხმელნარსა და მავკლოვანში. წყალი ისევე ადიდებული იყო და მღვრიე მოდიოდა, მაგრამ ცხენსა და კაცს მგონი არ გასჭირვებოდა გაღმა გასვლა, თუ უღროო დროს კოკისპირული წვიმა არ წამოვიდოდა და ნაპირებს არ ჩახრამედა. სოლომონს ზარბაზნები არ ჰქონდა. ეს საქმეს

კიდევაც აადვილებდა და სათუოდაც ხდიდა: ლეკების ზარბაზნებისათვის მეფის ჯარს მარტოოდენ ტყვია, ხმალი და სულის გაუტეხლობა უნდა შეეგებებინა.

წულუკიძისა და აგიაშვილისა ჯერ არა ისმოდა რა. სოლომონი ამას არ შეუფიქრიაანებია. გიორგი და ქაიხოსრო, ალბათ, საქმეში იყვნენ გართული და ასე უცებ რისამე შეტყობინებას ვერ შესძლებდნენ. პირობისამებრ, მეფე აქ სამ დღეს უნდა მდგარიყო და რიონზე ელვისებური გადასვლა კვირა დღეს, გამთენიის ეამს დაეწყო. ამ სამი დღის განმავლობაში ჯარისათვის საჭირო

ხარჯსაც შეაგებდა და კაცისაგან ახალ ცნობებსაც მიიღებდა.

ციხის კარიბჭესთან სოლომონს ლეჩხუმის მოურავი ხოსია ლასხიშვილი, მისი სახლობა დადგმულიანის ასული გურანდუხტი, ცაგერის ეპისკოპოსი ნიკოლოზი და სვან მოლაშქრეთა თავკაცები ეახლნენ. ვიდრე იმერთა მეფის ქარის პირველი რაზმები აქ მოვიდოდნენ, სვანებს სულ დარჩეული ვაჟკაცებისაგან ცხენოსანი ლაშქარი შეეყრათ ლენტეხში და სოლომონის დასახმარებლად ცხენისწყალს დაბლა დაჰყოლოდნენ. მეფე სვანებს გულმხურვალედ მიეგება, თავკაცებს მძურად გადაეხვია და ქვეყნის ბატონის შესაფერისი ღირსეული მადლობა უთხრა.

პრასკევე საღამოს, მცირე ამაღის თანხლებით, სოლომონი რიონზე ჩავიდა. იქ ნავეები და ტივები ნახა და, თითქოს ყველაფერი ამის სინამდვილე არა სჯერაო, ზოგიერთი ტივი და ნავი ხელითაც კი მოსინჯა და უკან უაღრესად კმაყოფილი ამობრუნდა.

ხუტუნია შერვაშიძე ოყურეშში იდგა, კარვები ტყის პირას დაეცა, რიონზე თავისი შეწინავე რაზმის გადასასვლელი ადგილები მარჯვედ შერჩია და ახლა მეფის ბრძანებასლა ელოდებოდა.

ღამით სამი ცხენოსანი მშვერავი გაგზავნეს რიონს გაღმა, ოკრიბაში. ამათ მდინარე ცხენდაცხენ გადასცურეს და უკან ნანათლევს დაბრუნდნენ. მეფე მთელ ღამეს ფხიზლობდა. ძიძიშვილები, ნიკოლოზი და დათუნა, რიგრიგობით ემუდარებოდნენ, ერთი ორჯერ თვით მასპინძელს, ხოსია ლასხიშვილსაც, ათხოვნიენეს, მოისვენე, თვალი მოატყუე, ავრე უძილარი და ნაჯახირევი ან მტერს რას დააკლებ, ან მოყვარეს რას არგზიარო. მეფე ისე იყო ატაცებული და თავისი საფიქრალით შეპყრობილი, ყური არავის დაუგდო. მეტისმეტად გაფაციცებული ძიძიშვილები დაითხოვა, უჩრჩია, თვალი თვით მოეტყუებინათ და დილას ადრე ხლებოდნენ. გათენებამდე ვახუშტი-

სეულ რუკებს ჩაჰკირკიტებდა, ფარგლით მანძილებს ზომავდა, სხვა ზომებს ადარებდა, ქალაღის მშპატარაბატარა ფურცლებზე, რომლებიც ნიკოლოზს მოატანინა, რაღაც ციფრებს იწერდა, ანგარიშობდა. თავდავიწყებული მუშაობა მხოლოდ მაშინ შეწყვიტა და თვალები ასწია, როდესაც კარის მცველებმა გაღმა გაგზავნილი მშვერავების დაბრუნება აუწყეს და მისივე ნებართვით მშვერავები მეფის კარავში შემოვიდნენ.

ოკრიბაში სიწყნარე იყო. მშვერავებს, აქაოდა ჩვენს მწყალობელ მეფეს ვასიამოვნოთო, თავი გამოედოთ და თითქმის ხრესილამდე მიეღწიათ, მაგრამ იმ მხარეში მტრის ჯარების დგომისა არავინ არაფერი იცოდა. სოლომონს თავიდანვე ამოფვარდა მეხსიერებიდან, მშვერავები გაეფრთხილებინა, რიონს შორს არ გასცლოდნენ და დრო ტყუილად არ დაეკარგათ. თუ აქ ვინმე იდგა და ლეჩხუმის მხრიდან მტერს ელოდებოდა, ნაპირის გასწვრივ გამაგრდებოდა და არა ქვეყნის შუაგულში. მშვერავების მოტანილმა ცნობებმა მაინც დაამშვიდა და მხნეობა ჩაუწერა. ჩანს, მეფის მხედართმთავრულმა ფანდმა გასჭრა: ბაშუა ლევიანი და ბატონიშვილები სოლომონის მიერ დაგებული მახეში გაებნენ — მთელი ლაშქარი ვაკე იმერთაში დააყენეს...

იქნებ აღარ ღირდა ლოდინი და ჯობდა, ჯარი ამაღამვე აეყარა რიონზე გადასასვლელად? მაგრამ ავიაშვილი და წულუკიძეები ჯერ ისევ დუმდნენ და კვლავ არაფერს იტყობინებოდნენ. მათთან შეუერთებლად ომის დაწყება ფრიად სახიფათო იყო და კარგს არას მოიტიანდა.

სად იყო ამჟამად როსტომ რაჭის ერისთავი? მართლაც გასჭრა დადიანის მოყვრულმა ძღვენმა და თავს შორს იჭერდა ამ ამბებისაგან, როგორც ყოვლის მცოდნე თამაზა მესხმა თქვა, თუ ხუთი ათასი კაცისაგან შემდგარი თავისი ლაშქრით ჩაქერალას მთაზე ათენა-აღამებდა, რათა მოულოდნელად ბარში



დაშვებულყო და რიონზე გადმოსული სრლომონისათვის მიპარვით ზურგში მახვილი ჩაეცა?

მეფეს სწორედ ამ შესაძლო საფრთხის ასაცილებლად სჭირდებოდა აგიაშვილი და წულუქიძეები. მათ ზურგიც უნდა გაემარჯვებინათ მეფისათვის და ეპყე იმერეთის ველებზე გასვლისას მარჯაფა ჯარის მაგივრობაც გაეწიათ.

დღისით თვით ხუტუნია შერვაშიძე ამოწყვეა ოტია დადიანის მიერ გამოგზავნილ მალემსრობლებს. საუბედურად, ოდიშის ბატონის ფრთხილი წინასწარმეტყველება ამხდარყო: კაცის შვიდი ათას კაცს ვერ გაეძლო უზღვავე მტრის შემოტევისათვის და ცხენისწყლის გადმოღმა დაეხია. მტერი არ ცხრებოდა, დღედაღამ წინ მოიწევდა, აქა-იქ ოდიშის მიწაწყალზეც შემოჰქრილიყო და თავის გზაზე ყველაფერს სპობდა და აჩანავებდა. გორდს ზარბაზნები დაუშინეს, თვით საზაფხულო სასახლესა და კარის ეკლესიასაც, რომელშიაც სოლომონმა და მარიამმა ჯვარი დაიწერეს, ცეცხლი ეკიდა. დიდი და შატრაა აქრობდა ცეცხლს. სასახლიდან და ეკლესიიდან ძვირფასი ნივთები და ავეჯი გამოჰქონდათ და ღია ცისქვეშ აწყობდნენ. დადიანს გორდის დაცლა ებრძანებინა. თავზარდაცემული ოჯახი, დედოფალ მარიამითურთ, ზუგდიდს მიემგზავრებოდა. ახლა ბატონი ოტია, როგორც მამა შეიღს, სოლომონს თნრვდა, ემუდარებოდა, ხუტუნია შერვაშიძე თავისი აფხაზებითურთ უკან დააბრუნეო, თუ არა გამხეცებულ ურჭულოს ვერ შევკავებთ ვერც მე, ვერც ძე ჩემი კაცია და ყველა იმედს წყალი წაიღებოს.

ეს რომ მოახსენეს, სოლომონი ისე აღშფოთდა, ისე მოეკიდა ცეცხლი, დასაბმელი გახდა. გაჩენის დღესა და საათს იწყევლიდა. წყევლიდა იმ წუთს, როცა ცამდე ალაღმართალი თინათის ცოდვაში ფეხი ჩადგა და ცხენისწყალს გაღმა სამოყვროდ გადავიდა. თავიდანვე უნდა სცოდნოდა, რომ ამ წაჭექ-უჭექობიდან სახერხოდ არაფერი გა-

მოვიდოდა და ცოდვიანს ქვა აღმართში მოეწეოდა. ცოტა რომ დაშვებულა და გაფანტულ აზრებს თავი მოუტარა, მიხვდა, ჯერ ყველაფერი არ იყო დაღუპული, როგორც იქ, ცხენისწყლის ხეობაში, და საქმის გამოსწორება, თუ გადაიწყვეტ წუთში ხელი არ აუკანკალდებოდა, კიდევ შეიძლებოდა. მუხლებზე დაემხო, მთელი ნებისყოფა მოიკრიბა, გულში ღვთისმშობელ დედას შეევედრა, სულის მხნეობა მომეციო და თავის კაცებს იქვე უბრძანა, დადიანის მალემსრობლები დაუყოვნებლივ შეეპყროთ. სანამ მეფის ახალი ბრძანება არ გამოვიდოდა, ისინი, კეთროვანებით დანარჩენი ჯარისაგან გამოცალკეებულნი, ციხეში უნდა ეყოლიებინათ. ყველას, ვინც თავისი სულწაფლობით, ბოროტი განზრახვით არ არამეითხე მეამბეობით ოდიშიდან სხვადასხვა გზით მოსულ საგანგაშო ცნობებს გაავრცელებდა და ლაშქარში შიშსა და ძრწოლას დასთესდა, ენის ამოგლეჯას და შემდეგ შუაზე გახლეჩას დაჰპირდა. ბოლოს ყველა დაითხოვა, ვისაც მეფის ეს ბრძანება ჯარისათვის უნდა ემცნო და ხუტუნია შერვაშიძესთან კარავში მარტო დარჩა.

— საკუთარი თვლით ხედავ, ძვირფასო ძმაო, — გულმხურვალედ მიმართა მას და ნიშნად მეგობრობისა, მხარზე ხელი დაადო. — შენი სიძის, კაცია დადიანის ძის, უთათრობის თუ სიმხდლის წყალობით აქამდე მიყვანილი საქმე მელუბება. ნუ დაგავიწყდება: ეს მეორედ! მე ოტიასთან ფარული კავშირის შეკერა დაიწამეს და ტახტიდან გადამიგდეს. დადიანების მეგობრობა ჩემს მამა-პაპას ყოველთვის ძვირი უჯდებოდა. ჩემი სიმამრი და მისი ვაჟი ოდიშს მისტირიან, ტახტისა და ქვეყნის ბედი დიდად არავის ადარდებს! მე მესმის, მთავარო, მოყვრის ვალდებულება გაკისრებს, ახლავე უკან გაბრუნდე და კაცია გვერდში ამოუდგე, მაგრამ, მერწმუნე, თუ აქედან, — სოლომონმა ხელი ხეამლის მთისა და შემდეგ ოკრიბისაკენ გაიშვირა, — მტერმა გადა-

წყვეტი დარტყმა არ იგემა, ის ოდიშში უფრო ღრმად შეიჭრება, ხელ-ზეგ ზუგდიდსაც ვარს შემოერთების და მთელი სამთავრო მარბიელების კერძი გახდება. გადაწყვიტე, დარჩები თუ წახვალ! უფლება არა მაქვს, გიბრძანო, ჩემს ნებას დამორჩილდი-მეთქი, თანამდგომი ბრძანდები შენ ჩემი ამ ომში და შენი საქმე შენ უკეთ იცი.

მთავრის შვილი ერთხანს თავჩაღუნული იდგა და ხმას არ იღებდა, შემდეგ თავი ასწია, მეფეს სახეში შეხედა და და თვალი თვალში გაუყარა.

— ვრჩები, ბატონო, უკან გაბრუნება, ღმერთს ვფიცავ, არ მიფიქრია.

სოლომონმა არც აცია, არც აცხელა, ჰბაბუკს მკლავები მოჰხვია და გულში მაგრად ჩაიკრა.

— შენი ჰირომე, ძმაო! მაშ, გაგვიმარჯვია, მტერი ვერ დაგვიდგება, რკინას გავექნით!... ვახსენოთ ღმერთი, შევავედროთ ჩვენი მართალი საქმე. რაკი ასეა, ძვირფას დროს ნულარ დავკარგავთ. მე ახლაც მოვუხმობ ათასისთავეებს და ვუბრძანებ, დაბინდებთ თუ არა, აჰყარონ ლაშქარი, ჩვენდა ბედად, ღამე მთვარიანია და თუ ღრუბელი არ წამოვიდა, გზის გაგნება არ უნდა გაგვიძნელებს.

აფხაზმა სარდალმა მორიდებულად შეახსენა:

— აგიაშვილი და წულუკიძე?

— ვეღარ მოვუცდით. დრო აღარ ითმენს. თუ მოასწრეს და ოკრიბაში შემოგვეერთდნენ, ხომ კარგი, თუ არადა, რა გეწყობა, მარტო უნდა შევებათ ურჯულოს... ახლა, ჩემო ხუტუნია, ის გაიმარჯვებს, ვინც მოასწრებს და მასვილს პირველი აღმართავს!

— მე რას მიბრძანებ, მეფე?

— ახლაც ბანაკში დამრტნდი და ათასისთავეებს აუწყე, ჯარი ყოველ წუთს მზად იყოლიონ, გზებიც ხელახლა დაზვერონ, საიდან და როგორ აჯობებს რიონზე ჩასვლა.

— მაშ, ამაღამ ვახსენოთ ღმერთი? კვირამდე აღარ მოვიცადოთ?

— რაღას მოუცადოთ, მთავარო,

ოდიშარები ისედაც დაზარალდნენ და თუ რაიმე არ ვიღონეთ, კიდევ მეტი ზარალი მოუვით. დედოფალიც იქ ბრძანდება და იმის დარდი ცალკე მაწუხებს. ნეტავი, ღვთის შეწევნით, ახლაც შეიძლებოდა დაძვრა და ომში ჩაბმა. დღისით ცხელა, მტვერია, მეტადრე გზაში. დიდი ხანია, მარიობის თვეში ამისთანა სიცხეები არავის მუსწრებია.

— როინი რომ მაინც მღვრიე მოღლის?

— ყინვარი დნება სათავეში. მაგას რა ჩამოლევს! ჰო, იმას მოგახსენებდი, ხუტუნია ბატონო, სიცხეც რომ არ იყოს, წყლის პირზე ჯარის მოგროვებას, ისიც ასე დიდი ჯარის, გაღმიდან უსიკვდილოდ შეამჩნევენ და მაშინათვე ვარციხეს შეატყობინებენ, ასეა საქმე და მოგვეშველეთო. მე რას ვფიქრობ ახლა, თუ შენც ჰკლავი დაგიჯდება ეს აზრი: ამაღამ, ასე ნავახშობებს. სანამდე ჯარი რიონზე ჩავიდოდეს და გადასვლის თადარიგს შევეუდგებოდეთ, ასი-ასორმოცდაათი მარჯვე ბიჭი მიწადა გავგზავნო გაღმა.

შერვაშიძეს გაუყვირა:

— ასი-ასორმოცდაათი?

— სადაც კი საღარაჯო ჯიხურებია გზებზე, ესენი ჩუმად უნდა მიეპარონ და ყოველი მხრიდან შემოერთყან. ვისაც გათოკავენ, გათოკავენ, ვისაც არა, იქავე, თოფის გაუსროლელად და ზედმეტი ხმაურის აუტეხავად, ხანჯლით აუგებენ წესს.

მთავრის შვილი ჯერ შეკრთა, მერე შეწუხდა და მეფეს კრძალვით ჰკადრა:

— დაგვირახავენ, ბატონო, აგრე მიპარვით ივარგებს?

— ომია! — სოლომონმა წარბები შეჰყარა და ხმა ისევ გაუცვიდა. — ან მე უნდა ვიყო, ან ეგენი! მოასწრებ — დაჰკარი და გაათავე, მოგასწრებს — ის დაგკრავს და გაათავეებს. ამის მეტი ცხოვრებამ რა მასწავლა! გგონია, ვინმე მოგერიდება, შეგიბრალებს და დაგზოვავს?

მეფე და აფხაზეთის მთავრის შვი-

ლი ამ საუბარში იყვნენ, როდესაც კარვის კართან ორი მალალი ლანდი აიშარათა და ხმამალალი ლაპარაკიც მოისმა. სოლომონმა და ხუტუნამ კარისაკენ მოიხედეს.

— ვინ არის მანდ, ნიკოლოზა? — მკაცრად დაიძახა მეფემ, რომელმაც ერთ-ერთი იქ მდგომის ხმაში ძიძიშვილის ხმა იცნო.

კარვის კალთა მსწრაფლ აიწია და, რაკი მეფე თვით შეეხმინა, თმაწვერგაბანგველული ნიკოლოზა ნაფიჩვადე უბრალოდ შიგნით შემოვიდა, თან უკან-უკან იხედებოდა და ბუნზუნებდა:

— ვეუბნები, შე დალოცვილო, არ ცალია, მარტვა არ არის, მთავრის შვილი ყავს, თათბირობენ, ეს თავისას...

— რა მოხდა, ვინ არის? — მკაცრად გაიმეორა შეკითხვა მეფემ.

— ათასისთავი ფაღავა ბრძანდება, ბატონო, გინდა თუ არა, მეფესთან შემიშვიო. ვეუბნები, დმერთი, რჯული, არ ცალია-თქო, მარა არ მიჯერებს, რა ექნა მე! ქართული არ იცის ამ ხალხმა?

— შენი საქმე არ არის, ვინ იცის ქართული და ვინ არა! მალემსრბოლები წაიყვანეს? ხომ საიშედოდ დაამწყვდილეს?

— კი, ბატონო, მაშინათვე კოშკში ჩავაჭინეთ.

— შემოუშვი ფაღავა! რას ყავანებ მერე, შე დათვო, შუა ბაზარში ხომ არა ხარ, უცხო ხალხის შინც არა გრცხვენია? — მეფემ ხუტუნია შერკაშიძეს გადახედა და ხმას დაუწია.

— არ ეყურებათ კაციშვილის სიტყვა, ბატონო და რა ჯანდაბა ვუყო, იარაღს ხომ ვერ ვიხმარ! ვიხმარო იარაღი?

ფაღავამ, ეტყობა, გაიგონა, მეფემ კარავში შესვლის ნება დამართო, ნაფიჩვადის გამოსვლას აღარ დაელოდა, კარვის კალთა აიწია და სოლომონს თვით წარუდგა.

— რამ შეგაწუხა, თავადო? — მოაგება მეფემ და ყურადღება არ მიაქცია

შურისძიების წყურვილით აღსაყვებუნებს, რომელიც შემოსულმა ცულკერძი ოდიშარის თავმომწონებოდა და ცულკერძი მეფისაგან დატუქსვით უკმაყოფილო ნიკოლოზა ნაფიჩვადეს ესროლა. — გლახა ამბავი ხომ არაფერი მოგვიტანე?

— უნდა წამობრძანდე, ბატონო მეფე, ან ვინმე გავლენიანი დიდებული გამოგზავნო, ჯარს შენი სახელით ელაპარაკონ. ხალხს ვეღარ ვაკავებ...

სოლომონს დასცევებლა, მიხვდა, რაც მომხდარიყო, მაგრამ არ გატყდა, დადიანის საიდუმლო შემონათვალი თვით ათასისთავსაც კი არ გაუშენილა და პირგამეხებულმა ჰკითხა:

— როგორ თუ... ასე შეაშინათ ომმა? შევარცხვინე მე მაგათი ვაჟაკობა!

— ვაჭრებმა დამლუბეს, მეფეო... — ჯავრიანად თქვა ათასისთავმა და ზედმეტი აღელვებისაგან ხმა გაუწყდა. — არ ვიცი, მართალია, თუ ტყუილი.

— ვინ ვაჭრებია? — იკითხა მეფემ, რათა დრო მოეგო და სახლ-კარისა და წვრილშვილის ჯავრით გულამღვრული ჯარის დასამშვიდებლად რაიმე უებარი საშუალება მოეფიქრებინა.

— ფოთელები უნდა იყვნენ, მეფე, აქ თაფლის საყიდლად ამოსულან ამ დილას. რატომ ფეხი არ მოტყდათ, ბატონო, — ფაღავა ძალიან ცდილობდა სწორი ქართულით ელაპარაკა, მაგრამ ამ ადვილას მაინც აუსხლტა სიტყვა და მეგრულად მოუქცია.

— მერე? რაო მერე, რა ამბავი ამოიტანეს მაგ თქვენმა ვაჭრებმა?

— სამეგრელოში ქრისტეს ტირილიო, მეფე, კაციას ზღუდე გაურღვევიათ. სისხლი ტბად დააყენეს თურმე...

— ტყუილია! — თავისთვისაც მოულოდნელად დაიყვირა მეფემ და ფეხი მიწას დაჰკრა. — არ არის მართალი! ვინ მოჩხმა, ვინ მოიგონა! ჯარში გამცემები შემომიგზავნა მტერმა. ახლავე ყველას ხეებზე დაჯიკდებ. თქვენც ამდგარხართ და იმათ დაყრილ ხმებს ამყოლილხართ! ჰეი, ვინ არის მანდ?

კარვის კალთა აიწია და წამის წინ ვარეთ გასული და კართანვე დადარაჯებული ნიკოლოზა ნაფიჩვადე ისევ შემოვიდა.

— კაცები ვაგზავნეთ, — მიმართა მას მეფემ. — ის ეილაც ვაჭრებია, ვაბაწრული მომგვარეთ ყველა. თუ უღვაში მსხმია, შე მაგათ ვაჩვენებ, როგორ უნდა ჭორების მოგონება და ბოროტი ენების ტარტალი! — და როცა ნაფიჩვადე ბრძანების შესასრულებლად გატრიალდა, სოლომონი კვლავ მღელვარებისაგან ფერდაკარგულ ტუჩებ-აყახცახებულ ფაღავას მიუბრუნდა. — თქვენ კი დამშვიდდით, თავადო, დაბრუნდით ბანაკში, მე და ბატონი ხუ-

ტუნიაც ახლავე იქ ვაგზანდებით. იმისთანა, ვგონებ, არაფერი მომხდარა. რაც ომში არ ხდება. კაცის ცოტა გაუქვირდა. რა ვუყოთ მერე, ომში პირველად ვართ, ჩვენ კი არ ვაგვიკრებია? სამაგიეროდ, ახლა ჩვენ ვსხდებით ცხენებზე, ბრძანება უკვე გაეცემულია, და მტერს იქ დავკრავთ, სადაც ყველაზე ნაკლებ მოელის. რამ წაგახდინა, ვე-ფო? გატყობ, სხვებზე უფრო შენ შეგზინებია და გული შინ მიგიწევს. არ შემშვენის ეგ შენს გვარისშვილობას და ოჯახისშვილობას. გამხნვედი, ვაგვიძხი, ვაჩვენე შენი ჭარი. ახლავე დაინახე, რაც მოხდება!

### თავი მეექვსე

მეფეს თავისი სიმართლისა და სიტყვის ძალისა უქანასკნელ წუთამდე სჯეროდა, მაგრამ ოდიშართა ლაშქრის დაწყნარება და დაშოშმინება რომ ვერა და ვერ მოახერხა, ამ რწმენას ბზარი შეეპარა და ის კინალამ სასოწარკვეთილებას მიეცა. ყველა სადროშო შემოიარა, ყველგან თავისი ფეხით მივიდა. ჭარი ყალყზე იდგა, ადგილიდან უფროსების დაუკითხავად იყრებოდა და ზოგი პატარ-პატარა, ზოგიც დიდ-დიდ გუნდებად დეზვირის ციხის მიღამოებს სტოვებდა. მეფე გაშმაგდა, აღარ იცოდა, რა ღონე ეხმარა. სანდო თავისიანთაგან მღვდარი აფრინა, უწესრიგოდ უქანდაბეულ ჭარს ადგილად-გილ გზა გადაუჭრა. ოდიშართა სულ-მოკლეობა და აჩქარება ომში სოლომონის საშველად მოსულმა სვანებმაც იწყინეს, მსწრაფლ იარაღზე გაისვეს ხელი, ღმერთო კი მოგვეკალი, ამის შემდეგ სირცხვილით სადღა გამოვჩნდეთო. უკან დახეულთ, როგორც გაბნეულ ცხვრის ფარას, თავი დაუარეს, ვიწრო გასასვლელები ჩაუხერგეს და ძალით თუ ნებით პირი ისევ აქეთ აქნევიან.

სოლომონის სიტყვაზე მეტად აფხაზეთის მთავრის შვილის, ხუტუნია შერვაშიძის, სიტყვამ გასჭრა. მან ჭარს მეგრულად მიმართა, თითოეული მოლაშქრის გულის სიმებს შეეხო და ერთად თავმოყრილი ამდენი ხალხის ნდობა და თანაგრძნობა სწრაფად მოიპოვა. ბუნებისაგან გულუხვად ნაბოძები მოხდენილი თვალტანადობით შემკული მთავრის შვილის სიტყვას ძალასა და შთაბეჭეტაობას ვულწრფელობა და უშუალობა კმატებდა. შერვაშიძემ სწორი გზა აირჩია. ჭარისათვის არ დაუმალავს, რომ ცხენისწყლის ხეობაში მტრის ჭარბი ძალების მოწოლის გამო კაცია დადიანის ძეს არასაბარბიელო მდგომარეობა შეექმნა, მაგრამ, დაუმატა ხუტუნია შერვაშიძემ, ომს თავისი წესი და რიგი აქვს და ამ წესისა და რიგის თანახმად, ის, რაც ახლა, ამ წუთს ხდება, ჩვენი სარდლობის მიერ წინასწარ განჭვრეტილი და გათვალისწინებული იყო. მეფეს უკვე აახლეს სარწმუნო ცნობა, რომ კაცია ვაუკაცურად უმკლავდება რიცხვით უმეტეს მტერს, თუმცა მის წინააღმდეგ

ყოველდღე ახალ ძალებს გამოჰყავთ და ავიწროებენ...

— რაც უფრო გაუჭირდება კაციას და მის დევგმირ მეომრებს, რომლებიც თავიანთ სახლ-კარს, სარწმუნოებას, ღედისა და ცოლის ნამუსს იცავენ, — მოძღვრავდა ხალხს ხუტუნია შერვაშიძე, — მით უფრო გავკვირდებით იოლი წარმატებით გათამამებული მტრის დამარცხება და უკუქცევა.

საომარ ცხენზე ამხედრებულ მთავრის შეილს მეფე ამალითურთ მხარმარჯვნივ უდგა და მთელი გულისყურით ცდილობდა რაიმე გაეგო იმისაგან, რასაც ახალგაზრდა აფხაზი ღიდებელი ჯარს ეუბნებოდა. მეფემ მეგრული არ იცოდა და აქა-იქ გამორეული ნაცობი სიტყვების მიხედვით უჭირდა აზრის გამოტანა. მაგრამ მთავარი ის არ იყო, მთავარი ის იყო, რომ ოდიშარები გულდანდობილი უსშენდნენ შერვაშიძეს და ბერი უკვე იმდენად გაფიცხდა, ახლავე იარაღის ასხმა და მტერზე გალაშქრება მოითხოვა. უცებ ნაყარი ფუტკარივით შეგვფუფხული ლაშქრის შუაგულში ვილაცამ მთელი ხმით დაიყვირა და ეს ხმა მთებმა გაიმეორეს:

— მოგვეციტ გამცემები! მოგვეციტ ვაჭრები! მოგვეციტ ჩვენი სისხლის-მსმელები!..

— მოგვეციტ! მოგვეციტ! — თითქოს ამასღა ელოდაო, ჯარმა ერთხმად იგრიალა და თოფ-იარაღი ჰაერში აათამაშა.

სარღლებმა მეფეს შეხედეს.

— მიეციტ! — წამიერი ყოყმანის შემდეგ ბრძანა მან და საკუთარი ხმა ეუტხოვა. ეს დიდი უსამართლობა იყო. სოლომონს კარგად ესმოდა, რასაც ნიშნავდა მეფის ნების გამომხატველი ეს ერთადერთი სიტყვა, კარგად ესმოდა, რაც ამ ერთადერთ სიტყვას მოჰყვებოდა, მაგრამ წარბი არ შეუხრია და იგი მიინც წარმოთქვა, რადგან ახლა სისხლს, თუნდაც უდანაშაულოდ და დახეულ სისხლს, შეეძლო მხოლოდ ამ გადარეული ბრბოს დაწყნარება და

ჯარში კვლავინდებური უფროს-უწირო-სობისა და წესრიგის აღდგენა.

ორმოციოდე წუთსაც არ გაუძლია წინა საღამოს ციხის კოშკში დამწყვდეული ფოთელი ვაჭრები მოიყვანეს. აქ საჯარო დასჯის მოსაწყობად ყველაფერი უკვე მზად იყო. ვეება ძელქვის ტოტზე, რომლის ქვეშაც მეფე და მისი ამალა იდგნენ, ოთხი ჩამარყუებელი თოკი ჩამოუშვეს, მეორე ბოლო კი მიწაზე დაახვეეს. გამოჩნდნენ მოხალისე ქალათებიც. მათ სახრჩობელების ქვეშ დაიკავეს ადგილი და თავიანთ მსხვერპლს მოუთმენლად ელოდნენ.

შიშშილისა და წყურვილისაგან ღონემიხილი, ნაკვამ და თავპირდასისხლიანებულ ვაჭრებს ვერა და ვერ გაეგოთ, რას ემართლებოდა იმერთა მეფე, რა ასეთი რამ შესცოდეს, რა ღალატი და ავჯაცობა ჩაიდინეს. ახსნა და განმარტება არავის დაუწყია. აქ ამისი დრო და ადგილი არ იყო. სასიკვდილოდ განწირულთ შავ ანაფორაში გახვეული ახალგაზრდა მღვდელი მიუახლოვდათ. მღვდელს ხელში ოქროს წყალში გავლებული ჯვარი ეკავა. უბედურები მიხვდნენ, ეს რის ნიშანიც იყო, ძელქვის ღონიერ ტოტზე ჩამოკონწიალებულ სახრჩობელებსაც ახლა ჰკიდეს თვალი, მეფის ცხენს ფეხებში ჩაუვარდნენ და ცხოველური ღმელი მორთეს. ქალათებს არ დაუხანებიათ. უმაღ მისცივიდნენ, ზურგსუკან ხელები გადაუგრინეს, თოკებით შეუტყრეს და სახრჩობელისაკენ წაათრიეს.

მეფემ თვალი მოარიდა სანახაობას. მას შემდეგ, რაც განსაცდელში ჩავარდნილმა ერთგული აზნაურის, ტახტისათვის თავდადებულ როსაფ მაჭავარიანის, მტრისთვის მიცემა გადაწყვიტა და როსაფიცა და თვით მეფეც სირცხვილისა და დიდი ცოდვისაგან მხოლოდ ბედნიერმა შემთხვევამ იხსნა, ეს პირველი უსამართლობა იყო, რომელსაც სოლომონი მთელი ქვეყნის წინაშე სჩადიოდა და რომლის გამო, როგორც მო-



არწმუნეს, ქრისტიანს, განკითხვის ეამს პასუხი უნდა ეგო.

ვაჭრები უბრალონი იყვნენ. მათ შხოლოდ ის თქვეს, რაც საკუთარი თვალით ნახეს, ნანახისათვის ერთი ზედმეტი სიტყვაც არ დაუმატებიათ. გარემოება ამ უკანასკნელთა მოკვდინებას მოითხოვდა და, თუ საქმის დაღუპვა არ სურდა, მეფე ენას ვერ მოაბრუნებდა უღანაშაულო სისხლის დაღვრის აღსაკვეთად. მეფეს, როგორც ქრისტიანს და ღვთის შვილს, ნუგეშად ისღა რჩებოდა, რომ ვაჭრები პირისპირ არ უნახავს, არ გამოლაპარაკებია, მათ თვლებს თვალებით არ შეხვედრია. როსაფ მაქაეარაიანის სასიკვდილოდ გამეტება სულ სხვა რამ იქნებოდა. ამ ცოდვისაგან თვით ღმერთმა დაიფარა — მაქაეარაიანის სიკვდილის უსარგებლობა ანგელოზებმა ჩააგონეს. ის ამბავი, რომ საქმისათვის ზეარაკად შეწირულ ფოთელ ვაჭრებს პირისპირ არსად შეხვედროდა, სოლომონს როგორღაც სინდისს უმშვიდებდა და ახალ გასაჭირთან შებრძოლებას უადვილებდა.

აღზნებული, სისხლმომწყურებული ბრბო დრტვინავდა. მის აბორგებულ ვნებათა დელეას ახლა მართლაც ვისიმე ნაძალადევი სიკვდილი თუ დაატკობდა და დაათკებდა. უკვე აღარ შეიძლებოდა თუნდ ერთი წუთის დაკარგვა! ადამიანებს გონს მოსვლისა და ხელახალი დაფიქრების საშუალება არ უნდა მისცემოდა. სანამ ყველა სისხლით იყო მოვრალი, სანამ ადამიანის ადამიანურ არსებაში ცხოველური საწყისი მეფობდა, ჯარი ადგილიდან უნდა დაეძრათ და მტერზე ასე ვაკეშებულნი მიეშვათ.

შეკრიკებმა ცხენები სხვადასხვა მხარეს გააჭენეს. სოლომონს სურდა, აყრის წინ სარდლები მოეხმო და რამდენჯერმე ნათქვამი ერთხელ კიდევ გაემეორებინა, მაგრამ სულ ბოლო წუთს გადაწყვეტილება შესცვალა. სარდლების აქ მოგროვება, შემდეგ უკან გაბრუნება და სადრომოების დაწყობა ზედმეტ ორ საათს მაინც წაართმევდა.

ეს ორი საათი დღეს ძალზე ძვირად ფასობდა და რაც დრო გადიხდა, მით უფრო ძვირად და ძვირად ფასდებოდა.

ასწლოვანი ძელქვის ქვეშ შეგროვილ ზღვა ხალხს, მოლაშქრეებსა და ადგილობრივ მკვიდრო, ცხენოსნებმა ჩამოუჭროლეს და დასუკივლეს. ციხის გარეშემო, მთის კალთებზე დაბანაკებული ჯარი აქა-იქ ახრჩოლებულ კოცონებს აქრობდა, კარვებს ხსნიდა, ცხენებს მიძიმე საპალნეს ჰკიდებდა, ხარებშებმულ ჩოჩილა ურმებს მოაჭრიალებდა და ტაფობში რამდენიმე ალაგას იყრინდა თავს. ძელქვის ძირას მდგომთ იქაურობა ვერ დაეთმოთ. ჯერ კიდევ მჭიდროდ იდგნენ. ყველა წინ გაძრომას ლამობდა და ვაფაციცებული ფეხისწვერებზე დგებოდა, ვინძლო არაფერი გამომჩჩეს, რაც აქ ხდებოდა. მათრახმომარჯვებულმა მხედრებმა ხელახლა ქორივით ჩამოუჭროლეს. ხალხს თითქოს არა სჯეროდა, რომ აქ ვინმეს მართლა სიკვდილით დასჯიდნენ და მზად იყო ყვირილი აეტება, მოგვატყუეს, გავაცუცურაყეს, მასხარად აგვიგდესო. გახურებული მხედრები მათრახებს აშნივლებდნენ, ყვივებდნენ და მოლაშქრეებს თავ-თავიანთი სადრომოებისაკენ მოუხმობდნენ. თვალის სეირის მოყვარულთა მოლოდინს როგორც იქნა, ბოლო მოეღო. მღვდელმა აღსარების მიღება მოათავა და გამალებული პირჯერის წერით განზე გადგა. ძელქვის დაღვლარქნილ ტოტზე გადმოდებული ორი წყვილი თოკი ძირს ჩამოცოცდა, მარყუევები ხალხში დაიშალა. წამით, სულ ერთი წამით სიჩუმე ჩამოვარდა. სიკვდილის შემზარავი სანახაობით გაშტერებული და შეძრწუნებული ბრბო, თავისი ნამოქმედარი რომ დაინახა, უკვე მზად იყო სიტყვა უკან წაედო, მაგრამ ეს ახლა აღარავის სჭირდებოდა: მოსახდენი მოხდა, დასადვრელი უღანაშაულო სისხლი დაიღვარა...

მეფემ პირჯვარი გადაიწერა, მალალო ღმერთო, წმიდა სამებავ, შენ შეგვირდე შეცოდებანი ჩვენიო, სულშეგუბებულმა წაიხურჩულა და ცხენი

დასძრა. სიმამრის ნაჩუქარი ფიცი ულაცი ერთხანს ნაბიჯით მიჰყავდა თავ-  
დაღმართში, შემდეგ, როცა მწვანე ტ-  
ფობში ჩაივარდა და იქ დაწყობილი ჯი-  
რი დაინახა, ცხენს დეზი ჰკრა, თუმცა  
ეს სრულებითაც არ იყო ახლა საქი-  
რო, სადავე მიუშვა და წინ გააჰგნა.  
გულს მაჯლაჯუნა აწვა. იმედოვნებდა,  
ხალხს გაეცილდები, თვალსა და ყურს  
მოვასვენებ და თავისუფლად ამოვი-  
სუნთქებო. ცთუნებას ვერ გაუძლო და  
უკან მოიხედა. მცველი რაზმი, ორასი  
თუ სამასი მსუბუქად შეიარაღებული  
მხედარი, სწრაფი ნაეარდით მოსდევ-  
და. ტოტებით ცამდე აწვდილი ძელქვის  
ქვეშ, სადაც სულ ერთი საათის წინ ამ  
ლაშქრობის ბედი გადაწყდა და აფხა-

ზეთის მთავრის შვილი, ხუტუნია შერ-  
ვაშიძე, პირიანი და უშიშარი ვაჟკაცი,  
მგზნებარე და პატიოსანი სიტყვით  
ჯარს გულზე ცეცხლს უკიდებდა, ხალ-  
ხი კვლავ შეტბორებული იდგა და არ  
რწმუნებოდა. ოთხი ფეხშიშველა გვამი  
უსიცოცხლად ეკიდა ხეზე. აქედან თო-  
კები აღარ ჩანდა. გვამები თითქოს სას-  
წაულის ძალას ეკავა ჰაერში. სოლო-  
მონმა მსუბუქი თავბრუსხვევა იგრძნო.  
ამან მალე გაუარა, თუმცა შუბლი ისევ  
უხურდა. ცივი ოფლი დაასხა. შიშმა  
გააქნწლა, გული არ შემიღონდეს და  
ამდენი ხალხის თვალწინ ცხენიდან არ  
გადმოვევარდეო. სადავე მიუშვა, უზან-  
გებზე წამოიმართა და ცხენი კვლავ აა-  
ჩქარა.

**თავი მეხვით**

ასკია აბესაძემ განძრევაც ვერ მოა-  
სწრო. თვალები რომ გამოახილა, მიწა-  
ზე გაკოჭილი ეგდო. უღვთოდ შემო-  
ჭერილ თოკს მაჯები და წვივები ჩაეჭრა  
და ბალახებში სისხლი წვეთავდა. ას-  
კიამ არ იცოდა, რა ღრო იყო, დასაძი-  
ნებლად როდის მისდო თავი და ან მტე-  
რი როდის დაეცა. ნუთუ ერისთვიშვი-  
ლებს გაუწყრათ ღმერთი? ნაბერალ  
მეთოდეს გადაკიდება აბა რა ხერის  
დააყრიდა! საღარაჯო კოშკზე დღეს დი-  
ლიდანვე კვაჭირელი ბიჭები იდგნენ.  
ასკიას გული გაუწყალა აქ უსაგნო ყუ-  
რყუტმა და ისე დაღამდა, ზევით ერთ-  
ხელაც არ ასულა. სოფელში აგზავნილ-  
მა ბიჭებმა ნასამზრობებს კვირის ხარ-  
ჯი ჩამოიტანეს და ვახშმად სახარაჯო  
ღვინოც ჰქონდათ. ასკიას კარგად ახ-  
სოვდა, რომ ღვინო ბევრი არ დაუღე-  
ვია. ლევან აბაშიძის გამოგზავნილი  
გზირები დროაღრო ამოწმებდნენ ჯი-  
ხურებზე მიჩენილ მოლაშქრეებს და  
ვაი იმისი ბრალი, ვისაც ნაღვინგობას  
შეამჩნევდნენ. ათისთავმა კარის მე-  
ზობლებს ხათრი ველარ გაუტეხა და  
მათთან ერთად ხუთი თუ ექვსი მოზე-  
რის ყანწი გამოსცალა. ღვინო წყალნა-  
რევი იყო და ასკიას ეს ამედებდა, თა-

ნაც რა ღმერთი გაუწყრებოდათ და  
მაინცღამინც დღეს მოეხეტებოდნენ  
ბატონის გამოგზავნილი გზირები. მწვა-  
ნეზე გაშლილი გლუხაკური სუფრა  
მაინც სხვებზე აღრე დასტოვა, ზემოთ  
მღგომ მზირს შეეხმინა, შეამოწმა,  
ხომ არ ძინავს ამ ჩემი ცოდვით სავსე-  
სო და, ყველა საქმე რომ მოითავა, კა-  
რავეში შევიდა და მოსხლეთილი ჩალა-  
ზე მიეგდო. შემდეგ ეს უბედურება  
დაატყდა. თვალები რომ გამოახილა,  
უკვე გაკოჭილი იყო. სულ ბოლოს შე-  
ნიშნა: თავზე ვარსკვლავებით მოქედი-  
ლი ცა დაჰყურებდა. მაგრამ კარავი?  
ასკიას ნათლად ახსოვდა, რომ დასაძი-  
ნებლად კარავში შევიდა. ამ ოჯახეტი-  
ანებმა, ვილაკები იყვნენ, ცისქვეშ ისე  
როგორ გამოათრიეს, რომ მხოლოდ ახ-  
ლა გამოედვიდა და ხელებისა და ფეხე-  
ბის გულის შემადონებელი ტყვილიც  
ახლა იგრძნო. თავი უბრუოდა, კეფაში  
მგონი კობი აჯდა. სანამ ხელ-ფეხზე  
წაეტანებოდნენ და სიბნელეში გაბაწვ-  
რას დაუწყებდნენ, ღამის მეკობრეებმა,  
ეტყობა, თავში ხმლის ვადა ან თოფის  
კონდახი ჩასცხეს და გონება დააყარ-  
ვეინეს.

ასკიამ ძლივსდღევობით წამოიწია

და აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა. მინდორში მის მეტი არაეინ იყო. ცოტა მოშორებით, მანულის ბუჩქებში, ცხენები ზვიზვიებდნენ, მიწაზე ტორებს აბაკუნებდნენ და ლამის სიჩუმეს ათასგვარი ფიქრის აღმძვრელი ხმაურით ავსებდნენ.

მზირებს ცხენები არ ჰყავდათ. ეს ცხენები უთუოდ მეკობრეებისა იყო და თვით ისინიც სადმე აქ ახლოს იქნებოდნენ. ასკიამ ერთხელ კიდევ სცადა წამოწევა, თითქმის წამოვდა კიდევ, მაგრამ ტანის სიმძიმე უკან გადასძლია და კვლავ ლამის ბოროთი გაავრდებულ მიწაზე გაიშხლართა. კეფაში უროს სცემდნენ, ხელის მტევნები ისე გულსკვდა, ტკვილსაც ვეღარ გრძნობდა. ღონე მოიკრბა, მხრისა და ქუსლების დახმარებით მიწას დაენდო, წელში გაიზიწა და პირქვევ გადმოტრიალდა. ეს რომ მოახერხა, მერე აღარც მუხლებზე წამოდგომა გასჭირვებია. სწორედ ამ დროს ჭიხურის ძირას, სადაც ასკიას ვარაუდით ნაქეიფარ მზირებს უნდა სძინებოდათ, ხმამაღალი ჩურჩული შემოესმა. ერთი მეორეს რალაცას უძახდა თუ უჩვენებდა. ასკია მისვდა: ეს მეკობრეები იყვნენ.

„არა, ერისთვიშვილები არ არიან, — გაიფიქრა მან და გულზე მოეშვა, თუმცა ნაკლები საშიშროება არც სხვა მარბიელთაგან მოელოდა. — ბიჭებს, ეტყობა, ცხენებზე ჰკიდებენ და თუ გავახსენდი, ახლა მეც მომაკითხავენ. როგორმე აქაურობას უნდა გავცალხო. იქნება ღმერთი შემეწიოს და ვერ მიპოვნონ!“

ასკია ფეხისწვერებს დააწვა, შეეცადა, მარჯვენა მუხლით წინ ნაბიჯი გადაედგა, ხოლო შემდეგ მარჯვენასათვის მარცხენა მუხლი შეენაცვლებინა, მაგრამ თოკი ისე მაგრად უჭერდა ტანზე, ადგილიდან დაძვრაც კი ვაუძნელდა. „გადავგორდები, იქნებ ასე კოტრიალ-კოტრიალით ჩირგვებამდე მივიღე!“ — გაიფიქრა და უშაღ გვერდზე გადაწვა, მხრისა და ქუსლების დახმარებით, როგორც წელან, მიწაზე რამ-

დენჯერმე გადატრიალდა. თავმა უფრო დაქანა და მოუჭირა. თვალეზბრუკვილა დაესხა. უცებ მოიმხრო: მანულის ბუჩქები, რომელთა უკანაც ლამის შეკობრეებს ცხენები დაეყენებინათ, შორს აღარ იყო. მარჯვნივ, სადარაჯო ჭიხურასა და ბუჩქნარს შუა, ნიაღვრებთან ჩახრამული კბოდე ეგულეზობდა. კბოდე საკმაოდ ღრმა და ციცაბო აღსოვდა. ჩვეულებრივ დროს იქ ჩაცურებას ადვილად ვერაინ ვაბედავდა. ახლა გადაჩენის სხვა გზა არა ჰქონდა და მხსნელ აზრს, როგორმე კბოდემდე მივალწიო, მერე კი მე ვიცხოვ, ვააფთრებით ჩაებლავთა. ორჯერ თუ სამჯერ კიდევ გადატრიალდა და მიწას დააკვდა. ტანი სულ დაეფეცა, კუნთებში ძალა გამოეღია. ვაი რომ მეტი აღარ შეეძლო. ამ დროს უკანიდან განცვიფრებული შეძახილი მოესმა და, თითქოს ტყვია მოხვედროდეს, სიმწრისაგან გააფრტოლა.

— სად არის, ბიჭო, ის ძაღლი?

იმ ხმას სიბნელეში ვილაცამ უძახეს.

— აგერ არ დავტოვეთ?

ასკიამ თავი მოაბრუნა და უკან მოიხედა. ნოტიო მიწისა და ნედლი ბალახის სუნმა ცხვირში შეუღიტინა. იმ ადგილის გარშემო, სადაც რამდენიმე წუთის წინ იწვა, მინდორში ორი შავი ლანდი დაბოროილებდა და, რალს თქმა უნდა, მას ეძებდა.

— არიქა ჩქარა, რალას უცდით მანღ? — დაიძახა მესამე ხმამ ბუჩქნარში.

— კაცი ვაგვეპარა. — უძახუხეს ამით და ახლა პირდაპირ ასკიას მხარეს წამოვიდნენ. სულ ცოტა კიდევ და უსიკვდილოდ ოპოვინდნენ, მესამე ხმას, რომელიც უფროსისა უნდა ყოფილიყო, ბრაზიანად რომ არ დაეძახა:

— ჩქარა, ჩქარა, შეჯექით ცხენებზე, რა დროს კაცია!

ეს სიტყვები გაიგონეს თუ არა, ლანდები ფეხაკრეფით გატრიალდნენ და გაბაწრული ასკია აბესაძე კვლავ მარტოღმარტო დარჩა მინდორში. ერთ-

პანს გაურკვეველი ზმთილი, მოგუდუ-  
ლი გინება და მათრახების ტლაშენი  
ისმოდა, ამას ნაბლით დაჭედული ცხე-  
ნების თქართჭური მოპყვა და წამსვე  
ყოველივე სამარისებურმა სიჩუმემ მო-  
იცვა, მხოლოდ რიონის ჩუმი ღუღუნე  
მოჰქონდა ქვენა ქარს და მყუდროებას  
ეს არღვევდა. ასკიამ გაიბრძოლა. უნ-  
დოდა პირჯვარი გადაეწერა და გელა-  
თის ღვთისმშობლისათვის მხურვალე  
მადლობა შეეწირა, რომ არ გაიმეტა,  
ახალმოყვანილი ყმაწვილი ცოლი არ  
დაუქერივა და პირმშო შვილი არ დაუ-  
ოხლა. ტანზე შემოჭერილმა თოკებმა  
თავი შეახსენეს და აიძულეს; კვლავ  
უმობრალად გღებულებო კბოღესთან.  
ასკიას გული აფფრიალდა. წელან, სულ  
ორიოდე წუთის წინ, გააფფრებით მოი-  
წვედა აქეთ, ქვემოთ ჩავგორდები და  
მერე შე ვიცოო, ახლა კი ეშინოდა, ქვი-  
შრობი მიწა არ ჩაშლილიყო და ისიც  
თან არ ჩაეტანა. გულაღმა იწვა, გვერ-  
დის ოღნავი მონაცვლებაც ველარ გაე-  
ბედა.

სად გაქრნენ დანარჩენი მოლაშქ-  
რეები? ნუთუ ყველა უკლებლივ წაი-  
ყვანეს და მოულოდნელ თავდასხმას  
ასკიას მეტი ვერავინ გადაურჩა?

ასკია მიხვდა თავის მიუტყვებელ  
შეცდომას: წუხელ რომ მეტი სიფრთ-  
ხილე გამოეჩინა და სუფრასთან გვი-  
ანობამდე მოეცადა, ბიჭები ხათრს მოი-  
დებდნენ, ისე უღვთოდ აღარ გამო-  
თვრებოდნენ და იქნებ ეს უბედურე-  
ბაც ასცდენოდათ. ღვინომ ღვინის მე-  
ტი რა იცის! ცოტა რომ შეჰკოჭიკდნენ,  
ეტყობა, ველარ მოზომეს და სიმთვარ-  
ლე ყველას მოეცადა. ბოლოს, ალბათ,  
შხირსაც წასძლია სულმა, კოშკიდან ჩა-  
მოვიდა და მოქეიფებებს შეუერთდა.  
მოყურადებულ მტერსაც ეს უნდოდა.  
ცოტა ხნის შემდეგ დრო იხელთა და  
ყველას უტახებდად წამოაღდა თავზე.

„თუ ხელ-ფეხი გავიხსენი და სახ-  
ლამდე ცოცხალმა მივაწიე, ცოლსა  
და შვილს ფეხზე წამოვიყარი, წინ გავი-  
ძლოლებ და თავს ტყეს მივცემ, — გაი-  
ფიქრა ასკიამ და ამ ფიქრით გული გაი-

მაგრა. — სხვა რაღა დამარჩენია. ასი  
წელიწადიც რომ გავიდეს, ლევან აბა-  
შიძე ამას არ მაბატოებს და აღარ შემო-  
რიგებს. მერე, თუ ყისმამა გამიჭრა,  
იქნება ქართლში გავევიდე და იქაურ  
ღვთისწიერ ბატონებს შევეფარო.“

მაგრამ ხელ-ფეხის გახსნა ადვილი  
საქმე არ იყო. ასკიას ეს ჩინებულად  
ესმოდა. ერთი წამოწევა მაინც წამოი-  
წია. უნდოდა დაენახა და დარწმუნე-  
ბულიყო, რა მანძილი აშორებდა ხრა-  
მის პირს. დაბეჯილი ტანის სიმძიმემ  
ახლაც გადასძლია და დამარცხებული  
ფალავანივით კვლავ მიწას გააყრა. ვარ-  
სკვლავებით მოჭედულ ცაზე, მქრქალ  
ღრუბელში, კეცის ჰადივით გვერდჩა-  
მოტეხილი მთვარე მიცურავდა და ლა-  
მის ბინდბუნღში ღურჯად ჩამუქებულ  
სერებს, აქედან რომ უწყვეტ, ჯაჭვად  
მოჩანდა, სიზმრის ფერებში ხვევდა.

ასკიამ წარმოიდგინა და წამით თა-  
ვიც კი დაიჭერა, რომ ეს ყველაფერი,  
რაც თავს გადახდა, სიზმარი იყო, გულ-  
ში ჩაყოლილი სიზმარი, ცოტა ხნის  
შემდეგ გამოიღვიძებდა და შემზარავი  
სიზმარიც გაქრებოდა. ტუნზე იკბინა.  
პირში სისხლის გემო იგრძნო. არა! ეს  
სიზმარს არა ჰგავდა, სინამდვილე იყო...

— ჰეი, ხარ აქ ვინმე ცოცხალი? —  
ასკიამ თავაღაც ვერ შენიშნა, როგორ  
დაიძახა ეს ხამაღლა და სულგანაბულ-  
მა, იქნებ ვინმემ ღმერთი იწამოს. და  
ხმა გამცესო, სიჩუმეს ყური მიუვლო.  
მისდა გასაკვირლად, ჯერ ხმელი წყირი  
გატყდა მანულის დაბურულ ბუჩქნარ-  
ში, შემდეგ ფოთლების შრიალიც მო-  
ისმა და ვიღაცამ ჩურჩულით კი არა,  
ხავილით უბასუხა:

— ღმერთო, შენ შეგვეწიე, ბრავალ-  
ზლის წმიდა გიორგი, გელათის ღვთი-  
შობელო!.. კაცო ხარ თუ ეშმაკი?

— ასკია ვარ.

— ფუ, ფუ, ასკია რაეა ხარ, შე  
კაცო, შენ ქე არ გავბაწრეს და წაგი-  
ყვანეს?

— ნეტაი შენს გაბარებას, რაღა გი-  
ვირს! თუ შემოკოჭეს და წამიყვანეს, აქ  
რალანაირად ვიქნები, შე ღვთის გლა-

ხა! — აბესაძემ ხმაზე იცნო კვახჭირელი მახარობელა გუნცაძე, რომელიც კარავში მისი შესვლის წინ საღარაჯო კოშკზე მორიგეობდა და თუმცა თავისიანის გამოპასუხებამ იმედი და უსაზღვრო სიხარული მოჰკვარა, მეზობელს ეს სიტყვები მაინც უნდოდად მიახალა. — ნუ მარჩიელობ, მოდი აქ, ეს ტიელი ბაწარი შემეხსენი!

მახარობელამ ბევრი იფხოწიალა ბუჩქებში. სანამ მინდორში გამოაღწევედა, ხან აღმა ქნა პირი, ხან დაღმა, აქედან კი ერთხელ კიდევ დაუძახა მკედრეთით აღმდგარ ათისთავს:

— მართლა ასკია ხარ, ბიჭო?

— ასკია ვარ, ასკია, — გაუგავრდა ათისთავი. — მე თუ გიცანი, შენ ველარ მქნობ? აგრე რამ დაგაყრუა?

მახარობელა გუნცაძე კიდევ ყოყმანობდა, ნუბობდა ამ ხმას და მისულისყო ახლოს თუ არა. ბოლოს გადაწყვიტა, რაც იქნება, იქნება, მოვალე, ხელში მოხვედრილი ჯოხი თუ სარის ნატები დაიბიჯა და ათისთავს გულდაგულ მიამურა.

— საიდან იძახი, ბიჭო, ასკია, ხრამში ხომ არ გადაჩეხილხარ?

— ავერ კარ, ავერ, ღელის პირს წამოყევი.

— მართლა ბაწრით ხარ გაკოილი?

— აბა, რა მაქ შენი მოსატყუარი! გამოაღვი ეგ სამიწე ფეხი, ქარებმა ხომ არ დაგხუთა, შე ოხერო!

— ოხერიც ხარ და... რას იღანძღეები?

— ამდენი ხალხის ცოდვა კისერზე დაიდვი, ქვეყანა ორ ცვარ ღვინოში გაცვალე, ახლა ლანძღვასაც თაკალობ? ჯერ მოიცა...

— თუ მართლა ასკია ხარ, ენა დაიმოკლე, მე შენთვის მიჩვევია, — მუქარა რომ გაიგონა, მახარობელამ შიში დასძლია, წინ გაბედულად წამოვიდა. აღარ ხუმრობდა, დაუნდობელი და საშიში გამხდარიყო. — ვის ვისი ცოდვა ადევს, როდის და რანაირად, ეგ მე მკითხე!

— მოდი, ჯერ ეს ბაწარი გამოხსენი!

— იმე, ბაწარი თუ გავიხსენი, მახარობელა დაიღუნა, ასკია აბესაძეს გულსპირში ჩასჭიდა ხელს, მოქანდა და სახეში ჩაამტერდა.

— ხანჯალი არა გაქვს, ბიჭო?

მახარობელას თვალები ავად შელავდა.

— ხანჯალიც მაქვს და... რა გინდა მერე შენ?

— არ იცი, რა მინდა? — ასკიამ აბრუ არ გაიტეხა, თუმცა გულში შიში კი შეეპარა, როდი ეგონა თუ „ეს დავარდნილი მახარობელა“ ამდენს გაუბედავდა. — იწამე გამჩენი, გადამიჭერი ეს ბაწარი, აღარ შემეძლია, სისხლი გამოიჩრდა.

მახარობელამ ხანჯალი ამოიღო ქარქამიდან, ფხა გაუსინჯა, მაგრამ თოკის გაჭრა და ათისთავის ფეხზე წამოყენება არც უფიქრია. იქვე ბელტზე ჩამოკვდა, მუხლები გააბაჯიჯა და ხანჯალი წინ დაიდო.

— არა გიჭირს რა, ცოტა ხანს მოითმინე. რაიო, რაიო, რას ამბობდი წვლან?

— შენ ხომ არაფერი მოგელანდა?

— ასკია უკვე გრძნობდა, რომ მისი საქმე მთლად წაღმა ვერ იყო, რაკი ბედმა „ამ რევენის“ ხელში ჩააგლო და რამდენადაც შეუძლო და გარემოება საშუალებას აძლევდა, დატყბა, უკან დაიხია. — გაჭერი ბაწარი, ქრისტიანი არა ხარ, ღმერთი არ გწამს?

— ჯერ მოვილაპარაკოთ, ასკია, ასე აჯობებს.

— მოლაპარაკების თავი მაქვს, ბიჭო, სული ფრჩხილებში გამეპარა? ცოლ-შვილს გაფიცებ. გაჭერი ბაწარი, თუ არადა ეგ ხანჯალი ყელში გამიყარე, რაღას მაწვალებ!

— მოკეთეს გადაატყდი ვინმეს, შე ყურუმსადო, თუ რა იყო, ყველა წვიწყანეს და შენ რაღანაირად დაგტოვეს აქ!

— შენ რაღანაირად დაგტოვეს! — მწარე კენესას ამოაყოლა ასკია აბესაძემ და ჯოჯოხეთური ტყვილისაგან,



რომელსაც წვივებზე შემოგრებილი თოკი ჰგვრიდა, დაიქყანა.

— არ დოეუნახივარ იმ პირქაღლებს, თუ არა...

— ბიჭებთან არ იყავი?

— ბიჭებთან კი არა, ეგერ ვიდები მე! — მახარობელამ ხელი ჩიხურისაყენ გაიშვირა, რომელიც ღამის ბინდბუნდში მიწაში ღრმად ჩარჭობილ მარგალიტით ასვეტილიყო. — ვინც სხვანიირად ჩამოქცევს რამეს, ამას ხო უყურებ, ა... — მან ხანჯალი აიღო, ფხა გაუსინჯა და კვლავ ფეხებსშუა დასდო მიწაზე. — ლევან აბაშიძეს მეტი კი არ უნდა, ძელზე გამსვამს...

— გამიხსენი ბაწარი და შემომასახელე, რაც გენებოს, ყველაფერზე ყაბულს ვარ. რა გითხრა მეტი. თუ გინდა, გავიქცეთ ერთად, თავს ვუშველოთ!

— რაიო? სად უნდა გავიქცე, ბიჭო, მე? — მახარობელამ ხელისგული თვალებთან მიიტანა, უკან გადაიხარა და ასკია აბესაძეს თითქოს წყალგაღმიდან გამოჰხედა.

— ტყეში...

— ტყეშიო? გადარეული ხომ არა ხარ? გვიქვითი, თუ გინდა, ჰე, გავარდი ტყეში. მოხუცებულენი მყავს ოჯახში, ერთმანეთს ველარ აყენებენ, ცოლ-შვილი მყავს. ჭადს ვინ მოუტეხავს ან ერთს, ან მეორეს, ესტატე ფალავანდი-შვილი? ისევე მიაკვდა შავი ძაღლი იმ აღრძობლებულ სულში!..

— ჰოდა, რა ვქნა ახლა, — ასკიამ დაიმორცხვა, — რავარც შენ იტყვი, ისე იყოს, ოღონდ ბაწარი გამიხსენი!

— მოხვედი ჩემ ჭკუაზე? ისე მახარობელა გუნცადემ იცოცხლოს, როგორც რო ჩემმა ჭკუამ აჯობოს შენსას, — მახარობელამ ნიშნისმოგებით ჩაიციხა, აერე ისევ მოიღუშა, კვლავ მღგომარეობის ბატონ-პატრონის მბრძანებლური გამომეტყველება მიიღო, ხელებს დაეყრდნო და, თითქოსა დიდი საიდუმლოს გასამხელად, აბესაძისაკენ წოიწოჩა. — ასკია, ორი კაცი ვართ აგერ: მე და შენ. მე და შენს მეტი აქ არავინ არის და ეს ლაპარაკი კაცი-

შვილს არ ეყურება ღმერთის ვბრდა. წყეულმა მეგრელებმა ლაფი დაგვასხეს, საჯაყი საქმე გვიქნეს, თავი აღარსად გამოგვეყოფა!

ასკიამ თავი წამოსწია და დაიკვნესა.

— მეგრელები იყვნენ?

— არ გვეყურებოდა? ძაღლი დაგიძახეს მეგრულად, შენს ძებნაში აქაურობა შემოატყავეს.

— შენ სად იყავი იმ დროს?

— სად ვიქნებოდი, ეგერ ვიქვითი ჩირგვიო.

— ეს ვითამ დადიანის კაცები დაგვიცნენ? თუ ისე... შენ რაუა ატყობ?

— დადიანიც ტურას შეუტყამია და... მე და შენ ხომ ვადაერჩით, ბიჭო, ენაცვალე ღმერთის სამართალს! არ გვეწერა, ალბათ, შუბლზე...

ასკია აწრიალდა, გაბრძოლა, თავისი ღონიერი კუნთების ძალით დააპირა რკინასავით მაგარი თოკების გაწყვეტა. მალე კვლავ დარწმუნდა, რომ უმწყო იყო და ისევ ამხანაგს შევედრა:

— გამიხსენი, გამიხსენი ახლაც, თუ ღმერთი გწამს, გამიხსენი!..

— რას აპირებ, კაციო?

— ბატონს უნდა გავაგებინო. დადიანმა და მეფემ, ეტყობა, მოატყუეს, ჯარი ქუთისზე მოყავთ...

— დეეტიე მადანა, თუ კაცი ხარ, ვინ გკითხავს შენ დადიანის და აბაშიძის საქმეებში გარეუას! თავი მოგძულდა? ისევე უქნიათ, ერთმანეთი დოუტყამიათ. მაგაზე დამიდგა სადარდელი! ეს ერთხელ ღმერთმა დაგიფარა და გადაჩრი. გგონია, ყოველთვის ვაღარჩები? თუ მართლა დამყაბულდები და იმას იზამ, რასაც მე გეტყვი, გავიხსნი მაგ ბაწარს და ტყუილზედაც გემოწმები, ოღონდ შენც უნდა შემოწმო, იცოდე, თუ არა და, მიცვალეზულების სული ნუ წამიწყდება, ღორივით დაგკლავ და ამ ხრამში გადაგაგდებ. მოვიდეს მერე და გეძიოს შენმა პატრონმა.

მახარობელამ ეს სიტყვები ისე დამარწმუნებლად, ბეჯითად და გულდანლობილად თქვა, ასკიას ეჭვიც არ შეჰ-

პარვია, რომ ის თავის დანაქადს შეასრულებდა და ახლა უკვე თავის დამამცირებელ ხეყნა-მუღარაზე გადავიდა:

— რას მერჩი, ბიჭო, მახარობელა, შენც ჩემსავით საწყალი გლების შვილი არა ხარ?

— მე რას გერჩი, შენ მერჩი აქეთ!

— გაწყვედ ყველაფრით, არ მეღირსოს ჩემი ცოლ-შვილის ნახვა, გამოწყრეს ბრავალზლის წმიდა გიორგი და გელათის ღვთისმობელი, თუ შენ, მახარობელა გუნცაძეს, მე, ასკია აბესაძე, რამეს გერჩოდე და შენი მტრობა ან დღეს ან გუშინ ან გუშინწინ გულში გამევლოს. არც ახლა დამიჭერებ?

მახარობელა, ეს ფიცი რომ გაიგონა, შეყოყმანდა, მაგრამ უკან აღვიღად არ იხვედა.

— რატომ თქვი, ამდენი ცოდვა გადავეს კისერზე, ქვეყანა ერთ ცვარ ღვინოში გაცვალო, როცა მე ამ დროს ეგერ ვიყავი? — მახარობელამ ხელს სადარაჯო ჯიხურისაკენ გაიშვირა და ერთხელ კიდევ უსირცხვილოდ იცრუა. — ჩემი ადგილიდან, სადაც შენ დამაყენე, ფეხი არ მომიცვლია. ხომ ასე იყო? თქვი ახლა! მე არც ღვინო დამილევი და... მემოწმები ამაზე? ხომ მემოწმებ? არ მემოწმებ?

მახარობელას პირიდან ღვინის სუნის ამოსდიოდა, ეს სუნი ასკიას წილანაც ეცა, მაგრამ აბა როგორ გაამხელდა!

— გემოწმები, მახარობელა, რავა არ გემოწმები, შე კაცო, სიტყვითაც გემოწმები და, თუ გინდა, ხატხედაც დევიფიცებ!

გუხცაძე უეცრად განხლისდა. როდღილა ჰქონდა იმედი, თუ ლევან აბაშიძის ერთგულ და ყურმოჭრილ ყმა ასკია აბესაძეს, არგვეთის სადროშოს მამაც ათისთავს, ასე ადვილად დაიყოლიებდა და შეითანხმებდა.

— შენც ხომ იქ იყავი, შე მაკვარანცხო, შენც ხომ ჩაყლურწვი! ზელს ნუ შემაბოცავ, ასკია, მე ნურაფერს გადმომაბრალებ, თუ არა...

მახარობელამ მტაცებელი ცხოველის კბილები გააკრავუნა და ჩასისხ-

ლიანებულ თვალებში ის შეუკავებელი რისხვა ჩაუდგა, რომელსაც სულმოკლე ადამიანები მხოლოდ მაშინ აჩვენებდნენ, როცა ღრმად სწამთ, ამ ბოროტ-მოქმედებას, ახლა რომ ჩავიდენ, ქვეყანაზე კაცოშვილი ვერ შეიტყობს და დაუსჯელი დავრჩებით.

ასკიამ უტყუარი აღდოთი იგრძნო, რომ მისი სიცოცხლე კვლავ ბეწვზე ეკიდა და გაინება, წამით ჯოჯოხეთური ტკივილიც კი მიავიწყდა. მახარობელა გულში ანგარიშობდა: მოეკლა ასკია თუ ცოცხალი დაეტოვებინა? აბესაძის სიკვდილ-სიცოცხლე ახლა ამ ნამთვრალევი, რიგინად გამოუძინებელი, ბატონის შიშით დამფრთხალი კაცის არჩევანზე ეკიდა. მახარობელამ ბოლოს საქმე ათისთავის სასარგებლოდ გადაწყვიტა. ამით არც თავად რჩებოდა წაგებული: მისი უდანაშაულობა ვინმეს ხომ უნდა დაემტკიცებინა, ამას კი ასკიაზე უკეთ ვერავინ იზამდა და ასკიას გულახდილად გამოუტყდა:

— ჩემ ზელში ხარ, ხომ უყურებ! ბაწარს გაგისხნი კი არა, ამ ხანჭლით დაგკლავ და ხრამში გადაგადგებ, არა და აგერ ჩაგფლავ მიწაში. წელიწადი რო გეძიონ, წელიწადი, ვერავინ მოგაგნებს. თავი ნუ მომიკვდება, შენც ასე იზამდი, ჩემ ადგილზე რომ ყოფილიყავი. ღმერთო, შენი სახელის ჳირამე, ნუ შემრისხავ! რა ვქნა, ასკია, მეც ჩემი გაჭირვება მადგია. გენდობი, იცოდე. აქამდე სიტყვის კაცი იყავი, შენი ბრულე სიტყვა არავის გაგვიგონია და აწი რალა ჩემი გამჩენი გაგიწყრება. ერთი ენა დავისველებია... — მახარობელამ კბილები დაკრიჭა, ორჭოფობა — ამ ძალიშვილის გადარჩენით თავს არ ვიღუბავდეო — კიდევ მოერია. — აჰა, დეიფიცე! — ფევა მცირეოდენი ჳანჯალის შემდეგ, ხელი უბეში ჩაიყო, იქიდან ტანის სიმხურვალით გამთბარი ბალოჯის ჳვარი ამოაცოცა და ცალკე შიშისაგან, ცალკე ტკივილისაგან განაწამებ ასკია აბესაძეს სამთხვევად ტუჩებთან მიუტანა.

• • •

იყო მზეობა, იყო ზაფხული,  
კქონდათ ფურცლობა ვარდებს!  
ვარდების ლოცვა,  
ვარდთა სურნელი,  
ვარდების სუნთქვა მზით გათანგული,  
ნელ აღიოდა ცამდე.  
შენ იყავ ჩემთან,  
ვიდექით ერთად  
ამ უნეტარეს წვაში.  
სერაფიმების ბალთან და ღმერთთან  
ახლოს ვიყავით მაშინ!  
ჩვენს შორის სიტყვა  
არ ითქვა მაშინ,  
რა უნდა ეთქვა სიტყვას?!  
ვხედავდი მხოლოდ  
ელვარე ცაში  
მზესა და სხივთა სეტყვას.  
ვხედავდი, მახსოვს,  
ვარდების გულში  
ცვარ-იაგუნდებს ჩაკრულს,  
და, სერაფიმის თითებით ნაქსოვს  
ცისფეროვნებას,  
ცისფეროვნებას  
ვგრძნობდი ჩვენს სულში ჩარგულს...  
იყო მზეობა, იყო ზაფხული,  
კქონდათ ფურცლობა ვარდებს,  
ვარდების ლოცვა,  
ვარდთა სურნელი,  
ვარდების სუნთქვა მზით გათანგული  
ნელ აღიოდა ცამდე!  
მაგრამ გრიგალმა ჩაახშო ხარბად



ვარდის ფურცლობის დღენი,  
და ცხრა მთას იქეთ  
გათხარეს, ალბათ,  
შენთვის სამარე ბნელი...  
და ცხრა მთას იქეთ,  
წყვდიად ბნელეთში —  
სად უდაბნოა მწველი —  
გადააყარეს მიწა,  
ჩამარხეს,

არ შეიცოდეს,  
მიწაში ჩაფლეს  
ცისფეროვნება ჩემი!..

იქ, შენ, უჩემოდ, ისვენებ მარტოდ,  
წვიმა კაემანს განდობს,  
ქართა გოდებას და გლოვას ისმენ  
გრიგალთა გმინვა გაკრთობს,  
და

ვით ბავშვს, ლამით  
მითვლემილს შკლაგზე,  
თოვლის ფანტელი გაკრთობს...  
მე დავრჩი მარტოდ,  
უშენოდ მარტოდ,  
ვუსმენ ქარ-ბუქის კენესას.  
მე მხოლოდ ქართა ვაებას ვნატრობ,  
მე მხოლოდ გრიგალს კაემანს  
ვანდობ, —

საფლავს რომ უკლის შენსას!

მე ვიცი მაინც:

შორით — შორეთში —  
სად უდაბნოა მწველი —

შენც ისევ უსმენ

ვაებას ქარში,

ისევე უსმენ

ქარ-ბუქის კენესას,

და, როგორც ბავშვი,

და, როგორც ბავშვი,

კვლავ თოვლის ფანტელს ელი!..

მაგრამ ვერ ხედავ

ბნელ სამარეთში

ვარდის ფურცლობის დღესა,

ჯვარზე გასალტულს

ცისფეროვნებას,

ჯვარზე გასალტულს

სიყვარულს ჩვენსას!

## სამოსელი პირველი

რომანი

კარგა ხანს ღუმდნენ. დომენიკო იცდიდა, რას იტყოდნენ და, მოლოდინში მთებს ააყოლა თვალი.

— ღორივით დავკლამ! — თქვა მერე არტურომ.

და უცებ ლაპარაკში სრულიად უცხო ხმა ჩაერია, რომლის პატრონმაც ძალიან ცუდად იცოდა გრამატიკა:

— ვთქვით, შენ მოკალი იმ კაცმა... შენც მოვკლამენ...

— არ ვიცი, არა, დავკლამ...

— ჰოდა, ჩასვამენ...

— რაც უნდათ, ის უყონ...

— არა, შენ ჩასვამენ... — აუხსნა კაცმა, რომელმაც რიგიანად ვერ იცოდა გრამატიკა.

— მეცა მღუპავ, მამი? — საწყლად თქვა ჯანჯაკომომ და დომენიკოს მამსვე მისი დაბრაწული ლოყები გაახსენდა.

— არაფერი არ ვიცი, აი ეხლა აუღვები, წავალ და დავკლამ...

მაგრამ იატაკი არ ჭრიალებდა, ეტყობა, არტურომ მაგრად იჭდა სკამზე.

— კაცო! — წარმოსთქვა გრამატიკის ცუდად მცოდნემ, — შენ ისეთი ბრაზიანობა ხარ, მართლა არ მოკლა იმ კაცმა... არ უნდა მოკლა, თორე შენც მო-

კლამენ კანონმა, არ უნდა მოკლა, ეგეთი ბავშვობა იქნება?.. — და მერე საიდუმლოდ დაამატა: — წინასწარ მაინც ნუ ამბობ.

— შე კაი კაცო, — თქვა ეულადის ღვიძლმა მამამ, — ბავშვებსა ლუპავ? ამ ბავშვებს? შეხედე, რა კარგ ფერზე არიან, ესენი უნდა უმამოდ დასტოვო?

— კარგი, რა, კარგი, გულს ნუ მიწევ, ნუ, — ცოტათი დანებდა არტურო.

— მერე შე კაი კაცო, ორი დრაჰკანი ფულია, დარაჯს მაგდენი სად ექნება, ერთი დრაჰკანი სთხოვე, ეგება მოვცეს.

— შაურს არ იძლევა, შაურს! — იფეთქა არტურომ, — შაურს არ იძლევა... იცი, შაურ-კაბიკი რა არი? იმასაც არ იძლევა.

— ვითომ რატომაც.

— რა ვიცი, არ იძლევა და მორჩა.

— არა, მაინც როგორ არ შეხედე.

— როგორ არ შეხედე, სულ თვალებითა ვჭამ.

— არა, მასიმოს რათ არ შეხედემეთქი.

— ეპ...

პატარა ნაწს მიჩუმდნენ, მერე ეულადიამ თქვა:



— ვითომ ის რომ სამსახურში დამდგარა, სამსახურში დასადგომად ორასი გროში მიუცია ამისთვის.

— დავკლამ!

— მამი, მღუპავ, მამი? — გული ამოუქდა ჩანჩაკომოს.

— არაფერი არ ვიცი, დავკლამ!

— მამი, არ გეცოდები? აბა შემომხედე, მამი...

— რა ვქნა შეილო, აბა რა ვქნა, პა...

— კაცო, ორმოში რომ ჩაგვან, ხომ საქვეყნოდ გამაიმუნდები?

— ამაზე მეტად რაღას გაგმაიმუნდები — ჩემი ჯიბიდან ათი დრაჰკანი ამოვიღო და სხვის ჯიბეში ჩავდო, არა? არ ჩავეუდებ, დავკლამ!

— ვისა, კაცო, მასიმოს? მასიმოს დავკლამ?

— არა.

— აბა...

— მაურიციოს!!

— აი, დამიჯერეთ, — ჩაერია საუბარში არტუროს დედა, ყოჩალი მოხუცი სივილა, — გული მიგრძნობდა, ვეუბნებოდი, ამ კვირაში ნურაფერს ნუ გააკეთებ, წესიერად გაყიდე-მეთქი ბილეთები, მაგრამ არ დამიჯერა — ფიცხია.

— ის საათიც მოვა... — დაიწყო არტურომ, მაგრამ გააწყვეტინეს:

— ორმოში რომ ჩაგსონ, შენი შეილებმა რა ქნან, ნახე, ვახ, რა კარგები არიან, ჰა? ჰა?

— რა ვუყო... აქამომდის გამოვზარდე და...

— ქვეყანა ეგრეთა, ჩემო არტურო — ერთ დღეს იგებენ, მეორე დღეს აგებენ.

— ფული რომ მიეცე, არა? — პირველად დაუშვა ეს აზრი არტურომ, — მაურიციოს მერე თანამედრობიდან ეგრევე მოვხსნი! გავგადებ!!! დაე...

— ეგრე, რა, შე კარგო ადამიანო...

— გაეხარდა ყველას.

— მამი, გენაცვალე, შენს ხელში არ არის გავდება და მიღება?

— ჯერ ეს საქმე უნდა გასწორდეს და მერე რაც გინდა, გააკეთე.

— თორემ რაც დამსახურება გაქვს, წყალში ჩაგვყრება...

— კაცო, ხომ იცი, ზოგი ჰარამზადა...

— იცი, არტურო, რას გეტყვი? — გაისმა ნაცნობი ხმა — ის კაცი და გრამატიკა ერთმანეთში ძაღლი-კატასა-ვით იყვნენ, — აი მე, გაის-შარშან, ორი წლის უკან, რაღა, სხვა ქალაქში ვმუშაობდი. იმ ქალაქში ქუჩების მაგივრად წყალმას არხებია და ჩემი კოხტა ნავი დამყავს და თურმე, ბავშვი არა ცურაობს, კაცო?! ყვირილი რომ გავიგე, გვიანმა იყო — ეს ამოდენა ნავი მხარში დასტაყებია, მაშ. ჯერ ვიჭიქრე, მოდი გავიჭიკევი-მეთქი, მაგრამ მერე ეჭვი შემეპარა — იქნებ ვინმე მხედავს-მეთქი და ნამუსიანად მოვიქეცი — ბავშვი ნავზე ავიყვანემ და პირდაპირ შიგ ექიმს მივადექი. თურმე, მხარის ძვალი გატეხილი არა ჰქონდა, მთელი ჰქონდა, ისე რა, უბრალოდ გადაყვლეფილი ჰქონდა. მერე ვეუბნები, დედაშენი სად მუშაობს-მეთქი, იმან მეუბნება, შიგ ქარვასლაში მუშაობსო. მე მივედი, დედას ვეუბნები, აი, ამ ბავშვი ცოტა მხარი იტკინა, ჰო, ექიმსაც ვეუბნები, შენ ჯერ ნურაფერია დასწერამ-მეთქი... ცალკე გავიყვანე, ისე ვეუბნები, ესე ესე, პატივისცემა, შენ ნუ დასწერამ. ვისა? — ქალალდი. იმან მეუბნება — კარგი...

ეხლა ისეთი ცოცხალი ბავშვია, ისეთი... — განაგრძო კაცმა, რომელიც მწყურალად იყო გრამატიკასთან, — ბავშვი კი უთხრა, აი, ამ ძიას ნავის ქვეშ ჩავევარდი... ერთი სიტყვით, ქალი ბავშვის დედა იყო. ძალიან კარგი ქალი იყო, გიჟი კი არ იყო. ეხლა, წავედი, ეს ქალი, რაღა, ჰო, რაღა, ნუ... ნუ, აი, ეს ქალი ვუთხარი, ესე იყო, ისე იყო, ერთი სიტყვით, რაღა, წამოვედი რაღა, ქალი მითხრა, ჩემი ქმარი ცუდი არის. მე ვუთხარი, ბავშვმა აქვას, ვი-

თომ სხვაგან ჩავარდი, ჩივილი, რამე, ნაჩივარი, რამე, რათ გინდათ, რამე, ბავშვი არაფერი აქვს, გიფსი დაადო, ხუთი დღე ეგრე იყოს, მერტე წავიდეს თავისი ოსტატთან — შევირდი იყო, დედა კი არა, ბავშვი. დედაც შევირდი იყო. ხელათ ბაზარში გაიქცევი, ხილი, რამე, ვარიები, ერთი-მეორე... ხვალ შენ ქარვასლაში-მეთქი, ეი-რეცოზე მოვალ-მეთქი და ფული მოვიტან-მეთქი, მერე კიდევ ვნახათ... — კაცი, რომელიც კარგად ვერ ფლობდა გრამატიკას, ერთხანს შეჩერდა, — აი, მივედი მეორე დღეს, — განაგრისო კაცმა, რომელმაც ზედმიწევნით ვერ იცოდა გრამატიკა. — გავიხედე, მამა იქ არი, მეზობელს უთქვია, ამას კიდევ არარ, უთქვია ქალსა; ფუნდა-მენტში ჩავარდაო; ამას უთქვია თუ ფუნდამენტში ჩავარდა, მაშ ეს ნავის ნომრები რაღა არიო და ისე ეცემნა. ვაჰ... ისე მცემო, ვაჰ, მეზობლებმა ილიებს გამომართვესო...

ესლა, მე აქედან წავიყვანე ჩემი ბიძაშვილი და იმისი ქვისლი ჯოვანი და იმისი ქვისლი ჯოვანის ამხანაგი სევერინო და ერთი ციდეე რაღაც ამხანაგი, რაღა, ხმას არ იღებდა... წავედით, რამე, კიდევ კარგი პრაეიზია ვიყიდე, ვარიები, რამე, ხილი, ვიტამინები, რამე, ამ კარგი ქალმაც ქათამი დაკლა, ცოტა ბებერი იყო, არა, ქალი ახალგაზრდა იყო, ქათამი ბებერი იყო, ძალიან კარგი ქალი იყო, პურ-მარილი გაშალა. აქეთ, იქით, ნავზე დაეჭვიეთ, ერთად წამოვედი, ის მამა, ორი დრაჰკანი მივეციე ვერ ეს იყოს-მეთქი, არაო, ამბობს, სულ ერთად იყოსო... ჯოვანიმ ეუბნება, ბავშვი არაფერი არა აქვს, ორი დრაჰკანი გაძღვეს, სხვა რა გინდაო... მეო მინდაო—არ შეგეშინდეთ—მეო მინდაო ოცდაათი დრაჰკანიო, ვაჰ... ბიჭო, რაში გინდა ოცდაათი დრაჰკანო... მე აქაური ექიმები არ ვენდობიო, პომპეაში უნდა წავიყვანო და იქ უნდა ვუწამლოო. ჰაი აქეთ, ჰაი იქით, მაშო, თუ ოცდაათი დრაჰკანი არ იძლევითო, მე აქეთ მხნეცა იმართე ენ

გრაფის პოლიციაში უნდა წავიდეთ, ბავშვი ნავი დარტყა და აი ვნახოთ, ნიჩაბი თუ არ ჩამოვართვანო და თუ არა და ჩვენ ჩვენით ვიციო ვანწორებოთ რანაირადო, ჯოვანიმ... ბიჭო, ზარბაზანი რომ გეჭიროს მაგ ხელშიაო, მე ვერ მამასწრებო, გაგზლიჩამო, მაშ? — ჯოვანმა... ეხლა იმან წამოხტა და როგორი აქტი დაწერეთო, ნავის ქვეშ არ ჩავარდაო, ფუნდამენტში ჩავარდაო, შენ ნიჩაბი წავართმევენ და ექიმი კიდევ — ფონედოსკობიო, ვეუბნებით, კაცო ექიმთან რა გინდა, ჩვენ გველაპარაკებო? — ჩვენ გველაპარაკეო... წადი, არაო, წამოდი გრაფთანო... — აქ კაცმა, რომელიც გრამატიკით ვერ დაიკვინიდა, სული მოითქვა, — ჰაი აქეთ, ჰაი იქით, ერთი დღე წავიდა, მეორე დღე წავიდა, მესამე დღეც ჰა, ჰა, საცაა წავიდა და საღამოზე ზედ შიგ იმ ცოლის უფროსთან ვია-რეცოზე მივედით... ისიც კარგი ქალი იყო, რომ მივედით, არა? — დიდი ქვა ეჭირა და კაკლებს ამტვრევდა. ვეუბნებით, აი ასე, ისე... კაკლები ჰამს, გვისმენს. კაკლები შეჭამა, ეგრევე დაუძახა იმ ბიჭის მამა... ბიჭს შახედა, ხედამს, კარგად არი... ჰაი აქეთ, ჰაი იქით, იმ ბიჭის მამას უთხრა, აი, შე გათახსირებულო, რა აქვს შენი შეილსა, ათას-ათასებად რო ყიდი, შე უსვინდის-ნამუსო, შენაო... ოცდაათი დრაჰკანი ეგრევე ჩამოიყვანა ხუთ დრაჰკანზე — კარგი ქალი იყო, მაშ ის ქალის უფროსი ქალი... აღაღია იმაზე სამი დრაჰკანი... ხელათ იმ კაცს ხელწერილი დაწერივნა, რომ ჩვენთან არაფერი საქმე აღარა აქვს... ავიღე და მივეციო...

სეთი დრაჰკანის ხსენებაზე დღმილი ჩამოვარდა. მერე იმ კაცმა, სრულყოფილად რომ ვერ იყო დაუფლებული გრამატიკას, თქვა: — თუაფთრი ეყილნათ.

ატყდა სიცილი — ვინ იცის იმ ბავშვს ეხვეწება, წადი და კიდევ ნავს დაეჯახეო... ბედი მაგათ ჰქონიათ... ვაჰ, ჯოვანის რა უთქვამს, ჰა? შენი ბედი, კარგი ხალხი შეგხვედრია...

— იცით, მთავარი რა არი? — აღნიშნა კაცმა, რომელიც ვერ იყო გრამატიკაში ძლიერი, — მზიანმა დღე რომ არ უოფილიყო, აი... თვალეში მირტყამდა... შენ მაინც როგორ არ შეხედე, კაცო... რომ შეგეხედა, არხეინს ხელდან არ გაუშვებდი.

— რასა? — დაინტერესდა არტურო.

— არხეინს... ჰო, ხერის, რაღა. არტურომ მხრიდან რაღაც მოიცილა, წყაბერტით გადაადგლო და თქვა: — ჯანი გავარდეს, მივცემ...

— ოო, სალოლ, სალოლ, არტურო, — გაისმა მზიარული შეძახილები, — კაცი ხარ კაცური შენი ხელგაშლილობის ჰირომე... როგორ არ შეხედა... მადლობთ, მამიჯან, მადლობთ... როგორ არ შეხედე... სწორია, სწორია...

— სწორია, მა რა, — შეიფერა არტურომ, — მაშე ბავშვები უმამოდ დავტოვო? ნახე, რა კარგ ფერზე არიან, — და შინდმტყე შეირჭო პირში.

— აი, როგორ უყვარს ბავშვებმა, — დასძინა კაცმა, რომელიც გრამატიკაში მოივოკლებდა.

ამისთანები, ეეჰ... და გვიან, ღამით, ის თბილი ცეცხლი, მათრობელა „ვთქვათ...“ აფურის კედელს მხრით მიყრდნობილი, გრილ ზღვაში შედის, ღამეა, მთვარე გაცვეთილი, ღამეულ ზღვაში გიცურავიათ? აჰ, სილამაზე, და შიში, შიში... და თავს აღაღებ, რა სიბნელეა, და სილამაზე, თითებიდანაც წვეთები ცვივა, თვით სავსე მთვარით განათებული, და სილამაზე, წყეული შიშის ერთადერთი მომრევი, ჩვენთანაა და ვინ ჩვენ? ჩვენ ორნი, ორნი, მე და თქვენ, ღამაშ-ქალაქში სალახანებად წოდებულნი ორი მაწანწალა; დამლაშობით ფანგრებიდან რომ ვუთვალთვალებთ აღამიანებს, ხომ გახსოვთ, გახსოვთ, თავზე რომ მადეჭით და სხვა საქმე რა გვაქვს, აქაც მივდიოთ, ცურვა ზომ იცით? ეგ არაფერი, ნავში ჩაბრძანდით, მე კი, თქვენი ერთგული, მონაპორჩილი, ყელზე შევიბამ ნავის

უხეშ თოქს და ეგებ იმდენიც შევძლო, რომ ცურვა-ცურვისას თქვენი ნავიც მომყვეს, და არა, არა, ნიჩბების მოსმას როგორ გაკადრებთ, თანაც, არა გაქვთ... ოღონდ სულ, ფრთხილად, ეს მეუფეა, მეუფე ხმათა, ის გვასწავლიდა ღონიერად სუნთქვას, გახარებისას დიდის ხმით ყვირილს — პირველ სიმღერას, გამოჭვებულში ცეცხლთან გვეძინა და მდინარის ხმა, ყრუც, გარკვეულიც, მეუფის იყო... გახსოვს? ვუყვარდით, და ჩრდილებს ხეთა აცანტახებდა გამბული ქარი, ო, ე რეები-გამოვიგონე... მეტს აღარ ვიზამ. ჩვენ სულ გვესმოდა მეუფის ხმები... წვიშაში მიწას აჩურჩულებდა... დათვის ბლავილი, ბღღენივა ღომთა და მიყურებინას, ჩიტები ფსტვენდენენ, აჰ, ეს ჩიტები — ეგვეც საქმეა... ვით დავანებთ ამ თეთრ ლექსს თავი? მარტივი წყობით? კი ბატონო: თუ გნებავთ, წავიდეთ აქედან, წა, მეც კი მაქვს თავშესაფარი და თქვენ — მითუმეტეს, ამ შუა ღამით რა გვაბოდილალებს, რა გვატურავენს; შენ ხარ ჩემი ბატონი და წავიდეთ ჩვენ-ჩვენ სახლებში, მაინცდამაინც სასიამოვნო არც ნავშია ჯღომა და ამ თოქა ხომ სულ გადამიყვლეთა კისერი. წავიდეთ და დავიძინოთ, როგორც ყველა სხვამ და გავიღვიძოთ მერე ჩვენც, გვარიანად რომ გათენდებ... წავიდეთ სამუშაოზე, ბატონო, მურავის გავუჩერდებით გზაში, საღამო ვთქვით ორი-სამი, ასე, დაებრუნდეთ მერე სამუშაოდან, წერილ საქმეებზე ვისაუბროთ ოჯახში და დავიძინოთ ისევ და გავიღვიძოთ მერე, როგორც სხვამ და... მაგრამ ეს ხმები, ხმები, ეს ხმები... ტყე რა კარგია დღისით და მზისით, რა კარგია ტყე... ამწიანებულნი, რბილი, ხასხასა და შენს მტერს ღამით — ეს გაფარჩხული რაღაც ექნებები და ვერაგობა, გატრუნული და ყელში საწედომად გამზადებული... იიჰ, არარაა, მაგრამ ის ხმები, ღამეული ტყის მზაკვარი ხმები, შიში — ისაა, და მზე! სინათლე! ღრუბლებში-წოლა! გამოლუცნობი ბედნიერება, შიშიც, სენათ-

ლევ, ეს — მუსიკა... მეფე... მუსიკა... აგურის მომცრო, პატარა სახლში ისევ უკრავდნენ...

მგზავრი, დომენიკო, მხრით მიყრდნობოდა კედელს... მგზავრი თბებოდა.

\* \* \*

გივივით იყო: შუშხუნებზე რომ გაგზავნა ტულიომ, მოსახვევში ვილაც ქალს ისე დაეტყა, გულაღმა გადააქცია. შეწუხდა და ჩაიჩოქა, ფრთხილად წამოაყენა, ბოდიშს უხდიდა, ხელზეც აკოცა, ქალი ამბობდა: „არაფერია... რა უჭირს, შვილო.“ იქვე, ფარდულში, ნადრევი ვარდები იყიდა. რასაც მოერია, იყიდა და ქალს მიაჩემა, მერე არტუროს საჩქაროდ ჩაალაგებინა დიდ კალათში შუშხუნები, კალაბრიული ქათმები და ხორცი, მოსიერნებს ქალაქის განაპირას დაეწია. თითო-თითოდ მიუყვებოდნენ ვიწრო ბილიკს, მწყრივში მეექვსე — ანა-მარია იყო!

— მაჩვენე აბა, — კალათში ჩაიხედა ტულიომ, — ყოჩაღ, კარგად გიყიდა.

ნაცრისფერი კაბა ეცვა, ტილოსი, სადა...

— კარგად. კი...

— მომეცი, წამოვიღებ, შენ არ გატეხო... და დანაპირები? ხომ შემპირდი, თუ...

ათი დრაკანი გადათვალა, ტულიოს მისცა, და რალაც უსიამომ გაჰკრა:

— თვითონ უთხარი?

— არა, სილვიას წამოაყვანინე.

— ამხანაგია?

— არა — უბრალოდ, მეზობელია და...

— მაშინვე დათანხმდა?

— ეგ არ მიკითხავს, ისე კი, რაც თავი მახსოვს, სასიერნოდ არ წამოსულა. და ამხანაგიც არა ჰყავს.

— და არც ჰყოლია?

— არასდროს, არა... ძალიან გიყვარს?

მაგრამ აქ ქალმა დომენიკოსკენ გამოიხედა. წამით შეავლო თვალი, ისევ შებრუნდა და მაშინვე, იქვე, მეორედ

გამოხედა, ოღონდ ამჯერად გაკვირებული შეაქებდა. და თითქოს რალაც გაეხარა, ოღონდ სევდანარევი, დუნე ტყვილი შემოაწეა; უცნაურად უმზერდა ქალი. და დომენიკოს თვალი არ მოუცილებია, ტულიოს ისე უთხრა:

— ძალიან მიყვარს. და კიდევ უფრო.

ხმადაბლა უთხრა, სხვა ვერავინ გაიგონებდა. ქალი შებრუნდა, მაგრამ ისე მიამიჯებდა... სიარულზე კი არა, წაბლისფერ, ოდნავ აბზინებულ თმზედაც კი ეტყობოდა რალაცნაირად, დომენიკოს დანახვამ რომ ჩააფიქრა.

— ხეალ თუ დამპატიებ, რალაცებს გასწავლი — ახლავე... გინდა?

— რას...

— დამპატიებ? — ტულიო ხუმრობდა ვითომ.

— ჰო, ჰო.

— ქათინაურები უყვართ. სუყველა ქალი ერთნაირია. ფანტს ვითამაშებთ, ისე მოვაწყობ, მარტოებს დაგტოვებთ და...

დომენიკოს შიშით გააზრიალა.

— და მაშინვე რაიმე შექექე, სხეულის რომელიმე ნაწილი, ოღონდ ფრთხილად, გამოზომილად, ასე უთხარი, რომ... ვთქვათ... — რა შესანიშნავი თვალები გააქვთ, ანა-მარია, არსად შემხვედრია ასეთი თვალები, თვალები მართლა კარგი აქვს, თუმცა, თვალებზე ნუთუ შეიძლება ითქვას — არსად შემხვედრია?! რა ვიცი, ან — რა ხვედროვანი ხმა გაქვთ, თუმცა, არა, არა, ეგ ხმას არ იღებს ხოლმე, ჰოო, უთხარი: რა შესანიშნავი თითები გაქვთ, მაგ თითებს ალბათ ყველაფრის დაკვრა ძალუძთ... ხომ კარგი იყო, ა — ეს მესამე ყველაფერს სჯობდა, აუ, რა კარგად გამომივიდა... ხომ დამპატიებ?

ქალის მხარს, ნაზ მხარს, დაჭიმულ კისერს ახლა მარჯვნიდან შეჰყურებდა დომენიკო — ბილიკი უხვევდა. ფრთხილად მიდიოდა ქალი, დაფიქრებული, ვიწრო გზას დასცქეროდა. თვალს ვეღარ ამოორებდა დომენიკო, უყურებდა

და სული ტკიოდა — რა უცხო იყო ეს უმწეო, ჩაფიქრებული ქალი, მიუწვდომელი, გაუგებარი, ყველასთვის უცხო...

— ანდა, დომენიკო, ღელე როცა იქნება გადასასვლელი, მკლავში წააგლე ხელი და მიეშველე. ოღონდ ისე კი არა, სილა რომ გაგაწნას, აარა — ფრთხილად წააგლე ხელი, მაგრამ ამასთანავე, მამაკაცი უნდა იგრძნოს, ვიღაც ამბობდა ამას, დუილიო მგონი... და, საერთოდაც, დარბაისლური სიტყვა-პასუხი გმართებს, დინჯი მიმობხრა, მამაკაცს არ შეჰაღერის აცეტება და მიკიბ-მოკიბული სიტყვა-პასუხი, თუ არა გჯერა, დუილიო აქ არ არის? მიდი და ჰკითხე. მაგაზე უკეთესს... ხვალ ხომ დამპატიებ?

— კი, კი.

— მომეხმარე, ცუნცულა, — მიმართა კონჩეტინამ მეუღლეს და ყელზე შემოხვია ხელი, — დელეში ფეხი არ დამისველდეს.

— მოდი ჰო! — უთხრა კუმეომ და დელეზე გადაახტუნა.

— ცოტათი ფრთხილად არ შეიძლებოდა, — ოდნავ გაიბუტა კონჩეტინა და მუცელზე მიიღო ხელი, — ა, ცუნცულა?

აქ კი კუმეომ ჩაფიქრებულ დარბაისელ სენიორ ჯულიოს წვივზე სტაცა თითები და ძალღვივით შეჰყეფა სენიორ ჯულიო მოულოდნელობისგან ძლიერ შეხტა ჰაერში, მერე დელეში შევარდა, აშხფებულმა წყალმა ოდნავ გამოაფხიზლა, სახეარეულმა მიიხედა უკან და ძაღლის ნაცვლად დაკრეჭილი კუმეო შერჩა:

— ჯანდაბა და ოხრობა შენ, შე ვირო! შე ვირის მოდგმე... ოჰ, მამატიე, შეილო კონჩეტინა.

— არა უშავს, ჯულიო ბიძია, — გაამხნევა კონჩეტინამ, — ჩვენ — კარასკოებს, ლალი ხუმრობა ოდითგან გვიყვარს.

— ვირს რაღას ერჩოდა, — გაიოცა ალექსანდრომ, — მშვენიერი ცხოველია, უწყინარი, სათნო...

კუმეოს გაოგნებული შესტკეროდა ანა-მარია, დამფრთხალი ქალი: ისე გაოცებული ათვლიერებდა, ცერს გაჩვენებულყო, მართლა მოხდა თუ არა ეს — ისე შორს იყო ყოველნაირი სიბრიყვე ამ უმწეო, დამფრთხალი ქალისაგან, გაუსუსტრებული, ღიმილგადაკრულ მოსეირნებებში იდგა, ჰეი, ხმაურობდნენ:

— კუმეო, შე ძველო! — მხარზე ხელი მოუტყაპუნა ვინსენტემ.

— რა ხარ! ა, რა ხარ!

— აიი, სადაცაა გაზაფხულიც წავიდა, — ჩასტურჩულა ქალულ როზინას ცილით, — წელიწადის ყველაზე ანცი დრო... მოდი, მოგეშველო, — და დელეზე გადაახტუნა.

— მიდი ჰა, ბიჭო... დომენიკო, ბიჭო, — იდაყვი წაჰკრა ტულიომ, — მიდი, უშველე...

— არ შემიძლია.

— მიდი, შე ლაყე, — ისევ უბიძგა — ფიი, შე უშნო...

ალექსანდრომ კი საიდანღაც ფიცარი მოიტანა, დელეზე გადო, და ანა-მარიას უთხრა:

— გადადი, შეილო...

ანა-მარია შეკრთა, მერე გაუღიმა და, ფეხისწვერებზე შემდგარმა, ეს მოკლე ხიდი გადაიარა.

ოცი წლის იყო, და ამ ხნის ქალი შინაბერად ითვლებოდა ლამაზ-ქალაქში. არავინ სურდა, არვინ უნდოდა, უბრალოდ, არც დაფიქრებულა ამაზე... საქმრო კი არა, ამხანაგი გოგონებიც არ ჰყავდა და ახლა, სასეირნოდ პირველად გამოსული, იმ თავისი ოთახის გარეთ, იმ ოთახისა, მეუფეს რომ ეკუთვნოდა, ამ თამამ ხალხში დაბნეული იდგა, ყველასთვის უცხო და შორეული... და ერთადერთ გაუღიმარ ყმაწვილს, დომენიკოს, დროდადრო თვალს შეაგლებდა...

— აქ მოვკალათდეთ, — თქვა დუილიომ, როგორც იყო, — დელე გადავლახეთ და მდინარეც — აქვე, ტყემლის ნაყოფიერი ჩრდილი — აქვე და სუფთა ჰაერიც — აქვე, ბუნების წიაღ-



ში შესვლა დადებითად მოქმედებს ადამიანის ორგანიზმსა და სხეერთო ჯანმრთელობაზე, მოდიოთ, დაესხდეთ აქ, როგორც ბუნების წესია და რიგი და მოვკყვეთ და მოვკყვეთ ამალღებულ შემთხვევებზე.

— დუილიო, — დაუძახა ალექსანდრომ.

— რა გნებავს...

— ფშტ!

მაგრამ დუილიომ ყურადღება არ მიაქცია:

— ქალაქელთა მეგობრობა ქალაქელთა შორის ჯანსაღი დამოკიდებულებებს უპირველესი საწინდარია, და თუნდაც სანეროდ არ იცნობდე მეგობარს, იგი დალილი, მოწყურებული, უშიშესი ტვირთით ზურგზე, რასაც მეგობრობა და გატანა ჰქვია, თავანჯარა წყაროსთან შეჩერდეს ეგებ და, ყოველ შემთხვევაში, წყაროდან, კიქას... ნუ წამოიღებ! ანდა, თუნდაც ასეთი ვამოთქმა...

ანა-მარია გადაქრილ ხესთან იჯდა მუხლზე ელაგა ნაზი, სიფრიფანა, ყოვლისშემძლე თითები და გვერდზე ოდნავ გადახარა თავი, ბალახს დასცქეროდა. შერე თვალები ოდნავ, სულ ოდნავ გაუელამდა — ფიქრში წავიდა. რა, რას ფიქრობდა! რას გაუგებდი — ანა-მარია ქალი იყო, მაგრამ შევლს ჰგავდა... თმა ღამაზად ჰქონდა შეკრეპილი, და ყვრიმალის ნაზ, უნაზეს ხაზთან უმთავრდებოდა. ცხელოდა უცხე, და ქალაში სასიამოვნო ნიავი დროდადრო წამოუბერავდა, ანა-მარიას ფერმკრთალ ლოყაზე უცახცახებდა თმა, თავისთვის იჯდა, ფიქრობდა, სადღაც შორის იყო, რას გაუგებდი... და უცებ შეკრთა, იქაურობას თვლი მოავლო, თმა შეისწორა — გასაოცარი მოძრაობა იყო, თითქოს ნაზ დაწვზე დაუკრეს, რაღაც... და წაბლისფერი თმაც, უამრავი სიმი, უხმოდ აედერდა გრძნეულ თითებქვეშ...

— აბა, რას ნიშნავს? — სახეიმოდ იკითხა დუილიომ და მიმოიხედა.

— შე გეტყვით, გინდა? — დაეკითხა ალექსანდრო.

— თქვას, — რატომღაც ტულის მიმართა ღამაზ-ქალაქელთა მრჩეველმა, და ალექსანდრომ თქვა:

— რას ნიშნავს და, დუილიო, დუილიოო... ფშტ!

— აღარ მინდა, აღარ მინდა! ეინ წამოიყვანა! სადაა ჩემი ქული!

— დაბრძანდით, დაბრძანდით... არავის წამოუყვანია, თვითონ წამოვიდა... თავზე არ ვახურავთ?

— მეტს აღარ ვიზამ, — აღუთქვა ალექსანდრომ და დაფიქრდა, — წარმოიდგინეთ, ეგეც კი მიყვარს, ეგეც კი...

— ვინაა მაგის კი! კის კი არა, გჩვენებ მე შენ, კი როგორ უნდა კიონ... ჰმ!!

— აგერ, საუბრე, სენიორ დუილიო, ფანტიც ვითამაშოთ, არა სჯობს?

— დიდაც რომ კარგი თამაშია, — აღნიშნა ერთბაშად დადარბაისლებულმა დუილიომ, როგორც იყო, — შესანიშნავი თამაშია, ბედისწერული.

— აბა, აბა, ფანტებს ჩამოდიოთ, — თქვა ტუილიომ და დომენიკოს ჩაუტრა თვალი, მაგრამ ის ისევ ქალს შესცქეროდა.

ოდნავ გამოხაზული, მკვრივი ნესტოებით სუნთქავდა, მკრთალად აუღჩაუდიოდა მკერდი. გაუჩნებელი, მინდობი და ერთდროულად — მფრთხალი, თავდაც უცხო, უცხოებში იჯდა და წაწვეტებული თითებით ახლა ბალახიც ააუდერა — ჩაფიქრებული, ბალახს ვარცხნიდა. და უცებ შეკრთა — სადღაც, ქალაში, ჩიტი უსტვენდა. თავი შემართა, თვალები წამსვე გაუფართოვდა, და შინაგანად ერთიანად აფორიქდა, ამოძრავდა, დიდი შეუფხის ამ მარტივ ძახილს ვახარებული ისმენდა, „სტვენს, სტვენს, ზომ გესმით,“ ილიმბოდა, ოღონდ იმ მცირე დიმილით, როცა კბილები არა ჩანს ხოლმე, და ისევ შეკრთა — წვრილი ხმით კასკალებდა სილვია — ეს რა თქვი, რა თქვი, შენ რა ვითხარია... და კონჩეტინამ ტუ-

ლის თავში ხუმრობით რომ წამოარტყა ხელი, ისევ მოიბუზა ანა-მარია, გაოცებული, თვალს არიდებდა. ფანტი მოთხოვეს. უარის თქმა ვეღარ ვაბედა, წამოწითლდა და მიმოიხედა, მგზავრს, დომენიკოს ტყვილი ღრღნიდა... როგორ უყვარდა! ერთი, ერთადერთხელ ხელისგულის დადება თავზე, და ტუჩებში კი არა — თლილ შუბლზე კოცნა... ანდა, თვალბში დიდხანს ყურება, კროდა გუგების თვალიერება — თვით დიდ ქალს, ტერეზას, თავიან-ფეხებიანა, სჯობდა — მხოლოდ თვალბში რომ ჩახებდა...

პოიი, ცხლოდა, და თხელ მაჯაზე სუსტად მფეთქავი, მკრთალი ცისფერი ძარღვი რომ დაუნახა, წამოდგა და რამ'აიძულა, როგორ გაბედა — ფეხთ გაიხადა, შარვალი მუხლამდე დაიკაპიწა, და მიწის სიგრილე რომ ეცოტავა, კოჭებამდე შევიდა მდინარეში. მღვრიე მდინარე იყო, სადღაც შორს, მთაში დანაწეიშარი, და გრილ ალერსს გრძნობდა, და მთელი ტანიც, მთელი სხეული ალერსს ითხოვდა და ჰაერი რომ დამპიძდა, აუტანელი რომ გახდა სიციხე, სული შეეხუთა, და გაოცებული მოსეირნეებისკენ არც მიუხედავს, პერანგი ისე გადაიძრო, ზურგსუკან მოიხსროლა და უცებ გადახტა, მდინარეში მოადინა ზღართან. „აჰ, გაეიწუწე,“ — შესძახა კონჩენტინამ, სხეები ისევ დაბნეულები შესცქეროდნენ. დომენიკო პირქვე გაწოლილიყო მდინარეზე და ხელ-ფეხს ღონივრად ურტყამდა წყალს. ირგვლივ მხეფები ცვიოდა, დომენიკოს ირგვლივ თითქოს წყალი დუღდა, ხანდახან რომელიმე ავარდნილ წვეთში ჰაწია ცისარტყელია გაიღვებდა და პირდაღებული მოსეირნენი კვლავ შესცქეროდნენ, წყალს როგორ ურტყამდა ხელ-ფეხს დომენიკო, გამწარებული, მდინარეს სცემდა, მაგრამ მდინარეს ვალახულისა რა ეტყობოდა, ნელა მიაგორებდა ამღვრეთულ ზვირთებს და დომენიკომ, განრისხებულმა, მისი ორთოდ ყლუპიცი იგემა და გულს მოეფონა, ჩაყვინთა კიდმც, თვალგახე-

ლილმა, და დაკლაცნილი რაღაც ხახები ყვითლად, მორუხოდ მუჭრულდა და ამოტივტივდა, ნაპირისკენ გამოსტერა, და ხაოიან შლამზე რომ დადგა ფეხი, წამწამებში ჩაეუბნებულმა წვეთებმა ყოველივე გააბუნდოვნა, სახეზე ჩამოსივა ხელი და ნელა, მიძიმდ გამოვიდა მდინარიდან, წყურწყურით ჩამოსდიოდა წყალი. ძალიან ცხლოდა, ის კი, გაგრილებული, ისე ველურად დარწყულებული, უხერხულად შესცქეროდა მოსეირნეებს, ასე რომ გააკვირვა. მერმე კი, ანა-მარიას სახეზე რაღაცნაირი სათნო სიმშვიდე და ღიმისმაგვარი ამოიკითხა და გულიანად გაიციანა. ყველას უღიმოდა და, რაც უნდა ყოფილიყო, სასიამოვნო გახლდათ ამ გაგრილებული, თავით-ფეხამდე სველი ყმაწვილის ყურება, წელს-ზემოთ შიშველს, თეთრ, გლუვ სხეულზე წვეთები უციმციმებდა, ნიკაპი მზისკენ გაეშვირა და მაღალ ყელზე ჩიუტად უფეთქავდა ცისფერი ძარღვი, გახარებულო, ღონივრად სუნთქავდა და თვით საოცრად სწორად ჩამოსხმული სილვიაც კი შურით შესცქეროდა მის წვივებსა და გრძელ ფეხის თითებს.

— პერანგი მოიხურეთ, ყმაწვილო, სიფრთხილე ჯანმრთელობის საწინდარიო თავდაპირველი.

— რა ვააციებს, სოფლელია.

ტულიომ ბრძანა. შუბლი თფლით დაცვაროდა და აგდებულად ნათქვამი რომ შეერბილებინა, თითქოს სიყვარულით გაუღიმა დომენიკოს, იმანაც, რა თქმა უნდა, ღიმილი დაუბრტყნა. პერანგი ჩაიცვა, ზურგზე ლაქებმა გამოეყონა, შარვალს ღონივრად ჩააყოლა ხელისგულები, წყალი ჩაწურა. გაიმართა და შეცბა — მადლობელი უმხერდა ქალი.

— და... ამის პატრონმა... ამის პატრონმა რა ქნას? — გამოიწვევად იკითხა სილვიამ და მის კალთაში თავჩარგულ ტულიოს ოდნავ აჰკრა მუხლი.

ანა-მარიას ფანტი იყო, მოშავო კენჭი.

— მაგის პატრონი... ეე... მაგის პატრონი... ჰო — დომენიკოსთან ერთად წავიდეს და ფიჩი მოაგროვოს, — და თავი გაიპართლა, — ბოლოსდაბოლოს, ხომ უნდა შეიწვას ხორცი, ვისი ფანტია, შენი, კუმეო?

— არა, კაცო. ჩემი შაქარყინული იყო და კენჭს რა შემაქმევს.

— აბა რა, აბა რა, ხომ გავიტეხავს მაგ კბილებს, ცუნცულ.

— აბა, ვისია?

თვალთმაქციც ვახლდით ლხინის ყმაწვილი.

ფიჩს აგროვებდნენ. „თქვენ არა, თქვენ ნუ...“ — უთხრა. შორიდან ხანდახან სიცილი ისმოდა, გაბმულად ჰიხვიებდა კუმეო, „რალა ეს სიტყვები ვუთხარი პირველად, — გაიფიქრა დომენიკომ, — „თქვენ არა, თქვენ ნუ...“ ანა-მარია ფრთხილად ჰკრეფდა შემხმარ ტოტებს, ერთად აწყობდა. ასეთ მცირე მუშაობასაც კი შეუჩვეულს, ლოყები წითლად უღუოდა, დომენიკოს კი, ჯერაც შეუშრალს, მსუბუქად აქრიალებდა. რა უნდა ეთქვა... სიტყვებს ეძებდა, არ ვუთხრა? ვუთხრა? რა უნდა ეთქვა, არც კი იცოდა, თვითონ — ვერაფერს მოახერხებდა, შველა უნდოდა, სად იპოვიდა ქალაში მშველელს...

— დაგცხათ?

— ცოტათი...

— ახლავე მოვალ.

თავის მდინარესთან მიიბრინა, ხელები ჩაპყო, შერე პეშვები შეაერთა და ფრთხილად ამოიღო წყალი. ფრთხილადვე გაეშურა ქალისაკენ, დაუფლებული მდინარიდან მცირე წილი, ორიოდ პეშვი წყალი გაუწოდა და უთხრა — „თუკი ინებებთ... გავრილდით ცოტა...“ ანა-მარია უყურებდა, ასეთი ცქერა წარმოუდგენლად გულუბრყვილოებმა იციან მხოლოდ და დომენიკოს ისევ შეეკუმშა გული, ის კი არა და, გორგალიც გაეჩხირა ყელში, როგორ უყვარდა... ქალმა კი თავდაც შეაერთა ხელისგულები, დომენიკომ ბოლო წვეთა-

მდე ჩაულვარა პეშვებში წყალი და ანა-მარიამ სახე გაივრია — „მუბლი, დაწვენი... ყელზეც მოისვა. თვალდაბუქული, მზის გულზე დადგა, მზეს შეუშვიო სახე და ისევ იმ მკრთალი, მცირე ღიპილით, თავდადაწეული, თვალდაბუქული, მზეს უსმენდა თუ რალაც ამგვარი... ახლა უნდა ეთქვა, ახლავე უნდა ეთქვა, მაგრამ რა, რა — მშველელს უხმობდა არეული მგზავრი, ვისთვის ეთხოვა გუნებაში, ტუელიოსათვის? აჰ, არა, არა, თვალთმაქცი იყო, დუილიოსთვის? არა, არ სურდა დათფლული და გაბრანქული სიტყვების ფრქვევა, ალექსანდროსთვის? ყურს ვინ უგდებდა, ცოლიოსათვის? ფუჰ, ყალბი ვახლდით, კუმეო... აჰ, არა, არა...“

თავდადაწეული იდგა ქალი, აგრილებულ სახეს მზეზე იშრობდა და, თვალდაბუქულს, დომენიკომ მცირე, ძლივს შესამჩნევი ჰორფლი შეამჩნია, სულ ოდნავ რომ დაპყროდა დაწვებზე, და თემცა დედაკაცი კი არ უყვარდა ამ სათუთ ქალში, არამედ სულ სხვა, ამოუხსნელი და გამოუცნობი, ამალებული, ჰორფლის დანახავზე კი მაინც გაიფიქრა: „ალბათ სწორედ ამ ფერის კერტები გაქვს, ანა-მარია“, მხოლოდ გაიფიქრა, მაგრამ შემკრთალმა ქალმა მამინჯე გაახილა თვალი, შიშით შეაცქერდა, ცოტაც, ცოტაც და ყველაფერი დაიღუპებოდა, ისე უყურებდა: რა უნდა ეთქვა, მშველელს უხმობდა, ეგებ, კოკლი ყმა? ბავშვობაში ტანს ჰხანდა ხოლმე და ერთხელ თავზე აკოცა... არა, სხვა, კიდევ სხვა... ვიღაცა იყო... ვიღაცას უყვარდა!.. გვეგვე? აჰ, არა, არა... და რალაც უცნაურს მიმხვდარი, გრანობდა, არაფერი რომ არ ეთქვა, არ შეიძლებოდა და ახლა, ქალაში, თვალთმაქცურად დამარტოხელებულისათვის, რომ ეთქვა, ესეც არ იქნებოდა და ვახსენდა — მამა, ჰო, მამა!.. მიშველე, მამა, მამავ, მიშველე... და ქალიც გრძნობდა, რალაც რომ უნდა ეთქვა დომენიკოს, და იმასაც გრძნობდა, მარტოკასათვის რომ ეთქვა, შეურაცხყოფდა, ის კი, ის, მგზავრი, იხვეწებოდა: „მიშვე“

ლე, მამაჲ, მამა, მიშველე“, და სასწაუ-  
ლი მოხდა: „ტულიო, ტულიოო,— აღ-  
რიალდა დომენიკო, — ჩქარა, აქეთეცენ,  
შეენც, დულიოო, სენიორ ჭოვანიი, კუ-  
მეო, კონჩეტინა, ბიძია ალექსანდრო,  
სილვიაა, ვინსენტე, ყველანი მოდით,  
ჩქარა, მოდით“. და აქოშინებული ტუ-  
ლიო პირველი მოიჭრა, მერე—ცილიო,  
ალექსანდრო, ყველა შეგროვდა, გველ-

მა ხომ არ ფეზინა, შეშფოთდა მოგვა-  
ნებით მისული კონჩეტინა, დომენიკომ  
კი ანა-მარიასთან ჩაიჩოქა, ფერებზე შე-  
მოსხვია ხელი, ლოყა მიადო მუხლზე  
და დაიყვირა:—ეს ქალი მიყვარს!

ანა-მარიამ მხარზე დაადო ხელი, წა-  
მოაყენა, თვალებში უყურა, უყურა, და  
გასუსულ მგზავრს, დომენიკოს, ლოყა-  
ზე აკოცა უცებ...

უბრალოდ მოხდა.

## თ ა ვ ი IV

### ზაფხულის თამაშები

—როდის დავნიშნოთ,—თქვა დუი-  
ლიომ და მიმოიხედა,—აჰ, ხვალ ხომ  
არა? ამინდს კარგი პირი უჩანს, ზაფხუ-  
ლის თამაშების ჩასატარებლად... კარგი  
რა, უგო.

შვევრმეტყველებით გატაცებულს,  
ახალგაზრდა გიეი ხის დანით უტრიალე-  
ბდა და ეუბნებოდა: „წითელი სისხლი,  
მწვანე ბალახზე...“ დულიო კი საზო-  
გადრობასთან ზაფხულის თამაშების და-  
ნიშვნაზე ბჭობდა: — ვგონებ, ზეგ აჯო-  
ბებს, ყველგან უნდა გაისმას ქალიშვილ-  
თა კისკისი და ქაბუტთა ღიმირი.

— ზეგ იყოს, სენიორ,—წარმოსთქვა  
საყველოშებნეულმა ვინსენტემ,— დია-  
ხაც რომ.

— სხეთლის გაკეთება-განვითარება  
გონებას შეუფერხებლივ აწვდის ახალ-  
ახალ სასიცოცხლო ძალებს, — აღნიშნა  
დულიო, როგორც იყო. — ხოლო ეს  
— დიდაც რომ კარგია. უჰ, რა ქორწი-  
ლი იყო?

— აბა?!

— მამ!

— რა ღვინო, რა გოჭი!.. თევზი ხუ-  
რავდა.

— ის კაცი რაღა იქნა...

— ვინა, უბილო? სადღაც წავიდა.

— საად, სხვა ქალაქში?

— რა ვიცი, სადღაც გადაიხვეწა.

— და სულ მარტოები დატოვა, არა,

აგურის სახლში? რად არ ღებავენ, ნე-  
ტაი... ახლა კი ნამდვილად გაავარდის-  
ფერებენ—დომენიკოს ფული აქვს ბე-  
ჭრი...

— არა, ფულზე არა... ფული ქალის  
მამასაც ჰქონდა, მაგრამ არ ღებავდნენ.

— მაგათი გემოვნება მომცა და, —  
იხუმრა ტულიომ,— ჩამოიკიდა ხეზე.

— ისე, კარგი გაძლება მისცა,—გაი-  
ცინა ანტონიომ,—სულ დაკვრია, და-  
კვრია...

— ახლა მაინც შეეშლება დაკვრაში  
ხელი—მოგესხენებათ, ახალი ქმარი...

— შიგ ყელში ჩაგეცმ, დულიო, შუ-  
აგულ ყელში, აი, ყლაპვისას რომ აგიდ-  
ჩაგიდის, იქ, სწორედ იქ, — ამბობდა  
უგო და თვალებში ისევ ის ძველი ბი-  
ნადარნი—მწვანე თევზები ეკლავებო-  
და,—ილაპარაკე მერე... ყელგადახსნი-  
ლმა, წითლად გულისპირშედებილმა,  
საკუთარი სისხლით...

— კარგი რა, უგო, კარგი, დაწყნარ-  
დი,—ურჩია დულიომ,—ადარ მოგბე-  
ზრდა?

— ისე კი, რა აზრი აქვს ზაფხულის  
თამაშებს,—ოდნავ მოიწყინა ცილიომ,  
—ჭუზეზე მაინც ყველას გევაობებს.

— არა, არა, ცილიო—თუკი გონება  
ნაყოფიერ მუშაობას გასწევს, ყოველ-  
თვის შეიძლება მახვილგონივრული გა-  
მოსავლის პოვნა, და ამათ, ინებეთ —

მოდით, ჯუზებეს გამარჯვებებს ნუ ჩავ-  
თვლით ხოლმე.

— ხომ დაგვამტვრია!

— არა, ჩვეთვისი, ჩუმ-ჩუმად, საი-  
ღუმლოდ...

— შენი ოჯახი აშენდა, დეილიო!..

— კაცო კი არა, ტვინია ცარიელი...

— ჰკუაა, ჰკუაა...

— სწორედ მაგ თავში, ჰკვიან თავში  
ჩაგიშვებ დანას,—ჩურჩულებდა უგო,  
გამწარბებელი, ცეცხლმოდებელი, —  
ორივე ხელით ჩავბღუჯავ დანას, და არ,  
მაშინ, დიდი ტკივილით ყოველივე გა-  
ვინათლება...

— რაა ბოლოსდაბოლოს! გააჩერეთ  
ეს ბავშვი! არ წაიღო ტვინი, უჰ!

— ის ღომენიკო მინც გამოჩნდება-  
დეს...

— რად გინდა...

— ეს გაიპარება მაშინვე. იმის დანა-  
ხვაზე...

— იმის დანახვაზე? ჰო, მართლა,  
ეშინია. — რატომ...

— რა ვიცი, რატომ... კი ერიდება  
და...

ანა-მარისა დიდ, ფართო საწოლზე  
მოკუნტულს ეძინა. ზაფხული იდგა ლა-  
მას-ქალაქში, სითბო შემოდინდა ღია  
ფანჯრიდან. ანა-მარისა თხელი ზეწარი  
გადაეფარებინა, და ორი თეთრი ტალა  
გადასდიოდა—თქოსთან და მხართან.  
როგორ იცვლებოდა ძილში—სადღაც  
შორს, შორის, გადაკარგულში წასული,  
დაკრით დაღლილი და გატანჯული,  
ძილში ისე ფუნაურად, დაუჭერებლად  
იცვლებოდა—არხენდებოდა თითქოს...  
უსუსური მანამდე ქალი, შორეული  
ხმების ეს სათნო მონა, მიიძინებდა თუ  
არა, შვეზით ღვივდებოდა თითქოს და  
უღარდელი, ბედნიერი ღიმილიც კი  
აუბეჭეტდებოდა სახეზე, და ღომენიკოს  
ეჭვები ღრღნიდა — ვიღაც სხვას, სულ  
სხვას უღიმოდა იმისი ცოლი... ორნი  
ცხოვრობდნენ აგურის მომცრო, უბრა-  
ლო სახლში, და მაინც, ყველგან, ყოვე-  
ლთვის ტრიალებდა ვიღაც სხვა, სულ  
სხვა... როცა უკრავდა, იმ სხვასთან იყო,  
თუ არ უკრავდა, იმ სხვასთან სუ-

რდა... ახლა ეძინა და მკრთალად თი-  
მებოდა, სადღაც შორს, რბილად მოხე-  
ტილედ, სიზმრის იისფერ სარდაღებში...

ლაშაში იყო. შველის თვალები ჰქონ-  
და, შველისავე მხერა... ნაქორწილევს,  
მეორე დილით, როცა დამორცხვებულ  
ქალში ეთენილი ახლობლობა მოიძია  
და გამამხნევებელი ღიმილით შეხედა  
თვალეებში, შეკრთა—მაინც სხვისა იყო  
მასთან პირველად ღამენათევი ქალი,  
სუუულ სხვისა... აირია და, გაბრაზე-  
ბულმა, შეუბღუე აკოცა, იმან კი შეხედა,  
წამით დაუბრუნდა, გაუღიმა და ისევ  
წავიდა, ისევ განეროდა იმ სხვასთან,  
სხვასთან... სხვისკენ წავიდა! ახლა ეძი-  
ნა, ხელისაგულზე ღრედადებულს, იღი-  
მებოდა...

— ან ბეჭებშუა, დეილიო, ბეჭებში  
ჩაგცემ, გული ზურგიდან უფრო ახ-  
ლოა...

— რა იცი ბიჭო შენ!—გაივირვა  
დეილიომ და ნათქვამი სასწრაფოდ გა-  
მოასწორა,—რა იცის ამ ქაბუქმა ესო-  
დენ საგულდაგულო ამბები...

— ფშტ!

— გშურს, ალექსანდრო? გშურს,  
არა, ასე გულდასმით რომ ვლაპარაკობ?  
და იმიტომაც მაწყვეტიტნებ, ეს ჩემი სი-  
ტყვიერი წარმატებანი კი ერთის მხრივ  
იმანაც განაპირობა, რომ...

— ფშტ!

— გამიშვით, მოკვლავ! ფშტებზე  
გადავიდა, სანამდე მივიდა, გამიშვით  
მალე, ახლაც აეკუწავ მისანური ხან-  
ჭლით... სულ ნაწილ-ნაწილი!

— გაგივდი, დეილიო? — ხელი მიი-  
ღო მკერდზე მამიდა არიდანამ,—რავა  
უგოსავით ლაპარაკობ შენ...

საცოდობა იყო, როგორ ამზადებ-  
და სადილს... ხახვს როგორ ჰკრიდა, თვა-  
ლები როგორ ეკრემლებოდა... მწვანი-  
ლის დიდ კონაში ამაოდ დაემებდა რე-  
პანს, უმწეო, მფრთხალი, დამნაშავესა-  
ვით მიაჩერდებოდა ღომენიკოს და ისაც  
მაშინვე, კალათით ხელში, არტუროს  
ღუქნისკენ გარბოდა... და, მიბრუნებუ-  
ლი, შეცბა—ქალი უკრავდა, გრძნეული  
ქალი, თავით-ფეხამდე—სხვისი და თა-



ვად მეუფეს დედოფლად ჰყავდა, რა არ უბოძა, ზღვა, ბნელში ავად აქაფებული, სისხამი დილის ჰაერი, წმინდა, ყველა ფრინველის თამაში სული, რაც მთავარია, მარადიული საიდუმლოებანიც უწყალობა და უცხო, შორეული, ბურჟუასით მოსილი ქალი, ქალი—მბრძანებელი, ამ დამჯერ, გახედნილ, დაოკებულ, თავაშვებულ ხმათა მბრძანებელი, ქალი უკრავდა, მერე — რა ქალი, იმ თავის უცხო ქვეყანაში რა გაბედულად დააბიჯებდა, ფრენა იცოდა, ყოვლისშემძლემ და მიუწვდომელმა, იცოდა გლოვაც, მიწაზე ფორთხვა და უცებ—მალა, სულ მალა, მალა და უბირ ქვეყანას ისე ზემოდან დასცქეროდა, ღრუბლებიდა თუ შეუშლიდა ხელს, მთა, დათოვლილი, და სიხარული სწორედ მთასავით ვარდებოდა, შუაგულ ზღვაში... და ახლა წყლის მთა ამოიზრდებოდა მალა, დიდებულად მრისხანე, ღონიერად აბიღებოდა, უზარმაზარი ყვავილი აღიოდა ცისკენ, ეს — ქალი იყო, რა ძალა ჰქონდა იმის ნაზ თითებს, მბზინავ კლავიშებს ჰანგებს ასობდა, ფრთავაშლილი სეავივით კორტინდა სიმებს, სიმებსვე ქამანს შოლტივით სცემდა, ნუთუ ის იყო, უმწეო ქალი, და, საოცრებავ, ისე უეცრად, ისე ერთბაშად განაზღებოდა, ბალღი ფშვინავდა ახლა ოთახში, უცოდველი, წმინდა... ბავშვი დარბოდა მალა ბალახში, და ყველაფერზე მეტად ბაცი ხმა — თითქოს ბალახი იმართებოდა... შემცივნებული, მზის გულზე იწვია, იზმორებოდა, ოო, სითბო, სითბო, მზე მოყვარული... წყალი, ჰაერი—ბედნიერება... ბალახის მჭახე; უმანყო სული, ქა—ავსებული, პირთამდე სავსე; ზედაპირზე კი—ის ძველი მთვარე, ისე ნაცნობი, მთვარე, ის ძველი... დიდი, გორგოზი გამოქვაბული, სიპ ქვებს მიმწყდარი ნაბიჯების ხმა, და დღისით, მზისით, ვიწრო წყვილიდში მუცელზე ხოხვა, ცალთვალა შიში, დაბადებამდე, და უილაჯოდ ქვითინებს ვილაც, ჩვენს გულგრილ მხარზე თავმიდებული, ის კი, ჯიუტი, გაუტეხელი, სადღაც შორსაა, ერთგულად იცდის, ვინ ის, რომელი, სადაუ-

რია, რამდენი დედა არსებობს ქვეყნად, ის ისევ ტირის, და მზე, სინათლე—ბედნიერება—ჰაერი, წყალი, ფრინველები ტყეში, კარგია, არა?—უ! რა კარგია, მართლა კარგია, და ზანტი თვლელა, ცოტაც მაცადეთ, ეს—წყალობაა, ვრცელი, და ნაზი—მაწია ბავშვის ფეხსივლივით. ხმაა ყოველი, დიმილიც — ხმაა, ქალი უკრავდა, ლამაზი ქალი — თხემით—ტერფამდე — სხვისი, სულ სხვისა, და, კიდევ კარგი, დაბნეული მგზავრი მის ზურგს რომ ხედავდა მხოლოდ, ჩვენ კი, ჩვენ—მე და თქვენ ესე იგი, ლამაზ ქალაქში სალახანებად წოდებულმა ორმა მაწანწალამ, ხომ ვიცით, ვიცით, ვის შესცქეროდა თვალდახუჭული, გრძნეულთითება ქალი, ვის უღიმოდა, აჰ, ჩვენ ხომ ვიცით, დომენიკომ კი, გაბრაზებულმა, კალათი მოისროლა და ყრუ ხმაურზე ანა-მარიამ შემკრთალმა გამოხედა, გოცბული შეაცქერდა და ძირს, იატაკზე, შორეულ კუთხესთან ძლივას მიგორდა დიდი, წითელი, წვნიანი, უბრალო ვაშლი...

— ახლა, როდესაც ზაფხულის თამაშების მოახლოებულმა სუნთქვამაც კი განვლო და სწორედ ამ დღეს — დასაწყისია, მსურს შეგახსენოთ ის დიდი მოღვაწეობა, ზაფხულის თამაშებს რომ კვალდაკვალ მისდევს, — წამოიწყო ბორცვზე შედგარმა დელიოთამ, როგორც იყო, — და რა, თუ არ ზაფხულის თამაშები, გონებას შეუფერხებლივ აწვდის ახალ-ახალ სასიცოცხლო ძალებს. გაიმარჯვებს ის, ვინც დაძაბული და მიზანდასახული ვარჯიშით სიცოცხლე შთაბერა თავის კუნთ-მკლავებს. დიახააც, რომ ასეა მუდამ ეს. ჯერ სირბილში გაეჯიბრეთ ერთმანეთს, ჩემო გონიერებო, აქედან უნდა გაიქცეთ აიი, იმ ხესთან, ხელი დაარტყათ, შემოურბინოთ და ისევ დაბრუნდეთ, გასაგებია? შეკითხვები თუ არის...

— შეიძლება?

— ბრძანეთ.

— სენიორ დელიო, ხეს მარჯვნიდან შემოურბინოთ თუ მარცხნიდან?

— სულერთია. თუმცა, არა, მარცხ-

ნიდან შემოურბინეთ. კიდევ თუ არის შეკითხვები...

— რომელი ხელი დავარტყათ ხეს...

— ხელი? ხელი — მარჯვენა. კიდევ თუ არის შეკითხვები...

— არის. შენ თუ კაი კაცი ხარ, შენი შეილი რას დაძრწის წამდაუწუმ კამო-რაში? — შეეკითხა ალექსანდრო.

— რა შუაშია! რა შუაშია-მეთქი!

— იყვირა დუილით, — ჯერ ეს ეგ ერთი, ბავშვობის ამხანაგები ჰყავს იქ, ეს კი მეტად სათუთი, კეთილშობილური გრძნობაა, რაც დიდად უწყობს ხელს ადამიანების ურთიერთობის გაკეთილშობილებას, რაც... ეს — ერთი. და მეორეც ეს ეგ ერთი...

— გაჩე-გაჩე... — შეაწყვეტინა ალექსანდრომ, — ფშტ!

როგორ უყვარდა... შორიდან თუ მოჰკრავდა თვალს, მაშინვე შეეძლო მოფერებოდა, შორიდანვე თავზე გადაესვა ხელი. და მისი სავალი გზაც ხელის-გულებით გაესუფთავა — სიყვარულს გრძელი, რბილი ხელები ჰქონდა.

— შენ... და ხომ არ გყავს, ანა-მარია?

— არა.

— სულ არ გყოლია?

— არა. ერთი ვარ.

— მართლა ერთი ხარ, — გაუღიმებდა, — უცნაურია... სადღაც, როდესაც...

— რა...

— შემხვედრიხარ თითქოს...

დაფიქრებული იღიმებოდა. ყველაზე დიდი სილაპაზე — ამაღლებული უბრალოება... სადღაც ენახა...

— იქნებ ბავშვობაში სადმე წავიყვანეს...

— სად...

— სოფლად.

— თქვენცენ არასდროს... და შენ ხომ არ ჩამოუყვანიხარ ქალაქში მამას?

— არა, ძალიან შორს ვართ, — და გაოცებული ეუბნებოდა, — მიყვარხარ როგოთრ...

იღიმებოდა, სიამოვნებდა. იქვე, მის გვერდით დაჯდებოდა ხოლმე დო-

მენიკო, და უცხო სიყვარულისგან დაბუეებული თითებით უვარტყნიდა თმას, საფეთქელთან ჩამოცურებულ ზვირთს შეუსწორებდა, ხელს შემობვევდა მხარზე, ლოყაზე კოცინდა. გაიტრუნებოდა ხოლმე არეული ქალი...

— ოო, ჯუზეპემ გაიმარჯვა, ჯუზეპემ, — აღნიშნა დუილით და ვინსენტეს თვალი ჩაუკრა, — პირველი ჯილდო ჯუზეპინოს ეკუთვნის — ბრავისსიმო, ბრავო... ისევე, როგორც სირბილში, სიგრძეზე ტომაშიც დიხაც რომ შესაშური შედეგი აჩვენა — სწორედ თომოცადცხრა გოჯი.

მაგრამ როცა უკრავდა... დილაადრიან ესმოდა ხმები — მეუფის ენა და ძილ-ღვიძილში ბედნიერებით იესებოდა, მაგრამ უეცრად ფხიზლდებოდა და, განრისხებულს, ეპყვები ღრღინდა — ეინ იყო მაინც ეს აბეზარი, ანა-მარიას უტყვი მბრძანებელი, ეს სხვა — მესამე, ანა-მარიას ქმარზე მეტად რომ უყვარდა, სულს რომ ერჩია... და იმ თთახში რომ შედიოდა, ანა-მარია მაშინვე შესწყვეტდა ხოლმე დაკრას და, დამნაშავესავით, წასწრებულივით თავს დაბლა ხრიდა... და დომენიკოც, შეწუხებული, სულთ ცოდვილო, ლოყაზე შემოაქდებოდა თითებს, თავს გადაუწევდა, თვლებში ჩახედავდა, მზერას არიდებდა ქალი, დომენიკო კი მაგრად, მაგრად შემოხვევდა ხელებს და ჩაიკრავდა გულში, თვლებში კოცინდა, გორგალი ებჯინებოდა ყელში, სული ტკიოდა... თვალდახუჭული კოცინდა ყელზე და გრძნობდა, როგორ თბებოდა მომლოდინე, მადლიერი ქალი, ისე მადლიერი, გაამაყებულ მგზავრს ცრემლმორეული თვლების დანახვა მოუნდებოდა და რომ შეხედავდა, — აჰ, სხვისი იყო, მაინც სულს სხვისი... სხვას ეკუთვნოდა!

და, ქუჩად გასულს, გამარჯვებული მეუფის მაინც სედიანი ხმები ესმოდა...

— ამ სახეობაშიც აღიარებულმა ჯუზეპემ გაიმარჯვა, ბარაქალა მს! შენ რა მოგივიდა, დინო, რად არა სტყორცნე?

— კუპი მტკივა და... სენიორ დუილი.

— რა ვტკივა? — დაინტერესდა ჯუზეპე.

— კუპი.

— დიდი ხანია?

— არის აგერ... ორი თვე.

— და აღარ ვარჯიშობ?

— ვვარჯიშობ კი არა, ძლივს ვდგავარ ფეხზე.

და იქ ჯუზეპეს კარგად გაახსენდა, დინოს ოთხჯერ რომ ჰყავდა ვალახულის. მაინც დაახუსტა:

— ნამდვილად ვტკივა?

— უჰ... წყალს ვერ ვსევამ ჩემით, — ძლივას ახედა მოკუნტულმა, მუცელზე ხელისგულელებიხუტებულმა დინომ.

— მერე და შენ როგორ ვამიბედე იმ დღეს, ა? დუქანში, ა!

— კარგი რა, ჯუზეპე, — საცოდავად აწრაიბინდა დინო, — როცა ჯანმრთელად ვიყავი, მაშინ უნდა ვადაგვხადო, აბა ახლა რომ ვამლაზოთ, დასუსტებულს, რა ვაქვაცოხაბა...

— რა და, ხომ ვაჯობე ყველას სირბილში, ხტომაში... სიმძიმეების აწევაში, ეე... ეე, ტყორცნებში, ეე...

— კი, მაგრამ...

— ვინაა შენი მაგრამ... ლაწირაკი!

და იქ ჯუზეპემ მძლეურობით მკლავი მოუქნია. მაგრამ ჰახანი მაშინვე არ გაისმა. ჰახანი გაისმა მხოლოდ მას შემდეგ, როცა დინომ დაბრუნდა კოხტად აიცილია, და მოკლედ გაიქნია ხელი. მერე კი პირაღმა გაშხლართულ ჯუზეპეს დახედა და მხიარულად თქვა: — მოტყუვდა, აი, კუპი არა მუჭი...

მაგრამ იმისთვის არა სცებლოდათ:

— არიქათ, წყალი... უშველეთ, წყალი...

ჯერ ჩვეულებრივი წყალი აკურეს, მერე დუქანიდან ვარდისფერი წყალი მოარბენინეს, მერე — წითელი, სულ ბოლოს — მწვანე, მერე კუმეო გაგზავნეს ყვითელ წყალზე, მაგრამ იმან გზაში დალია, და ჰაქვამდა კი სცადეს, ვერაფერმა უშველა, და არტურომ და-

მაჯერებლად თქვა: „მიმიშვიტ, მე ვიცი მაგის წამალი. მიმიშვიტ,“ და ლოყაზე მოუთათუნა ხელი, ჯუზეპემაც მაშინვე თხლიშა. და სანამ არტუროს მოასულიერებდნენ, და დაამშვიდებდნენ ნორჩ ჯანჯაკომოს, ჯიქურ მოჭრილს ყვირილით: „მარჩენალო, მამი,“ დინო თავს დაადგა მიწაზე ბრყუულად წამომქდარ ვოლიათს და ჰკითხა:

— სირბილში ვინ გაიმარჯვა.

— მე, სენიორ, — მორცხვად მიუგო ჯუზეპინომ.

— სიმძიმეების აწევაში?

— მე, სენიორ დინო.

— და ხტომა-ტყორცნებში?

— მე.

— მაგრამ ჩხუბი სიმძიმეების აწევა, ხტომა და ტყორცნა არ არის, ჯუზეპე, და შენ წარმოიდგინე, კრივიც კი არაა ჩხუბი, — უთხრა დინომ და თვალთმაქცურად გაუღიმა, — ჩხუბი სულ სხვა რამეა, ჩიტო.

— ვიცი...

— იცი, აბა რა...

— რაღა ახლა მოგინდათ ჩხუბი და ალიაქოთი, ამ უცხო ხალხში, მოგვეჭრა თავი, შევირცხვათ თავი.

— ვინ უცხო ხალხია...

— ორი მოგზაურია, ქართველები.

— სადაურები?

— არის ასეთი ხალხი... მაგათი ენა მაინც ვიცილდე. დიდი ბოდიში, ქართველებო, მაგრამ... ჩვენი ქალაქი თუ მოგწონთ, აა?

პირველმა ქართველმა ვერაფერი გაიგო, მხრები აიჩეჩა, მეორეს მიუბრუნდა:

— Mi sembra che ofrono i appartamenti! და მეორე ქართველმაც დასძინა:

Vale a dire avevano i grandi appartamenti!<sup>2</sup>

— ვინაა ეს ხალხი, — დაინტერესდა მოსულიერებული არტურო.

<sup>1</sup> მგონი აპარტამენტებს ვთავაზობენ (იტალ.).

<sup>2</sup> დიდი ტემპერამენტიათა ხალხი კი ჩანს (იტალ.).

— მოგზაურებია, რაღაც-რაღაცებს  
 იხატავენ გზაში.

— ისე, სახით კი გვეგვანან ჩვენ.

— ყველანი ადამის შვილები არ  
 ვართ?

— ნეტავი ჩვენსავით მდიდარი ვნა  
 თუ აქეთ, — დაინტერესდა ალექსანდ-  
 რო, — აი, თუნდაც ჩვენი სიტყვა ავი-  
 ლოთ — კოცნა... რამდენჯერად გამო-  
 თქმება... — და მოგზაურებს მიუბ-  
 რუნდა, — კოცნა — ქართველლო...  
 როგორ გამოითქმება, ქართველლო, —  
 და პერს აკოცა.

— Beh, che vogliono... — გაიოცა  
 პირველმა ქართველმა, — Mi chiamo  
 Hainrih, mio amico-Dragomiro!

— ორად ორი შესატყვისი ჰქონიათ,  
 — დაახუსტა ალექსანდრომ, — ჩვენ  
 კი, ჰეე, რამდენი...

— რამდენი, მაინც... — შეეკითხა  
 დუილით.

— რამდენი და, რა ვიცი, რამდენნი-  
 რად აღარ გამოითქმება — აკოცა, ეამ-  
 ბორა, ემთხვია, ბაგე ბაგეს დააწემა...  
 ბაგეზე დაეწაფა... მტლაშა-მტლუში...  
 დალოშნა... ჩაპროშტნა...

— კუქის წვენი ამოუღო, — შეეშვე-  
 ლა კუშეთ.

— ფუჰ... ქალის ჰუა რა ეთქვი, —  
 შეიკმეუნა ალექსანდრო.

თხელი ზეწარი ეფარა მხოლოდ... თმა  
 ჩამოშლოდა ანა-მარიას, კედლისაგან  
 ეჭვია პირო, ეძინა. თავს დადგომოდა  
 დომენიკო, გატრუნული შესცქეროდა  
 ულამაზეს ტალღას, ტალღისავე თმით  
 რომ მთავრდებოდა. ღია ფანჯრიდან  
 დილის სიგრილე შემოდირდა, ზეწარი  
 ნიკაპქვეშ ამოეკეცა ქალს. იმ თმის ქვეშ  
 ალბათ მკრთალად ილიმებოდა. და არე-  
 ულ მგზავრს იმისი სახის დანახვა სურ-  
 და, მაგრამ ეს უნაზესი, პეროვანი სიმ-  
 თიმით ჩამოშლილი თმა რომ გადაეწია,  
 მაინცვე გაიღვიძებდა ქალი — ისეთი  
 ფრთხილი ძილი იყოდა. გაღვიძებული  
 კი, კიდევ უფრო სხვისი გახდებოდა, და

დომენიკომ მიმოიხედა... ერთიანად  
 აიწურა, ფანჯარასთან ფრთხილად, ფე-  
 ხისწვერებზე შემდგარი მივიდა, მატ-  
 რად ჩარაზა. მერე კარისკენ გაეშუოა,  
 ისევ სუნთქვაშეკრული; ფრთხილად გა-  
 ალო, ეზოში გავიდა. მომკრო ფარდულ-  
 ში ხმელი ტოტები ამოარჩია, ხელებზე  
 დაილაგა, ჩვილი ბავშვივით შეიტანა  
 ოთახში შეშა. ბუხართან ჩაიხოქა, კობ-  
 ტად შეაწყო, ცეცხლი დაანთო, ფრთხი-  
 ლად უბერავდა სულს. ფიჩხის ტყაცუნ-  
 ზე გული ეკუმშებოდა, შიშით გახედავ-  
 და ქალს, იმას კი ისევ ეძინა, და სითბო  
 რომ დატრიალდა, სიმბურვალე აუტანე-  
 ლი რომ შეიქნა, ისევ ქალთან აიტუზა  
 დომენიკო... ანა-მარია შეიშმუშნა; მძინა-  
 რემ, ზეწრიდან ხელი ამოაძვრინა, თმა  
 გადაიწია სახიდან, ზედა ტუჩი ოფლით  
 დაცვარდა. ხელები უკან, თავსზემოთ  
 გადააგდო, დაჭიმულ იღლიას მკერა-  
 ვი ბორცვის კალთაც აპყეა, ვულადმა  
 იწეა ახლა ქალი და ამ შუა ზაფხულში  
 ლამაზ — ქალაქის ერთადერთ ბუხარ-  
 ში ცეცხლი ვიზგიზებდა, როგორ ცხე-  
 ლოდა, და ანა-მარიამ ზეწარი დომენი-  
 კოს ფერხით, იატაკზე გადმოაგდო.  
 შიშველი იყო და, სიცხისაგან ვაბეზრე-  
 ბულმა, ძილში ღრმად, მძიმედ ამოიკე-  
 ნესა. გვერდზე გადაეგდო თავი, დომე-  
 ნიკოსკენ, ის კი მოჭადროებული დასცქე-  
 როდა უმწეო ქალის ღონიერ სხეულს,  
 ანა-მარია, თავისუფალი და უდარდე-  
 ლი, თავს ზემოთ ხელებგადაგდებული,  
 მკრთალად ილიმებოდა თითქოს, მაინც  
 რა ფერისა იყო, როგორი რბილი ხაზე-  
 ბი ჰქონდა, და ამ სიცხეში გაღვიძებუ-  
 ლი მისი სხეული, ოდნავ, სულ ოდნავ,  
 ბაცად სავსე, რის მარმარილო — თავად  
 სხეული და დომენიკომ მუხლთ მოიყა-  
 რა, დაჩოქილიყო მძინარე ქალის წინა-  
 შე, იმ საღუმე სხეულს დასცქეროდა...  
 და, როგორც მოსაღამოვებულს, ცის  
 დაყინებული თვალიერებისას მკრთა-  
 ლად, ბუნდოვნად გაიკიაფებს უსახელო  
 ვარსკვლავი, მხოლოდ ასეთი დაყინებუ-  
 ლი მზერის შემდეგ ქალის სხეულზე  
 დომენიკო ხედავდა მკრთალ ცის-

1 ნეტავ რა უნდა... მე მქვია ჰაინრიხი,  
 ჩემს მეგობარს — დრაგომიროს (იტლ.).

ფერ ძარღვებს, ცისფერაც არ ეთქმოდა, მოჩვენებას ჰგავდა, მხოლოდ ყელთან მოუჩანდა ოდნავ მკაფიოდ, სისხლი ბრუნავდა ნატიფ სხეულში, უხვ სხეულს ვიწრო მდინარე რწყავდა, ისე ერთგულად, ისე თანაბრად, და მაჯაზედაც მკაფიოდ უფეთქავდა, ქვაზე გადავილი ნაკადულივით, და დომენიკო, გამოუცდელი, მგზავრი, ისე მადლიერი იყო იმ ყველაზე ჩვეულებრივ, ყველაზე უცნაური ძალისა, სიცოცხლე რომ ერქვა — სისხლს რაც აბრუნებდა, ჰაერს რაც აწევდიდა მშვიდად ასუნთქებულ სხეულს, რაც აღამებდა და ათენებდა, და ეს მაინც რა იყო — ტანი და სახე, ხელები, ფეხი... და ორი ბორცვი, აჰ, რა სიმაღლე, და დომენიკო, გახარებულ, იმ ცისფერ ძარღვს დაეწაფა, ყელთან რომ აჩნდა ჭალს, და იმანაც ძილშივე იცნო, ხელები მოხვია, თვალი გაახილა, და ახლა თვალდასუქული დომენიკო კოცნიდა და მკერდზე ადებდა ყურს, გახარებული, გულსიცემას უსმენდა და ტუჩებში რომ კოცნიდა, სიხარულად ელამუნებოდა ლოყაზე ანამარიას სუთქვა — ცოცხალი იყო, კი, კი, ცოცხალი, და ხელისგულზე მისი წელი ედო, ამოზნექილი, ნაზი... თვალდასუქული კოცნიდა ისევე, და გლუვ მხრებს ტუჩით ეფერებოდა, მერე სხეულზე ისევ დახედა, მუხლზე აკოცა და იმ უცნაური ხუმრობით გულმოცემულმა, თვალბზვიაც დიმილით ჩახედა და გაშრა — მაინც სხვისა იყო...

— ჩემი დედას ერთი ქალიშვილი ყვანდა, იმას კიდენ ბიჭი ყვანდა, და მოკლედ რომ ვთქვათ, დიშვილი მყვანდა, — თქვა კაცმა, რომელიც გრამატიკას დიხაც რომ კარგად ვერ ფლობდა, — ჰოდაა, ცოლის მოყვანა ძალიან დაავიანა, არ მოყავს ცოლი, უკვე უღვაში ქონდა, წვერი ქონდა, ერთი, მეორე, ყველაფერი ქონდა, მოუყვანეთ ცოლი. ეს ბიჭი ცოტა ხერხემალი გალუნული ქონდა, როცა ცოლი არა ქონდა, და როცა ცოლი უკვე ქონდა, ხერხემალი მაინც გალუნული ქონდა.

— ჰოდა, ეს ცოლი ქორწილზე ვერაფერი შეამჩნია; ერთი დღე გავიდა, კორაფერი შეამჩნია, ხუთი დღე, ათი დღე, ათი კვირა გავიდა, ვერაფერი შეამჩნია, ძალიან კარგი ბიჭი იყო, თვეში ხუთი-ექვსი დრაპკანი გამოდიოდა. ჰოდა, ერთხელ ბანაობს რა, იმაში, აი... აი, იმაში, აი... ვაჰ, კასრს რა ქვიან.

— კასრი ჰქვიან...

— ჰო? ვა... ჰოდა, ბანაობს ერთხელ ეს ბიჭი კასრში, და ეს ქალი უკანინან შახედა, და თრახ! — ხედამს, ხერხემალი გალუნულია, ვაჰ, უფრო კარქა შეხედა, ხედამს, მაინც გალუნულია და ერთი ფეხი რომ იქ დაკრა, პირდაპირ ჩემთან მოვიდა, და ზედ შივ პირში მეუბნება, რათ გამირიგე, ეს რა ქენი, რატომ ქენი, ხერხემალი გალუნული ქონია და ისე შემომამპარეთ, რატომ აქამდე არ მეუბნებოდით, ეს ხომო... აი, ხომო... ვაჰ, თვალთმაქცობას რა ქვიან?

— თვალთმაქცობა ჰქვიან...

— ჰო? ვა... ჰოდა, ამბობს, ეს თვალთმაქცობა რათა ქენი, როსთვიან ქენი, მოკლედ ეს ქალი იქით გაიწია. არა, იქით კი არ გაიწია პირიქით აქეთ გაიწია, მე ვიცდი, ვიცდი, ეგებ თავისით შარიგლენენ-მეთქი, ახალგაზრდები არიან-მეთქი, ჯერ არაფერი ვამბობ, ვიცდი, არა რიგდებინან, რალა, ვიცდი, ბრაზიანობენ, ხო იცი ახალგაზრდების ამბავი, ვიცდი. ჰოდა... ანგარებან რა ქვიან?

— ანგარება ჰქვიან...

— ჰოდა, მე ავიღე, პირდაპირ მივედი იმ ქალთან, ვეუბნები — რა აქვს დასაწუნი ჩემი დედას შვილი და კიდე იმისიც შვილი, ჩემი დიშვილი რალამეთქი, საყვარელო შვილო მეთქი, ქალი ხომ არ არი, მაგისი სილამაზეს რომ დასდევ-მეთქი, მშვენიერი მოყვარული ჭმარია-მეთქი, სმითაც ბევრი არა სვამს-მეთქი, აბა ლოთი შავხვედროდა-მეთქი, თვეში შვიდი-რვა დრაპკანი გამოდის-მეთქი და სხვა რა გინდა-მეთქი. ჰოდაა, ამ ქალსა მე ეს ყველაფერი რომ მეთქი, ისევე შაუყვარდათ ერთმანეთი,



მაშ?! მთავარია, დროზედ უთხრა ადამიანს ყველაფერი.

— ეჰ, ვასკო ნამდვილი მამაკაცი იყო, — ამოიოხრა მამიდა არიანამ, — ხერხემალიც სწორი ჰქონდა და ყველაფერი.

აგურის მომცრო, უბრალო სახლის მთავარ ოთახში ფეხისწვერებზე შემდგარი, ფრთხილად დიარებოდა. სწორედ ის ოთახი გახლდათ, საკრავებით საგესე. რამდენი იყო მიანც, რამდენი იყო... ანა-მარია სადღაც წაივდა, წერილ სასყიდლებზე, მომავალი ვაჭრობით წინასწარ დაბნეული. რა ვაჭრობა ეთქმოდა — რასაც ეტყოდნენ, იმას იხდიდა, ოღონდ ერთიმეორისაგან ვერ არჩევდა გროშსა და დრაპკანს... და დრომოხელთებული დომენიკო იმ საკრავებში თავისი მაღალი მტრის, მეუფის გატრუნულ სულს ჯიუტი მზერით დაეძებდა. ამ დღისით, მზისით, ფანჯრებზე დარბაზაფარებულ ოთახში ფათურით დაეძებდა და ვერ პოულობდა, ისე კი, გრძობდა, სულყველგან იყო მუსიკა, მეფე, სიამაყენარევი ილუმალებით გასუსული... ხელი შეახო სიბნელეში საკრავებს და აფორიაქდა, სული გაეკაწრა — რაღაცა იგრძნო, რაღაც მოესმა თითქოს, შორეული... ბუდიდან ფრთხილად ამოილო სიმებიანი, გრძელკისერა, უცხოური რამ ნივთი და ყურზე მიიღო... რაღაც ისმოდა, რჩეულთათვის მისაწვდომი მხოლოდ, ვერა ხედებოდა, ვერაფრით ჩასწვდა, და როგორც იქნა, გაბედა და წერილ სიმს ფრთხილად გამოკვრა თითი... და სიმამც მოკლედ გაიღრჩიალა, ეს უბირი ხმაც მეუფის იყო, ოღონდ მხოლოდ მისი ფერხთა მტვერი... ანა-მარიასთვის ბოძებული ხმები კი თავად მეუფის ვრცელი სულის ბგერები გახლდათ, ანა-მარია — რჩეული იყო, მაღალი დედოფალი, და დომენიკო, იმისი ქმრობით გულმოცემული, მხოლოდ იმ ფერხთა მტვერითაც კი წამით ბედნიერი, აგურის სახლის მთავარ ოთახში, იმ სიბნელეში, ყოველ საუნჯეს ტლანქად სინჯავდა...

— ძველ რომაელთაგან ბევრი რამ უნდა ვისწავლოთ, — აღნიშნა დელილომ, როგორც იყო, — ჩვენი ნათელი გონება და მიზანსწრაფვები ერთად, ეს — ბედელია, სახელოვან კამორელთა... ეე, სახელოვან ლამაზ — ქალაქელთა დასაბურებელი. (აქ ალექსანდრომ ჩაახველა) და ამიტომაცაა იგი ჩვენთვის ესოდენ ძვირფასი, ხოლო ჩვენი პირადული ბედელის გარდა, სიბრძნის პურეული ძველ რომაელთა თვალუწვედნელი ბედელიდანაც უნდა ამოვხაზოთ.

— რით ამოვხაზოთ, მაგ შენი ქუდით? — ჰკითხა ალექსანდრომ.

მაგრამ დელილოს რატომღაც არა სწყენია, პირიქით, გახარებულმა მიუგო: — თუნდაც, პო, თუნდაც, ჩემო ალექსანდრო...

— გვიამბეთ, რაა, გვიამბეთ რაა რაიმე ძველ რომაელთა ცხოვრებიდან, — შევევდრა დელილოს მაიძა არიანამ და იმას სენიორ ჯულიო დარბაისლურად აპყვა: — ბრძანეთ, ჩვენ — გისმენთ.

— ერთ ძველ რომაელს მიმინო ჰყავდა, ფრთავაშლილი, — ევრევე დაიწყო დელილომ, — სახელს არა აქვს მნიშვნელობა...

— მიმინოს სახელს?

— არა, ძველი რომაელისას. ეს უხუცესი დიდად შრომობდა მიმინოს მოვლის საქმეში და მიმინოს სწრაფად ფრენის საქმეშიც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მანვე. ძალიან უყვარდა კობტა, პატარა მიმინო, როგორც არწივი, ისე. მიმინო მწრაფლ იჭერდა მისთვის მწყერებს, მომცრო კურდღლებს, კაცებს, და კიდევ ათასგვარ სურსათ-სანოვავებს, ხოლო როცა მიმინო სიბერის გამო ველარ იჭერდა მავნებლებს, ძველმა რომაელმა გაიფიქრა: „რაში მარგია? ამის მოვლა არ გინდა?“ და, დასუსტებულს, ყოველდღიური საყენკი დაუნიშნა, თანაც, სხვა მიმინოებს რომ გავეოთ შიბი უგულისყურობის ამბავი, აღარ მოეშახურებოდნენ მავნებელი სურსათ-სანოვავის დაკერაში და ძველი რომაელი დიდაც რომ კარგად უვლიდა ახალგაზრდა მიმინოების დასაწახად, არ გადაპყარა წყალ-

ში ხნიერი მიმინოს ამაგი, წყალუბე ტეროსში არ გადავდო.

— დიდად ამაღლებულია, სენიორ, — აღნიშნა საყულოშებნეულმა ვინსენტემ.

— და თქვენი აზრი როგორიღა, ალექსანდრო? — თავზიანად დაეკითხა დუილიო.

— ჩემი აზრი კი ისეთია, რომ ვერცერთი მტერი ვერასოდეს ვერ დაგიშავებს იმდენს, რასაც საყუთარი თავი, — გამოთქვა აზრი ალექსანდრომ და იქვე ახსნა: — რომ მჭდარიყავი შენთვის, ჩუმად, რა დაშავდებოდა... ჩინ-მენდლები ჩამოგვრთმეოდა თუ რა...

ახალგაზრდა გიემა, უგომ, ქალაში გრძელი და ვიწრო დანა იბოვა. თავისი ხის დანა ტოტზე შემოსუქუბულ ბელურას ესროლა, ააცილინა და ხის დანის ასაღებად რომ დაიხარა, გაშრა — იქვე, ორი თითის დადებზე, ნამდვილი, ალესილი დანა იღო. გაცეებული დაჰყურებდა სანტუკარ ნიგოს, აქამდე ყველა რომ უმაღავდა. ტუნები ენით აილოკა, ახალგაზრდა გიეი, უგო, ალესილ დანას მოჯადოებული დასცქეროდა. უგო ძალიან მსუქანი არ იყო, მაგრამ საოცრად ფომფლო ხორცი ჰქონდა, სახით ორმოცდაათი წლის ულამაზეს ქალს ჰგავდა, მაგრამ იმ ხნის ბიჭისთვის საზარელი იყო ასეთი სილამაზე; დიდი, ირიბი, ნაცრისფერი, გაცეებამდე მშვენიერი თვალები ჰქონდა, მაგრამ ხანდახან მზერა გაუსტერდებოდა და ბინდნარევი ყინული ჩაუდგებოდა თვალებში, მერე კი ნიკრისფერი, ავად ბრჭყვიალა თევზები თითქოს კუდს ზანტად მოიქნევენდენ და თვალის გუგოდან რომ ველარ გამოაღწევენ, გამწარებულნი აფრთხილდებოდნენ, დანას დასცქეროდა უგო.

ანა-მარია, რჩეული, უკრავდა... თავი უკან გადაეგდო, თვალები დაეხუჭა და ქუჩიდან შეჰყურებდა ფანჯარაზე აბობლებული, გამწარებული დომენიკო. პირველად ხედავდა დაკვრიას ანა-მარიას სახეს, მოღალატე ცოლს შესცქეროდა განრისხებული მგზავრი — იმას მეუფე ეფერებოდა... თავზე უსვამდა

უხილავ თითებს, ტუნზე ჰკოცნიდა, უკრავდა ქალი... ნეტარებით... თვალუბეუქული, ნეტარებისგან უხმაოდ ვენესოდა, ანა-მარია, შეამავალი მეუფესა და საკრავებს შორის, იმ დიდი შრომის დაკვრა რომ ერქვა, ჯილდოს იღებდა — თავად მეუფე ეფერებოდა, ნეტარებისგან კენესოდა ქალი... თავგადავდებულს, ყელზე ჰკოცნიდნენ, და თვითონ ქალიც ტუნებს სიხარულით აწვდიდა მეუფეს... რა დაინახა, რა, რას ხედავდა! მიწაზე დახტა, გაოგნებული, და პირველივე რაც გაიფიქრა — „ტერეზასთან... ტერეზასთან წავალ.“ მაგრამ ის აღმათ. არც მიიღებდა... და თვითონაც არა სურდა ნამდვილი ქალი, და მოიფიქრა — „ოო, კარგია, მე შენ გაჩვენებ, ლალტი როგორ უნდა...“ ხმაურით გაღებულ ფანჯრიდან კი ეძახდა: „დომენიკო, დომენიკო...“ არც შებრუნებულა, „მე შენ გიჩვენებ...“ და ტულიო აქლოშინებულმა მოძებნა, „ერთი თხევნა მაქვს...“ „რა იყო, ბრძანე...“ „გლახა ქალებში წამიყვანე რა...“ „შენ გაგახარა... ძალიან მიხდოდა, ფული თან თუ გაქვს...“ „კი, კი.“ უცნობ ქუჩაზე მიიბიჯებდა, „ხომ გადავიხდი, — ფიქრობდა მგზავრი, — შენ თუ თავად მეუფეს მანაცვალე, მე გლახა ქალებში გაცველი...“ საბოლოო შევიდნენ, „აბა, შეშხუნა! — შესძახა ტულიომ, — ჩქარა, ორნი ვართ.“ და ორი ქალი გამოვიდა, „იცნობდე, დომენიკო, ყველაზე კარგი გლახა ქალებია — ლაურა და ტანგო.“ ლაურამ თვალები ააუხუჭუნა, სტუმრებს გულიანად გაუღიმა და უცებ მოიფყინა, ფიქრებში წავიდა, მერე ისევ გაიღიმა, ტანგო კი მალაღფარდოვნად წრუპავდა სასმელს.

— რომელი გირჩენია, პა! — მუხლზე დაარტყა ხელი ტულიომ.

ტანგო რაღაცნაირად ამაყი იყო, ისევ ლაურა ერჩინა — უფრო გლახა გლახა ქალი.

— ეს...

— კი ბატონო, — თქვა ტულიომ.

— მე? — იკითხა გახარებულმა ლა-

ურამ, გაუღიმა და ისევ გაგულგრილდა. დომენიკო მორცხვად იჭდა. ტულის კი, აჰ — თვეზი წყალში, „ყოჩაღ, დომენიკო“, შეაქო და სიმღერა დასძახა:

კარგი ქალი ლაურა,  
ჩიმ-ჩაირა-ჩაირა!  
ყველაზე კარგი გლახა ქალი  
ლაურა,

ჩიმ-ჩაირა, ჩაირა,  
პატ!  
ტამი!

და მეტე, ლაურასთან დამარტოხელებული რომ იჭდა მგზავრი, და რომ აღარ იცოდა რა ექნა, როგორ დაეწყოს, ქალი განაწყენდა და თქვა:

— შენ მე უსაქმო ხომ არა გგონიერ, ვილაცა ხარ... — სიფრიფანა ხალათი ეცვა მხოლოდ.

ახალგაზრდა გიჟს. უგოს, ბალიშის ქვეშ ხელშეყოფილს ეძინა. ბალიშის ქვეშ გრძელი, ვიწრო, ნამდვილი დანა ეგულებოდა.

და ღამის დარაჯმა, ლუბოლდინომ მორცხვად რომ დაიძახა — „ღა-ამის სამი საათია და ყველაფერი რიგზეაა,“ დომენიკო აგურის სახლში მზრებამურული, დარცხვნილი დაბრუნდა. ტახტზე იჭდა ანა-მარია, და ტანსაცმლიანს ჩასძინებოდა, და დომენიკომ თუმცა ფრთხილად შეაღო კარი, მაშინვე თვალი გაახილა, წამოდგა და ქმრისკენ გამოემართა. რა ქალი იყო, შველს როგორ ჰგავდა... და დომენიკოს შემოსვია ხელი, ლოყაზე აკოცა. პირველი არასოდეს აკოცებდა ხოლმე, და მაინცდამაინც ახლა, გაბინძურებულს, თავით-ფეხამდე გაყდენილს ლაურათი, ლოყებზე და შუბლზე ჰკოცნიდა, ბავშვს რომ აკოცებენ, ისე...

— უგუნურებო, ყური დამიგდეთ, — დილაადრიან ბობოქრობდა ალექსანდრო, — ეჰ, თქვენ რა იცით ქიდილის ფასი, ეს გონიერი, გრძელი ქიდილი, თავისი მიღწევებითა და ჩაეარდნებით, ო, ეს ქიდილი თუ იცით, რაა... ბევრგან ყოფილხართ? რა მოგივლიათ... თქვენ არც კი იცით, რომ იმ ქვეყნებში, სადაც

მიწასთან არავითარი ბრძოლა არაა, საჭირო — არც მოარწყვა, არც დამუშავება, იცით, იქ როგორი ზარბაძე, არხინი და ამიტომაც გონებაჩლუნგი ხალხი ცხოვრობს? და ის ქვეყნები თუ გინახავთ, სადაც თითქმის არაფერი ხარობს და საზრდოსათვის დღეღამე შრომობენ და იმ მიწაზე გაზრდილნი — მკაცრი და თავისთავში ჩაყვრილი ადამიანები თუ გინახავთ... მაგრამ ისე ესა სჯობს, ადამიანებო, წარმოიდგინეთ... ახლა კი კარგად დამიგდეთ ყური — კალაბრიაში ხომ თავსაყრელად აქვთ ხორცი და ფული, და რაოცა მოესურვებთ, მუდამ იყიდიან ნებისმიერ ხილს, მაგრამ შრომობენ, მაინც ზედმეტად შრომობენ, რადგან თავიანთი ხილი უნდათ — კალაბრიაში ხე არის ერთი, პატარა, სურნელოვანი ნაყოფი აქვს, დეკემბრის დამდეგს მწიფდება მხოლოდ, დიდხანს მწიფდება და პაპას ხილს ეძახიან კალაბრიელები. სანამ იმ ხეს დარგავენ, რკინის გრძელი, წაწვეტებული იარაღით ამტვრევენ კლდოვან მიწას, ღონივრად ურტყამენ, ზარავენ, აქუცმაცებენ ლოდს, გააქვთ, და პეშვით აჭრავენ ლოდს, ნერგს რომ ჩაატანონ. მეტე კი, ადამიანებო, შორიდან ეზიდებიან წყალს და ფრთხილად უსხამენ, ფაქიზად რწყავენ, წყალმა მიწა რომ არ გაყოლოს, ასე მწიფდება პატარა, სურნელოვანი ნაყოფი — პაპას ხილი. იმ ხილს სხვაგან ვერ წაიღებენ, ვერ გაყიდიან, იმ ხილს მომყვანი ვერა, ვერასდროს გაყიდის იმ პაწია ნაყოფს, იმდენი შრომისას და ნაჯფოსას, ადამიანებო, აბრძანდით ერთხელ კალაბრიაში, იმათ უყურეთ, და მცირე მზეში დამწიფებული ის ხილიც იგემეთ, გეთაყვათ და ეგებ თავადაც ისწავლოთ იმ ხის მოყვანა, და რაც არ უნდა გაგიჩნდეთ, ის პაპას ხილი გახსოვდეთ მუდამ — იმ ძნელ ხეს სულში ამოყვანა უნდა, ადამიანებო, თქვენს კლდოვან სულში — და გაკვირვებულ ლამაზ — ქალაქელებს დაემუქრა, — პაპას ხილივით მოგიყვანთ ბოლოს!

უგო ქუჩებში დაიარებოდა, პერანგის ქვეშ ხელშეყოფილი, მკერდზე მიეხუტებინა დანა. ცივი კი იყო, მაგრამ ქრუანტელს ჰგვრიდა და ქრუანტელი ისე ათბობდა... მოსეირნებებს აკვირდებოდა, „ამას? ხომ არ... ა?“ აღელვებულ ალექსანდროს შეავლო თვალი, არა, არა, გაგულისებული გახლდათ... ჯუზეპეს, კუნთებდაბერილს? შიგ ყელში, ყელში... არა, კატასავით მიახრჩობდა ჯუზეპე. და ანტონიოს, ძროხისთვალეზს? არა, ვინსენტეს ახლდა, ორნი იყვნენ... ახლა, საქმე საქმეზე რომ მიდგა, ყველაფრის აწონ-დაწონა სურდა, მაგრამ ჩაებულჯა ნამდვილი დანა, შეკრთა — ისიც ხომ არ იდგა იქ, უცნობი მგზავრი, ვისაც რატომღაც ერიდებოდა — არა, არ ჩანდა.. და, დუილიოს? პირდაპირ მუცელში... არა, არა, მთელი ხალხი დაესეოდა, დუილიო ხომ კერპი გახლდათ და დარბაისელ სენიორ ჯულიოს? არა, დუილიოსთან ამხანაგობდა და დინოს? აჰ, ვერა, ვერა, ცქვიტი იყო, მოქნილი, სწრაფი, და არტუროს ხომ... მთავარ ოთახში დაწრიალებდა დომენიკო.

არა, არა, არტუროს არა, ნათესაობა ეხვია და ის მოხუცი? არა, აჰ, არა, შეილები ჰყავდა, ნორჩ ჯანჯაკომოს? არა და არა, იგივე ნათესაობა იმასაც ჰყავდა და მამიდა არიანას, იმ გაღვდილ, შემქნარ მკერდში? არა, არავინ აპატიებდა სახელოვან კარრასკოთა ჩამომავლის სიკე... და კუმეო რომ... არა, ერთგული ცოლი შურს იძიებდა და თვით ცოლი რომ... არა, ისიც ხომ კარრასკოთა ჩამომავალი იყო, და ტულიო ხომ არ...

შეშფოთებული დასცქეროდა საკრავებს დომენიკო.

არა, ტულიოს არა, მთელი ქალაქის რჩეული ჰაბუკი იყო, და რომელიმე უპატრონო გლახა ქალი? არა, არა, დროებითი პატრონები იმთავაც ჰყავდათ, ქუჩას გაუყვა დანის სიცივით გამთბარი უგო — ფეხისწვერებზე მიაბიჯებდა, და გრძლად, ვაბმულად ისრუტებდა დაბერილი ნესტოებით ჰაერს, და ცილიო

რომ... არა, იმისი ძმაბიძებმა არა... შეარჩენდნენ, და ედმონდო რომ... ხელმოცარული ამხანაგთმამიბებელი! მაგრამ ის ხომ უკვე მიწაში იწვა და პატრიცია? სასაცილო ქალი... არა, იმასაც ვრცელი ნათესაობა ჰყავდა, და არტუროს თანაშემწე, კვამლით აცრემლებული კაცი? არა, იმას ერთთავად შამფური ეკავა, და დამის დარაჯი, ლეობოლდინო? დამით კობტად დადარაჯება, მაგრამ ის ისეთი ფრთხილი იყო, და იმისი მოკვლაც რაში არგოდა — დიდი ამბავი, დამით მაინც ვერაფერს დაინახავდა — როგორ გაიკრუნჩხებოდა, და როგორ დაღვრიდა სისხლს, და ტერეზა? ლამაზი იყო, და მეტი გემო ექნებოდა იმის წივილკივილს, მაგრამ არა, არა, ის ხომ არც დაიკვლებდა და ყოჩალი იყო, ვაითუ სულაც წაერთმია დანა, და სერვილიო? აჰ, არა, არა, საშიში გახლდათ, კამორაში დაიარებოდა, იქით ჩასცემდა დანას კისერში და ვინმე მოხუცი? ვთქვათ...

და წყაროსთან დარჩენილ სალამურში პაწაწკინტელა, წვრილი გველი შეეცოცდა — ირკოლა ჩი... სატუჩეში გაიტრუნა, ისედაც ციკენა, ორად მოიკეცა და კული ამოიღო თავქვეშ, და გველის თვალეზი მიმოაჯურა ხერხელს... მაგრამ რესა დამნაშავე იყო...

ხალხიან ქუჩას გაერიდა უგო, იქ ბევრნი იყვნენ... წყნარი, დაკლავნილი ქუჩა ამოირჩია, მოსახვევთან დადგა, გაიტრუნა... მომლოდინე, ფრთხილად სუნთქვასა ცდილობდა, მაგრამ ისე უცემდა გული...

შორიახლოს, სამი ქუჩის იქით, ანა-მარიას მომცრო კალათით საუბზე მიჰქონდა. გაოცებული, გაბარებულო, შეშინებული, ახალ, სულ სხვაგვარ ხმას უგდებდა ყურს — გულის ქვეშ ბავშვი ეკაკუნებდა...

და ნაპოვნი სალამური უბეში ჩაიღორესამ, არზენინი სტვენა-სტვენით გაეშურა შინისაკენ. სქელი პერანგი ეცვა და თავის ემს უცდიდა გველი... მაგრამ რესა დამნაშავე იყო. აჰ კი კედელს აკვროდა უგო, მკერდზე მიეხუტებინა

მზნინავი დანა, ნაბიჯების ხმა ისმოდა თითქოს... ვაოგნებულნი დომენიკო ამოდ შეეხო სიმებს — რომელი ერთი არა სცადა და, ვერცერთს გააღებინა ხმა... „უბა მუშ ნუგალამ გიორ ნუგალამ, მღეროდა ბრვე მეომარი და წინამძღოლი იქმუნებოდა, ქუჩად მიდიოდა დამფრთხალი ქალი, ანა-მარია, მეუღის ტოლი — თავის ოთახში, მაგრამ აჲ, გარეთ, სუსტი, უმწერო და დაბნეული, თან ეს კაცუნნი... ისეთი წმინდა... მოსახვევში იდგა უგო, სუნთქვაშეკრული, ირგვლივ კი სისხლის სუნი იდგა — ისეთი მწკლარტე... მომღერალმა კი, რესამ, სალამური მიიღო პირზე, და ზანტად, ცივად აელდა გველი, პაწია ტანი გაშალა, პაწაწკინტელა კედლით დაეყრდნო აელერებულ ხეს, და — დნავ მოიკაღა, „ო — ორშაბათობით ამქნდა ციხე-ქალაქი მთაზედა, ჰეე, ჰეე შემოივლო გლანად ცა დაიხურა თავზედა, ჰეე, ჰეე...“ — არხინად მღეროდა რესა, მაგრამ ის დამნაშავე იყო. მეორე ქუჩაზე შობიკებდა ქალი, ამოდ კენკავდა სიმებს შინდარჩენილი დომენიკო... და მტაცებელი მცენარეები, აფართხლებულ მწერებს რომ ნთქედნენ, „გიორ ნუგალამ, ურმახ ნუგალამ...“ „შენისთანა სავსე ქალი უნდა ჩავიდოო ხელშია, ნეტავი ტუჩით შემახო შენ რომ ძეძუ გაქვს მკერდშია, ჰეე...“ — დაამღერა რესამ და ისევ იტუცა პირში სალამური, მაგრამ ის დამნაშავე იყო, და დამნაშავევე იყო წინამძღოლი, ვაფითრებული, წვიმიდავწყებულნი, კარავში წრიალებდა, და მთავარ ოთახში წრიალებდა დომენიკო, რად არ ესმოდა სიმების ქდერა, ეგებ — დაყრუვდა, და ფეხი დაკრა იატაკს, მკაფიოდ ჩაესმა ბრაგუნა, და კაობებში მტაცებელი მცენარეები იღგნენ, მიამიტ მწერთა მოლოდინში, და თართოდა უგო, ფრთხილ ნაბიჯთა ხმით აართოლებული, სისხლი ესმოდათ მისი თვალების ბინადართ — თუჯებს, ღონემოცემულნი, ახალის ძალით რომ იკლაკნებოდნენ, და გამწარებულმა დო-

მენიკომ ისე ღონივრად ამოსწია სიმი, რომ გაწყვიტა და ახალა მუცქმე ვანაწირული, მამზლარა ხმა, და ქუჩამშტკავარდა, მოშორებით კი პირისპირ შეჩეხილი, შევლივით ქალის დამფრთხალ, უმწერო თვალთა ყურებით უგო, ახალგაზრდა გიგი, ძალას იკრფდა, და მამის ფრხთით დაეცა გამწვანებული რესა, მაგრამ ის — დამნაშავე იყო, „ოდეს გველი არ იყო, მო-თრეილი არ იყო“, თავის ენაზე ღრიალებდა ბრვე, ზორბა ბეონარი, შეწყნარებას ივედრებოდა დიდი, ღამაზე, ირიბად ახლერილი თვალებით ანა-მარია, მაგრამ გულმოცემულმა უგომ, თექვსმეტი წლის ურჩმა, მადლა შემართა ხელი, და გაახსენდა — „გული ზურგიდან უფრო ახლოა,“ ზურგსუჯან მოუარა, და ანა-მარია, აკაცუნებულნი ბავშვით, ვერც შეირხა და საუბშიანი კალათი ვაუვარდა მხოლოდ და თვალს ნუ დახუკავთ, ვიცი, ძნელია, ძალიან ძნელი, მაგრამ ჩვენ, ორმა, ღამა-ქალაქში სალახანებად წოდებულმა ორმა უხილავმა მაწანწალამ, ხომ ვიცით, ვიცით, ყოველი ვიცით, რა ღრმად შეისუნთქა მწკლარტე პაერი ხელემემართულმა უგუნურმა, უგომ, და რა ღონივრად ჩასცა ორივე ხელათ ნაპოენი დანა... ნამდვილი დანა, მარცხენა ბეჭში... და იქაურობას სასწრაფოდ გაცალა, ოღონდ დროდადრო უჯან იხედებოდა, და ერთხელაც რომ მიიხედა, თავმობრუნებული, ვილაცას დაეტაკა გზად, განრისხებულმა ახედა და შეკრთა — დომენიკო იყო... და, ერთმანეთს რომ გაოცებულნი შესცქეროდნენ, იქით, სამი ქუჩით იქით, ანა-მარიამ სული დალია... და შემორწუნებული უგო რომ გაცალა, დომენიკომ ვაფიქრა, „რად მერადება, ნეტავ,“ — და ისიც გაიქცა, ოღონდ ანა-მარიასავე, და პირქვე ნახობილს რომ გადააწყდა, და გულაღმა რომ გადმოატრიალა ეს ყველაზე დიდი, დადუმებული სიმი, გაშრა:

სულ სხვისა იყო!



## უსვო ქალაქისკან, გზად...

ისევე თქვენა ხართ? შეწუხებული... ერთი მეც მკითხეთ... და მაინც, მოდით, ჩამვიდეთ ეგ უნდო ხელი და ლამაზ-ქალაქი მიმოვიაროთ — ჩქარა დავტოვებთ, უბედურ მგზავრს ავედევნებით. ყველადაყრილი მომცრო გორაკი, ქალაქის განაპირას, ტყესთან... ლოგინზე პირქვე დამხობილი დომენიკო, და მის თავითი დაყუდებული, სიკეთითა და თანაგრძნობით უნებურად დამნაშავე ხალხი — მარტოობა უყვარს გლოვას. გულაჩუყებულნი, მხარზე აღებდნენ ხელს, იმას კი ბალიშში ჩაერგო თავი... ანა-მარიას თმის შორეული, მოთიბული სუნი... მიწაში იწვა! იქ რა უნდოდა! მთელი სიცხადით — რაც მოხდა... მოხდა მერე ბურუსი და დამბრმავებელი ვილაციის ხელი, „რა უბედურებაა, აბ,“ „საბრალო ქალი...“ აუარება ყვევილის სუნი, ანა-მარიას თმას რომ ახშობდა, და ისევე სხვისი „აბ,“ სხვისი „ეგბ,“ გულწრფელად სწუხდნენ ორიოდ დღით ამადლებული ლამაზ-ქალაქელები, მაგრამ ჭეშმარიტი გლოვა მაინც სხვა იყო — თანმყოფენი არ ერია... ყველაზე დიდი უბედურება — ხმოვნება, სად „უხხხ, ახხ,“ და სად გამწარებული სულის დრიალი — იაიათოოოო... ეგდო, გლოვობდა. ვინ რა იცოდა, როგორ უყვარდა... და თუმცა ერთხელაც არ მოსვლია აზრად თავის მოკვლა — მაინც სოფლიდან გახლდათ ჩამოსული, იქ კი კლდესავით გლოვა იცოდნენ — სხვისი ხელიდან სიკვდილი მაინც ძალიან სურდა...

და თვაზაკთა ქალაქში გადაწყვიტა წასვლა — კამორა...

არტურომ პირი დაბანინა, ჭიშკართან იცდიდა ლანდო. ქალაში უნდა მისულიყო, გადაჭრილ ხესთან. ახალი ტომარა მოატანინა ჯანჯაკომოს, შებინდებდას უცდიდა, რადგან არავის დანახვა არ შეეძლო. ფული თავისთვის არცა სურდა, მაგრამ იცოდა, დრაპკა-

ნებისთვის უფრო ადვილად რომ მოკლავდნენ — ეგბ, ისევე თავისთვის უნდოდა ფული... როგორც ვქნა, დაბნეულა, მაგრამ ოთახში ალექსანდრომ შემოაბოტა — მეორე გიფი... თო, გამწარდა:

— არა მკალია!

— ყური დამიგდე, დომენიკო, — თქვა ალექსანდრომ და მიუახლოვდა. — ერთი საათი მაინც მოგაგებინე და დამითმე, რა იქნება ხუთიოდ წუთი...

— რა ერთი საათი...

— აი, შენი დრაპკანები მოგიტანე...

— და თქვენ... იცოდით?

— რაღა თქმა უნდა.

— და არ აიღეთ?

— მგლოვიარედ რომ არ იყო, სილას გაგაწინავდი, — უთხრა ალექსანდრომ, — რანაირიღა შეურაცხყოფა არ მიმიღია, მაგრამ ასეთი? არასდროს, არა... ყური დამიგდე. გადაჭრილ ხესთან ათასი დრაპკანი დავტოვე, აუცილებლად დაგპირდება, ოღონდ მერე, ესენი რომ შემოგეხარება — აქ ოთხი ათას რეასამდღა ნუ გეწყინება, შენი საიდუმლოებები რომ ვიცი — რი ვქნა, სუყველას ვაგვირდებოდით... და ასეც განავაგრძობ. ისიც ვიცი, კამორაში რომ გინდა წისკლა. იმსაც ვხედები, რატომ...

— თქვენ... — აირია დომენიკო, — თქვენ... გიფი არ ხართ?

— არა, გაგიედი? — გაელიმა ალექსანდროს, — არა, ზედმეტად დალაგებულნი ხანდახან ასეც გამოვიყურებით. თავის ქებაში არ ჩამომართვა, რადგან ჩემი დამსახურება არაა ეს — უბრალოდ, ასეთი გავჩნდი, ახლა — საქმეზე... მე ერთი ძმა მყავს — შეიძლება გახსოვდეს, ერთხელ გაიამე — თერთმეტი წლის მკვლელი. ახლა ის შუახანს გადაცილებული კაცია, მაგრამ ასაკს ვერ გაუგებ — არიან ხოლმე ასეთები. ყური დამიგდე — მე და ჩემი ძმა სწორედ ერთ საქმეს ვემსახურებით, თუ გახსოვს — კაქტუსს... მაგრამ მე თუ საჭიროებისდამიხედვით აყრანტალებული და დასაციინი ვარ —

ასეა ამ ქალაქში საჭირო — ის, ოო, ის — შენიღბულია, და მერე როგორ, უნდა მაპატიო, დომენიკო, ვერ გეტყვი იმის სახელს... მაგრამ იცოდე, უჩინარ მხსნელად გეყოლება. და უკვე იცის, იქ რომ მიდიხარ. ამ ქალაქიდან კამორაში მხოლოდ ორსა გვაქვს ფართული კავშირი — დუილიოს და მე. ოლონდ იმას — გარეწრული... გარეწარი ზომ იცი, რასაცა ნიშნავს...

— ვიცი.

— ყური დამიგდე. თავს ტყუილად ნუ შეიწუხებ, მიინც ვერ გაიგებ, ჩემი ძმა რომელია. თვით ეგრეთწოდებულ „დიდ მარშალში“ — ედმონდო ბეტანკურშიაც კი შეიძლება შეგებაროს ეჭვი, იმის ძმობას კი ვერც გაივლებ გულში, რადგან ადვილი შესაძლებელია, საერთოდ ვერც გაიცნო. ბევრნაირი ავაზაკი შეგზვდება, მაგრამ ვიმედოვნებ, გადარჩები და დიდებულ ქალაქს — კანუდოსსაც ნახავ.

თვალეში უყურებდა.

— და ის ჩაფლული ათასი დრაკონი იქ დაგჭირდება. კარგი საქმისთვის. თუ დაიღუპები — მე მოვამხარ იმ საქმეს, აქამდე ცომი იყავ, დომენიკო, არ გეწყინოს კი და კამორაშიც ცომი იქნები, ოო, დავზილავენ... და მხოლოდ კანუდოსში თუ მიხვდები რაიმეს და, ბოლო-ბოლო, შეიძლება გამოცხვე კიდევ. ახლა კი, არტურო მოგიცილის ალბათ ნახევარ საათს, წამო, ერთ ამბავს მოგასმენინებ...

კრავივით გაპყვა.

— ახლოს ნუ მოხვალ, ამ ხეს ამოეფარე, — წასჩურჩულა ალექსანდრომ, — მგლოვიარედ ხარ და შენი მოერიდებათ, თამამად ვერ ილაპარაკებენ... — და კოკონს მიაშურა, — ოო, ადამიანებს გაუმარჯოს, ადამიანებს, რასა იქთ, ადამიანებო?

— ოჰ, მოვიდა მშვიდობის მაძიებელი, — მხიარულად შესძახა კოკონთან მოკალათებულმა ტულიომ, — ისე, ესაუბრობთ...

— საუბრობთ თორემ, თქვენც ძველ ენაზე არ ილაპარაკოთ.

— რა ძველი ენა, გიყთა ოხერი? — გაიკვირვა საყულოგადღილმა ვინსენტემ.

— ძველი ენა კარგი და საფუძვლიან-მართებული რომ ყოფილიყო, არ დაძველდებოდა, — აღნიშნა დუილიომ, როგორიც იყო.

— ვითომ რატომ, — შეებასუხა ალექსანდრო, — რითია ცუდი, მაგალითად... ეე... — მამასა ვისმე ესხნეს ორ ძე...

— ესხნეს არა ფლავი... — შეაწყვეტინა ვინსენტემ.

— თქვენ როგორ იტყოდით, დუილიო.

— მამას ორი შვილი ჰყავდა. დიხაც, რომ.

— და, ამას? — და ჰქუთა უმრწემესმან მან მამასა თვისსა: მამო, მომეც შე, რომელი მხუდების ნაწილი სამკვიდრებელისაჲ. და განუყო მათ საცხოვრებელი იგი.

— ამის თქმას რა უნდა — თავისი წილი გაიტანა.

— ვითომ?

— ოლონდაც, ოლონდაც, — აღნიშნა ახლად საყულოშებნეულმა ვინსენტემ და მოყვარული ცოლისძმის — ანტონიოს ალერსიან გამოხედვაზე შეიჭმუხნა.

— კაცო, რათ ვინდა ამდენი ჰაი მამა ყვანდა, ჰაი შვილი ერთიორი ყვანდა, იქნებ საქმე-საქმეზე სულაც არა ყვანდა? — დაეჭვდა კაცი, რომელიც გრამატიკაში მოიკოტლებდა — ვერა, ვეღარ იხილავდა გრამატიკის სიღრმეებს — უკვე ხანშიშესული იყო.

ალექსანდრო გამოტრიალდა, წყნარად აედევნა დომენიკო.

— რაღაც ჩამიეარდა თვალში.

— აბა, მაჩვენე.

ბნელოდა. თავი მთვარისკენ შეუბრუნა, ქუთუთოები გადაუწია, ღრმად ჩახედა თვალში, და ფრთხილად, გამოზოგილი სიამოვნებით ჩაპბერა სული.

— თუ გავიარა.

— კი.

და უცებ... საკვირველებაც, სილა გაწაწა.

— გავიციდი? თუ რა... —

— არა, დომენიკო, ასე იყო საჭირო... მამაკაცი, — და თავზე აკოცა, — აბა, შენ იცი... და ძველ ამბებსაც ნუ შევიძულებთ, არის რაღაც სათნო, რაღაცა კარგი, უბრალოდ რომ ვთქვათ... ჩემი ძმაც გახსოვდეს, — და დომილით დაამატა, — კაქტუსოვანი... მე — გაყიდული სიკეთე ვარ, იმან კი სულ სხვა გზა აირჩია — შენიღბულია, და მერე როგორ... არტურო ქალაქიდან ორიოდ საათის სავალზე ჩამოგვყავს, რა თქმა უნდა, დამით. უფრო ახლოს შიშით ვერ მივა, გამობრუნდება, ვერც ვამბტყუნებ... მიმოიხედე, და ჩამუჭებულ მთისკენ იარე — კამორა შორიდან ასე მოჩანს დამით... ნუ შეგეშინდება, შედი — ჩემმა ძმამ უკვე ყველაფერი იცის... ალბათ ვერც დაინახავ, მაგრამ ნუ გეშინია. ჩემად გიპატრონებს... — შეჩერდა, სათქმელი ენაზე ადგა, მაგრამ უჭირდა, თავი დხარა, — და, მამაკაცი, დომენიკო, ანა-მარია უნდა ვახსენო — იდარდე, იგლოვე, რამდენიც გინდა, მაგრამ ისიც იცოდე, ბევრს არ უცოცხლია ქვეყნად ისე ფაქიზად, და იმ სიმართლით... და ვითომ... ვითომ, უბედურია? ეეჰ, სიდრმეები... აბა შენ იცი, წადი.

... და კიდევ ერთხელ აკოცა თავზე.

### სულ სხვა ქალაქი

სიბნელეში, ავად ჩამოღვრილ მღუმარებაში ყველაფერი ერთიანებად თითქოს, სახლებს ვერ არჩევდა კამორაში შუალამით შეპარული მგზავრი. კედელ-კედელ იარა ერთხანს, ხელის ფათურით მიჰყვებოდა ყრულ, მაგრად ჩარაზულ სახლებსა და ჭიშკრებს... — სიკვდილს ეძებდა ავაზაკთა ქალაქში მგზავრი. მერე შეჩერდა, კედელს მიკრული, — ცახცახებდა — ღრაკანებით სავსე ტომრით ხელში, უცხო ქალაქში სიკვდილი სურდა, და სიოცრად ფრთხილი, უხმაურო სირბილით უახლოვდებოდა ვიღაც ტომარა დეფვარ-

და, თვალი დახუჭა, ის კი, შავად მოკუნტული უცხო, მივირდა და უფრო დიდი ტომარა მიანიჭა, სხვადასხვა მთა მთა ხარ, პალე, შენ იქით გაიქეცი, მე აქეთ გავიქეცი, კვალს ვერ აღვებენ, პალე, ოთხი შვილი მყავს; ამასაც შვილივით ვუვლიდი... — და გაიქცა. გელოვებული დომენიკო პირველად ხელოვნურად ჩაებლუჯა და პირდაღებული დასცქეროდა, სანამ ხელს სტაცებდნენ — ახტუნავებული ტომარა გამოგლიჯეს, „ოთო, ხალე, მიდი აქ, ხალე, აბა ერთი მიიანათეთ, ოჰო! აქაურს არ ჰგავს, წამო ბიძია, წამოდი ხალე, ესეც შენია?“ ღრაკანებთან ტომარას გაჰკრა ფეხი. მოჩვენებებს ჰგავდნენ — ხის შავად შეღებილი მოსასხამები წამოეხურათ, საკვირველებაც, და ხისავე ქულები ეხურათ, სახეზეც — ხის ნიღაბი, თვალებთან და პირთან ოღნავ, წვრილად გაჭრილი. „წამოიდე ეგ პატარაც, ხალე...“ დავუღული, სისინა ხმები გამოდიოდა ნიღბებიდან, ფეხშიშველანი იყვნენ, დომენიკოსაც გახადეს მაღალი ჩექმა, სადღაც მიარბენინებდნენ, მოსახვევთან ჩერდებოდნენ, ნიღაბის ქვეშ შეიყოფდნენ საყვირს, წყვეტილად ჩაპბრავდნენ. მერე ისევ მიარბენინებდნენ, ახალ მოსახვევამდე, ჩაპბრავდნენ... ძალიან უცნაურად დააკაუნეს, სადღაც შეიყვანეს. ფარნები ენთო, რბილ ტახტრეფანზე მხარ-თემოზე წამოგორებულყო ვიღაც. მოქნარებაატხილი, მოწყენილი კაცი, და თვალეში რომ შეხედა, დომენიკო კინალამ ჩაიკეცა — აქეთ ხოლმე ხანდახან ასეთი თვალეში... შესულებმა ხის ნიღბები მოიხსნეს, მოსასხამებიც კეთხეში მიიყუდეს და მარწყუებით გულგრილად ამოაძრეს ხიდან წვრილი დანები. „ვიანა?“ — უგულოდ იკითხა წამოწყობილი. „სასიკვდილეა, — მიუგეს, — აი, ეს დავუჭირეთ ხელში, — ახტუნავებულ ტომარას გაჰკრეს ფეხი, — თანაც, აქაური არ უნდა იყოს...“ „კარგად ყოფილა ჩვენი საქმე, უცხოებმაც

თუ დაიწყეს ღამით ბოდილი. თანაც, ამით... აბა, გახსენი." რაები ხდებოდა, იმ ახტუნავებული ტომრიდან პირაყრული კატა ამოიყვანეს. „ბრჭყალებიანია, ხომ?" „აუჰ, სულ ჭინგებინათა აქვს, ჰალე... ოთხინია." „აქაური არა ხარ, ბიჭო?" „არა." „და... — აქ კი კაცი წამოღდა და უცებ თავიზიანად ჰკითხა — და ნათესავი ხომ არ გყავთ ვინმე ზედა უბანში, პატივცემულო?" „არა." „სულ-სულ არაინ, ჰალე?" „არა." „და დავალება ხომ არ გაქვთ რამე, პატივცემულო, ა, ჰალე?" „არა." „აბა რაღას მოგყავდათ, — თქვა კაცმა და ისევ წამოწვა, — წაიყვანეთ, წაიყვანეთ, ოღონდ ცოტა შორს გამოქვით ყელი... ჩემი ღილი მაინც ვერ იპოვეთ; ხომ?" „ვერა, ჰალე... ხევში ჩავაგდოთ მერე?" „საცა გინდათ იქ ჩავაგდოთ... კარგად ვერ ეძებთ ალბათ." „ნამდვილად კარგად ეძებთ, ჰალე, ტანსაცმელი გვახალთ, თუ..." „რა ვიცი, რა იცვია... ეგებ ამ ტახტის ქვეშ შევარდა." „მიანდ ვნახეთ, როგორ არ ვნახეთ, ჰალე..." და დომენიკოს ფარანი მიანათეს, — „უიმე, ჰალე, მშვენიერი კარგი ტანსაცმელი იცვია, ჰალე..." „მართლა? — დაეჭვდა კაცი, — კარგია... და იმ ტომარაში რა აქვს..." „ჭერ არ ვიცი, ჰალე..." „ჩახედე აბა, ჩიჩიო..." ყველაზე დაბალმა კამორელმა კონტად, წამში გახსნა ყულფი, ტომარაში ჩაიხედა, ჩააქვრდა, თითებიც შეავლო და გაშრა — „დრაჰკანებია, ჰალე!" „რას ამბობ, ჩიჩიო..." — დაიბნა კაცი, ფრთხილად გადადგა ორიოდ ნაბიჯი, ტომარას პირი გაუფართოვა, და ჩახედა... „გვაპატიეთ, სენიორ..." — მუხლებზე იღვია.

და დომენიკო მაშინვე მიხვდა, რომ კუდამოძებებული სიკვდილი მაგრად ჩარახული ოთახიდან საღდაც სხვაგან წავიდა.

— გვაპატიეთ, სენიორ, — უთხრა მუხლმოდრეკილმა, — მაპატიეთ, გვაპატიეთ, რას ვიფიქრებდი... თქვენ ისე უბრალოდ გეჭირათ თავი, მაპატიებთ, ხომ?

8. „მნათობი", № 2.

დომენიკოს დანა პირს არ უხსნიდა.

— რამდენია, სენიორ?

— ოთხი ათას რეალსამდე...

— რა-აო? ოთხი ათას რეალსავერ

ილდეგრძელეთ, ჰალე, — და უნებართვოდ წამოღდა, მუხლისთავები დაიფერთხა, — ალბათ მარშალის ბრძანდებით რამე... დიდი მარშალის, ესე იგი...

უძირახად იღვა.

— ეს კატინი ტომარა... მართლა თქვენი იყო?

— არა.

— აბა?

— სხვამ შემომარჩია.

— და გამოართვით? აუჰ, ვეკაცი ესა ყოფილა, ჩიჩიო, ა? როგორ აუღია თავის თავზე ამოდენა დანაშაული, მაგრამ მარშალის ნათესავი იქნება და... რა გენადვლებათ, არა, ჰალე? — აღერსიანად დაეკითხა, — უმოსასხამოდ მაინც რამ ვაგაბედინათ, ჰალე...

ხმა არ გაუცია. აქ, ამ ავაზაკებში, უცებ ანა-მარია გაახსენდა, ელდა ეცა და ერთხანს დააპირა ყველაფერი ეთქვა, მაგრამ გადაიფიქრა — ხორცი ტკბილია.

— ბინა თუ გაქვთ შეპირებული, ჰალე?

— არა.

— გადი გააცილე ბიჭო... შენ გეუბნები, ჩიჩიო... ჩემსას მიიყვანე, თუმც, არა, არ მელოდებიან, მორიგე მყავს მარჯვე... რა ვქნა... სკარპიოზოსთან მიიყვანე, პო! — გაეხარდა, — ამიღამ მიცდის. მეხუთენაირად დაუეკუნე, გესმის? კარგი მოსასხამი ააფარე, ქუდიც, ნიღაბიც... ერთი წყალი დამალევიანე, ჩიჩიო... — მოწყურებოდა, აღამიანი იყოს ისიც, — მეხუთენაირად, ხომ გესმის...

— აბა არ მესმის, ჰალე?

ისევ კელღებს მიუყვებოდნენ. დაბალი ჩიჩიო — წინ, ის კი, ხმელი, მაღალი, კვალდაკვალ მისდევდა. ორი ნიღბოსანი მიიძურწყებოდა ღამეულ კამორაში. „აუჰ, მარშალის სახელი დამავიწყდა, თქვენ ხომ არ გახსოვთ?" —

პკითხა ჩიჩიომ. „არა.“ „რამ დამავე-  
წყა, — მოისმოდა ნიღბიდან დაგუღუ-  
ლი, სისინა ხმა, — იმას და პოლოკო-  
ნიკ სეზაჩს ერთიდაიგივე სახელი არ  
ჰქვიათ, ჰალე?“ „არ ვიცი“. „როგორ  
— არცერთს არ იცნობთ, ჰალე?“ ხმა  
აღარ გასცა დომენიკომ.

მიდიოდნენ და ჩქამიც არ ისმოდა —  
ფეხშიშველნი იყვნენ, დომენიკოს ჩექ-  
მები ხის მოსასხამის ქვეშ, ილღიაში  
ამოედო მეგზურს — პატრისა სცემდა.

— ეს კატა რას ნიშნავს...  
— აუჰ, ვეგე არ იცი, ჰალე?  
— არა.  
— არავენ გაგვიგოს და... ყურში  
გეტყვი, ჰალე...

და, საიდუმლოდ რომ გადაიხარა,  
დამალმა კამორელმა დომენიკოს უეც-  
რად ხის მოსასხამი გადაუგდო და მუც-  
ლისკენ გაუქანა დანიანი ხელი, მაგრამ  
დომენიკოს ზურგსუკან ვიღაცამ მარჯ-  
ვედ წაართყა ჩიჩიოს მაჯაში დანა.

— აუუჰ... ვაიმე, ჰალე... — წამოი-  
ძახა ჩიჩიომ, — კაცი თუ ვახლავთ, ვერ  
მითხარით, ჰალე? ეგ რომ მცოდნოდა,  
ვინ გაგიბედავდათ, ვინ ოხერი...

დომენიკომ მიიხედა, მაგრამ აღარა-  
ვინ ჩანდა.

— ასე შეიძლება? — უსაყვედურა  
ჩიჩიომ, ხელს ყურადღებით იხვევდა,  
— სულ უცოდინრად მომაჩვენეთ თა-  
ვი და... ასე უნდა დასცინოთ უბრალო  
ადამიანს? ასე არ ვარგა, ჰალე...

ვინ იხსნა, ნეტავ... და გაახსენდა —  
ილექსანდროს ძმა!

— ჰოდა, იმას გეუბნებოდით, ჰა-  
ლე, კატა არ შეიძლება არაფრით ჩვენ-  
ში, ბრჭყალებიანი ხომ — არავითარ  
შემთხვევაში!

— რატომ...  
— ნოხებს გარეთ ფეხნთ ღამლაშო-  
ბით, აივნებზე, ჰალე, ასეთია წესი.  
ერისთავი ახალა ყინე დაუკავშირდა და ნარინ დავითის წინააღმდეგ მონღოლთა ჯარი შემოაყენა იმერეთში, მაგრამ მეფე „საკვირველებით დაცულ“, უმეფლად გადაჩნა, მოკლადტე ერისთავს კი მან საერისთავო წაართვა და იმერეთიდან გააძევა.<sup>4</sup>

გამკვებულმა ერისთავმა თავი ქართლს შეაფარა, „...და არა პატივი ეპურა არცა ფენისა და არცა დიმიტრი მეფისაგან ორგულობისათვის მეფეთასა“. შემდეგ მეფემ „შეიწყალა და შეუნდო“ მას „პირველი შეცოდება“, დაუბრუნა რაჭის ერისთავობა და „მამული მისი უკვლი“.

მაგრამ კახაბერმა მალე ისევ „იწყო მათვე მიმურ-პაპურთა კულთა სღვად“ და ცალკე მონღოლებს დაუკავშირდა, ეს ამბავი „საცნაურ იქნა“ მეფისათვის და ერისთავს „მეიგო მსაყებელ ბორაკი“. სასტიკად დაისჯა იგი. „შეიპყრა მეფემან და პირველ თული დაწურა, მერმე ერთი ბელი და ერთი ფერხი მოსკურთა“, რის შემდეგ „მცირე ცხოვრებული გარდაიცვალა. მისი ორი შვილი კი ექსორაკმნილი მეფემ კონსტანტინეპოლს წარგზავნა“... და მოისპო ყოველი ნათესავი მისი, ბაღვაშთა კახაბერიძეთა, არა დავით და აღიხოცა ნათესავი მისი და სახსენებელი მათი.<sup>5</sup>

მეფემ გააუქმა რაჭის საერისთავო. ეს მოხდა XIII ს. 80-იან წლებში, დასრულდა რაჭის საერისთავოს არსებობის პირველი პერიოდი.

თავისთავად ისმება კითხვა: მოხდა თუ არა ამის შემდეგ კახაბერიძეთა რესტრუქცია რაჭის საერისთავოში და როდის? რაჭის საერისთავოში კახაბერიძეთა კვლავდების საკითხს შეეხნენ ს. კაკაბაძე და რ. სოსელია.<sup>7</sup>

სარწმუნოდ მიგვიჩნია რ. სოსელიას მოსაზრება, რომ კახაბერიძეთა რესტრუქცია არასოდეს არ მოხდარა რაჭის საერისთავოში, რომ ამ შესაძლებლობას თავისთავად გამოარცხავს ეპითაღმწერის ცნობა კახაბერიძეების „ყოველი ნათესავის აღხოცის შესახებ“, მაგრამ თვით საერისთავო კი აღდგენილი იქნა. რ. სოსელიას მოსაზრებით რაჭის საერისთავო მომდევნო საუკუნეში XIV საუკუნის მიწურულშივე იქნა აღდგენილი. ამ მოსაზრებას მკვლევარი ახსოვთებს სასისხლო სიგელების მონაცემებით და დასძენს, რომ XIV ს. დასასრულსა და XV ს. დამდეგს ეს უკვე მოხდარი ფაქტია. აღდგენილი რაჭის საერისთავოს სათავეში ჭარელისძეთა გვარი ჩანს.

მართლაც, არ შეგვიძლია ანგარიში არ გვეწიოთ სასისხლო სიგელების მონაცემებს ჭარელისძეთა ერისთავობის საკითხზე XIV-XV სს. რაჭის საერისთავოში, რადგან სწორედ სასისხლო სიგელებში მოიხსენიებიან ჭარელისძეები როგორც რაჭის ერისთავები, მაშინ როდესაც ეს გვარი სრულიად არ ჩანს საისტორიო წყაროებში. სასისხლო სიგელები ადასტურებენ აგრეთვე, რომ ამ პერიოდის (XIV-XV სს.) რაჭის ერისთავთა რეზიდენცია სორში იყო. სასისხლო სიგელების ეს მონაცემები დასტურდება ჭარელისძეთა მოხსენებით სორის ჭვარციის გველისის კედლებზე დაცული ფრესკული წარწერებითა და ამავე გველისის კუთვნილი ჭედური ხატების წარწერებითაც.

ჭარელისძე პირველად მოხსენებულია ერთ სასისხლო სიგელში, რომელსაც ე. თაყაიშვილი 1836 წლით ათარიღებს.<sup>8</sup> სასისხლო სიგელი გაკეთებულია მიქაელ მეფის განაჩენით, რომელიც ე. თაყაიშვილის აზრით უნდა იყოს მიქელ ნარინის ძე.

ჭარელისძე, როგორც ერისთავი, მოხსენებულია კონტრაქტითა სასისხლო სიგელში, რომელიც 1482 წლით თარიღდება.<sup>9</sup> ამ მოხსენებულთა ერისთავი ჭარელისძე ციცი. ჩვენს უზრაველებს იპყრობს ამ სიგელში სორის მოხსენება: ციცი ჭარელისძეს სახალეები ჰქონია ქუთისისა და სორში. მას შემდეგ, რაც სახისხლოს ერთი ნაწილი ციცი ჭარელისძემ ქუთაისს გადაუხადა კონტრაქტებს, მეფის ბრძანებით სასისხლოს სრულად გასასტუმრებლად „აღიყვანა სორს ჭარელისძემან და მისცა“... ე. ი. რაჭაში, სოფელ სორში არის აღდგენილი რაჭის საერისთავოს ერისთავთა რეზიდენცია და სორის ეკლესიასთან მათი საგვარეულო საძვანღე. რაჭის საერისთავოს არსებობის პირველი პერიოდის ერისთავთა სავალდ ნიკორწმინდის

ეკლესიაში ჩანს. ბოლო ჩვიდმეცხრე წლების განმავლობაში ეკლესიის მშენებლობის (XV ს. ბოლოს) ერისთავების რეზოლუცია წესშია, სადაც მათ სასახლე და კარის ეკლესია ქვედაში. მათი საგვარეულო სასახლეა ბარაკონის ქვეშ და მშენებ (1738 წლიდან) ახალ ეკლესიაში იყო.

ქარელისძე ერისთავი მოხსენებულა აგრეთვე XV ს. ერთ სიგელში, რომელიც მოახსენებს: „ვაჟია ქარელიძეა შირაიან ერისთავის“. ე. კავაბაძის მოსაზრება სიგელის დედნის დაწერის თარიღის თაობაზე არ ეწინააღმდეგება რაჟის საერისთავოში ქარელისძეთა მთავრობის ქრონოლოგიურ ჩარჩოებს.<sup>10</sup>

ქარელისძე შირაიან მოხსენებულა აგრეთვე ჯვარცმის ხატის ზურგზე (სორის ჯვარცმის ეკლესიის სიძველეებიდან), რომელიც ჯვარცმის გახსნაზე ასე იკითხება: „ქრისტე რომელი ჩვენთვის ჭურხ ეცვი, ქრისტე ღმერთო ჩვენო მებო მუცე ქარელისძეა შირაიან და ცოლსა ჩვენსა“. 11) მაცხოვრის მოწყობა კარდის ხატის წარწერაში კვლავ იხსენიება „შირაიან და ნათელა შვილითურთ“. თაყაიშვილის ვარაუდით შირაიან იხსენიება აგრეთვე მაცხოვრის დიდ კარულ ხატზე.<sup>12</sup>

სორის სიძველეებს შორის ე. თაყაიშვილს აღწერილი აქვს ეტრატზე ნაწერი სახარება (XII ს.) თითოეული მხარეების ტექსტის ბოლოს არის მინაწერი. მარჯონის სახარების სარჩევის ბოლოს. ე. თაყაიშვილის აზრით, „XIV ს. მომხსრო მხედრული ასოებით“ არის მინაწერი, რომელშიც მოხსენებულია ერისთავი ლომია და მისი შვილები, რომელნიც, როგორც მინაწერის შენაჩიდან ირკვევა, ბედან ერისთავის შთამომავლები არიან.<sup>13</sup> სავარაუდოა, რომ XIV ს. ეს ერისთავები ქარელისძეთა ჯვარის წარმომადგენლები იყვნენ.

XIV-XV სს. ერისთავებმა სასახლო სიგელებში მოხსენებულა „ერისთავი აღბუღა“, „გიორგი ერისთავი“, „გიორგი აბლაქელიძე“, რომლებიც შესაძლებელია ქარელისძეთა საგვარეულოდან იყვნენ.<sup>14</sup>

1488 წლით დათარიღებული ფაღვანული შეიღების სასახლო სიგელის<sup>15</sup> კი რაჟის ერისთავად უკვე ივანე ჩხტიძეს (ჩხეიძეს) იხსენიებს. სასახლო სიგელების მონაცემები და ვახუშტის მოთხრობა, რომ აღდგენულ რაჟის საერისთავოს სათავეში ჩაუდგინე ჩხეიძეები, ერთმანეთს ემთხვევა.

ამერიდან უკვე რაჟის საერისთავოს ჩხეიძეებს საგვარეულოდან გამოსული ერისთავები მართავენ. რატომ მოხდა ქარელისძეებისათვის ერისთავის სახელის ჩამორთმევა, რა დანაშაული ჩაიდინეს მათ, ან რა იყო მიზეზი მათი დამცირებისა და ჩხეიძეთა აღზევებისა, ამის შესახებ საისტორიო წყაროები სდუმან.

სორის ჯვარცმის ეკლესიის კედლებზე რომ ქარელისძეთა არაა წარმოდგენილი, ეს დასტურდება ქველი ქარელისძის წარწერით: ქვე-

ლი ქარელისძეს და ეკლესიის სასახლე კედლებზე გამოსახულ ოთხ ქტიტორის ერთნიანი სახისი მონათ, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, დამახასიათებელი იყო XIII-XIV საუკუნეების ქართველი ფეოდალებისათვის.

პირველი ქტიტორის, ეკლესიის მოდელით ხელში ამოხსნის ორნამენტით შემკული საშუალო, ასეთი საშუალო ამშვენებს დემეტრე მეფის მაცხოვრის ფრესკაზე. „მეორე ფაგნელს“ ფაგნისის წმ. გიორგის ეკლესიის ფრესკაზე, შერვილ დალიანს ხოხში, მიქელ ჩეგანის აღიშნა. ამ ეპოქაში, იხე როგორც საქართველოში, აგრეთვე ბიზანტიაში, რუსეთსა და აღმოსავლეთში იგი არის ზღვარსდგენის და მაღალი საზოგადოებრივი მდგომარეობის ნიშანი.<sup>16</sup>

პირველი ფიგურის სახით ჩვენ საქვე გვაქვს ეკლესიის მშენებელთან, რადგან ტაძრის მოდელით ხელში ქრისტიანულ ხელოვნებაში ტრადიციულად სწორედ მთავარი ქტიტორი გამოისახებოდა. ამასთანავე იგი ერისთავია და ქარელისძეთა გვარის წარმომადგენელი, რადგან XIV საუკუნეში სწორედ ქარელისძეები განაგებენ რაჟის.

პირველი ქტიტორის თავთან აღზე წარწერა უყოფოდა, რომელიც ახლა სრულიად ჩამორეციხილია და არ ჩანს. წარწერების ფრაგმენტები შემორჩენილია სამი ქტიტორის გამოსახულებასთან. წარწერა შენარულებულია ასო-მთავრულით, შვი საღებავით. ცდამ, გამოგვაქვს, ფრესკული წარწერის ფრაგმენტები ულტრაისდერი და ინტრაისდერი სხელების შემგობით, გაკვეთული შედეგი მოვევა. წარწერები განლაგებულია თავის დასწვრივ; პირველი გამოსახულების წმ მდებარე წარწერის კვალზე კი არ ჩანს, ჩვენი ვარაუდით კი იგი არსებობდა, მეორე და მესამე ფიგურას შორის მოთავსებულია ასომთავრული ორნამენტული წარწერა კი ასე იქნა აღდგენილი.

ქ ა რ ე ლ  
ი ს ი ე

შესაძლებელია პირველი ფიგურის თავთან იკითხებოდა მისი სახელი, როგორც ეს არის მეორე ქტიტორის თავის დასწვრივ, სადაც იკითხება „მეორე და მესამე ფიგურას შორის მოთავსებული წარწერა ასევე ორნამენტულია და ასე იკითხება:

ქ ე ნ ი შ  
ი ს ი ე

შემდეგ მოდის მესამე ფიგურის სახელი, რომელიც სრულიად არ იკითხება. შეიძლება პირველი ასოს მოხაზულობა ვარკვეს ლ (ლო-მინა?); ე. ი. პირველი გამოსახულია ქარელისძე, სახელი არ იკითხება, მეორე და მესამე ქენი მისნი გიორგი და ლ(ომინა?).

სორის ჯვარცმის ეკლესიის კედლებზე გამოსახული ქტიტორები, რაჟის ერისთავები XIV ს. პირველი ნახევრის მოღვაწეები რომ არიან, დასტურდება ძეგლის კედლის მხატვრო-

ბის მილიანი იკონოგრაფიული და ისტორიულ-მხატვრული ანალიზითაც, რომელიც ანალოგიებს XIII ს. ბოლოს და XIV საუკუნის პირველი ნახევრის ქართული, ბიზანტიური, სერბიული, რუსული, ბულგარული კედლის მხატვრობის ძეგლებში პოულობს.

მოუხედავად იმისა, რომ საისტორიო წყაროები სდომან XIV ს. რაქის საერისთავოს აღდგენის თაობაზე, სორის ჭვარცმის ეკლესიის კედლებზე დაცულ კტატორთა გამოსახულებას ისტორიულ-მხატვრული ანალიზისა და სასისხლო საგებლების, აგრეთვე ფრესკულა და კედურ ძეგლების წარწერების შექერების საფუძველზე შესაძლებელია დეადიგნოთ შემდეგი:

1. კაზბერაძეთა მოწვევების შემდეგ რაქის საერისთავო აღდგენილი იქნა XIV ს. პირველ ნახევარში.

2. აღდგენილი რაქის საერისთავოს ნათაქვში კარელისძეთა გვარეულობა დგას, რომელიც საერისთავოს XIV ს. მიწურულამდე (1488 წ.) მართავს.

3. სორის ჭვარცმის ეკლესიის სამხრეთისა და ჩრდილოეთის კედლებზე გამოსახული არიან ერისთავები კარელისძეები.

4. ეკლესიის მთავარი კტატორი და მისი მშენებელია პირველი ფიგურა. რომელსაც ეკლესიის მოხელე უპირაჟს ზღუდა.

5. კარელისძე ქველი, რომელიც ძეგლის მხატვრად არის მიჩნეული, რაქის ერისთავთა ოჯახის წარმომადგენელია და შესაძლებელია იგი ეკლესიის მხატვრობის შემკვეთი იყოს, რადგან ფრესკულა წარწერას მიხედვით სორის მოხატულობის ოსტატები არიან დავითა და მნათეს შვილი ივანე.

### შენიშვნები

1 გ. ჩიტია, „წინასიტყვაობა ივ. ციციშვილის წიგნისა „მასალები ქართული ჩაემულოების ისტორიისათვის“, თბილისი, 1955, გვ. 24.

2 ბ. ს. კაკაბაძე, „წინასწარი ცნობა დასავლეთ საქართველოს ზოგიერთი ეპიგრაფიკულ მასალის შესახებ“, „საისტორიო კრებული“, წიგნი IV, ტფილისი, 1929, გვ. 105, 106.

3 4 5. ეამთაღმწერელი, „ქართლის ცხოვრება“, ტ. II, თბილისი, 1959 წ. გვ. 229, 243, 268, 269, 275.

7 14. ო. სოსელია, „ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-

პოლიტიკური ისტორიიდან“, თბილისი, 1970, გვ. 73-74.

8. „საქართველოს სიძველენი“, თბილისი, 1909, ტ. II, გვ. 33.

9, 10, 15. ს. კაკაბაძე, „სასისხლო საგებლების შესახებ“, „საისტორიო მოამბე“, 1924, წიგნი II, გვ. 59-60, 43-45, 25.

11, 12, 13. ე. თაყაიშვილი, „არქეოლოგიური მოგზაურობა რაქაში, 1919-1920 წ.“, თბილისი, 1963, გვ. 23, 28, 29, 33.

16. Н. Кондаков, «Изображение русской княжеской семьи в миниатюрах XI в.», СПб, 1906, გვ. 104.





50670 კანკიკუხვილი

### რა დამავიწყებს!

არის მოკონებანი, შენი ცხოვრების ნაწილად რომ ქცეულან. ასეთია ჩემთვის გალაკტიონ ტაბიჯისთან დაკავშირებული მოკონებანი.

1927 წელს, ცხელი ზაფხულის ადრიაინი დღია. ვალე აკაკუნებს კარზე. შევობლებს სწინავთ. გავდივარ. ფრთხილად ვაღებ კარს. ჩემს წინ ტერენტი გრანელია თავის უფიქრად გახუნებული ხაყისფერი პალტო აცვია, წლის ამ დროს რომ ეცვა ხოლმე მუდამ გარანდებული მის უყნებო სახეს თითქოს ოდნავი სხივი დასჩენინა.

— ლეიანი ზომ შინ არის? — ჩემს მამზე შევახებთა.

— არა, გუშინ წავიდა ბათუმში.

აღარ ვიცი, შემოვიპატოე რუ არა. კვლავ არაურთხელ მოსულა ჩვენთან, ხშირად დაუტოვებია ხელნაწერი თავისი ჯერ დაუბეჭდავი ლექსებისა, ოღონდ ახლა ადრეა ძალიან...

— იციო, — მელუნება, — გალაკტიონი მიცილის იქ ქვეით. ღამე შოაწმინდაზე გავათიეთ. ლეიანთან მიხლოდა მომეყვანა.

გალაკტიონი ამ თილისმა სახელის გავონებაზე რალე უცნაურმა ტალღამ აშიტაცა.

— ბატონო ტერენტი, მე ახლავე მივალაგებ ოთახს, თქვენ წაბრძნდით, გალაკტიონი მოიფანენო!

თავბრუნდაზევული შევეარდი ოთახში. მილაგება დავაწეა ვხედავ. გრანელი ოთახის ზღურბლზე დგას.

— მამ, თქვენ არ წახვედით? — შევამებ გაცეხულმა.

— როცა მორჩებით, მაშინ წავალ.

მე უთავებლად ვფრფრავს, ოთახში გარბი-გამოვრბოვარ, ტერენტი კი, ღმერთო ჩემო, ტახტზე მიწოლდა და დამწაფივი თვლებს. აღარ ვიცი, რა ექნა, რა დროს მი-

ლია?! ბევრი ვუბრუნე: გალაკტიონი გიციო, უნდა წახვიდეო-მეთქი ტყუილი იყო უველიაფერი.

როდის-როდის გამოიღვიძა, ძლივს მიხვდა, სად იყო. როგორც კი გამოერკვა, დამიძახა: — მუსიკა დამიყარით... შოაქენი მინდა.

— რას ბრძანებთ, შერე, შერე იყოს, გალაკტიონი გელოდება: ხომ!

— გალაკტიონი? რაღა დროს გალაკტიონია, ის შოაწმინდის ძირას დავტოვე, უკვე რამდენი ხანი გავიდა... მაშინვე უნდა წავსულიყავი, თქვენი ბრალა. ახლა კი მუსიკა მინდა!

მე ვჭოტობ, ვბრაზობ გრანელზე, ვბრაზობ ჩემს თავზე, ის კი ჩემის ხმით, თიქმის დესპოტურად ერთხა და იმავებს იჭოტებს:

— მუსიკა მინდა... მუსიკა მინდა!

სომხანმულსავით ვჭდები, ვუკრავ შოაქენის ნოქტიურს. თვალბეაპურობილა, შონუსხულივით უხმენს მუსიკას გრანელი სხვა დროს მე ძლიერ მომწონდა, ასე გატაცებოა რომ იცოდა მან მუსიკის მოსმენა. მუსიკა მისთვის შოაგონება იყო ერთხელ ასეთი სტრიქონები და შიტოცა უთქმელად მაგიდაზე:

უკრავ როიალს და მე მგონია ვილავ უცნობი მწუხარე ქალი მთვია ჩემთან და მეფერება...

ერთხელ კიდევ მუსიკის მოსმენის დროს რვეულიდან სახელდაზელად ამოხეულა ფურცელი ამ ლექსით ამიტყვედა:

ღღეს გუშინდელი ფიქრი დავშალე, გაჩნდა ოცნება კიდევ სხვაფერის, ვიჭირობ ძვირფასო, რა დავაშავე, ან ჩინოვს მინდა ეს ვველიაფერი. ისევ სამინდელ დღევებს განვიცილი, წინ მიღევს წიგნი სისხლით ნაფერი,

ვლანდები, ვდარდობ, თუმცა არ ვიცი, რის ნიშანია ეს ყველაფერი.  
სული ამაღლა, გული იღვავ, თითქოს საკეთარ ცხედარს დაეცქერი, ან ვიცი მართლა სინამდვილეა, თუ სიზმარია ეს ყველაფერი.

ახლა მე ყველა ეს დაწვრილებული მაცხს ბოღმა მახრჩობს... დაჯვრება ვწყვეტ და უარად ვაიძობ:

— ვალაკტიონი, ვალაკტიონი მოაყვანეთ!  
— რას ამბობთ? საიდან მოგიყვანოთ?... დაუარიოთ, დაუარიოთ! — ნაწინავს კი მომწია, რომ დაეჭვდარაუფი და ისევ დამეცრა.

მე აღარ დავემორჩილე. ჩვენ შევლაპარაკადით გრანელი შეტად განაწყნებული, თითქმის შეურაცხყოფილი გავიდა ოთახიდან. მის-სიძინის წესი დავარდეთ და უკან არ გავვიდებოვარ.

ტერენტო გრანელს სიკვდილამდე ჩვენი სახლის კარი აღარ შემოვლია... არცა ვნანობდი მაშინ ამ გარემოებას. ვნანობდი მარტო იმას, რომ დაეჯარჯე შემოხვევა ჩვენს სახლში მეხილა საოცნებო პოეტა.

და აი, წარვიდნენ წლები. ომის შემდგომი დროა. მე ხელშეკრულებით ვთანამშრომლობ სახელგამის მხატვრული ლიტერატურის განყოფილებაში. ერთი თვე დღენიადავ მოხდება აქ სიარული. ყოველდღე შემოვიღობს ხოლმე ჩვენთან ვალაკტიონი. მომზიბლავია, საკვირველად შეენიხ თავისივე სიტყვები: „ოქვენ ისეთი კარგი ხართ, ოქვენ პოეტი ბრძანდებით“.

მხატვრული ლიტერატურის განყოფილების მუდგარი ოთახში მას აღერებს არ აუღებენ არც თანამშრომლები, არც მოხული ავტორები. ისიც ჩუმე კმაყოფილებითა და ღიმილით ხედავს ყველას.

იმ ხანად ამ განყოფილების ხშირი სტუმარი იყო ერთი მწერალი, რომელიც დიდა ხანია თურმე მასხლას ავრცობდა ვალაკტიონზე მონოგრაფიის დასაწერად უჭირდა, ეტყობა ქალიანი, რადგან პოეტზე ასეთი რამ სოქვა: კარჩაეტილი და გულჩაეტილი ადამიანიოა. სიტყვას ვერაფერზე დაეცდენინებო.

მე კი სულ სხვაგვარად შეჩვენებოდა პოეტი იმ ბედნიერ ერთ თვეს — მუდამ ღიმილიანი, მონდობილი, თითქმის მეგობრული, საუბარში ავტომომყოლი. ვანდგობალების ნიშანწყალი არ ეჩანოდა. იყო და ყვალიაფერი, რაც კი ირავლივ ხდებოდა.

მასხვს ერთ ცნობილ მწერალზე ერთმა კრიტიკოსმა უსიამო წერილი დაწერა. „განყოფილებაში“ კამათობდნენ ამ წერილზე, რომელიც მე ჯერ არ წამეკითხა. ვალაკტიონმა დაწვრილებით ვადმოძევა წერილას შინაარსი, თან ჩემ-ჩემად აღიშნებოდა და თავისი კილოთი წერილისაღმე დაშკოვდებულებას ამუღავნებდა.

მაკონდებს, ერთხელ რაგორცაც შეფიქრებულეი შემოვიდა ოთახში. ამ დროს იქ მყოფმა ვერონტი ქიქოძემ შედინა უცნებობა და ჰკითხა: კიენამესთან (სახელგამის დირექტორთან) ხომ არ იყავი?

— დაბ, იმასთან ვიყავი.  
— მერე, რამ?  
— მიიბრა, უნდა 8.000 სტრიქონზე დიკცონო კრებულო.

— ეგ კარგია, ვალაკტიონ. შენი რჩეული მაგ რაოდენობისა სრულიად საკმარისია. მე ვიქნები შენი რედაქტორი. საუბრეთსო კრებული ვამოვად!

ვალაკტიონმა უხერხულად გაიღმა და მასხვი არ გასცა.

ვერონტი ქიქოძემ, სხვათა შორის, თავისი რედაქტორობა ერთხელ ვაორავ ლეონიძესაც შესთავაზა. იმასაც ასე ურჩევდა, მხოლოდ რჩეული ლექსები ვამოვცეთო. არც ლეონიძეს ვამოუთქვამს აღტაცება ამ წინადადების გამო.

მე ჩვენი სასიქადულო პოეტების გულგრილობა მათი ლექსების ქიქოძიხეული რედაქტორობისაღმე მაშინ ვაუღებარი მენწვენებოდა. მოგვიანებით, მაკონდებსა, ვერონტი ქიქოძემ ჩვენს დიდ მხატვარ ლადო გუღიაშვილს უთხრა: „ნუ ვამოყენ ყველაფერს. მოდი, ჩვენ ერთად საუბრეთსო შენი ტილოები შევარჩიოთ!“

„არაო, — უმასხვა თურმე ვუღიაშვილმა, — მე მთელი დოვლათი მინდა ვამოვცეთო“.

ეგებ ჩვენს პოეტებსაც ამ პოეტური „დოვლათის“ დაბეჭდვა უფრო აინტერესებდაო, ვიდრე მკაცრად დაარჩეული ნაწერებისა. რაოდენობასაც ხომ აქვს თავისი ძალა!

ერთხელ პოეტთან უკვე ცოტა შეთამამებულმა, ვკითხე:

— მართალია, ბატონო ვალაკტიონ, რომ მერი თქვენივთის რეალურად არ აჩხებოხნდა და პოეტის ოცნება მხოლოდ?

— ეგებ! — ორგოფულად მიმასხვა მან, მერე უცნურად გაიღმა ასეთი ღიმილი. მის სახეზე მე არახდროს მინახავს: რაღაც ეშმაკური ნაებრქვული ვამკრავდა.

მეუხერხულად უფრო დრმად ჩავიხიხეოდი და უნებლიეთ საჩოთირო შეითხვა მივეცი (საჩოთირო-მეტიკი, ვამბობ, რადგან ამ დროს ვალაკტიონის შემოქმედების უნაყოფობაზე ბევრს ლამაზავობდნენ):

— რაზე მწუხართ, ბატონო ვალაკტიონ, ახლა?

ვალაკტიონი უჩვეულად ვამოცოცხლდა:

— მე, იცოთ, დღეურს ვწერ, კარგა ხანია ვწერ, ო, ეს გრანდოზულია რამაა!

მე უცებ შეჩვენეა, რომ დღეური მისი პოეტურა ნაწარმოებში იყო (დღეურის ფორმით დაწერილი), და შევეკითხე:

— როდის დაასრულებთ? მალე ვამოვად?



გაჯივრებულმა შემომხედა. მიხვდი ჩემს შეცდომას და სიტყვა აღარ გამოგრძელე. ეს კა დაუხსომე კარგად, რომ თავის დღეობს ის უფადეს მნიშვნელობას ანიჭებდა.

იწურებოდა ჩემი ერთთვისანი მუშაობა სახელგამის მსატყრულო ლიტერატურის განყოფილებაში. მოულოდნელად ის მიწურული დღეები ფიფიერეკრატით განათდა მგონის მოტურთი „აღსარებით“.

უზივარ და თავქაქინდრული ვმუშაობ. გვერდით მაგიდასთან მუშაობაშია ჩაფლული ჩემი მეგობარი ვარდყო ზოსტარია. კარი იღებ. შემოდის ვალაკტიონი. აღტყინებულა, სახე უღიმი. ჩემი შავიღის წინ დგება:

— იცი, ერთი შეცნეერ-მუშაკი ჩემზე დი-სერტაციას წერს და ამბობს, რომ შე არასდროს ვუოფილფარ სიმბოლისტი

— ეცო, ბატონო ვალაკტიონ. მერე ვშატბთ ეგ რამეს? ასე მგონია რაღაც შარავან-დედი აკლდება თქვენს სახელს.

— არა, რატომ? მე სიმბოლისტი არა ვარ! — წარმოთქვა მან ისე, თითქოს უშინოდა მისთვის ეს აღარავის დაეწამებინა, თითქოს ასეთი რამ მას თავის ჭვეუნისაგან სთიშავდა.

— მაშ, რასა ფიქრობდით, როცა „ლურჯა ცხენებსა“ წერდით? — აღმომხდა ჩემდა უნებურად.

— შე მაშინ ასტრალური ჭვეუნებით ვუავი დაინტერესებული — მიპასუხა მან სრულიად უწინააღმდეგე და მომავალზედა.

— უცებ იგი სულ ახლოს მოვიდა მაგიდასთან და ასე ჩემს წინ მოწუნტეკით მდგომმა, თათქმის ავალებმომხუტულმა დაიწყო:

როგორც ნისლის ნამქერი, ჩამავალ მზით  
ნადერი,  
ელვარებდა ნაბიბი საშუღამო მზარეში...

ეს დეკლამაცია არ იყო ეს იყო ლექსის რაღაც უჩვეულო ანბრობა. პოეტი უცნობლობის ფარდას ზედადა თავის ჩანადიქრს.

ერთხანს ვუყურებდი მას, მერე კი მარტო ვუსმენდი. ზეშთაგონებით ატაცებული იგი თითქოს ასტრალურ სივრცეში ვადასახლდა, ვიზორირივით სჭვრეტდა ამ სივრცეს და თითქოს კოსმოური სიმაღლიდან რგვდა მისი დიდებული სმე. საოცარი იყო, რომ ამ სმეში, მის უოყულ მამობარში რაღაც ზებუნებრივი ძალა იგრძნობოდა, რითაც ვიპურბდით, ვი-შორჩილებდით და გაქრებდით, რომ უოველი-ვე, ლექსში თქმული ნამდვილად ასტრალურ სამყაროს ეხებოდა, ამ სამყაროსაღმი პოეტის დამოკიდებულებასა და მის სულიერ განწყო-ბილებას ამდევნებდა.

პოეტური მედიდურობის ელფერი მოსცი-ლებოდა უკვე მოვანებებით თქმულ სიტყვებს:

„ოუენენ საუტუნენი, შაკრამ მე ვისხენებე გა-ფრენილა პირველი წყების ნიაგარებე...“  
და სტრიქონიდან სტრიქონამდე, სტროფი-დან სტროფამდე, თქვენი ფიქრი და განცდა პოეტის ფიქრისა და განცდის იდენტური ხდებოდა. მისი ქმნილება ისეთ რამეს გვიჩვენდა, რასაც ჩვენ მასზე სულ არა ფიქრობდით.

ვალაკტიონმა დაასრულა კითხვა. ვაოენე-ბული სიჩუმე ჩამოვარდა. მე კვლავ თავჩადუ-ნული ვიქექი. როცა თავი მაღლა ავიქი, ვა-ლაკტიონი ოთახში აღარ იყო. მე და ჩემს მე-გობარსაც ეს სიჩუმე აღარ დაგვირდევია.

მე წინდათაწმინდად შევიჩახე ჩემს სლოგ-ნაში ის ფანტასტიკური წუთები და მსყელბო-ამ სავანზე შკრებელბოდად მიმანდა.

ორმოცდაათიანი წლებია. ვადასახლებიდან ბრუნდება და ჩვენს საწახავად მოდის შინ რეა-ბილიტირებული ვასია ოყუჯავა — ვალაკტიო-ნის ვენულის უმცროსი ძმა — ადამიანი ფრიად გაუნთლებული, პოეტური, გამორჩეული პიროვნება. აღფრთოვანებულია, რომ კვლავ სამშობლოშია. გვიამბობს, ვინ მოიჩახულა ჩა-მოსვლისას და ვისი ნახვა ენატრებოდა.

— იცი, საწინადა მომინდა ვალაკტიონის ნახვა. წყვედი მასთან. შინ არ დამხვდა. ქუჩაში რომ გამოვედი, ვნახით, თავისი სახლის წინ დგას, ვილაცას ელაპარაკება. მე იქვე გვერდით დავუდგე! ქერ უურადლება არ მომპყცია, შავ-რამ ბრკე ფებს არ ვიცვლიდი, კიბვის თვალთ შემომხედა.

— ვერა მცნობ, ვალაკტიონ?  
ვალაკტიონი შეწუხდა, რომ ვერ მცნო. მართლაც, ხომ დიდი დრო ვავიდა, რაც ერთ-მანეთი არ გვენახა. მერე უცებ სხეშმა ვადაუ-რა სახეზე და შევყვარა:

— ვახია, ვახია, ჭვირფასო! — ვულში ჩა-მიხუტა, დიდხანს აღარ მიშეებდა, საწინადა აქვითინდა და მეც უწომოდ ამადლედა. მისო-ვა ავსულიუავით მასთან, ბინაზე. შებრუნება აღარ ვინდომე და ადუთოქვი, მაღე მოვიჩახუ-ლებ-მეთქი.

მე შევეციოხე ვახიას:  
— როგორი იყო ვალაკტიონი თქვენთან?

— ო, შენაწინადა! ჩვენ ვეუღას ვეყვარ-და. შეუღარებელი იყო!  
Мы все очень дружно жили!  
ვახიასთან საუბარში იდუმლად დამიბატა ვალაკტიონის ოჯახური ცხოვრების აღჩინდელო სათელი დღეები.

კვლავ ორმოცდაათიანი წლებია, მწერალთა სასახლის ზემო ვესტებულში ვართ — მე და ჩემი ერთი მახლობელი ქალი. ველოდებით, როდის გამოვა თავის ოთახიდან ლეონიძე (სა-

ქართველის მწერალთა კავშირის მდივანი იყო მანინი და წამოვეყვნა ჩვენთვის საქარო საქმეზე. უცებ კბინებზე გალაქტიონი ამოვიდა. მოგვახლოვდა. საუბარი დაიწყო. დაპარაკობდა გზებზე პოეზიაზე, სიყვარულზე.

— სიყვარულში არა მჭამს სიხლოვე... კოცნა...

მე ვახსენე ტიუტჩევი. მისი უკანასკნელი სიყვარული.

— არა, ბატონო, არ სიყვარს ეს ყველაფერი...

ამ დროს ლეონიძეც გამოვიდა და გალაქტიონთან მოსაუბრენს რომ ვინახა, გვანიშნა გარეთ დაგვიდითო.

რომ წუადუბა ვიყავით: გალაქტიონთან საუბარის გვიხდოდა, და ქვევით გიორგი ლეონიძე როგორც უნდა გველოდინებინა?

ლეონიძემ თითქოს იგრძნო ჩვენი „შეპირებმა“, მაღლ ამოიჭრა ზევით, და ჩვენს გვერდით რომ უნდა ჩაქროლა, გალაქტიონმა უცებ შეაჩერა, ადერსიანად წააღლო კისერში ხელი და მოულოდინლად უთხრა:

— დაწერე ჩემზე რამე! ხომ დაწერ, ხომ?

— პო, პო, დაწერ, დაწერ! — ჩაიბუბუნა დამოღლით ლეონიძემ.

გალაქტიონი მაღლ დავემშვიდებოდა. გზაზე ჩემმა თანამგზავრმა ქალმა აღარ მოუსყვინა ლეონიძე:

— ხომ დაწერო, ბატონო გოგლა? დაწერეთ რა, უმძველად დაწერეთ!

— რა ვიცი, ვნახოთ, — ფიქრიანად ჩაილაპარაკა ლეონიძემ.

1959 წელია, გალაქტიონზე გლოვას დღეები. პოეტის მწერალთა სახახლის დარბაზშია დასვენებული. 20 მარტია. ადრე მივიღი სახახლეში და დიღბანს დავეყვი მგლოვიარე დარბაზში. საღამოს ხუთი საათი იქნებოდა, შინ დავაბარე წასვლა, მოგვიანებით რომ ისევ მოვხუდიყავი. სახახლას შენობას ოდნავ რომ გავედი, მანქანიდან ვიღაცამ ხელი დამიჭინა. უკან დავბრუნდი. მანქანიდან ლეონიძე გამოსვდა. სახე ჩამქრალი მქონდა. მახსოვს, ერთხელ ჩემთვის ძვირფას ადამიანზე დამწუხრებულნი რომ მხანა, მიხარა:

— მე კი სწორედ ასეთ დროს შემიპყრობს ხოლმე სიცოცხლის წუურვილი!

ახლა არაფერი ემჩნეოდა ამ ოპტიმისტური განწყობილებისა. თვალეში სხივი არ უქრთოდა. მთხოვა, ისევ შემოდი სახახლეში. მიჭირს მარტო შესვლაო. მეც შევბრუნდი. ისევ დარბაზში შევდგი ფეხი. ქუდმოხდილი, თყარადუ-

ნული ლეონიძე დარბაზის კარებში გაჩერდა. მისწავლენების თხოვნით, დარაჯ გოგონის გამოუჩინე გალაქტიონის სახე. შევედრეი სანახავი იყო სულ არ შეეცდოდითო. წვერი, ბოლო წლებში, მძის სიყვდილის შემდეგ რომ მოუშვა, რაც ჩვენ გულსა გვწყავებდა — თავი დაიუნთვოდა — ეს წვერიც ახლა უფრო დიდ სახეს აძლევდა. ღმერთოცა ესა მკავდა.

კარგა ხნის შემდეგ ისევ შენისაკენ გავწიე. ლეონიძე წამოიქცა. აფორიაქებული იყო. მარბლის ქუჩა გალაქტიონზე და მის პოეზიაზე დაპარაკით გაკლიეთ.

— ვახსოვო, ბატონო გოგლა, ის უჩვეულო წარმატება, ანა კლანდისის გამოჩენას რომ მოჰყვა პოეზიაში, როცა დროებით თითქოს დაიკარგა პოეტურ ღირებულებათა სარბო. თქვენ მანინ პოეზიის მოტრფიალე ჩვენს ჩვეულებ შემოგვიძახეთ: „ხომ არ დაგავწყუდათ, რომ გყავთ გალაქტიონი?“

— მაგონებმა, — ურად ჩაილაპარაკა ლეონიძემ.

გამომშვიდობებისას მე შევეკითხე:

— მთაწმინდაზე სიტყვას წარბოსთქვამთ თუ არა? ზოგი ფიქრობს, რომ არ იტყვიო.

— ვინც მგავს ფიქრობს, უთხარი, რომ სადაც საქარია, მე თვითონ ვანვაცხადე და დაფივალე სიტყვას თქმა!

და მეორე დღეს მთაწმინდას კალთებს რეკვიემივით მოეღინა ლეონიძის განუშორებელი სიტყვა-საგალობელი:

„საქარათვლილს საქარისუფლო სახლეში დღეს ასენია გედი მთაწმინდასა — ჩვენი დროის უდიდესი პოეტო და მედროსმე გალაქტიონი ტახიძე.“

... შევენება და სამაჟე ქართული პარნასისა“...

წმინდა მთის ძირას ვიდექი, ზღვა ხალხში გარეულნი, და მწარედ მაგონებოდა: „დაწერე ჩემზე რამე!“

1968 წლის იანვარია. ლიტერატურის ინსტიტუტში მივიღი საქმეზე დირექტორის კაბინეტს რომ ვუახლოვდებოდი, ღაა კარებში მომესმა ლეონიძის ხმა: „გალაქტიონი მოვინდა, ღაკის ლეონიძეები გყავ...“

უცებ წარმოვიდგინე ოციანი წლების გალაქტიონი — ელემენტური, სალუქი, პოეტთა მეფედ აღიარებულა...

ჩანდა, ლეონიძე ვიღაცას თავის მოგონებებს უკარნახებდა გალაქტიონზე. წუთით შევადექი კაბინეტთან და ისევ მომავინდა პოეტის სიტყვები: „დაწერე ჩემზე რამე!“



## ისევ რუსთაველის პორტრეტის გამო

გადიწიის ვაჟი

გამომცემლობა „მეცნიერებაში“ 1973 წელს გამოსცა თ. შ. ვირსალაძის ნაშრომი „იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მხატვრობა და შოთა რუსთაველის პორტრეტი“ (რუსულ ენაზე). იგი შედგება შეიდი თავისაგან, აქვს რეზიუმე ფრანგულ ენაზე. ნაშრომს დართული აქვს სურათები — იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ეკლესიის მხატვრობის ფოტოაბრავი. წიგნი დაზვევლითაა კარგ ქალაქზე და გამოცემულია ლამაზად.

წიგნი ეძღვნება ძველი ქართული ეკლესიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სახელოვან-ეთელი ცენტრის — იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ტაძრის მხატვრობას. ტაძარი მე-11 საუკუნეშია აგებული, მისი მხატვრობა კი მრავალჯერ განახლებიათ. წიგნის ავტორი ადგენს, რომ მხატვრობის გადარჩენილი ფრაგმენტები XIV-XVII საუკუნეებს მიეკუთვნება. ძირითადი ნაწილი მხატვრობისა შეიკავებს ამ ქართველ ისტორიულ პირთა პორტრეტებს, რომელნიც თავიანთი მოღვაწეობით ჯვრის მონასტრთან იყვნენ დაკავშირებული. მონასტრში დაკლვი ისტორიული დოკუმენტების მიხედვით, ავტორს მიაჩნია, რომ ეს პორტრეტები მხატვრობის უკანასკნელი განახლების ეპოქაშია შესრულებული. 1643 წელს და პორტრეტების ამ ჯგუფს უკავშირდება შოთა რუსთაველის პორტრეტიც.

პატივცემული ავტორის ამ ნაშრომიდან მე მხოლოდ შოთა რუსთაველის პორტრეტის შესრულების თარიღის შესახებ მინდა აზრი გამოეთქვა.

ცნობილია, რომ ჯვრის მონასტრის სვეტზე იერუსალიმში შოთა რუსთაველის პორტრეტი პირველად ნახა ქართველმა მოგზაურმა ტიმოთე გიმაშვილმა (1758 წელს). „ჯვრის მონასტრის დამწველბული და გუმბათის ქვეით სვეტის ვაზალებია და დაუხატინებია შოთა რუსთაველს, მემურქულითხუცესს. თითონაც შიგ ხატა მოხუცებულით“. ვეაწუებს ტიმო-

თე. 1843 წელს თეიმურაზ ბაგრატიონი ნაშრომში „ვანმარტება პოემა ეფთხისტყაოსანი-სა“, გვიამლევს ცნობას შოთას პორტრეტის შესახებ ჯვრის მონასტრში: „შვიან ეკლესიის ეფთლსა ზედა გამოხატულ არს სახე მისით“.

1845 წლის შაისის 3-4 რიცხვებში მისწავლბულმა ნიკ. ზუბინაშვილმა გადმოხატა იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ეკლესიიდან შოთა რუსთაველისა და სხვა ისტორიულ პირთა პორტრეტები, სულ 18 ცალი. 1856 წელს ჯვრის მონასტრში შოთას სურათი უნახავს ბერ-მონაზონს ბუნდუქიტე ბარკალაიას. მისი ცნობით, იქ იყო „ქართული წარწერანი და გამოხატლობანი ეფთლთა ზედა მისთა მრავალთა მეფეთა ზინებულთა ჩვენისა ქვეყნისათა (რომელთა შორის არის სურათი პოეტის შოთა რუსთაველისაცა) და მდიდარი ქართლის წიგნთა ვიბლიოთეკა“ (დროება, 1880 წ. № 126).

1861 წელს შოთას სურათის შესახებ მეზუთე საარქეოლოგიო ყრილობას აცნობა არქიმანდრიტმა ანტონიმ.

1883 წელს შოთას სურათი ჯვრის მონასტრში ნახა პროფ. ილ. ცაგარელმა, მაგრამ 1899 წელს მოგზაურმა პეტრე კონსოშვილმა იერუსალიმის ჯვრის მონასტრში შოთას პორტრეტი ვედარ იპოვა, რადგანაც უცნობ პირებს იგი სწელი საღებავის ქვეშ მოეკცათ, რათა წამლათ ქართლის ეკლი ჯვრის მონასტრში.

1903 წელს დ. კარიკაშვილი წერდა: „უკანასკნელს წლამდე იერუსალიმის ჯვრის მონასტრში ყოფილა დახატული შოთა რუსთაველის პორტრეტი, რომელიც ამ ზოლის დროს უმეცარ ბერებს წაუშლიათ“.

ს. კაკაბაძე თავის წიგნში „რუსთაველი და მისი ეფთხისტყაოსანი“ წერდა:

„ეფთხისტყაოსანი“ და მისი ავტორი ეკლესიისათვის არასოდეს არ არსებობდნენ. ეფთხისტყაოსანს“ თითქმის ყველა ხელნაწერს თავში ახლავს ერთი ნართაული და მკითხველისათ-

ვის გამაფრთხილებელი სტროფი, რომელშიაც, სხვათა შორის, ნათქვამია, რომ „თუ უფროა მონასრშია (იველისმემა ვეფხისტყაოსანს“), შეიქმნების გაპარსულად“.

ეს ნიშნავს, რომ პოემის წამოთხეული ბერი, ბერობიდან იქნება გაიცილებული. ახეთ პირობებში, ცხადია, რომ შოთას პორტრეტი იერუსალიმში შეიძლება წამოჩენილიყო მხოლოდ მის დროს და მის უბე შეწირულეობითა შედგება და რომ XIII საუკუნის შემდეგ იერუსალიმში ჯერის მონასტრის კედელზე მას არაფერ დახატავდა — ეს საყვებით გამოიხატულია... ექვს ვარეშია, ამიტომ რომ შოთას ეს პორტრეტი მოდიოდა ძველი დროიდან — თვით XIII საუკუნიდან“ (გვ. 75).

ამ მონახებებს, ს. კავთაძის ვარადა, ბერი სხვა მეცნიერი იზიარებს.

აქად, ვიორკი წეროვლმა ამოაიკთხა იოანე დამასკელის ფრესკაზე არაბულა მინაწერი, რომელსაც თარიღად აქვს 1614 წელი. ჯერის მონასტერი კი ხელახლა მოხატვინა ნიციფორე ჩოლოყაშვილმა 1643 წელს, ხოლო 1614 წელს ეს ნიციფორე თხოვრები წლისა იყო, საყვებით ცხადია, რომ იოანე დამასკელის ფრესკა, რომლის კომპოზიციაში შედის შოთას პორტრეტიც, არის შესრულებული მე-17 საუკუნეზე ადრე და მას ნიციფორე ჩოლოყაშვილის დროინდელ მხატვრობასთან არაფერი აქვს საერთო, თუმცა ამას თავიანთი დებობით ამტკიცებდა მეცნიერთა ერთი ეგუფი ვახუთ „კომუნისტის“ ფურცლებზე 1958 წლის 12 ნოემბრის წერილში „სინამდვილის დამახინჯების წინააღმდეგ“.

ზემოთ მოყვანილი დებულების დამამტკიცებელია კიდევ შემდეგი ვარეშობა.

ჯერის მონასტრისეული პორტრეტზე შოთას აქვს დახატვებით ისეთი თავსაბურავი, როგორც ფრესკების მიხედვით აქვთ მე-12 საუკუნის და მე-13 საუკუნის პირველი ნახევრის ისტორიულ პირთ, როგორც რაჭის ერისთავის ოჯახის წევრებს კრიხის საყველსო მხატვრობაში მე-13 საუკუნეში და სხვ. ხოლო 1470 წლებში, როგორც ამას იტალიელი ბარბაროს ცნობა მოწმობს, საქართველოში ეხურათ „მოკლე ფორიანი პატარა ქუდი სხვადასხვა ზომისა“. მეორე ცნობის მიხედვით, რომელიც ეყვანენს იერუსალიმში 1483 წელს მეოფ გერმანელს ერნსტარ ბრეიდენბახს (მას ბლომად უნახავს ქართველები იერუსალიმში), ქართველ საყველსო პირთ ხურავთ რვაალი ქუდები, ხოლო ქართველ საყვო პირთ კი თხუთუთიანი. ამასვე ამბობს ქართველებს თავსაბურავის შესახებ 1519 წელს გერმანელი ჩუდი ფონ-გლარუსი (ა. ცაგარელის მოგზაურობა პალესტინაში, გვ. 39-60). ამის შემდეგ წარჩინებული და საშუალო მდგომარეობის ქართველები ატარებდნენ სპარსელებისდავარ თავსაბურავს, ე. ი. თავსაბურავს ფრთით ანუ ყილით წინა მხარეზე. ეს ჩანს მრავალი დამოწმებიდან (პატრი მავლუ-

მარია ფისიანკელი 1516 წ., კასტელის სურათები, ფრესკები, წარდენის ცნობა, რომ ქართლში პოლონელების მსგავს თავსაბურავს იტყუებდნენ და სხვ. (იხ. ს. კავთაძე, რუსთაველი და მისი „ვეფხისტყაოსანი“, 75-77).

ამიტომ, შოთას იერუსალიმელი სურათი, თავსაბურავის მიხედვით, უდგება სწორედ მე-13 საუკუნის პირველ ნახევარს. მნიშვნელობა აქვს იმ ვარეშობებს, რომ შოთა ხსენებული პორტრეტის სახით წარმოდგენილია ერისკაცად და წვერით მამინ, როდესაც მე-16-17 საუკუნეებში თავდაზნაურნი მამაკაცი, ფრესკული მასალების მიხედვით, წყერს არ ატარებდნენ. იერუსალიმურ პორტრეტზე კი იგი ვრძელი ხმირი წვერით არის წარმოდგენილი, შოთას იერუსალიმულ პორტრეტს აქვს წარწერა: „ამისა დამხატვასა შეუნდოს ღმერთმან, ამინ“.

ამ წარწერით იველისმემა, რომ ჯერის მონასტრის ერთ-ერთ სვეტზე შოთავეებული თეული კომპოზიცია (მაქსიმე აღმსარებელი, იოანე დამასკელი და მათ უფრთხით მუხლმოყვარილი შოთა) მოხატული ყოფილა შოთას მიერ ან მისი დავევით. ხოლო თვით შოთას სურათს აქვს წარწერა: როსთველი (რუსთველი); ჩვენმა მეცნიერებმა დამწერლობის ანალიზის გზით დაადსტურეს, რომ შოთას პორტრეტი მე-13 საუკუნის პირველ ნახევარს მიეკუთვნება აქად. ალ. ბარამიძე წეროლში „შოთა რუსთველი და ქართველთა ჯერის მონასტერი იერუსალიმში“ (საუბილიყო კრებულთ — „შოთა რუსთაველი“, 1966 წ.) წერს:

1. „არსებობს მრსაზრება, თითქოს ამ ნიციფორე ჩოლოყაშვილს უნდა ეყუთენოდეს შოთა რუსთველის პორტრეტი და წარწერა, მაგრამ შეუძლებელია ამის დაშვება, რომ ჯერის მამა ჩოლოყაშვილი საყუთარი თაოსნობით დაახტვინებდა მონასტრის კედელზე ეკლესიურ-კულტურული თელასაზრისით იდიობურ პოეტის სურათს“ (გვ. 14).

2. „რუსთველმა საყუთარი თაოსნობით „ურესკული ეულტურის ოსტატებს იერუსალიმის ქართულ ტაძარში იდუერობით გამსკვალული შესანიშნავი სურათი მოხატვინათ“, ამბობს მველევარი (მ. ნუცუბიძე — ბ. კ.). რად შეეხება თვითონ რუსთველის სურათს, ის პოეტის „თანამედროვეებს“ შეუტრანით რუსთველისავე „ანსამლში“, რადგან პოეტის „სურათის ამ ანსამლში შეტანით მისმა თანამედროვეებმა დადასტურეს, რომ ესმოდათ მისი ჩანათქი“ (გვ. 17).

3. „როდინდელია ჯერის მონასტრის სვეტზე გამოსახული შოთას პორტრეტი? ჯერ კიდევ ალ. ცაგარელი აღნიშნავდა, რომ «Изображение это, правда, 1643 года, но весьма вероятно, что оно было и до 1643 г. т. к. монастырь был и до этого времени расписан»

ალ. ცაგარელი იმწმებს მე-12 და მე-16 საუკუნეების მოგზაურებს, რომლებიც იძლე-

ვიან პირდაპირ ცნობებს ჯვარის მონასტრის მხატვლობის თაობაზე. მონასტერი არა ერთგზის იქნა დარბეული და განანადგურებული სხვადასხვა ჯვრის შტატელებითა მიერ (ჯვაროსნების, მაჰლუქების და სხვათა მიერ). შესაფერისადვე არაერთგზის აღუდგენიათ და შეუკეთებიათ შენობის დაზიანებული ნაწილები, განუკლებიათ და გაუცხოველებიათ ძველი მხატვრობა, შეუქმნიათ ახალი ფრესკები. კერძოდ, „რუსთაველის სვეტის“ მხატვლობა რომ ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის დროზე (1643 წელზე) უწინდებელია, ეს დოკუმენტრად დამატრეცია იერუსალიმის სამეცნიერო ექსპედიციის წევრმა ვიკტორ გ. წერეთელმა. იოანე დამასკელის ფრესკაზე გ. წერეთელმა აღმოაჩინა 1614 წლის არაბული შინაწერი. ამით აშკარა ვახდა, რომ თუთონ დამასკელის ფრესკა, რასაც ვიკტორმა 1614 წელზე აღჩინდელია. მაშასადამე იოანე დამასკელის ფრესკასთან და სურათოდ, სვეტის მხატვრობის ანამბლთან, კერძოდ, შოთა რუსთაველის სურათთან, ნიკოლოზ ჩოლოყაშვილს კავშირი არ აქვს“ (გვ. 18).

4. „შალვა ამირანაშვილის საბოლოო დასკვნა... რუსთაველის პორტრეტული მხატვრობა რელიეფის შესწავლის შედეგად შესრულებული უნდა იყოს მე-12 და მე-13 საუკუნეების მიჯნაზე, ყოველ შემთხვევაში, არა უგვიანეს მე-13 საუკუნის პირველი ნახევრისა“ (გვ. 18)

5. „თუ ჯვარის მონასტრის ეკლესია, — სამართლიანად ამბობს ე. მეტრეველი, შოთა რუსთაველის გამოსახვის საქმეობა როდისმე იყო, მხოლოდ მისწავლ დროს, მისივე დამსახურებისათვის“. ჩამდგნადეც შოთას საღამო

მოსახსენებელი ეკლესიის მე-12-13 საუკუნეთა მიჯნას, დაახლოებით ამავე დროს ტყვედ ვყოს პორტრეტული გამოსახულება. კერძოდ, შეგვიძინებია, ვერც საღამო მოსახსენებელი იველი ვერც პორტრეტული გამოსახულება ვერც მოსცილდებია მე-13 საუკუნის პირველ ნახევარს. საფიქრებელია, რომ შოთას სურათი შესრულებული იყო პოეტის სიცოცხლეში, თუმცა რა თქმა უნდა, იგი არაა ავტოპორტრეტი... საგულისმომ ისაა, რომ ნიკოლოზს (ივლისს-მემა ჯვარის მამა მონასტრის მხატვრული 1643 წ. ბ. კ.) საქმიანობა საერთოდ არ შეხებია სვეტების მხატვრობას, მათ შორის შოთა რუსთაველის ფრესკულ გამოსახულებას. რუსთაველის სურათი განუცუფენება მონასტრის მხატვრობის სწორედ ძველ ფენას, წარმოშობით მე-12-13 საუკუნეთა მიჯნას“ (გვ. 19).

ავადმეოკოსი აღ. ბარამიძე თავისი წერილის ბოლოს გვამდევს უმთავრეს დაცვას:

„შოთა რუსთაველი“—მეგეტრეტიუბუტეცს მე-12-13 საუკუნეთა მიჯნაზე განუახლებია და მოუხატეინებია ჯვარის მონასტრის დაზიანებული ნაწილები, რის სანუფეოდაც მონასტრის მშობას განუწესებია და მისი ხსოვნის დღე და სვეტზე შესაფერისი პორტრეტი გამოუსახავს“ და სტე.

ამრიგად, დასაბუთებულად უნდა მივიჩნიოთ, რომ შოთა რუსთაველის იერუსალიმური პორტრეტი მხატვრულია ჯვარის მონასტერში შოთას დროს, მისი უხევი შეწირულების გამო, ყველა სტეა დათარიღება არასწორია.

ბორის კანდელაკი





## ამერიკის შეერთებული შტატები

### ახალი აღმოჩენა თუ მორიგი სინსაბი

ამ ჩამდენამე ხნის წინ ამერიკელი ეტრნალი „პარსი-კოლოის“ ფერცლებზე გამოქვეყნდა კვლევა ბაქტერიის წყრილი „მტკიცებანი ამის თაობაზე, რომ მცენარეებს აქვთ ცნობიერება“. წერილის უკვე სათურმა მკითხველთა შორის დიდი განკვირება გამოიწვია: ავტორი აღნიშნავდა, რომ მან აღმოაჩინა სიმშალება იმის შესაცნობად, თუ როგორ უნდა გავიგოთ რას განიცდიან და რას ფიქრობენ... მცენარეები.

ამ ამბის შემდეგ ბაქტერიის სახელი სულ უფრო და უფრო ხშირად გვხვდება ამერიკის ეტრნალებისა და გაზეთების ფურცლებზე. „მოაზროვნე მცენარეებზე“ წერს, „ნიონელ ვაილადიც“, „ფიზიკ დიფსტიკ“, „ჟოლსტრატ ჯორნელიც“. ამას გარდა, გამოდის წიგნები ასეთი სათაურებით: „ზუბუნებრივის ბუნებრივი ისტორია“, „მცენარეთა სიცოცხლის საიდუმლოება“ და სხვ. ეს წიგნები უკვე თარგმნი ფრანგულ ენაზე, ფრანგულმა ეპრონალემა „ეუროპეოზ“ და „პარი-მატრის“ წერალებს მთელი სერია მიუძღვნეს ბაქტერიას ცდებს.

მთელი ეს ავიოტავი შემდეგნაირად დაიწყო: თურმე ერთხელ ბაქტერმა სპეციალურად გადაკეთებული აპარატის ელექტროდები შეერთა პალმის მსგავსი მცენარის — ღრაცენას ფოთლებს. შერე, უკვე გვიან, როცა ბაქტერს ჰკითხეს — რა მიზნით ავითებთ ამახო, მან უპასუხა, მიზნოდა გამეზომა სასიცოცხლო წყნის მოპოობის სიმჭარე მცენარის ფესვიდან ფოთლებამდეო. ასე იყო, თუ ისე, ელექტროდები შეერთებული იყო ფოთლებთან და აი, თვითამწერის ნემსმა ანუ კალამმა სპეციალურ ლენტზე მოხაზა მრუდი, რომლის დანახვაზე ექსპერიმენტატორს გაოცების შეძახილი აღმოხდა — ნაკვალევი ლენტზე ჰგავდა იმ მრუდს, რომელსაც დასტოვებდა ნემსი მაშინ, ელექტროდები დიდად აღელვებული კაცის სხეულზე რომ ყოფილიყო შეერთებული, როგორც ცნობილია, უკელაზე ქმედით

საშუალება გამოიწვიათ ვისმეში ძლიერი ემოცია — ეს არის მუქარა ბაქტერმა გადაწყვიტა დამუქრებოდა მცენარეს. ამ მიზნით, ღრაცენას ფოთლი ჯერ ცხელი ყავით სავსე კოქში ჩააყოფინა... არავითარი რეაქცია... მაშინ ბაქტერმა გადაწყვიტა დაეწვა ფოთლი, რომელიც ელექტროდთან იყო შეერთებული... როგორც კი აიღო ხელში ასანთი, ჯერ არ გაეკრა, უცებ თვითამწერის კალამმა მოხაზა მკვეთრად ზღამავალი მრუდი, თუმცა ბაქტერი არ შეზებია არც მცენარეს, არც აპარატს. მცენარემ წაეკითხა მისი ფიქრები... და თქმა უნდა, ამის დაყრება შეუძლებელია თუმცა ბაქტერმა შერე მთელი ლაბორატორია მოაწყო იმის დასამტკიცებლად, რომ მცენარეები გრძობენ და ფიქრობენ. უფრო ძნელი დასაყრებელია ის, თითქმის ხუევი გრძობენ იმ აღმამის ან ცხოველის მახლობლას, რომელსაც ისინი არ უყვანს. ამას კი ბაქტერი ამტკიცებს. მან მიიწვია იელის უნივერსიტეტის პროფესორები და თურმე ისიც უჩვენა, განსაკუვლის დროს, როგორ შეუწყუბდებოდა ხოლმე გული მცენარეებს და გრძობას ჰკარგავენ ერთხელ ბაქტერმა ცდების დროს თითი გაიჭრა და მცენარემ უშალ მისცა სათანადო რეაქცია და ა. შ. და ა. შ. ასეთი ავარებელი ფანტასტიკური მავალითებია დასახლებული... ბაქტერტი იმასაც ამტკიცებს, რომ მცენარეებს აქვთ მეხსიერებაც, ამის დასამტკიცებლად მან შემდეგ ცდა ჩატარა.

ლაბორატორიაში იღვა ორი მცენარე — ფილოდენდრონი, რომლებზეც ცდა უნდა ჩატარებინათ, ცდაში მონაწილეობის მისაღებად მოიწვიეს ექვსი კაცი, მათ შორის იყვნენ გამოკდილი პოლიციელები. მათ თვალები ახვინეს, რათა ეცნვის ურის დროს არ გაეცათ, ვის შეზებდებოდა წილად მოექრა და დაეცხა იმ ორიდან ერთი მცენარე, ყველაფერი საიდუმლოდ უნდა მოხმდარიყო, არც ბაქტერმა, არც ლაბორატორიის თანამეწყეებმა არ იცოდნენ ვის შეზება წილად დაეცხა მცენარე. ბოროტმოქმედების ერთადერთი მოწმე იყო მხოლოდ მეორე მცენარე, რომელიც ხელშეზებელი უნდა დარჩენილიყო. ასეც გააკეთეს: შევიდა კაცი ლაბორატორიაში, ჯერ დაეცხა მცენარე და შერე ძირში მოქრა. ამის შემდეგ შე-

ვიდნენ ოთახში ყველანი, შეუერთეს ელემენტორდები ვადარჩინალ მცენარეს, გამოიპახეს ის ექვსი კაცი და უფელ შათგანს ეკითხებოდნენ, მან ჩაიღინა. თუ არა ეს ბოროტმოქმედება. ყველა უარს აცხადებდა და ვადარჩინალმა შეხარებდა ხელი კაცის გამოკითხვის დროს არავითარი რეაქცია არ მისცა, ხოლო როცა შეექვემდებოდა, დამნაშავემაც უარი თქვა — მე არ მომიჭრილა, მცენარემ პირდაპირ მშვიტვარე რეაქცია გამოამჟღავნა, კონკრეტულად ვადარჩინაო, აღნიშნავს „პარი-მატრის“ კორესპონდენტი.

მცენარე სიყვითლეს იხსოვებოდა, ამტკიცებს ბაქტერა.

ყველაფერი ეს გვაგონებს წარმატებულ პოეტურ ლეგენდებს იმაზე, რომ ყველივებსა და ხალხებს თავისი ენა აქვთ და მხოლოდ ბრძენ ადამიანს ესმის, თუ როგორ ტარის ხე, როცა კაცი ნაჯახით ხელში უხალოვდება. ამ თემაზე არაერთი ბრწყინვალე ნაწარმოები შექმნილა მსოფლიო ლიტერატურაში, მაგრამ ზუსტ შეცნობებსაღმინ ამას არაფერი საერთო არ აქვს. „ბაქტერიის აღმოჩენა“ მეცნიერულად დასაბუთებული არ არის, ეს მოტივი სენსაციოა.

**მერმარიის დემოკრატიული რესპუბლიკა**

**პატარა სპანი გომონა — ლეილა**

ასეთი სითაურითა და პატარა ლეილას ფორტორაბილი ყდაზე გამოვიდა გდრ-ის ილუსტრირებული ჟურნალი „ფრანკ ვულტ“ (თავისუფალი სამყარო), რომლის ხელი გვერდი მიაღწინილია საქართველოს ულამაზესი კეთილს — სენატიისადმი. რეპორტაჟის ავტორია გერმანელი მწერალი ბენო პლუდრა, ხოლო შესანიშნავი ფოტოები (ისინი 14 ცალია ფურნალში დაბეჭდილი) გვეთვინს ჰინც კრიუგერს.

ბენო პლუდრამ მანამდე ერთხელ კიდევ (1972 წ.) იმოგზაურა საქართველოში; იგი ამის ათობზე რეპორტაჟის შესავალში ჰყვება — და მაშინ, მოგზაურობის ბოლო დღეებში სენატიის შესახებ ზოგი რამ საინტერესო დეტალი შეუტყუია. მას მაშინვე იქ გამგზავრება ვადაუწყვეტია, მაგრამ თბილისელ მასპინძლებს უთქვამთ, თქვენი დარჩენილი დრო გზაში დაეხარჯებათო. სენატიში მოგზაურობა ბენო პლუდრას შემდეგისთვის ვადაუდგია, მაგრამ ამ შთაბეჭდილებებით დატვირთულს ის მაინც ვაუწყებია, რომ მოთხრობა დაუწერია — „როგორ მსურდა სენატიში გამგზავრება“. ეს მოთხრობა მან გამოაქვეყნა გდრ-ის ლიტერატურულ ჟურნალში — „ნიოე დოიჩე ლიტერატურა“ (ახალი გერმანული ლიტერატურა, 1974 წ. № 1).

ამის შემდეგ მწერალი კვლავ ეწვია საქართველოს.

ბენო პლუდრა გერმანულ მკითხველებს დასაწყისში მოკლედ აცნობს სენატიის ისტორიას, ჰვლას და უხალებს, ზუსტად აღწერილი სენატიში მიმავალი გზის მარშრუტი.

ავტორი დიდ ყურადღებას უთმობს სენატიის კულტურული ცენტრის — მესტიის აღწერას, სადაც ახალი მასშტაბით შექმნილი, თანამედროვე სახლები და შენაარქიტექტორები სენატორი კომპლექსი ერთმანეთს ერწყმინა და ერთ ამსამბლს ჰქმნიან.

ბენო პლუდრა გაცხადებით ჰყვება მსოფლიო დიდებით მოსილი ქართველი სპორტსმენის, შამასვლელის მიხეილ ხერგიანის შესახებ, რომლის გარდაცვალებას ხუთი წლისთავს გერმანული მწერალი მესტიამ დასწერია. ბ. პლუდრა გერმანულ მკითხველებს მოუთხრობს შინა ხერგიანის ლეგენდადმოქცეულ ცხოვრებაზე და იქვე გავიხილ ერთ ამბავსაც ვადმოსცემს: ერთხელ თურმე მიმას საღირსგეთში უთხარეს, დარჩი ჩვენიან, აქ შენ მილიონერი გახდებიო. მიშას თურმე ასე უპასუხნია: როგორ შეიძლება მე უშუა ვაევიდოო?

ამას მოჰყვება თვალწარმატები უშუას აღწერა და ა. შ. ავტორი ჰყვება ექიმებზე და მასწავლებლებზე, კოლმეურნე გლეხობასა და მოსწავლე ახალგაზრდობაზე, ჰყვება სენატიის დღევანდელ დღეზე და იმ გუგუზებზე, რაც დასახულია სენატიის კიდევ უფრო კეთილმოწყობისათვის.

დიდი სითბოთი და სიყვარულით დაწერილი ბენო პლუდრას ეს რეპორტაჟი, ხალხთა შეგობრობის კიდევ ერთი დადასტურებაა. გერმანულენოვან სამყაროში გავრცელებული ეს ეურნალი, მკითხველებს არა მხოლოდ ტურისტად გახდომის სურვილს აღუქმავს, არამედ ისინი გაეცნობინა სენატიის წარსულსა, დღევანდელ და ხვალანდელ დღეს, სენატს, მშვიდსა და შეგობრულ ადამიანებს, რომლებიც ძველი ქართული ლაპარაკებენ და მტკიცე ადამ-წყესები გააჩნიათ...

**სენაზა პან გოზი**

უყანასკნელ წლებში, როგორც კინოში, ასევე თეატრში მრავალ იდგმება ფილმები და პიესები, რომლებშიც ასახულია წარსული დროის ცნობილი პიროვნებები. ამ ნაწარმოებებს საფუძვლად უდევს ამა თუ იმ მწერლისა თუ ხელოვანის ბიოგრაფიის ეპიზოდები. ცხადია, ეს გარემოება ორმავად ზრდის ინტერესს ზეინებული ფილმებისა თუ სპექტაკლების მიმართ.

გდრ-ის ჟურნალ „ტეატრ დერ ცაიტის“ რეცენზენტი აღფრედ მატუშეს (იგი ახლახან გარდაიცვალა) პიესას „ენა გოვი“ თულის „ფილოსოფიურ-ესთეტიკურ ნაწარმოებად“.

ბიესა დადგა კარლ-მარქს-შტადტის სახელ-  
წიფო თეატრმა. სპექტაკლის პრემიერას უკვე  
მომედ ავადმყოფი დრამატურგი — ალფრედ  
მატრუე ესწრებოდა. პრემიერამდე ერთი დღით  
აღრე-ავტორის სახეიმიად ვადასენს ვდრ-ის  
ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრემიათაგანი —  
ლესინგის პრემია.

ალფრედ მატრუე ჩერ კიდევ ახალგაზრ-  
დობაში დაინტერესებულა ვან გოგის პედიტ.  
მრავალი წელიც შესწირა მხატვრის ცხოვრე-  
ბის შესწავლას. თვრამეტ სურათში მყურებე-  
ლი თეატრურს აღევნებს ვან გოგის ცხოვრე-  
ბის უაღრესად-საინტერესო ვზას.

„პიესაში ვაანალიზებულია მხატვრის მდგო-  
მარეობა მტრულ საყვაროში, — წერს „ბტე-  
ატრ დერ ცაიტის“ რეცენზენტი, — აქ მო-  
თხრობილია საზოგადოების წინაშე ხელოვანის  
პასუხისმგებლობაზე, ყველაზე ნათელი იდე-  
სათვის ბრძოლაზე“. რეცენზენტი პიესის და-  
ღებში მხარედ მიანიშნა ლეკონერობა და ფსი-  
ქოლოგიურად დატვირთული დიალოგები.

პეტერ ზოდანი (იგივეა სპექტაკლის რეჟი-  
სორი) თავშეკავებულად და დიდი სიფრთხი-  
ლით ასრულებს მთავარ როლს.

**გერმანიის ფედერაციული  
რესპუბლიკა**

**„რევიზორი“ და მისი ინტერ-  
პრეტაციები**

დასავლეთგერმანული ვაზეთი „ველტი“  
ცნობილია თავისი ანტისაბჭოთა გამომდომე-  
ბით. ეს ვაზეთი შედის აქსელ შპრინგერის  
კორპორაციის, სადაც ყველაზე რეაქციული  
ძალები იურიან თავს.

ამჟრავდ საბჭოთა კავშირზე მორიგი პას-  
ვილისათვის „ველტიმ“ თითქოს უწყინარი  
რუბრიკა აირჩია — „ძველი ნაცნობები“. ეს  
არის რაღაც ლიტერატურული ვიქტორინის  
მსგავსი ძალიან უბრალო სიუჟეტში მოტანი-  
ლია ციტატები პიესებიდან და რომანებიდან  
და აი ამ ციტატების მიხედვით მკითხველებმა  
უნდა გამოიყონ რომელ ლიტერატურულ  
პერსონაჟს მიეკუთვნება ესა თუ ის სიტყვები:  
„ველტიმ“ ერთ-ერთ ასეთ „ძველ ნაცნობად“  
აირჩია ვოგელის გოროდნიჩი, ამაში თავისთა-  
ვად ცდილ არაფერი იქნებოდა, მაგრამ „საქმე  
ის არის, რომ „ველტი“ ციტატებს საწინლად  
ამახინჯებს და ამასთან ცდილობს გოროდნი-  
ჩი... თანამედროვე აღმნიანდ წარმოგვიდგი-  
ნოს, ყველაფერს, რასაც გოგოლი დასცინო-  
და მეუის რუსეთში, „ველტი“ ცდილობს საბ-

ჭოთა თემაზეებს მიაწეროს. „რევიზორის“  
ასეთმა „ინტერპრეტაციამ“ მკითხველთა მო-  
რის აღწყოთება გამოიწვია.

**068 ღოსო**

**„დაპარული სამოთხის“ ფანი**


როგორც ცნობილია, კლასიკურ მემკვიდ-  
რობაში, ვარდა შწერლის ხელნაწერებისა და  
სხვა პირადი ნივთებისა, ყველაზე მეტად ფა-  
სოსმა შწერლის პირველი, სიციცლებშივე გა-  
მოცემული წიგნები. ალბანს სოუბტის აუქ-  
ციონზე, ანტიკვარული წიგნების ვაყიდვისას,  
უდიდეს სენსაციად იქცა მილტონის „დაქარ-  
გული სამოთხე“. ეს იყო შწერლის სიციც-  
ლებში გამოცემული ნაწარმოებს პირველი ვა-  
ზემპლარი. შეიღველმა, კერძო ბიბლიოთეკის  
მფლობელმა, ხელთ იგდო „დაქარგული სამოთ-  
ხის“ ეს უიშვრათესი გამოცემა რვა ათას რვა-  
ასი ფუნტი სტერლინგის უსაად. თავის დროზე  
ვი ამ უყვადვი პოემის ავტორმა-ქონ მილტონ-  
მა მასში რაღაც... ათი ფუნტი მიიღო.

**068 ღოთი**

**ფიანი ინდირა განდევ**

ცნობილია საზოგადო მოღვაწე ქალმა არუ-  
ნა ასად აღიმ გამოაქვეყნა რეცენზია ინდოე-  
ლი შწერლის ზოგა ახმალ აბასის ახალ წიგნზე  
— „ინდირა განდი. შვიდი წელი ხელისუფლე-  
ბის სათავეში“. არუნა ასად აღი თავის წე-  
რილში აღნიშნავს, რომ მას დიდი ხანია არ  
წაუცთხავს წიგნი ასე აერთი ამოსუნთქვით“,  
ხოლო აბასის წიგნი მან სწორედ ასე წაიყაახა.  
ავტორის აზრით, განდის მოღვაწეობამ ღრმა  
კვალი დაანია ინდოეთის თანამედროვე ის-  
ტორიას, საშინაო და სავარეო, საზოგადოებ-  
რიუ-პოლიტიკურ ცხოვრებას.

რეცენზენტის შეფასებით, წიგნების ავ-  
ტორმა შეათოოდ წარმოგვიდგინა თეაღწინ სა-  
ერთაშორისო მასშტაბის ამ პოლიტიკური მო-  
ღვაწის ისტორიულად მართალი სახე. ამ შემ-  
თხვევაში აბასს ინდირა განდისთან ნაცნობობა  
კიდევ ერთ დამატებით უპირატესობას აძ-  
ლევს. იგი ახლოს იცნობდა ვაჰაპარლად ნერუ-  
სა და მის ოჯახს, იზიარებდა ნერუს იდეებს.  
ამიტომ, აღნიშნავს რეცენზენტი, ყველაფერი  
ეს აბასს ხელს უწყობს გვიჩვენოს ამ აღმნი-  
ნების კუშპირიტად დიდი ღვაწლი საშობილო-  
სა და კაკობრიობის წინაშე.



0340 80 332.

007/30  
  
ИНДЕКС  
76128  
200-111101033

**„МНАТОБИ“**

**ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ  
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ**

**ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ**